თ ა ბ ი ლ ი

თარგმანი ფრანგულით

[redacted]ქასრაძისა

1914

სურაფლ-მბეჭდავი სტამბა ამხ. „შრომა“, მუხრანის ქუჩ., № 12

ტ ფ ი ლ ი ს ი.

ლ ო ტ უ ს ი

იმ დროს უდაბნო დასახლებული იყო ანაქორიტებით. ნილოსის ორთავ ნაპირზე მათ ბზის შტოებისა და თიხისაგან მრავალი ქოხ-მახი ეგაეშენებინათ. თვითეული ქოხი დაშორებული იყო მეორედან, მაგრამ ისე კი, რომ შიგ მცხოვრებთ ადვილად შეეძლოთ გაჭირვების დროს ერთმანეთს დახმარებოდნენ. შორი-ახლოს, აქა-იქ ჯვრიანი საყდრები აემართათ, სადაც წმიდა მამები ყოველ დღესასწაულის დროს თავს იყრიდნენ წირვა-ლოცვის მოსასმენად და საიდუმლო სერობის მისაღებად. ამის გარდა, იმავე მდინარის ნაპირებზე რამდენიმე შენობა აეგოთ სენობიტების მოსათავსებლად. ესენი პატარ-პატარა სენაკებში ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე და სხვებთან შეხვედრას ერიდებოდნენ, რათა ვანდეგილობის მყუდროებით უფრო მეტად დამტკბარიყვნენ.

ანაქორიტები და სენობიტები ერიდებოდნენ ფუფუნებას და მთელ დღეს მარხულობაში ატარებდნენ. საქმელს მზის დასვლის შემდეგ თუ მიიღებდნენ, ისიც ცარიელა პურს, მცირეოდენ მარილ-წყალს და უსუპის ფოჩებს. ზოგი უფრო სასტიკ ცხოვრებას ეწეოდა: უდაბნოს გულში გახვეწილიყვნენ, ქვიშაში საფლავები გაეთხარათ, ან კიდევ ბნელი მღვიმე გამოენახათ და საოცარი განდეგილობით ანცვიფრებდნენ ყველა მნახველს.

უბიწოებას შეჩვეულნი ძაძისა და კუნკულის ანაბარა წვებოდნენ ცივს მიწაზე, რულ-მიუკარებლივ ლოცულობდნენ, წყნარად გალობდნენ ფსალმუნებს, ერთი სიტყვით, თვითეული მათგანი იღვწოდა მიწიერ ცოდვათა მოსანანიებლად. წინაპართა პირვანდელ ცოდვის მოსახდელად ეწეოდნენ მაშვრალ ცხოვრების მძიმე უღელს, იკლებდნენ ხორციელ ყოველგვარ სიტკბოებას, ისეთს მოვლასაც კი, რაიც ჩვეულებრივ ცხოვრებისთვის აუცილებელ რამედ ითვლება. ამასთანავე თვითეული მათგანი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ხორციელი ავადმყოფობანი, განუშორებელი წყლულნი ჰკურნავენ სულსაო, რომ გვემული სხეული მომავალში იქმნება დაჯილდოვებული და აღყვავებული, ვითარცა ზეთისხილიო. ასე აღ-

სრულდა წინასწარმეტყველთა სიტყვა, ოდესაცა ჰრქვეს: „უდა-ბნო იგი აღყვავილდეს ველის მწვანით“.

ასეთ ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ ამ წმინდა თებაიდის სტუმრები; ზოგი მათგანი ზრუნავდა ძმობისათვის ცხოვრების საშუალების გამოსანახად: ბზის ხეებს ჰქერქავდნენ, იმის კალათებს ჰქსოვდნენ და მახლობელ სოფლებში მკის დროს მიჰქონდათ გასასყიდად. წარმართნი ტყუილად აბრალებდნენ, ვითომც ისინი ყაჩაღობითა ცხოვრობენ და არაბთა ბრბოს უერთდებოდნენ ქარავნების ძარცვაში. ნამდვილად-კი, როგორც ვსთქვით, იგინი ეკრძალებოდნენ სიმდიდრე-ფუფუნებას და მათი სათნოებისა და კეთილმოქმედების სურნელოვნება ცად ჰღაღადებდა მათს სიწმინდე-უბიწობას.

ანგელოზნი ყრმის მზგავსად, მოგზაურის ჯოხით, ხშირად სწვევიან განდეგილებს, მაშინ როდესაც ეშმაკნი ეთიოპელთა და ნადირთა სახით მათ სამყოფელთა გარშემო დაეხეტებოდნენ, რათა როგორმე მაცდურებაში შეეყვანათ იგინი. დილ-დილაობით, როდესაც კოკებით მისულან წყაროს პირას, ქვიშაზე მათ უნახავთ ალ-ქაჯთა ნაფეხური. ერთი სიტყვით, თებაიდა თავისი ნამდვილი სახით თუ სულიერი ავლადიდებით წარმოადგენდა ომის ველსა, სადაც ცისა და ჯოჯოხეთის საოცარი შეჯახება ჰხდებოდა ხოლმე.

გააფთრებულ უწმინდურ სულთა ლეგიონებით გარშემორტყმული ასკეტნი თავს იფარავდნენ ღვთისა და ანგელოზების შეშველობით, რომელთაც იგინი მოუწოდებდნენ ლოცვით, ცოდვათა მონანიებით. ხანდახან ხორციელ ლტოლვილებათა ისარს ისე სასტიკად დაუკოდნია მათი გული, რომ მწარე ტკივილებისგან შორს გამხდარი მათი კვნესა, თითქოს პასუხს აძლევდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ქვეშ მძრწოლავ მშიერ აფთართა ყმუილს: მოდით, აქ ლეში მზად არისო. აი, მაცდურნი სწორედ ამ დროს ეცხადებოდნენ მათ. თვალ-წარმტაცი ბრწყინვალე სახით. ზართალია, მაცდურნი თავისთავად უსახურსა და საზარელ ქმნილებას წარმოადგენენ, მაგრამ მათ ჰქონდათ ძალა, რომ ხანდახან ბრწყინვალეთა და გამქვირვალე სიკეკლუცით შემოსილიყვნენ, რომელიც მათს სულიერს თვისებას სულ ერთიან ეწინააღმდეგებოდა. თებაიდელი ასკეტები შეძრწუნებულნი შეჰყურებდნენ თავიანთ სენაკებში ამ უცნაურ ხორციელ სიტკბოებათა მრავალ-ფეროვნებას, რის მზგავსიც არც ერთს ვნების საუკუნეში არ უნა-

ხავთ. მაგრამ რადგანაც მათ ჰქონდათ ძლევა-მოსილი ჯვარი, ერთხელაც არ მოუხრიათ ქედი ამ ცდუნების წინაშე, ასე რომ მაცდურნი იძულებულნი გამხდარან თავიანთი ნამდვილი სახე მიეღოთ და უკან გაბრუნებულიყვნენ შერცხვენილნი და გაწბილებულნი. არა ერთხელ უნახავთ განთიადის ჟამს აკრემლებული კუდ-ამოძუებული უწმინდური, რომელიც გამვლელთა შეკითხვაზე სასოწარკვეთილებით უპასუხებდა: „იმიტომ ვტირი და ვვალალებ, რომ ერთმა ქრისტიანთაგანმა, რომელიც აქვე მახლობლად სცხოვრობს, შოლტითა მცემა და შერცხვენილი გამომაგდოო“.

უდაბნოს მოხუცმა მამებმა მთელი თავისი სიძლიერე გამოიჩინეს ცოდვილთა და უწმინდურთა თავზე. მათი სათნოება ხშირად შემაძრწუნებელ სახეს იღებდა. მოციქულთაგან მათ მოეღოთ ძალა ცოდვილთა დასჯისა, განსაკუთრებით ღვთის მგმობელთა განადგურებისა. აღარა ძალას არ შეეძლო იმისი დახსნა, ვიზედაც წყევას მოიღებდნენ. ვინ გნებავთ, რომ მათზე არ ლაპარაკობდა. მათი ამბავი ალექსანდრიის მცხოვრებთაც კი შეესმათ. ამბობდნენ, ვითომც მიწა ირღვეოდა და ცოცხლივ ნთქავდა იმ ცოდვილს, ვისაც კი კვერთხით შეეხებოდნენო. ამიტომაც მათი დიდი რიდი და შიში ჰქონდათ, განსაკუთრებით თავ-აშვებულ გარყვნილ ცხოვრების მოტრფიალეთ, მასხარებს, აქტიორებს, ცოლიან ღვდლებსა და როსკიპებს.

ამ მორწმუნეთა სათნოება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგინი თვით გააფთრებულ მხეცებზედაც იჩენდნენ ძალას. როდესაც ერთი განდეგილთაგანი სიკვდილის პირს მიუახლოვდა, მას უდაბნოს წიაღიდან ეახლა ლომი, რომელმაც კლანჭებით საფლავი გაუთხარა. წმინდანი მიხვდა ღვთის ნებას, მონახა ძმები, სათითაოდ ამბორი უყო და სიხარულით დაუბრუნდა საფლავს.

და აი, მას შემდეგ, რაც ღრმად მოხუცებული, თითქმის ას წელს გადაცდენილი მამა ანტონი განვიდა სოფლიდან და კოლიზინის მთაზე დასახლდა თავისი საყვარელი მოწაფეებითურთ, მაკარითა და ამათარით, მთელს თებაიდის ბერებში ყველაზე მეტად სახელი გაითქვა ანტინოეს კრებულის წინამძღვარმა პაფნუტიმ. მართალია, ეფრემი და სერაპიონი მოძმეთა მეტს ნაწილს განაგებდნენ და საუცხოოდაც დააყენეს მონასტრის სასულიერო თუ ნივთიერი მხარე, მაგრამ პაფნუტი უფრო აღე-

მატა მათ თსვისი საოცარი მარხულობით. ხშირად სამი დღის განმავლობაში იგი არასა სვამდა, არცა სჭამდა, ტანთ ემოსა ხამი და უხეში მატყლის ძაძა, დილიდან საღამომდე პირქვე დამხობილი ლოცვებით იკვებავდა თავს.

მისმა ოცდა ოთხმა მოწაფემაც მის მაგალითად აიშენეს პატარა სადგომები და მას ჰბაძავდნენ ყოვლისფერში. პაფნუტისაც უსაზღვროდ უყვარდა იგინი ქრისტეს სახელით და თვითეულს მათგანს უნერგავდა სიყვარულსა და მარხულობისადმი მიდრეკილებას. მის სულიერ შვილთა შორის მრავალი იყო, რომელთაც უწინ ყაჩაღობითა და მძარცველობით ეცხოვრათ, მაგრამ მისი რჩევითა და სიყვარულით ხელი აეღოთ ავაზაკობაზე და ბერად აღკვეცილიყვნენ. მათი ცხოვრების სიწმიდე ამხანაგებს მუდამ მაგალითად ჰქონდათ. მათში ერჩეოდა ერთი, რომელიც აბესინელ დედოფლის მზარეული ყოფილიყო. იგი ამ ანტინოეს წინამძღვრის მიერ იქმნა მოქცეული და მთელს დღეს ცრემლთა ღვართქაფში ატარებდა თვის ცოდვათა მოსანანიებლად. არა ნაკლებ ერჩეოდა მისი მეორე მოწაფე ფლაბიანე, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა საღმრთო წერილი და ბოლოს შესანიშნავი მეტყველიც შეიქმნა. მაგრამ პაფნუტის მოწაფეებიდან ყველაზე მეტს ყურადღებას იპყრობდა ერთი ახალგაზრდა გლეხი, სახელად პავლე, რომელსაც ზედმეტად უბრალოს უწოდებდნენ, რადგანაც იგი მეტისმეტად გულუბრყვილო გახლდათ. ხალხი მის უბრყვილო საქციელზე იცინოდა, მაგრამ ღმერთმა იგი შეიყვარა და მიანიჭა წინასწარის განჭვრეტა ჩვენებათა საშუალებით და წინასწარი მეტყველება.

პაფნუტი მთელს დღეს მოწაფეთა გაწრთვნას ანდომებდა, რათა შეესწავლებინა ასკეტური ცხოვრება. ამის გარდა მას განუშორებლად დაჰქონდა საღმრთო წიგნები, მათში ინთქმოდა ღრმა ფიქრებით და ეძებდა ალეგორიებს. აი ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ სიყრმით იგი სახელოვანი გახდა და მისი ღვაწლი შარავანდედით შეიმოსა. თვით ეშმაკეულნიც კი ვერა ჰბედავდნენ მასთან მიახლოვებას. ღამღამობით, მთვარის შუქზე, შვიდ-შვიდი პატარა ტურა მისი სენაკის დირეესთან ეცუცქნენ და ყურ-დაცქვეტილნი უძრავად შეჰყურებდნენ მას. ჰფიქრობენ, ვითომც ეს შვიდი დემონი იყო, რომელთა იგი თავისი სიწმიდის ძალით იკავებდა და დირეს იქით აღარ უშვებდაო.

პაფნუტი დაიბადა ალექსანდრიაში. მისი კეთილშობილი

მშობლები მას ასწავლიდნენ საერო მეცნიერებას. ერთხელ იგი იმდენად იყო გატაცებული ცრუ პოეტების ნაწერებით, იმდენად ცდომილ გზას დასდგომოდა მისი აზრთა მიდრეკილება, რომ ღრმადა სწამდა, ვითომც ადამიანთა მოდგმა დევკალიონის დროს დაიღუპა წარღვნითაო. ასევე ხშირად უკამათნია თავის თანამოაზრეებთან ბუნების შესახებ, მის თვისებებზე და თვით ღვთის არსებობაზეც კი. ამნაირად, მისი იმდროინდელი ცხოვრება არაფრით განსხვავდებოდა წარმართთა ცხოვრებიდან. ეს ის დრო იყო, რომელსაც იგი ასეთის აღელვებით და სირცხვილით გაიხსენებდა ხოლმე.

— იმ დროსაო,—ხშირად უთქვამს თავის თანამოძმეთათვის,—ცრუ ბედნიერების ქვაბში ვიხარშებოდიო.

ამითი მას იმის თქმა უნდოდა, რომ იმ დროს კარგად შემზადებულ ხორცეულს გიახლებოდით და სახალხო აბანოებსაც არ ვიყავი მოკლებულიო. მართლაც ოც წლამდე იგი ისეთს ცხოვრებას ეწეოდა, რომელსაც თამამად შეგვიძლიან სიკვდილი ვუწოდოთ, ვიდრე სიცოცხლე. მაგრამ მას შემდეგ, რაც მან საღმრთო წერილი შეისწავლა მამა მაკრინესაგან, იგი სულ ახალი ადამიანი შეიქმნა.

ამიერიდან ჭეშმარიტებამ დაისადგურა იმის გულში. მას არა ერთხელ უთქვამს, იგი შიშველ მახვილსავით განმეწონა მთელს ჩემს სულის არსებაშიო. მალე იწამა თვით გოლგოთა და თაყვანსა სცემდა ჯვარცმულ იესოს. მონათვლის შემდეგ ერთ წელს კიდევ დაჰყო ერისკაცად, რადგანაც ძველს ჩვეულებათ ასე ადვილად ვერ განშორებოდა. მაგრამ ერთხელ, როდესაც წირვის დროს შეესმა საღმრთო წერილის სიტყვები: „თუ რომ გსურს იყვე სრული, აღსდეგ გაჰყიდე ქონება შენი და სასყიდელი გაეც გლახაკთა შორისაო“,—იმასაც აღარ დაუყოვნებია, სწრაფად გაჰყიდა მთელი თავისი ქონება, აღებული ფული მოწყალებათ დაარიგა და შეუდგა მონასტრულ ცხოვრებას.

ათი წლის განმავლობაში, რაც განვიდა იგი სოფლიდან, აღარ იხარშებოდა ხორციელ სიტკბოებათა ქვაბ-ქოთანში, პირიქით, მარხულობითა და ლოცვებით გვემულ სხეულს ბალზამოსით განიგრილებდა.

ერთხელ, როდესაც იგი სათნოიან ბუნების მიხედვით, გაიხსენებდა თავის ცოდვათ, რაც კი მას ჟამსა შინა ჩაედინა, როცა წარმართი იყო და ჭეშმარიტ ღვთისგანაც ძალიან შორს იდგა, გაიხსენა ერთი უმშვენიერესი ბანოვა-

ნი, სახელად **თაისი**, რომელიც ალექსანდრიის თეატრის სცენაზე თამაშობდა. ეს ქალი ხშირად გამოდიოდა საცეკვად და არაფრის რიდი არა ჰქონდა, ცეკვის დროს ისეთ ფიგურებს აკეთებდა, რომელთაც შეეძლოთ საშინელი ვნებათა აშლა. ხშირად კიდევ იგი ასრულებდა იმ სამარცხვინო სცენებს, რასაც წარმართთა არაკები აწერდნენ ვენერას, ლედას, ანუ პაზიფაეს. ამნაირად, იგი ვნებათა ცეცხლის ალით სწვავდა ყველა მნახველსა; ხოლო როდესაც მშვენიერი ყრმები, ჰასაკოვანება ფრთა შეკრული ყმაწვილკაცობა თუ მდიდარი მოხუცნი მის კართან მიდიოდნენ და ტრფიალებით დამწვარნი მის სახლის გარშემო ყვავილების ხრახნილს ავლებდნენ, თაისი მათ იღებდა და მათი ვნების მორჩილი ხდებოდა. ასე ჰღუპავდა იგი თვის სულს, ასევე ჰღუპავდა სხვების სულსაც, რომელთა რიცხვსაც ვერ ასწერდით.

ერთხელ თვით პაფნუტიც კინაღამ ხორციელ ბიწიერებამდე მიიყვანა. მან ააგზნო მის ძარღვებში ტრფობის წყურვილი, და აი, ერთხელ მიუახლოვდა მის სასახლეს. მაგრამ კურტიზან ქალის კარის ზღურბლზევე შეაჩერა ყრმობის მორცხვობამ (ამ დროს იგი თხუთმეტი წლისა ძლივს იყო), ამის გარდა, თან ძალიან ნაკლები ფული ჰქონდა, მშობლები არ ანებივრებდნენ მას. ვაი თუ უარი მითხრასო შეშინდა იგი და ვნებათა წყვეტებით გამობრუნდა შინისაკენ. ღმერთმა წყალობითა თვისითა ამ გზით იხსნა იგი აუცილებელი ცოდვისაგან. მაგრამ პაფნუტის არავითარი მადლობა არ შეუწირავს მისთვის, ვინაიდან ამ ,ხანში მას ნაკლებათ ესმოდა თავისი თავის სიკეთე და ხორციელ სიტკბოების ჟინსაც გაეტაცნა.

და აი, თავის ბნელს სენაკში ეხლა იგი ძირს დამხობილიყო და დიდხანს, ძალიან დიდხანს მიშტერებოდა გონების თვალით იმ ხორციელ სიტკბოების საზარელ სანახაობას, რომლისადმი ლტოლვილება ჯადოსნურ ძალათ შთაუნერგა იმ დროს ამ ქალმა. რამდენიმე საათის ფიქრის შემდეგ თაისის სახე საოცარი სიცხადით წარსდგა მის წინაშე. მან კვალად იხილა იგი ისეთივე სახით, როგორც მაშინ, მშვენიერი, მომხიბვლელი გამომეტყველებით, იმავე ნარნარი სხეულით. ჯერ ლედას სახით გამოეცხადა სუმბულის ფუფუნა საწოლზე წამოწოლილი, ვნებით დამთვრალს თვალები მოჰმზღვლეოდა, თუმცა ჟინიანობის ნაპერწკლებს მაინცა ჰკვესდნენ, მთრთოლვარე ნესტოებით, ნახევრად გაპობილ პაწია პირით, აზღვაევ-

ბულ სავსე გულ-მკერდით, სადაც ორ წყაროს თავზე საამურ ნიავი ცელქად დაჰფრინავდა ამურის ფრთებით. ამ სანახაობის დროს პაფნუტი გულში იცემდა და თან ამბობდა ათრთოლებით:

— გიმოწმებ, ღმერთო ჩემო, რომ თვითვე ვხედავ ჩემი ცოდვის საშინელებას!

ამასობაში სანახაობამ შესამჩნევად იცვალა გამომეტყველება. თაისის ტუჩები ნელ-ნელ იწევდნენ პირის პატარა კუთხისაკენ და წყნარად საიდუმლო ტანჯვის სურათსა ჰხატავდნენ. მისი ღია თვალებიც ფართოდ გაიშალნენ და ცრემლთა ზღვად გარდაიქმნენ. აზვირთებული გული კვნესით ჰბორგავდა და პირველ ქუხილის წინამორბედ ღრუბლების სახით ქანაობდა. ამ სანახაობამ სულის სამყარო შეურყია პაფნუტის, იგი სწრაფლ გაერთხო მიწაზე და ილოცდა:

შენ, ვინც შეწყალება და თანაგრძნობა შთაგვინერგე გულში, ვითარცა ნამი ველ-მინდორზე განთიადის ჟამს, იყავ კურთხეულ, ღმერთო მოწყალეო და სამართლიანო! დიდება, დიდება შენდა! განარიდე შენი მორჩილი მსახურიდან ეს ცრუ თანაგრძნობა, რომელსაც მივყევარ გულისთქმამდე, მომანიჭე წყალობა შენი, რათა შევიყვარო ყოველი ქმნილი მხოლოდ შენში, რამეთუ იგინი წარმავალ არიან, ხოლო შენ კი - მარადიული! თუ რომ ვზრუნავ ამ ქალისათვის, მხოლოდ იმიტომ, რომ იგიც შენი ქმნილებაა. თვით ანგელოზნი მისკენ უშვერენ მადლიან ხელს მოსაშველებლად. ნუ თუ იგი შენთა ბაგეთა სუნთქვა არ არის, მეუფეო? კმარა, ოჰ, ღმერთო, დრო არის, დრო, რომ შეაჩეროს მან თვისი ცოდვილი მოქმედება. დიადმა მოწყალების და თანაგრძნობის სურვილმა აავსო გული ჩემი. უმრავი არის ცოდვა მისი, მარტო ერთი წარმოდგენაც კი ჟრუანტელსა მგვრის, ყალყზე მიყენებს მთელს სხეულზე მთრთოლარ ბალანსა. მაგრამ რავდენადაც დიდი დამნაშავეა იგი, იმდენად უფრო მებრალება. ვიგლოვ და ვტირი, რომ ეშმაკებმა სამარადისოდ უნდა სტანჯონ ის უბედური.

როდესაც ის ასე ჰფიქრობდა, თავის ფერხთა წინ დაინახა პატარა ტურა. იგი განცვიფრდა, კარი დილიდანვე დაკეტილი იყო და არ იცოდა, თუ საიდან შეეძლებოდა ამ ტურას მასთან შემოსვლა. ნადირი თითქოს კითხულობდა მოძღვრის აზრებს, თან შეჰყურებდა მას და თან ძაღლსავით კუდს აქიცინებდა. პაფნუტიმ პირჯვარი გადაიწერა: ნადირი გაჰქრა.

მიჰხედა, რომ ეშმაკი პირველად ესტუმრა მის საკანს, მან მცირედ ხნით ილოცა და კვლავ თაისზე დაიწყო ფიქრი:

— შეწევნითა ღვთისითა,—სთქვა მან,—უნდა დავიხსნა მე, ის ქალი!

და ჩაიძინა.

მეორე დილას, ლოცვის შემდგომ, პაფნუტი ეწვია წმიდა კაცს—პალემონს, რომელიც განდეგილად სცხოვრობდა მისგან ცოტაოდენი მოშორებით. მან იგი ნახა მხიარულად მომღიმარი, თავისთვის იდგა ბალჩაში და ჰბარავდა. პალემონი უკვე მოხუცი იყო, თავისი სიწმიდით გაითქვა სახელი, ასე რომ თვით ნადირებიც-კი მოდიოდნენ და ხელს ულოკავდნენ, ხოლო ეშმაკებს-კი არ შეეძლოთ მასთან ახლოს გამოცხადება.

— იყოს კურთხეულ ღმერთი ჩვენი, ძმაო პაფნუტი,— მიესალმა მოხუცი და თან ბარის ტარს დაებჯინა.

— იყოს კურთხეულ ღმერთი ჩვენი,—უპასუხა ახლა პაფნუტიმ: მშვიდობა შენდა, ძმაო ჩემო!

— მშვიდობა შენდაც, ძმაო ჩემო პაფნუტი,—შეაწყვეტინა პალემონმა და თან სახელოთი შუბლზე ოფლი შემოიწმინდა.

— ძმაო პალემონ, ჩვენი საუბრის უმთავრეს საგნად უნდა იყოს ქება-დიდება იმისი, ვინც რომ აღთქმა დასდო ყოველთვის დაესწროს იქ, სადაც მისი სახელით შეიკრიბებიან. სწორედ ამიტომ მოველ შენთან, რათა გაგიზიარო განზრახულება ჩემი, რაიც დიდების შარავანდედს შემოავლებს მეუფესა ჩვენსა.

— აკურთხოს უფალმა განზრახვა შენი, ძმაო პაფუნტი, ვითარცა აკურთხა მან ჩემი ბოსტნის მწვანილეული! ყოველ დილით ნამთან ერთად ჩემს ბოსტანს არ აკლებდა თვის მოწყალებას, მისი სიქველე მაიძულებს ვაქო—ვადიდო იგი ამ კიტრებისა თუ კვახის დანახვაზე, რომელთაც იგი მაძლევს მე! ვილოცოთ, ძმაო, მშვიდობა მოგვცეს, მოგვანიჭოს ჩვენ მყუდროება! ყველაზე მეტად უნდა ვერიდოთ, რაც ჩვენ აგვაღელვებს, სულის სიმშვიდეს დაგვიკარგავს, ვინაიდან, როდესაც ეს შფოთვანი სულს გვიღელვებენ, ჩვენ ვგევართ მთვრალებს, ჩვენც მივალთ, გატაცებით მივსდევთ მის ქარიშხალს. მარჯვნივ და მარცხნივ და მზად ვართ ყოველ სისაძაგლესაც კი გადავემთხვიოთ. ხშირად კიდევ იგივე გატაცებანი უგუნუ-

რად გვაფრთოვანებენ და ვინც ენდობა, იღუპება სამარადისოდ. ნუთუ არსად შეგსმენია ამ დროს ასეთ ცოდვილის მიერ ამოშვებული პირუტყული ტლანქი ხარხარი! და ეს საბრალო სიხარული ჰმოსავს ჩვენს ცოდვილს სულს ათასგვარი უწესოებით. მაგრამ მოხდება ისიც, რომ იგივე სულის მღელვარებანი გვანცდეევინებენ უსაზღვრო მწუხარებას, ათასჯერ უფრო წამწყმედ კაეშანს, ვიდრე აღტყინებული სიხარული. ძმაო პაფნუტი, მე მხოლოდ ერთი საბრალო ცოდვილი ვარ, მაგრამ ამ ხანგრძლივ ცხოვრების გზაზე ძალიან ბევრი გამოვცადე, ვიცი, რომ ჩვენს მოძმეთათვის მწუხარებაზე უდიდესი მტერი არაფერია. აქ მე ვგულისხმობ იმ დაუსრულებელ სევდას, რომელიც კაეშნის ღრუბლად შემოგვწოლია და ჩვენს სულს უშლის ხილვას ღვთის ნათელისას. ცხონებისათვის კი ამაზე წამწყმედი აღარა არის-რა. აქ იწყება თვით ეშმაკის დღესასწაულიც, ნამეტნავად მაშინ, როდესაც იგი განდეგილის გულში შთაასხავს გაბოროტებულსა და დაძმარებულ მდგომარეობის ნექტარს. მარტოოდენ ერთი სიამის სახეთა განცდანი რომ წარმოეგზავნა მას ჩვენთვის, ეს არც იმდენად საშიში იქნებოდა, მაგრამ... ეჰა! იგი ყოველისფერს იღონებს, რათა სასოწარკვეთილებამდინ მიგვიყვანოს. განა მაგან არ წარმოუვლინა ჩვენს საყვარელ მამა ანტონს ვიღაცა ბავშვის სიმშვენიერე, რომელიც ადამიანს ცრემლებს მოჰგვრიდა? მაგრამ შეწევნითა ღვთისათა წმინდა მამამ დასთრგუნა ეშმაკი იგი. მე მას ვიცნობდი იმ თავითვე. მახსოვს, თუ როგორ ერთობოდა იგი თვის მოწაფეთა შორის და არასოდეს კაეშნის ფრთას არ შემოუკრავს იმისთვისა. მაგრამ, ძმაო საყვარელო, შენ, ვგონებ მოხველ, რათა გამიზიარო განზრახვა შენი. დიდად დამავალებ თუ მართლა გამინდობ მას და დავინახავ, რომ განზრახვა იგი ღვთის სადიდებლად იღაღადებს.

— ძმაო პალემონ, მართლაც განვიზრახე ვადიდო მეუფე ჩვენი. მირჩიე და განმამტკიცე ჩემს განზრახვაში, ვინაიდან თვალნი შენნი უფრო ნათლადა ჰხედავენ და ცოდვას არასოდეს არ დაუბნელებია შენი გონების ლამპარი.

— ძმაო პაფნუტი, არა ვარ ღირსი შენი ქალამნის თასმების გახსნისა, უმრავი არის ცოდვა ჩემი, ვითარცა ქვიშა უდაბნოსი; მოვხუცდი, მაგრამ მაინც უარს არ გეტყვი მოგეშველო, თუ კი ჩემი გამოცდილება გამომადგება.

— მაშ სცანი, ძმაო პაფნუტი, მე განვიმსჭვალე მწუხა-

რებით, როდესაც ეფიქრობ, რომ ალექსანდრიაში არის გარ-
ყვნილი ქალი, სახელად თაისი, რომელიც ცოდვაში ატარებს
თვის სიცოცხლეს და თვისი ბიწიერებით ხალხის გამრყვნელ
საგნად გარდაქცეულა.

— ძმაო პაფნუტი, ეს მართლაც შეწუხების ღირსი სისა-
ძაგლეა, რომელიც უნდა დაითრგუნოს. იქნებ რაიმე საშუა-
ლება გამონახე ამ ბოროტების მოსასპობლად?

ძმაო პალემონ, წავალ, მოვნახავ ამ ქალს ალექსან-
დრიაში, შეწევნითა ღვთისათა მე მას მოვაქცევ. ასეთი არის
ჩემი განზრახვა. ნუ თუ არ მოგწონს შენც ეს, ძმაო?

— ძმაო პაფნუტი, მე ერთი საბრალო ცოდვილი ვარ,
მაგრამ ჩვენს საყვარელ წინამძღვარ ანტონს ჩვეულებადა ჰქონ-
და ამ სიტყვების წარმოთქმა: „სადაც უნდა იყო, ნუ აჩქარ-
დები იქიდან სხვაგან წასასვლელად“.

— ძმაო პალემონ, იქნებ შენ რამე ცუდსა ჰხედავ ჩემს
განზრახულში?

— ტკბილო პაფნუტი, ღმერთმა დამიფაროს, რომ ჩემის
ძმის განზრახვაში რაიმე ეპვი შევიტანო! მაგრამ ჩვენი მამა
ანტონი კიდევ ამბობდა ხოლმე: „თუ რომ თევზი მშრალს
ადგილზე გამოიტანე, მოკვდება; ამის მზგავსად ჰხდება განდე-
გილთათვის: როდესაც ისინი შორდებიან თავიანთ სავანეს და
ხალხში ერევიან, უეჭველად ქუმარიტ გზას ასცდებიან ხოლ-
მე“.

ამ სიტყვების შემდგომ მოხუცებულმა პალემონმა მიწას
ბარი დაჰკრა და ლელვის ხის გარშემო დაიწყო ბარვა. როდე-
საც ის ჰბარავდა, უეცრივ ფურმა ირემმა გამოირბინა ბუჩქებ-
ში და ზედ ღობეზე გადმოხტა, მაგრამ უეცრივ შეჩერდა და
განცვიფრებული თვალები მიაშტერა იქ მყოფთ, თანაც კან-
კალმა აიტანა, შემდეგ ორი ნახტომით მიუახლოვდა მოხუცს
და თავისი პაწია კოხტა თავი ნაზად მიაყრდნო მკერდ-
ზედა.

— იდიდოს უფალი ჩვენი, რომელიც მინდვრად გვიზრ-
დის ამგვარ სულდგმულს, — სთქვა პალემონმა.

მოხუცი ქოხისკენ გაემართა. წყნარი პირუტყვი სუბუქად
მისდევდა მას. როდესაც იგი გამობრუნდა, ხელში შავი პურის
ნაჭერი ეპირა და ფურს აპმევდა, რა გორც დიდი ხნის მოში-
ნაურებულს.

პაფნუტი დიდ ხანს იდგა გაშტერებული. მძიმე ფიქრე-

ბისთვის ვეღარ აერთვა თავი. იგი მისჩერებოდა ქვიშიან გზას, თითქოს ვისიმე მოლოდინში არისო. შემდეგ წყნარად გამობრუნდა თავის სავანეში და ჰფიქრობდა იმაზე, რაც კი მოხუცისაგან მოისმინა. მისი გონება დაუცხრომელად მუშაობდა.

— ეს განდეგილი, — ამბობდა თავისთვის, — კარგი მრჩეველია, მასში სიფრთხილის სულს დაუსადგურია. იგი ეპვობს ჩემს განზრახულების სიბრძნეში. მიუხედავად ამისა მაინც არ შემიძლიან დავსტოვო თაისი ეშმაკთა კერძად. ინებოს ღმერთმა ჩემს ბრმა თვალთა აღსნა და საქმის წარმართება!

როდესაც მან განაგრძო გზა, უეცრივ შეჰნიშნა ბზეწვია, რომელიც მონადირის მიერ დაგებულ მახეში გაბმულიყო. იგი მიხვდა, რომ ეს დედალი იყო, რადგანაც მამალი მოფრინდა მახესთან და ერთს ძუას მეორეზე სწყვეტდა ნისკარტით, ვიდრე იმოდენა ნახვრეტი არ გააკეთა, საიდანაც თავისი სწორი არ გაანთავისუფლა. ღვთისნიერი კაცი უკვრეტდა ამ სანახაობას და, რადგანაც სიწმიდის ძალით ყოველ საგნის ვითარებას ადვილად ჰხვდებოდა, ეხლაც ადვილად შეიმცნო საიდუმლო სანახაობისა, რომ ბზეწვია, ეს ტყვე-ქმნილი ფრინველი სწორედ თაისი იყო, რომელიც ცოდვების მახეში გაბმულიყო, და რომ მოფრენილ მეგობრის სახით ამასაც უნდა თავისი ძლიერი ნების ნისკარტით დაეთრგუნა ის უხილავი ძუის ძაფები, რომლებიც იკავებდნენ თაისს და ცოდვის მახეში ამყოფებდნენ. შეიმცნო რა ეს, იგი სამადლობელს ღაღადსაჰყოფდა და უსაზღვროდ აქებდა უფალს, რომელმაც განამტკიცა მასში მისი პირვანდელი გარდაწყვეტილება. მაგრამ სწორედ ამავე დროს შეჰნიშნა, რომ მამალი ბზეწვიაც ძუის ძაფების დაგლეჯის დროს თვითვე გაება შიგ მახეში. ამ ამბავმა კვალად შეაკრთო განდეგილი და იმავე გარდაწყვეტილებით დაიწყო ახალი განცდა, ახალი ტანჯვა, სულის შფოთვა.

მთელ ღამეს აღარ სძინებია. განთიადის წინ იხილა ჩვენება. თაისი კვლავ გამოეცხადა. მისი სახე აღარ ჰხატავდა წამაწყმედელ ბიწიერებას, არც თუ ჩვეულებრივი გამქვირვალე მარმაშის პერანგი ეცვა. არა, თავიდან ბოლომდე იგი დაფარული იყო ჩადრით, ასე რომ წვინდა წინამძღვარი მარტო ორ თვალს ძლივას ამჩნევდა, რომლიდანაც მდუღარე ღვართქაფად მოჰხეთქდა ცრემლთ ნაკადული.

ამის მნახველი პაფნუტი თვითვე ატირდა და, რა იფიქრა, მოჩვენება განგებით მომევლინაო, იგი შეურყეველი შე-

იქმნა და გადასწყვიტა, მტკიცედ შეესრულებინა თვისი განზრახულება. შემდეგ ადგა, აიღო სამოგზაურო ჩანთა და კვერთხი, გადისახა პირჯვარი, განვიდა სენაკით და ფრთხილად მოჰკეტა კარები, რათა უდაბნოს პირუტყვნი, ანუ ცის ფრინველნი არ შესულიყვნენ და არ წაებილწნათ საღმრთო წერილის ფურცლები, რომელთაც მრავლად ინახავდა თავის ქვეშაგების თავთან, შემდეგ მოუწოდა მედავითნე ფლაბიანეს, მიანდო თავის ოც მოწაფის გამგებლობა, ბოლოს გადიცვა ერთად ერთი გრძელი შავი კაბა და გაემართა ნილოსის გზით, რათა ლიბიის ნაპირზე ფეხით ევლო და ასე მისულიყო ალექსანდრე მაკედონელის დაფუძნებულ ქალაქში. გათენებამდე იგი ასე მიდიოდა მშრალ ქვიშაზე და არ ეკრძალვოდა არც დაღალვას, არც შიმშილ-წყურვილს. მზე უკვე საშუბისტაროზე იწევდა, როდესაც თვალი მოჰკრა მქუხარე მდინარეს, რომელიც სისხლის-ფერ ტალღებს აშფოთებით უტყლაშუნებდა ოქროსა და ცეცხლის-ფერათ აელვარებულ კლდოვან ნაპირებს. იგი გაემართა მდინარის ნაპირისაკენ და ქრისტეს სახელით ითხოვდა აქა-იქ განდეგილთა ქოხმახის კარზე მცირეოდენ პურს. დიდის მოთმინებით იყო აღჭურვილი და ერთგვარი სიხარულით იღებდა მოწყალებასა, უარს თუ წყევლა-მუქარას. მას თვით ავაზაკებისაც-კი არ ეშინოდა, არც თუ ნადირთა, მაგრამ სთფელ-ქალაქს კი ერიდებოდა და შიგ გავლის მაგიერ გზას უქცევდა, რომ არავის არ შეჰხვედროდა. იგი ეკრძალებოდა ბავშვების შეხვედრას, რომელნიც თავიანთ მშობლების სახლის წინ არხეინად კოჭაობდნენ; ასევე უფრთხოდა ქალებს, რომელთაც მხარზე კოკები შეედგათ და მხიარულ სახით წყალს ავსებდნენ. მისი აზრით, ყველა ეს მაცდურ მახეს შეადგენდა განდეგილისთვის. თვით საღმრთო წერილში მოთხრობილი ამბავი, რომ ღვთიური მოძღვარი ხშირად ქალაქებში დადიოდა და თავის მოწაფეებთან ერთად სადილობდა, მას აღელვებდა, რაღაცა საშიშრებად წარმოედგინა იგი. ყველა ის სიკეთე და სათნოება, რომელსაც უდაბნოს მწირნი ქარის ძაფებზე აბამდნენ, იმდენად უნდილად და სუბუქად ეჩვენებოდა, რომ ერთი სულის შებერვა ჰკმაროდა მათს გასანიავებლად. ამიტომ უფრთხოდა პაფნუტი ქალაქს, ხალხის დანახვაზე გული არ ამიჩუყდეს და განზრახვა არ შემაშლევინონო.

ასე მიდიოდა იგი უდაბური გზებით. საღამ-საღამოობით, ცელქ ნიავ-ქარის ალერსით შეშრიალებულ თამარინდის დანა-

ხვაზე იგი თრთოლავდა და სწრაფად კუნკულის კალთას თვალებზე იფარავდა, რომ ქვეყნიერების სიტურფით არ მოხიბლულიყო. ექვსი დღის მოგზაურობის შემდეგ იგი შევიდა ერთს ადგილს, რომელსაც სილსილეს უწოდებდნენ. მდინარე აქ ვიწრო ღელეში დიოდა და გარშემორტყმული იყო სალკლდოვანი ნაპირებით. ეს ის ადგილი იყო, სადაც ეგვიპტელები თავიანთ კერპებს გამოჰკვეთდნენ ხოლმე, როდესაც ეშმაკებს თაყვანსა სცემდნენ. პაფნუტიმ აქ კვლავ იხილა სფინქსის უშველებელი თავი, რომელიც კლდეს ჯერ კიდევ არ მორღვეოდა. იმისი შიშით, იქნებ ეს რაიმე ეშმაკეულის ძალით იყოს მოჩვენებულიო, პაფნუტიმ პირჯვარი გადაისახა და თან ხმა-მაღლა წარმოსთქვა ქრისტეს სახელი. მართლაც, მხეცის ყურიდან უეცრივ უშველებელი ღამურა გამოფრინდა. პაფნუტიმ ისე გაიგო, რომ განდევნა ბოროტი სული, რომელიც საუკუნოებით ამ მხეცის სახეში იმალებოდა. ამან კიდევ უფრო მეტად გაახალისა და გაუცხოველა ბოროტ სულთა დათრგუნვის სურვილი. იგი დასწვდა ქვას და კერას პირდაპირ სახეში ესროლა. მაშინ სფინქსის საიდუმლო სახემ ისეთი მწუხარე კვნესა ამოუშვა, რომ თვით პაფნუტიც კი აღელდა, შებრალების სახე მიიღო. მართლაც, ამ კერპის ზე-ადამიანურ მწუხარების გამომეტყველებას თვით უსულ-გულო ადამიანის გატეხაც-კი შეეძლო. აი, ამიტომ იყო, რომ პაფნუტიმ მიჰმართა სფინქსსა:

— ჰოი ნადირო უცნაურო, მზგავსო სატირთა და კენტავრებისა, რომელნიც იხილა უდაბნოში მამა ანტონმა, აღიარე მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ღვთაებრიობა და მე გაკურთხებ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

მან უპასუხა: ვარდისფერი ნათელი გამობრწყინდა სფინქსის თვალებიდან; პირუტყვის მძიმე გუგანი ათრთოლდა, ხოლო სალმა ტუჩებმა, თითქოს ადამიანის ხმის გამოძახილიაო, ძლივს წარმოსთქვა იესოს წმინდა სახელი. პაფნუტი მიხვდა ყოვლისფერსა, აღაპყრო მარჯვენა ხელი და აკურთხა სილისელი სფინქსი.

რაკი ღა მორჩა ამ საქმესა, მან კვლავ განაგრძო თავისი გზა. ღელე თანდათან იშლებოდა, ასე რომ ეხლა იგი აშკარად ჰხედავდა უდიდეს ქალაქის ნანგრევებს. გადარჩენილ ტაძრებს კერპები აკავებდნენ, რომლებიც სვეტებათ ჰქონდათ

შედგმული. ასევე მოსჩანდნენ შიშველ ქალების ძროხის რქიანი თავები, პაფნუტის სამარის ფერმა გადაჰკრა. ასე იარა ჩვიდმეტი დღე, საზრდოდ ველის ბალახსა სჭამდა, ხოლო ღამეს სასახლის ნანგრევებში ათევდა კატუნიებთან და ღამურებთან. ხშირად ამ ცხოველებს მიჰმატებიან მოჩვენების მსგავსი ქალები, რომელთაც ტანის ნახევარი შხამიან გველის კუდს წარმოადგენდა. მაგრამ პაფნუტიმ კარგად იცოღა, რომ ეს ქალები ჯოჯოხეთიდან იყვნენ მოვლენილნი და პირჯვრის სასწაულით იშორებდა სწრაფად.

მეთვრამეტე დღეს ქალაქის გარედ მან ჰპოვა ერთი ქოხი, რომელიც ბზის ფოთლებისგან საცოდავად მოეხუხულავებინათ. უდაბნოდან მოქროლილი ქარი უწყალოდ აყრიდა ქვიშასა და მტვერს. პაფნუტი მიუახლოვდა იმ იმედით, რომ უეჭველად ვინმე სათნოიანი მეუდაბნოე იქნებაო. მაგრამ რაკი-ღა ქოხს შესავალი არსაიდანა ჰქონდა, ერთი ჭუჭუტანიდან შეიხედა და შეჰნიშნა ერთი სურა, ნივრის რამდენიმე კბილი და ერთიც ხმელი ფოთლების საწოლი.

— აი, სთქვა მან თავისთვის, ეს არის განდეგილის ავლა-დიდება, ჩვეულებრივ ესენი თავიანთ ბინას არ შორდებიან. უეჭველია, მალე მოვლენ, ან აქ სადმე მალე შევხვდებით. მეც მივესალმები და მშვიდობიანობის ამბორსა ვყობ, როგორადაც მამა ანტონი სამჯერ ეამბორა ჩემს მსახურს პავლეს. ჩვენ ვისაუბრებთ სამარადისო საგნებზე. იქნებ უფალმა ინებოს და მოგვიგზავნოს ყორანი თვისი პურითურთ, რომელსაც მოყვასი ჩემი გამინაწილებს.

ამ ფიქრებში იყო პაფნუტი და თან ქოხს გარშემო უვლიდა. მართლაც, ორიოდე ნაბიჯი არ გადაეედგა, რომ ნილოსის კვარცხლბეკზე შეჰნიშნა გულ-ხელ დაკრებილი მოხუცი. იგი მთლად შიშველი იყო, თმა და წვერი სულ გასთეთრებოდა, ხოლო დამწვარი სხეულის კანი ისე გასწითლებოდა, როგორც ქურაში გავარვარებული აგური. რაღა თქმა უნდა, პაფნუტის ოდნავი ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ეს მეუდაბნოე იყო. ამიტომ იგი სწორედ ისეთი სახით მიესალმა, როგორც ჩვეულებრივ შეჰხვდებიან ხოლმე ბერ-მონაზონნი ერთურთის დანახვის დროს.

მშვიდობა შენდა, ძმაო ჩემო! იგემე ნიავ-ქარობის სიტკბოება სასუფეველისა და მისი წარმტაცი სამოთხისა!

— მაგრამ მეუდაბნოეს არაფერი უპასუხნია. იგი უძრა-

ვად იდგა, თითქოს არაფერი ეყურებოდა. პაფნუტიმ გაიფიქრა, ვითომც ეს დუმილი გამოწვეულია სარწმუნოებრივი აღტაცებით, რომელსაც ასე რიგად სჩვევიან განდეგილნი. ახლა თვითონაც მუხლი მოიყარა, გულ-ხელი დაიკრიბა და მზის ჩასვლამდე ამ უცნობის გვერდით თავ-აუღებლივ ლოცულობდა. მაგრამ რაკი-ღა შეჰნიშნა, რომ მისი თანამგზავრი კვლავ უძრავად იყო, ფრთხილად იბრუნა პირი მისკენ და ძმური კილოთი მიჰმართა:

— მამაო ჩემო, თუ რომ გამოხველ იმ აღტაცებიდან, რომელშიაც იყავ ჩანთქმული, მოიღე წყალობა და კურთხევა ხახელითა უფლისათა ჩვენისა იესო ქრისტესითა.

მეორემაც ხმა ამოიღო, თუმცა მისკენ არ მიუხედნია:

— უცხოთ მოსულო, არ ვიცი რის თქმა გინდა, არც თუ ვიცნობ მაგ შენს იესო ქრისტეს.

— როგორ! — შესძახა პაფნუტიმ, — წინასწარმეტყველნი მის შესახებ ღაღადსა-ჰყოფდნენ, ათასი წამებული აღიარებდა მას, თვით კეისარიც კი თაყვანსასცემდა მას, მეც ამის სახელი ვადიდებინე სილსილელს სფინქსს, ნუ თუ შესაძლებელია, რომ მის სახელი აქნობამდინ არა გსმენოდეს?

— მოყვასო ჩემო, — უპასუხებს ახლა მეორე, — ეს შესაძლებელია, ჭეშმარიტად, შესაძლებელია, თუ კი რომ სადმე ჭეშმარიტება შეიძლება იპოვოს კაცმა.

პაფნუტი განცვიფრდა და თან დაღონდა, რომ მეუდაბნოე ასეთ დაუჯერებელ სირეგვნეს იჩენდა.

— თუ რომ არ იცნობ იესოსა, — უთხრა მან, — მაშინ მოღვაწეობა შენი არაფრადა ჰღირს და არც თუ რამეს მოიგებ სამარადისო ცხოვრებისათვის.

მოხუცმა მიუგო:

— ამაო არის მოქმედებაც და მარხულობაც, როგორც ამაოა და არაფრის მაქნისი სიკვდილ-სიცოცხლე.

— როგორ! — ჰკითხა ახლა პაფნუტიმ, — ნუ თუ სამარადისო ცხოვრება არა გსურს? ვინ ხარ? სით მოხველ? ნუ თუ ამ უდაბნოში იმიტომ არ გადმოიხვეწე, რომ ანაქორიტებსავით სამარადისო ცხოვრება ეძიო?

— თითქოს რომ მაგრეა.

— ნუ თუ შიშველი არა ხარ და ყოველივე სიკეთეს მოკლებული?

— თითქოს რომ მაგრეა.

— ნუ თუ ფესვებით არ იკვებები და არ ინახავ გულის სიწმიდეს, სათნოებას?

-- თითქოს რომ მაგრეა.

— ნუ თუ უარ არ-ჰყავი ამა ქვეყნის ამაოება?

— მე მართლაც უარვყავ ყოველისფერი უსარგებლო, რისთვისაც ადამიანები თავს იხეთქვენ და მოსვენებას ვერა ჰპოვებენ.

— მაშ შენც ისეთივე ღარიბი ყოფილხარ, როგორც მე, უბიწო, განდეგილი. მაგრამ შენ ყველა ამას ჩემსავით ღვთის სიყვარულით არ აკეთებ, არც თუ ეძიებ ციურ ბედნიერებისა და ნეტარების დამკვიდრებას! ეს კი ვერას გზით ვერ გამიგია. რატომ ხარ სათნო, თუ კი იესო არ გეწამება? რატომ მოაკლდი ამა ქვეყნის სიამ-ტკბილობას, რად დასთმე იგი, თუ კი სამაგიეროს არ ელოდი?

--- უცხოთ მოსულო, ტყუილად გგონია, ვითომც რაიმე კეთილს მოველოდებოდი. პირიქით, ვამაყობ, რომ ასეთ დამაკმაყოფილებელ ცხოვრებას შევუდექი. ერთით კი ამ ქვეყნად არა არის რა არც ავი და არც თუ რამ კარგი, არა არის რა საქებური, ან დასაძრახი, მართალი თუ უმართლო, საამო თუ შესაწუხარი, ბოროტი თუ კეთილი. მხოლოდ ჩვენი აზრი ჰქმნის ყველა ამ ღირებულებას და თვითეულ საგანს აძლევს თითქოს შესაფერს, მაგრამ თავისებურ თვისებას, როგორც მარილი სხვა გემოს აძლევს ამა თუ იმ საჭმელს.

— მაშ, შენი სიტყვით, ნამდვილი არა ყოფილა რა. შენ უარსა ჰყოფ იმ ჭეშმარიტებას, რასაც თვით კერპთმსახურნიც კი დაეძებდნენ. და აი, შენც შენს უმეცრებაში ისე წვები, როგორც ქანც-გაწყვეტილი ქოფაკი წუმპე-ტალახში.

— უცხოელო, ამაო არის თვით შეურაცყოფის მიყენებაც, ძაღლი იქმნება იქ, თუ ფილოსოფოსი — ეს სულ ერთია. ჩვენ თვითონ არ ვუწყით, რას წარმოადგენენ ძაღლები, ან თვით ჩვენ რანი ვართ. ჩვენ არაფერი არა ვიცით-რა.

— ჰოი მოხუცო, ნუ თუ შენც მასხარა სკეპტიკთა ჯგუფს ეკუთვნი? ნუ თუ შენც ამ საბრალო გიჟებში ურევიხარ, რომელნიც უარსა ჰყოფენ მოძრაობას თუ უძრაობას და არ უწყიან გაარჩიონ მზის სინათლე ღამის შავ-ბნელი წყვდიადისაგან?

— მოყვასო ჩემო, მართლაც, მე სკეპტიკი ვარ და იმ

ჯგუფს ვეკუთვნი, რომელიც ქების ღირსად მიმაჩნია, მაშინ როდესაც შენ სასაცილოდ აგიგდია იგი. და ეს იმიტომ, რომ ერთი და იგივე ნივთები სხვა და სხვა სახით გვეჩვენებიან. მემფისის პირამიდნი ცისკრად ვარდისფერ კონუსად გვეჩვენებიან, ხოლო მზის დასვლის დროს ალგზნებულ ცის იერზე შავ სამკუთხედად გვეხატებიან ხოლმე. მაგრამ ვის შეუძლიან მის შინაგან არსებას შთახვდეს? მისაყვედურებ, ვითომც ხილულს უარვყოფ, მაშინ როდესაც, სახელდობრ, ეს გარეგნული სახე მიმაჩნია ერთად ერთ სინამდვილედ. მზე მეჩვენება როგორც მაშუქებული მნათობი, მაგრამ ბუნება მისი დახურულია, მას არ ვიცნობ, ვერც თუ ჩავწვდები. ვგრძნობ, ცეცხლი სწვავს, მაგრამ არ ვიცი, რად და რისთვის? მოყვასო ჩემო, ცუდად გესმის ჩემი ნათქვამი. თუმცა ესეც სულ ერთია, მიგვიხვდებიან თუ არა, შეისმენენ ჩვენსას თუ კვლავ ყრუებად დარჩებიან.

— მაშ რაღად სცხოვრობ უდაბნოში, რად იკვებები ფინიკითა და მწარე ხახვით? რად ითმენ ესდენ გაწამებას, მაშვრალ სიცოცხლეს? მართალია, მეც შენსავით ვიტანჯვი, ვმარხულობ და მარტოობით ვიკლავ თავს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ვასიამოვნო უფალი და დავიმკვიდრო სამარადისო ნეტარება. ეს კი გონიერი მოსაზრებაა, ვინაიდან ტანჯვის დათმენა სიბრძნე არის, თუ კი დიდებული სიკეთე გვექმნება სახეში. პირიქით, უგუნურებაა ნებსით უსარგებლოდ ვიშრომოთ და ტყუილ-უბრალოდ ვიტანჯოთ. თუ რომ არ მწამდეს,— ჰოი დაუსაბამო ნათელო ნათლისაო, მიხსენ ამგვარი შეგინებისგან,— თუ რომ არ მწამდეს ის ქეშმარიტება, რასაც რომ ღმერთი გვასწავლიდა წინასწარმეტყველთა პირით, თავის საყვარელი ძის მაგალითით, მოციქულთა მოღვაწეობით, წმიდათა კრებულებით ანუ მოწამეთა დამოწმებით, თუ რომ შენსავით არ ვიცოდე, რა არის წმინდა საიდუმლო სერობა ეხლავე დავუბრუნდებოდი ქვეყნიურ ცხოვრების სიტკბოებას და ვეცდებოდი სიმდიდრე შემეძინა, რათა მეცხოვრა ფუფუნებით; როგორც ამა ქვეყნის მრავალი ბედნიერი და ნეტარებით დამთვრალი გადავძახებდი მონადიმეთ: „მოვედით ჩემთან, ქალწულნო, მოვედით, თქვენც ჩემო მსახურნო, მოდით აქ ყველა, დამისხით ღვინო, თქვენი საყვარელი სასმელებით, თქვენი სურნელოვანებით ამივსეთ ლტოლვილების თასი“. მაგრამ შენ, უგუნურო მოხუცო, ნებსით აკლდები ცხოვრების ამ გვარ

უპირატესობას, ჰკარგავ მას და სამაგიეროს არას ელი; იცი, რომ ალარ დაგიბრუნდება, მაგრამ ქონებას აბნევ მარჯვნივ და მარცხნივ, სრულიად უაზროდ ჰბაძავ ჩემს თანამოძმე განდეგილთა საოცარს მოღვაწეობას, როგორც საბრალო მაიმუნი, რომელიც თეთრი კედლის თხუპენას მოჰყვება და ჰფიქრობს, ვითომც ნიჭიერ მხატვარს ჰბაძავს. ჰოი უუგუნრესო კაცთა შორის, რამ გაიძულა, რა მიზეზით იელტე სოფლიდან.

პაფნუტი ასეთი გატაცებით ეკამათებოდა მოხუცს, თუმცა ეს უკანასკნელი სულ მშვიდად იყო და აუღელვებლივ უსმენდა.

— მოყვასო ჩემო, — უპასუხა მან წყნარად, — რა გესაქმება ლაფში მწოლარე ძაღლის აზრებთან, ანუ საბრალო მაიმუნთან?

პაფნუტის სახეში მუდამ ღვთის დიდება ჰქონდა. მისი რისხვა დასცხრა და კეთილშობილურ სახით მოიბოდიშა:

— მაპატიე მოხუცო, უთხრა მან, — მაპატიე, თუ რომ ჩემმა ჭეშმარიტებისადმი მისწრაფებამ კეთილგონიერების საზღვრები გადამალახვინა. ღმერთია მოწამე, რომ მე შენში შევიძულე შენი შეცდომა და არა შენი პიროვნება. ვიტანჯვი, როცა აგრე წყვდიადში მყოფსა გჭვრეტ, იმიტომ რომ ქრისტეს სახელით მიყვარხარ. შენი სულის ხსნა ჩემს სულის ზრუნვად გარდაიქცა. მითხარი, ამიხსენ, რამ გაიძულა? ხომ მხედავ, მოუთმენლობით ვიწვი, სთქვი და მე განვაქარწყლებ შენს შეცდომას.

მოხუცმა მშვიდად უპასუხა:

— ჩემთვის სულ ერთია ვილაპარაკებ თუ დავსდუმდები. ამიტომ აგიხსნი მიზეზებს, თუ რამ მაიძულა ასეთი ცხოვრება დამეწყო. მაგრამ სამაგიეროს არას გკითხავ, ვინაიდან შენ სრულებითაც არ მეინტერესები, — ვინ ხარ და საიდან, ან სად მიხვალ. აგრედვე ნაკლებ მესაქმება, თუ რავდენად კეთილმოქმედი ხარ, სათნოიანი, ბედნიერი თუ უბედური. არც თუ ის მიმაჩნია რამედ, შენც ჩემსავით ჰფიქრობ თუ სხვაფრივა. ან და ვით შემიძლიან შენი სიყვარული ან სიძულვილი? ზიზღი და თანაგრძნობა არ ეკადრება ბრძენს. მაგრამ რაკი-ღა მკითხე, გეტყვი, უწყოდე: ტიმოკლესს მიძახიან. დავიბადე კოსში. მშობლები მდიდარი ვაჭრები იყვნენ. მამა სავაჭრო ხომალდებს სტვირთავდა. მისი გონება ბევრად წააგავდა ალექსანდრესას, რომელსაც დიდი უწოდეს. ოღონდ ამისი გონე-

ბა ცოტა მოუხეშავი იყო. ერთი სიტყვით, იგი არარა ადამიანი იყო. მე მყავდა ორი ძმა, რომელნიც მამასავით ხომალდებს სტვირთავდნენ. მე კი ბრძენთა გზა ავირჩიე. მამამ ჩემს უფროს ძმას შერთო კარიანელი ქალი, სახელად ტიმაესა, რომლისადმიც იგი იმოდენა ზიზღსა ჰგრძნობდა, რომ მასთან ცხოვრება ვეღარ შესძლო, სიცოცხლე მოეწამლა. სამაგიეროდ ტიმაესამ ჩვენს უნცროს ძმას სიყვარული შთაუნერგა, რომელიც მალე უგნურებამდე ააღგზნო მასში, ააელვარა, თუმცა თავისთავად მას ორივენი ერთგვარად სძულდა. მაგრამ მას უყვარდა ერთი მესალამურე, რომელსაც ღამ-ღამობით იღებდა ხოლმე. ერთ დილით მას დაავიწყდა თავისი გვირგვინი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ დღესასწაულების დროს ატარებდა. ჩემმა ძმებმა როცა ეს გვირგვინი ნახეს, დაიფიცეს, რომ მესალამურე დაეღუპათ. მართლაც, მეორე დღეს დაიჭირეს და უწყალოდ სული ამოაძრეს შოლტისა და წკეპლების ცემით, ასე რომ მის ვედრებისთვის ოდნავი ყურადღება არ მიუქცევიათ. ჩემმა რძალმა მწუხარებისგან გონება დაჰარგა და ეს სამი უბედური ღრიალ-ვაგლახით დაძრწოდნენ კოსოს ნაპირებზე, ადამიანის სახე შეეშალათ, მგლებსავით ღმუილს შეეჩვივნენ და დორბლ-მორეულნი ერთთავად მიწას ჩაჰბღუოდნენ. ბავშვები კი სიცილ-ხარხარით დასდევდნენ ან ქვების ქოლვით არ ასვენებდნენ. მალე იმათ ტანჯვასაც მოეღო ბოლო: დაიხოცნენ. მამამ სამნივე საკუთარი ხელით დამარხა. მაგრამ მალე ახალი უბედურება დაგვატყდა. მამას კუჭი მოეშალა, ვეღარავითარ საჭმელს ვერ იღებდა, ასე რომ ბოლოს შიმშილით გარდაიცვალა, თუმცა იმოდენა ქონება დარჩა, რომ საჭმელად შეეძლო მთელი აზიის ხილეულობა ესყიდნა და საფილად მოეტანა. იგი სიკვდილის პირს სასოწარკვეთილებამ მოიცვა, რომ სიმდიდრე ოხრად ურჩებოდა. მალე მთელი სამკვიდროებელი გავყიდე და მოგზაურობაში მიმოვფანტე. ვიყავი იტალიაში, საბერძნეთში და აფრიკაში, მაგრამ არავის შევხვდი ისეთს, ვინც რომ ბრძენი ყოფილიყო და იმავე დროს ბედნიერი. შევუდექ ფილოსოფიის შესწავლას ათინაში და ალექსანდრიაში. ერთგანაც და მეორეთგანაც კამათის ხმაურობისგან სულ ერთიანად გამოვყრუვდი. ბოლოს ინდოეთში ამოვყავ თავი. ერთხელ მდ. განგას ნაპირზე შევნიშნე გულხელ დაკრებილი კაცი, რომელიც მთელს ოცდა ათ წლის განმავლობაში თურმე უძრავად იყო. ჩირქი გადმოდიოდა მის

გამხმარ ძვალ-რბილიდან, ხოლო გაბურძგნულ თმებში ფრინ-ველებს დაედოთ თვის ბინა. მიუხედავად ამისა, ის მაინც სცო-ცხლობდა. მის დანახვაზე გამახსენდა ტიმაესი, მესალამურე, ჩემი დალუპული ორი ძმა და მივხვდი, რომ ეს კაცი ბრძენი იყო. ადამიანები,—ვსთქვი მაშინ,—იმიტომ იტანჯებიან, რომ სწორედ ის აკლიათ, რასაც სიკეთეთ სთვლიან-მეთქი, ან და იმიტომ, რომ როდესაც ხელში აქვთ იგი, მისი დაკარგვისა ეშინიანთ, ან და კიდევ იმიტომ, რომ იმას ითმენენ, რაც რომ ბოროტებათ მიაჩნიათ-მეთქი. მოსპეთ ყველა ამგვარი ცნება და ყოველგვარი უბედურება თავისთავადვე გაჰქრება. აი მას შემ-დეგ გარდავწყვიტე აღარაფერი არ ჩამეთვალა უპირატესობად, მეღიარებინა ამა ქვეყნის სიამეთა უარისყოფა და მეცხოვრა განდეგილობით, როგორც განდეგილად და უძრავად სცხოვ-რობდა ის ინდოელი.

პაფნუტიმ ყურადღებით მოისმინა მოხუცის მოთხრობა.

— ტიმოკლე კოსელო,—უპასუხა ბან, უნდა გამოვტყ-დე, რომ შენი სიტყვები არაა სულ მთლად უაზრო. ჭეშმა-რიტად, უნდა შევიძულოთ ამა ქვეყნის სიტკბოებანი. მაგრამ უგუნურება იქმნებოდა, თუ ასევე შევიძულებდით სამარადისო სათნოებას და მით განვარისხებდით ღმერთსა ჩვენსა. ვიგლოვ, ძმაო ტიმოკლე, შენს უმეცრებას. აი, ეხლავე გაუწყებ შენ ჭეშმარიტებას, რათა იცოდე, რომ არის ღმერთი სამი პირო-ვანი, რომელსაც უნდა მორჩილეყო, როგორადაც შვილი თვის მამას.

მაგრამ ტიმოკლესმა შეაჩერა.

— შესდექ, უცხოელო, ნუ გადმომიშლი შენს მოძღვრე-ბას და ნურც იფიქრებ, ვითომც გამაზიარებინო შენი გრძნო-ბა. ამაო არის ეგ კამათი. ჩემი აზრი ის არის, რომ არავითა-რი აზრი არ მქონდეს. მე ვსცხოვრობ შფოთვის გარეშე, რადგან ცხოვრებაში უმჯობესს არას დავეძებ. გასწი შენის გზით და ნულარ სცდილობ განმარიდო იმ ნეტარ უშფოთველობას, რო-მელშიაც აწ ვიმყოფები, ვითარცა შვების მომგვრელ ნელ-თბილ აუზში, რათა მაშვრალი საღსრები დავიმშვიდო.

პაფნუტი ფრიად განვითარებული კაცი იყო და იცოდა ადამიანის გულის-პასუხის გაგება. იგი ადვილად მიხვდა, რომ წყალობა ღვთისა ჯერ არ გარდმოვლენილიყო მოხუც ტი-მოკლეს თავზე, და რომ მისი ცხონების დღე არ დამდგარი-ყო, რის გამოც იგი თავ-შეუკავებლად მიექანებოდა დალუპვის

გზაზე. მას აღარაფერი არ უპასუხნია, ვაი თუ რჩევა ცდუნებად გარდაიქმნეს და რწმენა შეჰბღალოსო. ხშირად ურწმუნოებთან კამათის დროს მოკამათენი ახალი ცოდვებისკენ მიგვიყვანენ ხოლმე, ვიდრე ცხონებისკენ. ამიტომ, ვინც შესდგომია ჭეშმარიტებას, იგი ფრთხილად უნდა იქცეოდეს თვისი საუნჯის გაცემის დროს.

— მაშ მშვიდობით იყავ, უბედურო ტიმოკლეს, —უთხრა მან და რა ამოიოხრა, კვლავ გზას გაუდგა.

დილა ადრიან წყლის ნაპირზე მან თვალი მოჰკრა ყარიჯს. იგი ცალ ფეხზე იდგა, ხოლო წყლის სარკიდან საამურად გამოჰკრთოდა მისი მკრთალი ვარდის ფერი გრძელი კისერი. მის მოშორებით მაღლობ კვარცხლბეკზე ძეწნარი საამოდ აშრიალებდა ნაცრის-ფერ ფოთლებს. წეროები სამ კუთხედად მოფრინავდნენ ლაჟვარდ ცის უბეში, ხოლო იელნარში უჩინარ აკიურების ხმა გაისმოდა. მდინარე უსაზღვრო სივრცეზე მოაქანებდა მომწვანო მჩქეფარე ტალღებს, სადაც ხომალდთა აფრანი გედის ფრთებსავით მიმოჰფრენდნენ. აქა-იქ ნაპირებზე წყალში გამოკრთოდა პატარა-პატარა სახლების ანარეკლი, ხოლო სუმბუქი ბურუსი ოდნავ გაშლილიყო სერის გასწვრივ. სიღრმეში, პატარა კუნძულები აღყვავებულ ხილნარით მოფენილიყო, ხოლო ისლით მობურულ ნაპირებზე გუნდ-გუნდათ მიმოჰფრინავდნენ ვარეული იხვები და წყლის ქათმები. მარცხნივ მსუქანი ყამირი ღელე გაშლილიყო. მის ფერდობებზე ბალღებს და ყანებს საამური ღალანი გაჰქონდათ. მზე უხვად ჰგზავნიდა სხივებს, ოქროს ფერად ავარაყებდა თავთავებს, ხოლო დედამიწის ნაყოფიერი ძალა სურნელოვანების მტვრად იფანტებოდა მიდამოში..

ამ სანახაობით დამთვრალი პაფნუტი დაემხო მუხლებზე და ღაღად-ჰყო:

— კურთხეულ იყავ უფალო, ვინც წარმიმართე მგზავრობა ჩემი! შენ, ღმერთო ჩემო, ვინც ასე უხვად მიმოაბნიე ყვავილებზე თუ არსინოიდის ლეღვის ნაყოფზე შენი ცხოველმყოფელი ცვარ-ნამი, გარდმოავლინე წყალობა შენი იმ თაისზედაც, რომელიც არა ნაკლები სიყვარულით შეჰქმენი, ვიდრე ეს ველის ყვავილები თუ ხილნარი ამ ედემისა! დაე, ჩენი ცდილობით და ლოცვა-კურთხევით ისე აჰყვავდეს იგი, ვითარცა სურნელოვანი ვარდის ბუჩქი შენი ციური იერუსალიმისა!

და ყოველთვის, როდესაც თვალს მოჰკრავდა რომელიმე აღყვავებულ ხეს, ანუ ფრთა-ნაცქვეტ ტურფა ფრინველს, იგი ჰფიქრობდა მხოლოდ თაისზე და თაისზე. ამნაირად, იგი გაჰყვა მდინარის მარცხენა ტოტს, გადაიარა ნაყოფიერი და ფრიად დასახლებული ღელე და მალე მიაღწია ალექსანდრიას, რომელსაც ბერძნებმა უწოდეს კეკლუცი და ოქროსფეროვანი. უკვე დღე იყო, როდესაც მან ბორევიდან გადაჰხედა ამ უშველებელ ქალაქს, სადაც სახლის სახურავები განთიადის ვარდისფერ ნისლში გახვეულიყო. შეჩერდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს გადაჰყურებდა მას გულ-ხელ-დაკრებილი.

— აი,—სთქვა მან თავისთვის,—ეს მომხიბვლელი აკვანი, სადაც ცოდვილი დავერწიე შობის პირველ დღეს, აი ის მწველი ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავდი მოშხამულ სურნელოვანებას, ის ენებისა და ხორციელ სიტკბოების ზღვა, საიდანაც მაცდურ სირინოზთა საგალობელი მომესმოდა! აჰა ეს ჩემი დამასამარებელი აკვანი, აჰა ჩემ ერისკაცობის დიადი სამშობლო! ეჰა, აკვანი, გამოკვალთული ამ თვალ-წარმტაც ყვავილებითა, სამშობლო ჩემი სახელოვანი და უკვდავი, როგორც ჰფიქრობენ მომაკვდავნი! რაღა თქმა უნდა, შენთა შვილთა, ჰოი ალექსანდრია, უნდა უყვარდე სულითა და გულით, როგორც მშობელი დედა! მეც შენს დიადს უბეში დავიბადე, მაგრამ წარვიდა, წარიშალა ყოველი გრძნობა, ვინაიდან ასკეტს სძულს ბუნება, მისტიკოსი გარეგნობის კერპს ამსხვრევს, ქრისტიანი მიწიერ სამშობლოს უყურებს ვითარცა დევნის სარბიელს, ხოლო ბერი კი უარსა-ჰყოფს მთელს დედამიწას. გული ჩემი დიდიხანია შენი სიყვარულით მომეშხამა, ჰოი ალექსანდრია! მძულხარ! მძულხარ შენი სიმდიდრის გამო! მძულხარ იმიტომ, რომ შენ ეგრე კეკლუცი ხარ, სინარნარის ტკბილი სავანე, მეცნიერების ჩირაღდანი! იყავ წყეული, ტაძარო შეჩვენებულთა! იყავ წყეული წარმართთა ბიწიერო სარეცელო, არიანთა დახშობილო კათედრავ! შენც, ჰოი ფრთოსანო ზეცისშვილო, რომელიც ხელმძღვანელობდი უდაბნოში წმინდა ანტონსა, ანუ ჩვენს მამებს, შენ, ვინც ჩირაღდნად მოევლინე მას, როდესაც იგი უდაბნოდან პირველად მოვიდა ამ ბიწიერებისა და მაცდურების ციხე-დარბაზში რათა აღმიარებელთა სარწმუნოება ექადაგნა და განემტკიცებინა მოწამეთა თაყვანისცემა; შენ, მშვენიერო ღვთის ანგელოზო, უხილავო ყრმავ, პირველო სუნთქვავ ღვთაებისავ, მომეველინე მეც და

შენს სპეტაკ ფრთათა რხევით განსწმინდე ეს მოშხამული ჰაერი, რომელიც ეხლა უნდა ვისუნთქო ბილწ-მთავართა შორის მისვლის დროსა!

ეს სთქვა და კვლავ გზას გაუდგა. მზის კარით შევიდა შიგ ქალაქში. ეს კარი ქვიტკირისა იყო და ამაყად სდარაჯობდა ქალაქში შესავალ გზას. აქვე, მის ბჭეთა ჩრდილ ქვეშ ისხდნენ საცოდავი ღარიბ-ღატაკნი და გამვლელ-გამომვლელთ სულ მცირედ ფასში სთავაზობდნენ ფორთოხალს, ან ლეღვს, ან და პირდაპირ მათხოვრობდნენ.

ერთმა დაძონძილმა დედაბერმა აქ გამოვლისას ძაძის კალთა დაუპირა პაფნუტის და თრთოლვით სთხოვა:

— ღვთის კაცო, მოიღე კურთხევა ჩემზედა, რათა უფალმა მაკურთხოს მეც. მე ცოდვილი ვარ, ბევრი ვიტანჯე ამ ქვეყნადა და მსურს, საიქიოს მაინცა ვცხონდე. შენ ღვთისაგან ხარ მოვლენილი, ამიტომ თვით შენი ნატერფალიც კი ყოველ ოქროზე ძვირადა ღირს.

— დიდება მაღალ ღმერთს,—სთქვა პაფნუტიმ.

შემდეგ აღაპყრო ხელი, პირჯვარი გადისახა და დალოცა დედაბერი, რათა მადლი უფლისა გარდმოეღლინა მის თავზედა.

მაგრამ ათიოდე ნაბიჯიც არ გაევლო ქუჩაში, რომ ბავშვები შემოეხვივნენ, დაუწყეს დაცინვა და ქვების სროლა.

— ოჰო-ჰო! შეხედეთ ამ ბერს, ამ მაიმუნა ბერს, თხასავით წვერი რომ დაუშვია! წელ-მოწყვეტილი მუქთა-ხორა! რატომ სადმე ბაღში არ ჩამოალრჩობენ, რომ ჩიტების საფრთხობლად მაინც ივარგოს? მაგრამ არა, რა საჭიროა ბაღში, მაშინვე ქარბუქი იქექებდა და მშვენიერ ყვავილებსა და ხეხილს სულ ერთიანად დასეტყვავდა. ეგ უბედურობის წინამორბედია! სიკვდილი მაგას! სახრჩობელა! სახრჩობელა!

და ამ ყვირილზე ქვები წუწუნით მოჰქროდნენ.

— უფალო, უფალო,—იძახოდა პაფნუტი,—აკურთხე ეს საცოდავი ბალღები!

და რა განაგრძო გზა, კვალად მიეცა მძიმე ფიქრებს:

— ეს დედაბერი პატივსა მცემს, ბავშვები კი აბუჩად მიგდებენ, დამცინიან. ასევე ხდება ყველას თავზე. მართალი არის, ერთი და იგივე საგანი სხვა და სხვა გვარად ფასობს ხალხის თვალში. მაგრამ ხალხი ხომ ბრმაა, არა მტკიცე თვის მსჯელობაში, ხშირად მაცდურ გზას მიჰყვება და თვით არ

ესმის, საით მიდის. უნდა გამოვტყდე, რომ წარმართთათვის ეს მოხუცი ტიმოკლესი მართლა ჭკვიანი კაცი არის. იგი ბრმა არის და იცის კიდეც, რომ სინათლეს ვერ დაინახავს. აი რაოდენად აღემატება იგი კერპთმსახურთ, რომელნიც წყვდიადის წიაღიდან გამოჭკივიან: ჩვენ ნათელსა ვეკრეტთ! ყოველისფერი ამ ქვეყნად მოტყუებაა, მაცდურება და ისეთივე დაუდგრომელი, როგორც რომ ქვიშა. მხოლოდ ერთია შეურყეველი—ღმერთი, მეუფე ჩვენი!

ამასობაში მან სწრაფად გაიარა ქალაქი. ათი წლის უნახავობის შემდეგაც იგი თავისუფლად სცნობდა თვითეულ კენჭსაც კი, რომელიც მას სიყრმის ცოდვებს გაახსენებდა. ამიტომ თვითეული ნაბიჯის გადადგმაზე მჭრელ ქვებს შიშველა ფეხს მაგრადა სცხებდა და უხაროდა, როდესაც ჰხედავდა, რომ მის ქუსლიდან გადმოდენილი სისხლით იბეჭდებოდა ფილაქანით ნაგები ქუჩა. ქალაქის მარცხენა მხარეს მან თითქმის უყურადღებოდ დასტოვა სერაპისის ტაძარის კარი და გაეშურა ახალ გზაზე, რომელიც გასდევდა სურნელოვანებაში ჩანთქმულ მდიდართა სასახლეებს. ხეივნის რიგში თქვენ ნახავდით ლეღეს, ფიქვის ხეებს, აქა-იქ ცაცხვებს. ნახევრად ღია ჭიშკრის კარში მოსჩანდნენ ბრინჯაოს სტატუები, ხოლო მარმარილოს კედელში გამოკვეთილი ქანდაკებანი. პატარა ბაღჩები მოფენილი იყო აუზებით. არარა არღვევდა ამ ტურფა გამარტოებულ სახლების მყუდრონბას. მხოლოდ შორს საიდღანაც მოისმოდა სალამურის ხმა. ჩვენი მოგზაური შეჩერდა ერთ პატარა, მაგრამ მეტის-მეტად კოხტა სახლთან, რომლის სვეტები მოქარგული იყო ახალგაზდა ქალების ქანდაკებით. აქა-იქ ჰშვენოდა ძველ საბერძნეთის ფილოსოფოსთა ბრინჯაოს ბიუსტები.

აქ მან იცნო პლატონი, სოკრატე, არისტოტელი, ეპიკური და ზენონი. შემდეგ კარები ფრთხილად მიაკაკუნა. ვიდრე შიგნიდან უპასუხებდნენ იგი მიეცა თავის ფიქრებს:

— ეჰა, რა ამაოდ ადიდებს ეს ბრინჯაოს ლითონი ამ ცრუ ბრძენთ, რომელთა ცრუ მოძღვრება უკვე დაითრგუნა; მათი სული ეხლა ჯოჯოხეთშია წარგზავნილი, თვით ეს დიდებული პლატონიც კი, ვინც მთელი მსოფლი აავსო თავის წარმტაცი მჭერმეტყველობით, ეხლა მარტოოდენ ეშმაკებს ეკამათება.

ამასობაში მონა მსახური გამოვიდა და, რა დაინახა მო-

ზაიკით მორთულ ზღრუბელზე ფეხ-შიშველა კაცი, უდიერად შემოუტია:

— აქედან გაეთრიე მასხარა მათხოვარა ბერო, სხვაგან ეძიე მოწყალება. ნუღარ აყოვნებ, თორემ ეხლავ ჯოხით გაგაგდებ.

— ძმაო ჩემო, მე არასა გთხოვ გარდა იმისას, რომ შენს ბატონთან შემიყვანო, ნიკიასთან,—მორჩილად უპასუხა ანტინოეს წინამძღვარმა.

მაგრამ მონა უფრო განრისხდა:

— ჩემი ბატონი შენისთანა ძაღლებს არ იღებს.

— შვილო ჩემო,—შენიშნა პაფნუტიმ,—რასაც გეუბნები, გამიგონე, მოახსენე შენს ბატონს, რომ მისი ნახვა მსურს.

— აქედან გაეთრიე!—შესძახა ცოფ-მორეულმა მეკარემ. თანაც ჯოხს ხელი წამოავლო და პირდაპირ თავზე დაუქნია. წმიდან კაცს, რომელსაც გულ-ხელი დაეკრიბა და ელოდდა დარტყმას. მსახურის მიერ შეურაცხყოფა უდრტვინველად აიტანა, კარიდან მაინც არ დაძრულა და კვლავ წყნარად მიჰმართა მონას:

— შვილო ჩემო, წარვედ, უთხარი შენს ბატონსა, რაც გითხარი.

მაშინ შეჩერდა მეკარე, აჰხედ-დაჰხედა დაუპატიჟებელ სტუმარს და კანკალით ჩაილულლუღა:

— ეს რა კაცია, რომ ტკივილებისაც არ ეშინიან?

შემდეგ სწრაფად შეევიდა შიგნით, რომ ბატონისთვის ყოველისფერი მოეხსენებინა.

ნიკიასი ის ის იყო აუზიდან ამოდიოდა. ტურფა ბანოვანნი ნარნარი პირსახოცებით უწმენდნენ ტანს. ეს იყო მეტად მიმზიდველი და მომღიმარი ადამიანი. სახე მისი მუდამ მშვიდს ირონიას ხატავდა. ბერის დანახვაზე მან წამოიწია და პირდაპირ მისკენ გამოსწია გადასახვევად.

— ეს შენა ხარ, პაფნუტი,—შესძახა აღტაცებით,—ჩემო ძმაო, ჩემო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო! ოჰ, მე შენ კვალად გცნობ, თუმცა მართალი რომ ვსთქვა, უფრო ნადირს დამზგავსებიხარ, ვიდრე ადამიანს. მაკოცე შენცა, გახსოვს მე და შენ ერთად რომ ვსწავლობდით გრამატიკას, რიტორიკას და ფილოსოფიას? ჯერ კიდევ მაშინ ყველა ყურადღებას აქცევდა შენს ნაღვლიან, დაფიქრებულ სახეს და უცნაურ საქციელს, ყველას გაურბოდი, არავის არ ეკარებოდი.

მიუხედავად ამისა, მაინც მიყვარდი. მაშინ აძხანაგობა იმ აზრისა ვიყავით, თომ შენ ცხოვრებას დამფრთხალი ცხენის თვალებით უყურებდი. ამიტომ საკვირველი არ არის, თუ ასე გვერიდებაო. ოტა გემოვნება ვერა გქონდა ხეირიანი, თორემ სხვაფრივ უნაკლულო იყავ, თითქოს ყველასა გვჯობდი. შენ არც ფული, არც სიცოცხლე დაგიშურებია ვისთვისმე. შენში რაღაც უცნაურ გენიოსობის ცეცხლს დაესადგურებინა, უცნაური და გამოურკვეველი იყო თვით შენი სულიც, რომელიც ასე რიგად მაინტერესებდა ხოლმე. კეთილი იყოს შენი მოსვლა; ჩემო საყვარელო პაფნუტი. ათი წლის უნახაობის შემდეგ კარგი ჰქენი, რომ მომიგონე. უდაბნო მიგიტოვებია, სჩანს, ქრისტიანთა ცრუ მორწმუნოებისთვის დაგიხწევია თავი და გსურს ძველს ცხოვრებასთან შერიგება. ეს დღე თეთრი კენჭით უნდა აღვნიშნო. კრობილე და მირტიდე, დაუმატა მან, მიუბრუნდა რა იქ მდგომ მხევლებს, —მოდით და დაჰბანეთ ფეხი ჩემს მსახურსა, ზეთით დაჰზილეთ ყოველი სახსარი, დაჰბანეთ ეს გაბურძგნული თმა და წვერიც...

მხევლები წამოდგნენ და უკვე ღიმილით შეუდგნენ მოვალეობის შესრულებას; ერთს სარკე მოჰქონდა, მეორეს კეთილ სურნელოვანება და სხვა, მაგრამ პაფნუტიმ შეაყენა ხელის აწევით, თანაც თვალები დაჰხარა ძირს, რათა ამ ქალების სამარცხვინო სიშიშვლე არ დაენახა. ამასობაში კი ნიკიას თვისი ხელით მოჰქონდა ბალიში და მრავალი საჭმელ-სასმელი, რომელთა მიღებაზე უარი უთხრა პაფნუტიმ.

— ნიკიას, —უთხრა მან, - მე უარ არ მიყვია, რაც რომ შენ ტყუილად ქრისტიანთა ცრუ მორწმუნოებად ჩასთვალე და რაც ნამდვილად არის ჭეშმარიტებათა უაღრესი ჭეშმარიტება. პირველითგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღმერთისათანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი. ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა. მისთანა ცხოვრება იყო, და ცხოვრება იგი იყო ნათელ კაცთა.

— ძვირფასო პაფნუტი, —უპასუხა ნიკიასმა, რომელმაც უკვე მოასწრო სურნელოვანებით დაცვარულ ტუნიკის ჩაცმა, —ნუ თუ ჰფიქრობ გამანცვიფრო სიტყვათა კრებულის რახარუხით, რომელიც ცარიელა ხმის მეტს არას გასცემს! ან იქნებ ჰფიქრობ დამაკმაყოფილო რამდენიმე ნაწყვეტით, რომე-

ლიც ამოგიკრებია რეგვენთა ნალაპარაკებიდან, ვინმე ამელიუსის ძოწეულის კალთიდან, მაშინ როდესაც არც ამელიუსი, პორფირე თუ ღვთაებრივი პლატონი აღარ მაკმაყოფილებენ. ბრძენთა მიერ შეუმუშავებული სისტემები მხოლოდ ზღაპრებად მიმაჩნია, რომლებიც იმიტომ გამოუგონიათ, რომ ადამიანთა სამარადისო ბავშვობა გაართონ. და მართლაც, მათი მოთხრობით ისევე უნდა გაერთოს ადამიანი, როგორც მილეთელთა არაკებით ვირზე, წყლის საზიდ კასრზე, ეფესელ მატრონაზე თუ ათას სხვა რამეზე.

ამ სიტყვებზე მან ხელი მოჰკიდა სტუმარს და მეორე დარბაზში გაიყვანა, სადაც ათასგვარად შეხვეული პაპირუსებით სავსე კალათები იდგა.

— აი ჩემი წიგნთსაცავი, – უთხრა მან,—აქ მხოლოდ ის უმცირედესი ნაწილია იმ სისტემისა, რაც რომ ბრიყვ ფილოსოფოსებს მოუციათ ქვეყნიერების ასახსნელად. თვით სერაპეუმის ტაძარიც კი, მიუხედავად თავისი სიმდიდრისა, ყოველისფერს არ შეიცავს. აჰა შეჰხედე ამას, ყველა ეს მხოლოდ ავადმყოფ ხალხის ოცნებაა!

მან თავისი სტუმარი სპილოს ძვლის სავარძელში ჩასვა და თვითონაც გვერდით მოუჯდა. პაფნუტიმ თვალი გადაავლო წიგნებს და ნაღვლიანათ შეჰნიშნა:

— სჯობს, რომ მთლად დასწვა!

— ოჰ, ძვირფასო სტუმარო, ეს მეტად სამწუხარო იქნება!—უპასუხა ნიკიასმა,—ვინაიდან ხშირად ავადმყოფთა ოცნებაც ადამიანთა გამრთობია. ესეც არ იყოს, მართლა რომ შეეძლოთ და მოესპოთ ადამიანთა ყველა ოცნებანი და მოჩვენებანი, მაშინ თვით მიწაც დაჰკარგავდა თავის სახის მშვენიერებას და ჩვენ უნდა ჩაგვძინებოდა სამარადისო ნაღველით ჩადრ მოსხმულ სირეგვენეში.

პაფნუტი სიტყვა-სიტყვით ჰკრებდა მის აზრს.

— რაღა თქმა უნდა, წარმართთა მოძღვრებანი სიცრუისა და სიბნელის მეტს არას წარმოადგენდნენ. მაგრამ თვით ღმერთი, რომელიც იგივე ქეშმარიტებაა, ხალხს გამოეცხადა სასწაულებში. მან ხორცი შეისხა და ჩვენს შორის სცხოვრობდა კიდეც.

ნიკიასი უპასუხებდა:

— მშვენივრად ამბობ, ჩემო პაფნუტი, როდესაც მეუბ-

ნები, ხორცი შეისხაო. ღმერთი, რომელიც ჰფიქრობს, მოქმედობს, ლაპარაკობს და მიწაზე ისე დასეირნობს, როგორც ულისი ლაჟვარდ ზღვის ტალღებზე, ასეთი ღმერთი, ქეშმარიტად, ხორციელია, როგორც კაცი. ვითარ ირწმუნებ ამ ახალს ოპიტერს, როდესაც პერიკლესის დროს ბავშვები მას ქვებს ესროდნენ, როგორც დაძველებულს და უვარგის რამეს? მაგრამ თავი დავანებოთ ამას. უეჭველია შენ აქ მოხველ არა იმიტომ, რომ კამათი გავმართოთ ღვთის სამპიროვნების შესახებ. რით შემიძლიან საყვარელო მეგობარო, რომ დაგეხმარო?

— ეხლავე გეტყვი,—უპასუხა ანტინოეს წინამძღვარმა,— მეტად და მეტად კეთილი სურვილი მაქვს. მათხოვე გეთაყვა ეგ შენი ძვირფასი წამოსასხამი. ამის გარდა, მომეცი ძვირფასივე ფეხსაცმელი, ერთი ფიალა სურნელოვნების ზეთი, რათა თმასა და წვერზე ვისხურო. ასევე საჭიროა ჩემთვის შენი ქისა და ათასიოდე დრახმი. აი, ნიკიას, რისთვის მოველი აქ, რა უნდა გთხოვო ღვთის სახელით და ჩვენი უწინდელი მეგობრობის გახსენებით.

ნიკიასმა უბრძანა კრობილესს და მირტულესს უძვირფასესი ტუნიკი მიერთმიათ მისთვის. ეს იყო აზიურ გემოვნებაზე შეკერილი წამოსასხამი, რომელიც ყვავილებისა და ცხოველების მხატვრობით იყო აჭრელებული. ორთავე მხევალს ეჭირათ იგი და ხელოვნურად ჰშლიდნენ საუცხოოდ მომღელვარე ტუნიკის კალთებს, რათა ამასობაში პაფნუტის ტანიდან მოეშორებინათ ძაძა, რომელიც ფეხებამდე დასთრევდა. მაგრამ რაკი ღა მან უარი ჰყო, ტყავს უფრო ადვილად გამაძრობთ ვიდრე ამ ძაძასაო, მხევლებმაც აიღეს და ძაძის ზემოდან წამოასხეს ეს სამოსელი. რაკი ღა ქალები თავიანთ სიტურფეს ჭგრძნობდნენ, მამაკაცისა აღარ ეშინოდათ, თუმცა მხევლები იყვნენ. ამიტომ გულიანად დაიწყეს ხარხარი, როდესაც ასე მორთული ბერი დაინახეს. როდესაც კროპილემ სარკე მიაწოდა, ლაზღანდარობით აღარ მოუსვენა და თავის საყვარელი რაინდი დაუძახა, ხოლო მირტილე წამ და უწუმ წვერში ხელს ავლებდა და იცინოდა. მარამ პაფნუტი ლოცულობდა და მათ ვერ ჰხედავდა. როდესაც ფეხთაც შეიმოსა და სარტყელზე ქისა დაიკიდა, იგი მიუბრუნდა ნიკიასს, რომელიც მომცინარი თვალებით შეჰყურებდა:

— ჰოი ნიკიას! დაე, რასაც შენ ჰხედავ, ნუ შეაცდენენ

შენს თვალებსა! უწყოდე, მეგობარო, რომ ამ სამოსით და ამ ქისით მეტად კეთილ საქმესა ვიქმ.

— ჩემო ძვირფასო, — უპასუხა თავის მხრით ნიკიასმა, — ოდნავი ეჭვიც არ შემაქეს შენში, ვინაიდან ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ადამიანებს ერთგვარად არ ძალუძთ არც სიკეთისა და არც თუ ბოროტის გაკეთება. კეთილი და ბოროტი მხოლოდ ჩვენს წარმოდგენაშია. ბრძენს არავითარი მამოქმედებელი მიზეზი არა აქვს რა, გარდა ერთი ჩვეულებისა. მე იმ ზნეჩვეულებას ვეთვისები, რომელიც გამეფებულია ალექსანდრიაში. ამიტომაც ვითვლები რიგიან კაცად. წადი, მეგობარო, წადი და როგორც გსურს, ისე გაიხარე.

მაგრამ პაფნუტიმ საჭიროდ ჩასთვალა, რომ მისთვის თავისი განზრახვა გაეზიარებინა.

შენ იცნობ იმ თაისს, რომელიც თეატრში თამაშობს ხოლმე?

— ის ეხლაც ისევ მშვენიერია, — უპასუხა ნიკიასმა, — იყო დრო, როცა ის ჩემთვის ძვირად ჰღირდა. მის გულისთვის გავყიდე ერთი წისქვილი, დამუშავებული ყანები და მის საქებრად შევთხზე სამი წიგნი უწმაწური ელეგიებისა. მართლაც, მშვენიერება, - სიტურფე ეს ყველაზე უძლიერესი რამ არის ქვეყნიერებაზე. ჩვენ რომ შეგვძლებოდა მისი სამარადისოდ დაკუთვნება, მაშინ ნაკლებად ვიზრუნებდითო პირვანდელ შემოქმედ ძალის მიგნებაზე, ლოგოსზე, ეონებზე და ათას ფილოსოფიურ ბოდვაზე, მაგრამ მაკვირვებს, ჩემო კეთილო პაფნუტი, თებაიდის უდაბნოთ მოხველ და აქ თაისზე მელაპარაკები.

ეს რომ სთქვა, წყნარად ამოიოხრა. ხოლო პაფნუტი შეძრწუნებული შეჰყურებდა მას და არ ესმოდა, თუ როგორ შეეძლებოდა ადამიანს ასე თავისუფლად და აუღელვებლივ თავის ცოდვებზე ლაპარაკი. ეგი ელოდა, აი ეს არის, ეხლა მიწა გაირღვევა და ნიკიასი ჯოჯოხეთის ალში გაეხვევაო, მაგრამ ნიადაგი სდუმდა, არ შერყეულა და მდუმარე ალექსანდრიელიც შუბლზე ხელ მიდებული ნაღვლიანად უღიმოდა თვის სიყრმის სურათებს. ამასობაში პაფნუტი წამოდგა და სერიოზული კილოთი შეჰნიშნა მას:

— იცოდე, ჰოი, ნიკიას, რომ შეწევნითა ღვთისათა მიწიერ ბიწიერებას ხელიდან გამოვსტაცებ თაისს და გავხდი იე-

სოს უმანკო სძლად. თუ სული წმინდა არ დამტოვებს, თაისი დღესვე განშორდება ამ ქალაქს და მონასტერში შევა.

— გეშინოდეს ვენერას წყენისა, — უპასუხა ნიკიასმა, — ეს უძლიერესი ღმერთ-ქალია. იგი განრისხდება შენზედა თუ რომ გამოსტაცებ ერთს უმშვენიერეს თაყვანისმცემელთაგანს.

— უფალი დამიფარავს, — უპასუხა პაფნუტიმ, გილხინოს შენცა, ძმაო ჩემო, გაანათლოს გული შენი და ამოგტყორცნოს იმ უფსკრულიდან, სადაც მიჰგორავ შენივე ნებით.

და გამოვიდა. მაგრამ ნიკიასი გამოედევნა. ზედ კარის ზღურბელზე მოეწია, შეაჩერა, მხარზე ხელი დაადო და ყურში ერთხელ კიდევ გაუმეორა:

— გეშინოდეს ვენერას განრისხებისა: საზარელია მისი შურისძიების ისარი!

პაფნუტის ყურადღება არ მიუქცევია ამ ქარაფშუტა სიტყვებისთვის და ისე გამოვიდა, რომ უკან აღარც კი მოუხედნია. ნიკიას სიტყვებმა მხოლოდ ზიზღი მოჰგვარეს. მაგრამ იმ აზრს კი ვეღარ შეჰრიგებოდა, რომ მის ძველს მეგობარს თაისის ალერსით უსარგებლნია. ეგონა ამ ქალთან შეცოდება ყველა ცოდვაზე ცოდვაა და უსაზიზღრესი, ვიდრე ათას სხვა ქალთანაო. ამაში იგი ჰხედავდა რაღაცა განსაკუთრებულ სიბოროტეს, რის გამოც ამიერიდან მისთვის ნიკიასი უსაზიზღრეს ადამიანად გარდაიქმნა. მას ყოველთვის სძულდა გარყვნილება, მაგრამ ამ ბიწიერების სურათები ასეთი საზიზღარი სახით არასოდეს არ წარმოედგინა; არასოდეს ამ ზომამდე მას არ გაუზიარებია იესოს რისხვა და ანგელოზთა მწუხარება.

ამისათვის იგი ეხლა უფრო მეტად ესწრაფებოდა თაისის განთავისუფლებას წარმართთა ხელიდან. სცდილობდა, რაც შეიძლება მალე ენახა და დროზე ეშველნა მისთვის. მიუხედავად ამისა, მას მაინც უნდა მოეცადნა, ვიდრე სიცხე-პაპანაქება არ გადივლიდა და აი, განთიადს ჯერ კიდევ ფრთა არ გაეკრა ტატნობისთვის, რომ იგი უკვე გაეგმართა იმ ქუჩით, სადაც ხალხის მოძრაობას ადამიანი ფეხსაც ვერ აუქცევდა. მან მტკიცედ გადასწყვიტა არასგზით არ დაერღვია მარხულობა, რათა უფრო ნაკლებ ღირსი ყოფილიყო იმ წყალობისა, რასაც იგი შესთხოვდა ღმერთს. თავისდა სამწუხაროდ, მან ვერ გაჰბედა რომელიმე საყდარში შესვლა, რადგანაც იცოდა, რომ

ყველგან საკურთხეველი არიანთა მიერ წამებული იყო. მართლაც ეს ჰერეტიკოსები, აქაოდა აღმოსავლეთის იმპერატორმა მხარი დაგვიჭირაო, იქნობამდინ მივიდნენ, რომ პატრიარქი ათანასე საპატრიარქო ტახტიდან გადმოაგდეს, ასე შერცხვენილი განდევნეს იგი და თანაც მთელ ალექსანდრიელ ქრისტიანეთა შორის ერთი აურ-ზაური დააყენეს.

ასე მიდიოდა იგი, ალალბედზე ხან აქეთ გაუხვევდა და ხან იქით, ხან თვალებს ძირს დაჰხრიდა, ხან კიდევ ზე ააპყრობდა, თითქოს საღმრთო ექსტაზს მისცემიაო. პატარა ხნის ხეტიალის შემდგომ მან თავი ამოჰყო ქალაქის ნავთსადგურთან. ეს ხელოვნური სანაოსნო იტევდა მრავალ ხომალდს. შორს კიდევ, ზედ ტატნობზე, ზღვა ლაჟვარდის ფერად ციაგობდა და ვერცხლის ელვარებით მზაკვრული ღიმილით ჰხიბლავდა თვალს. ერთი მესაჭეთაგანი ის იყო ხომალდის ცხვირთან ჩაეშვა და ღუზა აუშვა ზღვის უბიდან. მენავენი სიმღერით მიაპობდნენ ზვირთებს. ზღვათა-ზღვის კეკლუცი ასული ნერეიდე აცოცდა აფრას ქვეშ. გულ-მკერდი და გედის კისერი მარგალიტის ყელსაბამით მოეკარგნა, პირმომღიმარი ჰაერს ხარბად ეწაფებოდა და პაფნუტის მოცხიბვლელი სახით უშლიდა თავის ნარნარ ქანდაკის მშვენიერებას, რომელიც თანდათანობით ჰშორდებოდა ზღვის ნაპირებსა. მალე მისმა ხომალდმა გადასჭრა ევნოსტოს უბე და გაშლილ ზღვაში გავიდა მას უკან მხოლოდ გაჭრილი ტალღების ზოლები რჩებოდნენ, რომელნიც ნაზი ციმციმის ელვარებით კვალად ერთვოდენ მშობლის პირსა.

ერთხელ მეც ასეთი სიმღერით მივქროდი ამ ცხოვრების ზღვაზე, გაიფიქრა პაფნუტიმ, მაგრამ მალე შევიგნე ჩემი უგუნურება და ნერაიდებს ვეღარ შეეძლოთ ჩემი მოხიბვლა-გატაცება.

ამგვარ ფიქრებში ჩაეძინა ნავის საჭესთან ზედ თოკების ხროვაზე. ძილში მან იხილა მოჩვენება. თითქოს რაღაცა დამაყრუებელი საყვირის ხმა მოესმა, ცამ შეიმოსა ძოწეული. პაფნუტი მიხვდა, ეს უკანასკნელი დღე არისო. ვიდრე ის მხურვალედ ევედრებოდა ღმერთს, მის გვერდით გამოირბინა ერთმა უშველებელმა ცხოველმა, რომელსაც შუბლზე ნათლის ჯვარი დაჰკრთოდა. ამ ცხოველში მან იცნო სილსილეს სფინქსი. უეცრივ იგი შემოტრიალდა, დასტაცა მას კბილები, თუმ-

ცა არავითარი ენება არ მიუყენებია, და ისე აიტაცა, როგორც დედა-კატა თავის კნუტებს ატარებს ხოლმე. პაფნუტიმ სწრაფად შემოიარა მრავლიდან მრავალი სამეფო გადასჭრა ზღვანი, მდინარენი, მაღალნი მთანი, ვიდრე არ მიახწია ერთს უდაბნოს, რომელიც გახურებული ქვიშით და ცხელი ნაცრით იყო დაფარული. ნიადაგი მრავალ ადგილას დამსქდარიყო და სულის შემხუთველ სუნთქვით ახშობდა იქაურობას. ცხოველმა სწორედ აქ დაასვენა იგი, დიდის სიფრთხილით დასდვა და მნიშვნელოვან ხმით უბრძანა:

— აბა შეხედე!

პაფნუტი გადაიხარა უფსკრულის პირისკენ, საშინელების სურათი წარმოუდგა თვალწინ. ცეცხლის მდინარე ღვართქაფად ასკდებოდა ორპირ შავ სალკდის გაყოლებით. იქ, იმ წყვდიადით მოცულს სინათლეში, ეშმაკნი სულებს აწვალებდნენ. სულებს თავიანთ ნამდვილი სახე შერჩენოდათ, თვით ტანისამოსის ნაფხრეწებიც კი, რომელსაც ამ ქვეყნად ოდესღაც ატარებდენ. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ეს სულნი მაინც მშვიდად გრძნობდნენ თავს, თითქოს სრულიად არაფერი ჰხდება მათს გარშემოო. ერთი მათგანი, თითქოს ყველაზე უფროსი, თავშეხვეული, თეთრი, თვალებ მოხუჭული და კვერთხით ხელში რაღასაც მღეროდა შეუწყვეტლივ; მისი ხმა ჰარმონიით ავსებდა ამ მწირ ნაპირებს; ბოლოს ხმა თითქოს გაირკვა. პაფნუტი მიხვდა, რომ იგი აქებდა ძველს ღმერთებსა და ძველს გმირებსა. მიწის პაწაწკუნტელა ეშმაკებმა გახურებული შანთები გაურჭვეს ტუჩებში და შთლად ამოსწვეს ხახა. მაგრამ ჰომიროსის აჩრდილი მაინც სიმღერას განაგრძობდა. იქვე მახლობლად მოხუცი ანაქსაგორე ქვიშაზე ფარგლით რაღასაც ჰხაზავდა. ბელზებული მას ყურში ადუღებულ ერბოს ასხამდა, მაგრამ ამ ბრძენის აზრებისთვის მაინც ხელი ვერ შეეშალნა. ამის გარდა ანტინოეს წინამძღვარმა კიდევ მრავალი იხილა, რომელნიც გულდამშვიდებით კითხულობდნენ, ან და რაღაც საგულისხმიერო საგნებზე ჰფიქრობდნენ წარბ შეკმუხვნით ამ ცეცხლის მდინარის ნაპირებზე, ან და სეირნით საუბრობდნენ, როგორც მასწავლებელნი და მოწაფენი. ტიმოკლესი მარტოდ გამდგარიყო და თავისთვის აქნევდა თავს, როგორც ყოვლისფრის უარმყოფელი და დამცინავი ადამიანი. უფსკრულის ანგელოზი მის თვალ წინ ჩირაღდანს იქნევდა, მაგრამ ტი-

მოკლესს არც ანგელოზის დანახვა ჰსურდა და არც თუ მისი მაშხალისა.

ამ მოულოდნელ სანახაობით დამუნჯებული პაფნუტი უეცრივ ცხოველისკენ მოტრიალდა. ის გამქრალიყო. ხოლო მის ადგილას მან შეჰნიშნა ქალი გამქვირვალე ჩადრმოსხმული, რომელმაც უთხრა:

— შეჰხედე და ისმინე: ასეთი არის ამ ურწმუნოთა სიჯიქე, რომ თვით ჯოჯოხეთშიც მსხვერპლნი ჰხდებიან იმ წამწყმენდელ მოჩვენებათა, რომელნიც მიწაზე ყოფნის დროს არ ასვენებდნენ მათ. თვით სიკვდილმაც კი ვერ მოიყვანა ეგენი გონზე, ვინაიდან ცხადია, არა კმარა მარტო ერთი სიკვდილი, რათა ვიხილოთ ჭეშმარიტი ღმერთი. ის, ვინც ურწმუნო დარჩა და ვერ მიჰხვდა ჭეშმარიტებას კაცთა შორის, ვერც თუ მიჰხვდება ვერასოდეს. ვინ არიან ეს ეშმაკები, რომელნიც ასე უწყალოდ სტანჯავენ ამ სულთ, თუ არა ღვთის სიმართლისა და მართლმსაჯულების გამოჩინება? აი რატომ ვერა ჰხედავენ ეს სულნი, რატომ ვერ ჰგრძნობენ ვერაფერსა. რაკი ჭეშმარიტება მათ ვერ შეიმცნეს, ასე უგრძნობლად იმიტომ დარჩნენ, მათ არ ესმით თავიანთ სასჯელი და თვით ღმერთიც უძლური არის, რათა მათ შეასმინოს ამ ტანჯვათა აუტანლობა.

— ღმერთს ყოველისფერი შეუძლიან,—უპასუხა ანტინოეს წინამძღვარმა.

— უგნურად მოქცევა მას არ შეუძლიან, —უპასუხა ჩადრმოსხმულმა ქალმა,—რომ ისინი დასაჯოს, საჭირო იქნებოდა მათი განათლება, და თუ ჭეშმარიტებას დაანახვებდა, რჩეულთა რიცხვში ჩაეწერებოდნენ.

პაფნუტის თან და თან უფრო მოუსვენრობა დაეტყო და შეძრწუნებული სახით ხელახლად გადაჰხედა უფსკრულს. უეცრივ მან თვალი მოჰკრა ნიკიასის ჩრდილს. მას თავი ყვავილების გვირგვინით შეემკო და მისრინის ჩრდილ ქვეშ არხეინად იღიმებოდა. მის მახლობლად ასპაზი მილეტელი კეკლუცად მორთულიყო და ეტყობოდა, რომ ესაუბრებოდა სიყვარულზე და ფილოსოფიაზე, რავდენადაც ეს ასე აშკარად სჩანდა მის ნაზსა და კეთილშობილურ გამომეტყველებიდან. ის ცეცხლის წვიმა, რომელიც მათ თავზე ევლებოდა, თითქოს მაცოცხლებელ და გამაგრილებელ დილის ნამად ევლინებოდათ. ამიტომაც იყო, რომ გაელვარებულ წითლად გაღაჟღაჟებულ

ნიადაგზე ისე თავისუფლად დასეირნობდნენ, როგორც სუმ-ბუქ მოლით მოფენილ კორდზე. ამ სანახაობამ შეაშფოთა პა-ფნუტი.

— გაჰგმირე, გაჰგმირე, უფალო შენი ბასრი მახვილით, გაჰგმირე ეს ნიკიასია! დაე, იგლოვოს! კბილთა ხრჭენით თმები იგლიჯოს! იკვნესოს მწარედ! გოდება მისი არ შეესმას შენს კეთილ ყურსა! ეგ ცოდვილია!.. თაისთან სცოდა!.. თაისთან... თაისთან, ჩემო მეუფეო, თაისთან სცოდა!..

პაფნუტის მეზღვაურის ხელში გამოეღვიძა. ეს იყო ჰერ-კულესსავით უზარმაზარი კაცი, რომელმაც ნაპირზე გადმოი-ყვანა იგი და თან შეჰნიშნა გაჯავრებით.

— წყნარად, წყნარად, მეგობარო! ვფიცავ ცხოველთ მო-ხუც მწყემსის — პროტეს სახელსა, რომ მოუსვენრად გძინავს! თუ არ დამეკავებინე, ევნოსტას ზვირთებში იქნებოდი ეხლა ჩამღჩვალი. რომ მე დავიფარე შენი სიცოცხლე, ეს ისევე მარ-თალი არის, როგორც ის, რომ დედაჩემი მოსილ-თევზსა ჰყიდდა.

— მადლობა ღმერთსა! — სოქვა პაფნუტიმ. და რა წამოდ-გა, გასწია პირდაპირ გზაზე, თან კი მოჩვენების, ანგარიშში იყო.

— უეჭველია, ეს სიზმარი ცუდ რამეს უნდა ნიშნავდეს. იგი აკნინებს ღვთაების დიდებულებას, ვინაიდან ჯოჯოხეთი წარმომიდგინა რეალურ სახეს მოკლებული. რაღა თქმა უნდა, ეს სულ ეშმაკის ბრალი არის, სხვა არაფერი.

ასე ჰფიქრობდა იგი, ვინაიდან მას მშვენივრად ესმოდა, თუ რა იყო ღვთისგან მოვლენილი და რა ეშმაკისაგან. ასე-თი ცოდნის ნიჭი კი ფრიად სასარგებლოა განდეგილისათვის. იგი მუდამ ათას მოჩვენებათა სანახაობით გარემორტყმულია, რა კი ღა ხალხს გამოვექცევით, უნდა ველოდეთ, რომ შევ-ხვდებით სადმე სულებსა. უდაბნონი კი სავსეა მოჩვენებით, სულებით. როდესაც ციცნა ხალხი მიუახლოვდა სასახლის ნან-გრევებს, სადაც ივლტო მეუდაბნოე ანტონი, მათ შეესმათ სწორედ ისეთი ხმა, როგორც ქალაქის მოედანზე გაისმის ხოლ-მე უქმე-დღეობით. თურმე ამას ეშმაკები ყვიროდნენ, რო-მელნიც წმინდან კაცს შემოჰხვეოდნენ საცდელადა.

მაგრამ პაფნუტიმ გაიხსენა ერთი ფრიად საყურადღებო მაგალითი. მას მოაგონდა წმინდა იოანე ეგვიპტელი, რომელ-

საც სამოც წლის განმავლობაში ეშმაკი აცდენდა ათასი მომ-ხიბვლელი სურათების წარმოდგენით. მაგრამ იოანემ სულ ერთიანად შეჰმუსრა ჯოჯოხეთის გრძნეულებანი. მიუხედავად ამისა, ერთხელ ამ წყეულ სულმა მიიღო ადამიანის სახე, შე-ვიდა ღირსეულ მამა იოანეს მღვიმეში და უთხრა მას: „იოანე, შენ განაგრძობ შენს მარხულობას ხვალის მწუხრამდე!“. და იოანემ, რა იფიქრა, ეს ანგელოზის ხმა არისო, დაემორჩილა ეშმაკის ხმას და მეორე დღის დამლევამდე მარხული იყო. ეს ერთად ერთი გამარჯვება იყო ჯოჯოხეთის მთავარისა, რომე-ლიც ხელთ გამოსტაცა წმინდა იოანე ეგვიპტელს, მაგრამ გა-მარჯვება იგი არც თუ ისე დიდი რამ იყო. ამიტომ საკვირ-ველი არ არის, თუ პაფნუტი ხელად დარწმუნდა თავის მოჩ-ვენების სიცრუეში, რომელიც სიზმრად მოევლინა.

პაფნუტი რაოდენადმე ჰგრძნობდა თავს ნაწყენად და წყნარად უსაყვედურებდა ღმერთს, რომ მან უპატრონოთ თა-ვი მიანება მას ეშმაკების ხელში. ხალხი კი ტალღასავით ჰბორ-გავდა, ხან წინ იტაცებდა მას მუჯლუგუნით, ხან უკან. რა კი ღა ქალაქში სიარულს გადაეჩვია, იგი გამველელ-გამომ-ველელს ეჩხირებოდა ფეხში. ამ ტუნიკმა ხომ საქმე გაუქირა. სულ ფეხებს უბორკავდა. ერთხელ კინელამ წაიქცა, რომ სხვებს არ შეეკავებინათ. მაშინ გაჰბედა პაფნუტიმ და ჰკითხა ერთსა, ეს ხალხი ასე თავ-გადაკვრით სად მიეჩქარებაო.

— ნუ თუ არ იცი,—უპასუხებს გამველელი,—დღეს თაი-სი განაახლებს სცენაზე თამაშს. ყველა ეს მოქალაქენი თე-ატრში მიეშურებიან. მეც იქ მივალ. ხომ არ ინებებ ჩემთან ერთად წამოსვლას?

პაფნუტიმ გაიფიქრა, ჩემი განზრახვის შესასრულებლად უკეთეს შემთხვევას ვერ ვიშოვნიო და სიხარულით გაჰყვა ამ კაცსა. აგერ ისინი მივიდნენ თეატრთან. ეს იყო საუცხოვო შენობა, გარშემორტყმული გალავანით, რომელიც მრავალი სტატუებით იყო მორთული. შეჰხვდნენ ხლხს ვიწრო დერე-ფანში, რომლის ბოლოშიც გაჩირაღდნებული ამფიტიატრი მოსჩანდა. აქ მათ წინა რიგში ადგილები დაიკავეს. თვითეუ-ლი რიგი მორკალულ კიბესავით ასდევდა. ყველა ეს ადგილე-ბი ჯერ კიდევ ცალიერები იყვნენ, მორთულობა მათი ხე-ლოვნების უაღრესობას ჰლაღადებდა. სცენაზე ფარდა ახდილი იყო. ივი მოერთოთ ძველებურ გემოვნებაზე, თითქოს ძველი

ბერძნები ემზადებიან თავიანთ გმირთა აჩრდილის პატივის საცემადაო. შუაში ბორცვი იყო ამაღლებული დაბანაკებულ ლაშქრისათვის. კარვების წინ შეკრული შუბები ეყარა, ოქროს ფერი ფარები ჩამოეკიდნათ დაფნის გვირგვინებ ქვეშ. სცენაზე დუმილი ჰმეფობდა. სამაგიეროდ ძირს, ირგვლივ, ისეთივე ზუზუნი გაისმოდა, როგორც ნაყარი ფუტკრისაგან მათ სკის გარშემო. ყველა სცენისკენ იყურებოდა. წითელი ხავერდის ფარდა ირხეოდა ვარდისფერ შუქსა სცემდა მაყურებელთა სახეს, რომელნიც ამ მდებარე, კარვებით მოფენილ სალაშქრო ხომლს. ვერ აშორებდნენ წუთით თვალსა. მანდილოსნები იცინოდნენ, თანაც ფორთოხალს შეექცეოდნენ, ხოლო ჩვეულებრივი მოსიარულენი ერთურთს. ერთი რიგიდან მეორეში ელაპარაკებოდნენ მომავალ სცენის დაწყობაზე.

პაფნუტი გულში ლოკულობდა და ცდილობდა, უქმილაყბობისაგან ეხსნა თავი. მაგრამ მისმა მეზობელმა დაუწყო საუბარი თეატრის საქმის დაცემაზე.

— უწინ, — ეუბნებოდა იგი, — ხელოვანი მსახიობნი სცენიდან გვასმენდნენ ევრიპიდეს და მენანდრეს ლექსს. ეხლა დრამების კითხვა მოიშალეს, სამაგიეროთ სცენების გამოხატვა დაიწყეს მიმიკით, ასე რომ იმ ღვთაებრივი სანახაობიდან, რომლითაც გამოხატავდნენ ბახუსის პატივისცემას ათინაში, ეხლა დარჩა ის, რის გაგებაც შეუძლიან ბარბაროსს, თვით სკვითს: ეს არის პოზა და ჟესტი! ის სატრაგედიო პირბადე, რომლის ღია პირი მორთული იყო ლითონის ხმის სამატით, რითაც ხალხი ღვთავბრიობამდინ მაღლდებოდა, ტრაგიკული დიდებულება და ლექსთა მღერითი წარმოთქმა, — ეჰა, სულ გაჰქრა, ალარ არის, ვეღარსად ნახავ. მსახიობნი და მოცეკვენი ახდილი სახით გვიხატავენ პავლეს, როსციუსს. ნეტავ თუ რას იტყოდნენ პერიკლესის დროის ათინელნი, რომ შეეძლოთ წამოდგომა და იმისი დანახვა, რომ სცენაზე ქალი გამოდის? აბა რა საკადრისია ქალის სცენაზე გამოსვლა! ყველა ეს კი იმისი მომასწავებელია, რომ გადავგვარდით, რახან ეს შესაწყნარებელად მიგვაჩნია. ქალი რომ მამაკაცის მტერია და დედამიწის შეურაცხყოფა ეს იმდენად ჭეშმარიტია, როგორც ის, რომ მე დორიანს მიწოდებენ.

— ბრძნულია შენი განსჯა, — უპასუხა პაფნუტიმ, — ქალი

ერთი უსასტიკესი მტერთაგანია ჩვენი. იგი ხორციელ სიტკბოებას გვაძლევს და ამით არის საშიშარი.

ვფიცავ უკვდავ ღმერთებს, — წარმოსთქვა დორიანმა, — რომ ქალს მამაკაცისთვის სიტკბოება კი არა, ერთი ტანჯვის მეტი არა მოაქვს-რა, მასთან ათასი მწუხარება, შავბნელი ნაღველი და ულმი ზრუნვა! სიყვარული ეს მწველ ტანჯვათა გამოსავალი წერტილია. ყური დამიგდე უცხოელო: ჩემს ყრმობის დროს ვიყავ ტრეზენში, არგოლიდეში. იქვე მინახავს საოცარ სიმაღლის მისრინი, რომლის ფოთლები აუარებელ ეკლებით იყო დაფარული. აი რას ამბობდნენ ტრეზენის მცხოვრებნი ამ მისრინიზე: დედოფალი ფედრე, როდესაც იპოლიტე შეეყვარდა, მთელ დღეობით თურმე ამ ხის ძირს იწვა და განუწყვეტლივ ჰკვნესოდა. ეს ხე ეხლაც არის, იმისი ნახვა შეიძლება. აუტანელ მწუხარების დროს, იგი ხუჭუჭა ნაწნავებიდან იძრობდა წვეტიან ქინძისთავს და იმითი სჩხვლიტავდა ამ ხის სურნელოვან ფოთლებს. ასე დასჩხვლიტა თითქმის თვითეული მისი ფოთოლი. როდესაც თავის სატრფო ყრმა დაჰკარგა, სისხლ-ამმღვრევი სიყვარულით გადარეული, როგორც შენც იცი, ფედრე დაიღუპა, დაიღუპა, მაგრამ მეტად საცოდავი სახით. მან კარი ჩაიკეტა თავის საქორწინო ოთახში. ოქროს სარტყელი ჩამოაბა სპილოს ძვლის ხარიხაზე და ისე დაიხრჩო თავი. ღმერთებმა ინებეს, რათა მის საცოდავ ტანჯვათა მოწმე მისრიმს შემდეგშიც ფოთლები დაჩხვლეტილი გამოსვლოდა ხოლმე. ერთხელ ამ ხეზე მოვწყვიტე ერთი ფოთოლი, შინ მოვიტანე და ჩემ საწოლის თავთან დავდე, რათა მუდამ გამახსენოს და გამაფრთხილოს ამ გვარ მახეში არ გავება და შევითვისო ღვთაებრივი მოძღვრება ეპიკურისა, რომ ვეკრძალო და შიში ვიქონიო ჯარბ გრძნობა-სურვილებისა. მაგრამ ერთით კი სიყვარული ღვიძლის ავადმყოფობაა და შეუძლებელია დარწმუნებული იყო, თითქოს არასდროს არ გაგაციებს.

პაფნუტიმ ჰკითხა:

— დორიან, რა ჰქვიან შენს სიამის მომცემ საგანსა?

დორიანმა ნაღვლიანად უპასუხა:

— მე მხოლოდ ერთი რამ მახარებს და მაკმაყოფილებს, რომ ეს სიამე არ არის დიდი. ეს არის ჩემი ფიქრში წასვლა. მოშლილი კუჭით უკეთესის ძებნა სულ ტყუილია.

ამ უკანასკნელი სიტყვებით ისარგებლა პაფნუტიმ და გაი-

ფიქრა, ეპიკურის მოწაფე მოექცია და იმ საღმრთო ნეტარებაში ემყოფებინა, რომელსაც ღვთის განჭვრეტა აძლევს მორწმუნეს.

— ისმინე ჭეშმარიტება, დორიან,—და განათლიდი!

როდესაც ეს სიტყვები წარმოსთქვა, მან შეჰნიშნა, რომ ყველამ პირი მისკენა მოიღო და ხელით ანიშნებდნენ, გაჩუნდიო. მართლაც, თეატრში ღრმა დუმილმა დაისადგურა, რომელიც დაარღვია სცენაზე გამხდარმა საგმირო მუსიკის ხმამ.

თამაში დაიწყეს. ჯარისკაცები კარვებიდან გამოვიდნენ და განემზადნენ წასასვლელად. ამ დროს რაღაცა საზარელი სასწაული მოხდა: ღრუბელმა მოიცვა ბორცვი, რომელსაც სასაფლაოს დანიშნულება ჰქონდა. შემდეგ, როდესაც ღრუბელი გაიფანტა, გამოჩნდა აქილესის ჩრდილი, რომელსაც ოქროსფერი იარაღი აესხა. მან ხელი გააპყრო მხედრობისკენ, თითქოს ასე ეუბნებაო: „როგორ, თქვენ უკვე მიხვალთ დანიის შვილნო, უკვე ბრუნდებით სამშობლოში, რომელსაც მე ვეღარასოდეს ვერ ვიხილავ? ნუ თუ დასტოვებთ ჩემს საფლავსა და ერთ მსხვერპლსაც არ მაღირსებთ შემოსაწირად?“ ბერძენთა მთავარი მხედრობა უკვე შექუჩდა ბორცვის ძირთან. აკანაესი, თეზეს შვილი, მოხუცი ნესტორი, თავ შეხვეული სკვიპტრისანი აგამენონი წყნარად უმზერდნენ ამ სასწაულს. აქილესის ახალგაზრდა შვილი პირიუსი მტვერში განერთხო. ულისი, რომელსაც მუზარადის ქვეშ გადმოშლილ ხუჭუჭა თმაზე იცნობდით, ყველას ანიშნებდა, გმირის აჩრდილის თანახმა ვარო. იგი ეკამათებოდა აგამენონს. მათი სიტყვები ასე შეგვეძლო გამოგვეცნო:

— აქილესი,— ამბობდა ითაკის მეფე,—ღირსია ჩვენი პატივისცემისა, ვინაიდან ღირსეული სიკვდილით თავი დასდო ჰელლადისათვის. იგი ითხოვს, რომ პრიამის ასული, ქალწული პოლიქსენი, დაიკლას მის საფლავზე. დანაელებო, დააკმაყოფილეთ გმირის მტვერი, დაე, პელეის ძემ განიხაროს ჰადეს წიაღში!

ამაზე მეფემ უპასუხა:

შევიბრალოთ ტროიანელი ქალები, რომელნიც საკურთხეველთა გაოტაცეთ. ისედაც დიდია უბედურება პრიამის შთამომავლობისთვის.

ის ასე იმიტომ ამბობდა, რომ პოლიქსენის დის სარე-

ცელს იზიარებდა. ბრძენი ულისი მიხვდა ამას და მოურიდებლად შეარცხვინა იგი, რომ კასანდრის საწოლი აქილეს შუბს ამჯობინეო.

ყველა ბერძნებმა მოიწონეს ასეთი მხილება. ერთხმად მორთეს ყიჟინა და იარაღის ჟღერა. პოლიქსენეს სიკვდილი გარდაწყვეტილი იქმნა და აქილესის დაკმაყოფილებული აჩრდილიც მყისვე გაჰქრა. ამას მუსიკაც თავის კვალობაზე მიჰყვებოდა. იგი ხან მრისხანე იყო, ხან კი მკვნესარე. მნახველთა შორის გაისმა მოწონების ერთსულოვანი ტაში.

პაფნუტი, რომელიც ყოველისფერს ღვთისა და ქეშმარიტების სახელით ზომავდა, უყურებდა და ოდნავ გასაგონარი ხმით ჩურჩულებდა:

— აი ამ იგავიდანა სჩანს, რაოდენად მკაცრნი ყოფილან ცრუ ღმერთთა თაყვანისმცემელნი.

— ყველა სარწმუნოებანი ჰშობენ დანაშაულებას, — უპასუხა მას ეპიკურის მოწაფემ. საბედნიეროდ, ერთმა ღვთაებრივმა ბრძენმა გაანთავისუფლა ხალხი იმ უბრალო შიშისგან, რომელსაც იგი განიცდიდა გამოურკვეველ მოჩვენების წინაშე.

ამასობაში ჰეკუბა, გაშლილი ქაღარა ნაწნავებით, შუაზე გადაფხრეწილ სამოსელით, კარვიდან გამოიქრა, სადაც იგი ჩამწყვდეული იყო. ირგვლივ ღრმა ოხვრამ დაარღვია თეატრში გამეფებული დუმილი. ეს იყო სრული უბედურების განსახიერება. ჰეკუბას წინასწარ სიზმარში ენახა მომავალი უბედურება. ამიტომ ასე სასოწარკვეთილებით იგლოვდა იგი თავის ასულს და თავის თავსა. ულისი უკვე მის ახლოს იყო და პოლიქსენს მოითხოვდა. მოხუცი დედა ქაღარა თმებს იგლეჯდა, ლოყებს ფრჩხილებით იგაზავდა, ხან კიდევ ხელზე ჰკოცნიდა ამ მკაცრ ადამიანს, რომელიც უწყალოდ შეჰყურებდა და სრულის სიმშვიდით თითქოს ეუბნებოდა უბედურ მშობელს:

— კეთილგონიერება იქონიე, ჰეკუბა, აუცილებლობას უნდა დაემორჩილო. განა ჩვენს სახლებში არ გვყვანან თმა გაწეწილი დედები, რომელნიც იგლოვენ სამარადისო ძილით განსვენებულ თავიანთ ბავშვებს იდას ცაცხვნარის ჩრდილოვანში.

თვით კასანდრამაც კი, ოდესღაც აღყვავებულ აზიის დედოფალმა, ხოლო მუხთალ ბედის მიერ დღეს უბრალო მხევ-

ლად გამხდარმა, ვეღარ მოითმინა და სასოწარკვეთილებით თავზე ნაცარი წაიყარა.

მაგრამ აი ასწიეს კარვის წინ ჩამოშვებული ფარდა და გამოჩნდა ჰეკუბას საბრალო ასული პოლიქსენე. ყველანი აღელდნენ. მასში თაისი იცნეს. პაფუნტიმ კვლავ დაინახა იგი, ვისთვისაც აქ მოვიდა. თეთრ ქანდაკა ხელით თავზედ ეჭირა კარვის მძიმე კალთა. უძრავი იგი თვალწინ გიდგენდათ კეკლუც ქანდაკს. წყნარად მიმოავლო იის ფერი თვალები დარბაზს. ეს იყო ერთგვარი იდუმალი ძალის სიწყნარე, რომელიც ამაყად ჯადოსნობის ნაპერწკლებს აკვესებდა. ტრაგიზმის სიმშვენიერემ ყველანი ერთობ აათრთოლა.

დარბაზში ქების ჩურჩული გაისმა, ხოლო პაფნუტიმ ვეღარ მოითმინა, აღელვებულ გულზე დაიწყო ხელები და ძლიეძლიობით ამოიოხრა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, — ჩურჩულებდა იგი, რატომ ჰმადლებ ერთ-ერთს შენს ქმნილთაგანს ესეოდენ ძლიერებას?

დორიანი უფრო მშვიდად მსჯელობდა:

— რაღა თქმა უნდა, ის ატომები, რომლებიც დროებით შეერთდნენ რათა ეს მშვენიერი ქალი გამოეყვანათ, მხოლოდ თვალისთვის საამო კომბინაციას წარმოადგენენ და მეტს არასფერს. ეს მხოლოდ ბუნების თამაშია. თვით ატომებმა კი არ უწყიან, თუ რას სჩადიან. ოდესმე ისინი ისეთივე გულ გრილობით განშორდებიან ურთიერთს, როგორც შეერთების დროს. ნეტავ სად არის ეხლა ის ატომები, რომელთაც ერთხელ შეადგინეს ლაისი, ანუ კლეოპატრე? თქმა არ უნდა, ქალები ხშირად კეკლუცად იბადებიან, მაგრამ მათ ბევრი რამ ნაკლულევანება აქვთ და ხშირად უსაზიზღრეს ავადმყოფობას განიცდიან. აი რაზე ოცნებობენ გამქვრეტელნი მოაზრენი, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი ხალხი ამას ყურადღებასაც არ აქცევს. ქალებიც ამით სარგებლობენ, ისინი გვინერგავენ სიყვარულს, მაშინ როდესაც სრული უგუნურებაა მათი ტრფიალი.

უყურებდნენ თაისს ფილოსოფოსი და განდეგილი და თან მისდევდნენ ფიქრთა ფრენას, ასე რომ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ შეჰნიშნეს საბრალო ჰეკუბა, როდესაც თავის ასულს მოუბრუნდა და ანიშნა:

— ეცადე, ულისის გული როგორმე მოალბო. დაე, შენს

მაგიერად აალაპარაკე შენი ცრემლები, შენი სიტურფე და ყმაწვილქალობა!

თაისი, უკედ, თვით განხორციელებული პოლიქსენე, ერთ წუთს შეჩერდა ქანდაკსავით, შემდეგ კარვის კალთას ხელი გაუშვა და ერთი ნაბიჯი წინ გადასდგა. ამით მან მთელი დარბაზი დაიმონა. ხოლო შემდეგ, როდესაც იგი მსუბუქი ნარნარებით მიუახლოვდა ულისს, მის მოძრაობის გრაციას, რომელსაც სალამურის ხმა მკრთალი სინაზით ასდევდა, ერთგვარი ძალა მიენიჭა, რითაც მან დამსწრეთ გაახსენა ათასი ნეტარებით აღსავსე წუთები, ისე მოსჩანდა, თითქოს იგი მსოფლიო ჰარმონიის ღვთაებრივ ზამბახად გადიშალაო. მხოლოდ მას ერთს ჰხედავდნენ, დანარჩენნი თითქოს მის ცისკროვნების შარავანდედში ჩაინთქა, ჩაიშალა. მოქმედება კი გრძელდებოდა. ლაერტის ფრთხილმა შვილმა პირი იბრუნა. მისგან და ხელი წამოსასხამ ქვეშ დაიმალა, რათა თავი ეხსნა. მავედრებელ თვალების ჯადოსნურ ძალთა გავლენისაგან და ანდამატიურ ცეცხლის მფრქვეველი კოცნისაგან. ქალწულმა ანიშნა, ნუ გეშინიანო. მისი მშვიდი გამომეტყველება მხოლოდღა ამას ჰღაღადებდა:

— ულის, აუცილებლობისა გამო გამოგყვები, გამოგყვები თუნდა იმიტომ, რომ თვითონ მე მსურს სიკვდილი. მე ვარ ასული პრიამისა და ჰექტორისა. სარეცელი ჩემი თუ ოდესმე მეფეთა ღირსად ითვლებოდა, დღეს ვერ მიიღებს უცხო ხელისუფალს. ჩემის ნებითვე უარს ვამბობ აქ სიცოცხლეზე.

ამის დამნახავი ჰეკუბა უეცრივ მივარდა თავის ქალს და სასოწარკვეთილებით ჩაიკრა გულში. მაგრამ პოლიქსენემ წყნარად, თუმც მტკიცე გარდაწყვეტილებით, ნაზად მოიშორა საყვარელ დედის შემოხვეული ხელები.

— დედა, — თითქოს ეუბნებოდა პოლიქსენე, ნუ მისცემ ნებას, რომ ამ ბატონმა შეურაცხგყოს. ნუ ელი, რომ ჩემი ხელიდან გამოგგლიჯოს და ურცხვად მიწაზე აგითრიოს. უმჯობესია, ჩემო საუნჯევ, მომაწოდო ეს დანაოჭებული ხელი. და შენს გამჭკნარს ლოყებს ერთხელ კიდევ დავკოცნო გულით.

თვით მწუხარებაც კი მომხიბვლელად აიხატა თაისის სახეზე. ბრბო თანაუგრძნობდა ამ ქალს, რომელმაც ზესთაბუ-

ნებრივი სიმშვენიერით შეიმოსა ცხოვრების ტანჯვათა სახე-ბანი. პაფუნტიც კი მოჰხიბლა ამ სანახაობამ. მან აპატია დღე-ვანდელი გამობრწყინება, რომელსაც დღეს არა ხვალე დაამ-ხობდა, და წინდაწინვე ამაყობდა იმ წმინდან ქალის სახელით, რომელსაც ზეცას განუმზადებდა იგი.

მალე სანახაობასაც უნდა ბოლო მოჰღებოდა. ჰეკუბა მკვდარსავით დაეცა, ხოლო პოლიქსენე, რომელიც ულისს მიჰყავდა, წარსდგა მხედრობით გარს შემორტყმულ საფლავის წინაშე. იგი სამგლოვიარო მუსიკის ხმებ ქვეშ ავიდა სასაფლაო ხომლზე, სადაც აქილესის შვილმა ოქროს თასით ზეთი დაასხა გმირის ფერფლსა. როდესაც ქურუმებმა ხელი აიღეს, რათა შეეკრათ პოლიქსენე, მან მშვიდად ანიშნა, თავისუფალი სი-კვდილი მსურს, როგორც შეჰფერის მეფის ასულსაო. შემდეგ გადაიფხრიწა სამოსელი და უჩვენა გულის ადგილი, პირრუსმა მარჯვედ ჩასცა მახვილი, თანაც თვალი მოარიდა, რათა შე-ბრალება არ ეგრძნო. სისხლმა ტალღასავით ამოჰხეთქა ქალ-წულის თვალწარმტაც გვერდიდან, რომელსაც თავი უკან გადაუვარდა და სიკვდილის მწუხარების ლანდით მობინდულ თავლებით წყნარად დაეცა ხომლის თავზე.

იმ დროს, როდესაც მხედრობა მსხვერპლსა ჰფარავდა ზამ-ბახისა და იის კონებით, ირგვლივ ქვითინისა და შემაძრწუნე-ბელი კივილის მეტი არა გაისმოდა რა. პაფუნტიმ დრო იხელ-თა, წამოდგა და მქუხარე ხმით დაიწყო ქადაგება:

— თქვენ, ურწმუნო წარმართნო, ბილწო თიყვანისმკე-მელნო ეშმაკეულთა ძალებისა, თქვენც, არიანებო, რომელნიც კერპთმსახურებზე არა ნაკლებ უღირსები ხართ, ისწავლეთ სი-ტყვა ღვთისა, ისწავლეთ ჭეშმარიტება! ის, რაც აქ ნახეთ, არის მხოლოდ სიმბოლო და სახიერება! ამ იგავში იმალება მისტიური აზრი და მალე ის ქალი, რომელსაც თქვენ იქ ჰხე-დავთ, მსხვერპლად შეეწირება მკვდრეთით აღმდგარ ღმერთს.

მაგრამ ბრბო უკვე გასავალ კარებს აწყდებოდა. ანტი-ნოეს წინამძღვარი გაჰშორდა განცვიფრებულ დორიონს და იმავე ქადაგებით გასწია კარებისკენ.

ერთი საათის შემდეგ მან თაისს კარი მიუკაკუნა.

მსახიობი ქალი იმ დროს სცხოვრობდა რაკოტის მდიდარ-თა უბანში, ალექსანდრეს საფლავის მახლობლად. ეს იყო ერთი უმშვენიერესი შენობა, რომელიც დაჩრდილულ ბაღით იყო

შემოფარგლული. აქ თქვენ ნახავდით მრავალ ხილნარს, ხელოვნურ წყაროებს, ჩანჩქრებს, რომელთაც ცაცხვთა ხეივანი ამაყად დაჰყურებდა. მოხუცი შავი მხევალი კარის კაკუნზე გამოვიდა. მკლავები ძვირფასი სამაჯურებით ჰკონდა შემკული.

ვინ გნებავთ?

ჰკითხა ცოტა არ იყოს განცვიფრებულმა მხევალმა.

თაისის ნახვა მსურს,— უპასუხა პაფუნტიმ, — ღმერთია მოწამე, მხოლოდ მის სანახავად მოვსულვარ და არავითარი ცუდი განზრახვა არ მიდევს გულში.

რაკი პაფუნტის ძვირფასად ეცვა და თანაც ბრძანებითი კილოთი ლაპარაკობდა, მხევალმა გაუღო კარი და შიგნით შეუშვა მოწიწებით.

— თაისს, — უპასუხა მან, — ფერიათა მღვიმეში ნახავ!

პაპირუსი

თაისი დაიბადა თავისუფალ, მაგრამ ღარიბ დედმამის ოჯახში, რომელთაც ჯერ კიდევ კერპმსახურებისთვის თავი ვერ დაეღწიათ. ის ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც მის მამას ალექსანდრიაში მთვარის ჰიმკრის გვერდით გახსნილი ჰქონდა სასმელების სარდაფი, სადაც მეზღვაურები დაიარებოდნენ. ამ პირველი სიყრმის ხანიდან მას კიდევ რავდენიმე ნათელი მოსაგონარი რამ დარჩა. აგერ ის კვალად ჰხედავდა გულხელდაკრებილ მამას, რომელსაც ფეხი ფეხზე შემოუდვია და კერას მისჯდომია. ეს იყო ტანადი, მშვიდი, მაგრამ მრისხანე გამომეტყველების ადამიანი, როგორც ძველ დროის ფარაონი, რომელსაც ბრმები სიმღერით ქებას შეასხამდენ. ასევე ჰხედავდა თავის გამხდარ და მწუხარე დედას, როგორც სახლში მომწყვდეულ მშიერ კატას, რომელიც გამკვეთავი ხმით და ფაიანისავით მოელვარე თვალებით მთელ სახლს იდუმალ შიშის ზარს სცემდა. მთელს იმ მხარეში მასზე ყველანი ამბობდნენ, ჯადოქარია ღამ-ღამეობით ჭოტად იქცევა ხოლმე და საყვარლებთან ისე დაიარებაო. მაგრამ თაისმა მშვენივრად იცოდა, რომ ეს ტყუილი იყო, რომ მისი დედა არავითარ ჯადოქრობას არ ეწეოდა, ან კი სად ეცლებოდა ამისთვის, როდესაც გაუმაძღრობისაგან დატანჯული სულ მოგებულ ფულის თვლასა და ჩაჩქმალვაში იყო, რომ არც თვითონ ერგო თავისთვის და არც სხვისთვის ესარგებლებინა რამე. აი ეს უხეში უძრავი მამა და ეს გაუმაძღარი დედა მალე შეუჩნდნენ თავიანთ ქალს, დროა შენი ხელით შენი საზრდო იშოვნოო. ისიც დასთანხმდა და მართლაც, ადრე, ძალიან ადრე დაიწყო მთვრალ მეზღვაურებთან სიარული, რათა გროში-გროშზე გამოეტყუვნა. იმათაც შეუყვარდათ. თაისი მათ არ აკლებდა სიმღერებს, ლექსებს, უწმაწურ სიტყვების კონას, რომელთა მნიშვნელობა სრულებით არ ესმოდა. იგი ერთი ხელიდან მეორესთან გადადიოდა, თითქოს გაგორებული ბღრთი ყოფილიყოს, და ძალაუნებურად იჟღენთებოდა სასმელებისა თუ გაკუპრულ ტიკების სუნით. შემდეგ ლუდის ქაფით მოსვრილი პირით და მეზღვაურთა ჯაგარა წვერით დაჩხვლეტილ ლოყე-

ბით, იგი მოჰქროდა გარედ მთვარის ბჟისკენ. სადაც ერთი ბებერი დედაკაცი ეგულებოდა. აი, ამ დედაკაცთან გაშლიდა მონაგებ გროშებს, რომ ტკბილი კვერით პირი ჩაემტკბარუნებინა ხოლმე.

თითქმის ყოველ დღე ერთი და იგივე ამბავი მეორდებოდა: მეზღვაურნი ერთმანეთს მოუთხრობდნენ, თუ აღმოსავლეთის ქარმა როგორ შეარყია უფსკრული, ან რა საშიშროებანი განეცადათ. შემდეგ დასხდებოდნენ და კოჭაობდნენ, ან და ნარდს თამაშობდნენ. თანაც გინებითა და ყვირილით ითხოვდნენ კილიკიის საუკეთესო ლუდს.

ასე მიჰქროდა დრო, ბავშვს არა ერთხელ და ორჯელ გამოჰღვიძებია მათს ხმაურობაზე და ყვირილ-ყიჟინზე. იგი ხშირად უნებლიე მოწმე ყოფილა იმ საზარელი სცენებისა, როდესაც მეზღვაურნი ერთმანერთს მუშტი კრივით დარევიან. უშველებელი სარდაფის ლოკოკინები სეტყვასავით მიჰქროდნენ მათ შორის. ხშირად მჭვარტლიან სანათის შუქზე მას აშკარად დაუნახია, თუ როგორ ელავდნენ ამოღებული დანები, ან როგორ მოდიოდა ალისფერი სისხლი დაჭრილთა მკერდიდან.

სიყრმეში თაისმა ადამიანის სათნოება მხოლოდ წყნარი ამესის მეოხებით გაიგო. სამწუხაროდ ეს თვისება ამ კეთილი ადამიანისა დამცირებული იყო, რადგანაც იგი ნუბიიდან წამოყვანილი ტყვე იყო და ისეთივე შავი, როგორც იმ ქვაბის მური, რომელსაც ეხლა ადუღებდა. მიუხედავად ამისა მის სიკეთეს სმზღვარი არა ჰქონდა, იყო სათნოებით აღსავსე და ისეთივე კარგი, როგორც რომ ღამით მოსვენება. ხშირად თაისი დაუსვია მუხლზე და უამბნია ძველის ძველი ზღაპრები, თუ ქვესკნელში როგორი საუნჯე ჰქონდათ მდევებს ჩამარხული, ან ციხე-კოშკი როგორ აეგოთ ძუნწ დიდოფლებს, რომელნიც ხუროთმოძღვრებს ათასობით მუშებს ტყავს აძრობდნენ ძალდატანებული მუშაობით. ამავე ზღაპრების საგნად ხშირად ქურდები და თვალთმაქცებიც ყოფილან, რომელნიც თავიანთ გაქნილობით იმდენს ახერხებდნენ, რომ ხელმწიფის ქალებსაც კი ირთავდნენ ვითომც. პატარა თაისსაც უყვარდა ამესი, როგორც ნამდვილი მშობელი მამა, ანუ დედა, ან და როგორც თავისი საყვარელი გადია, ან და ფინია. ხშირად კალთაში წაუვლია მონისთვის და ჩაჰყოლია სურნელოვნების საწყობი სარდაფში, ან და გარედ გაჰყოლია საქონლის სანახავად, შე-

სულა ბავშვი, საქათმეში, სადაც ათასი ფრთა ახუხული წიწილა იდგა, რომელნიც ნისკარტისა და ფრჩხალების ანაბარადღა დარჩენილიყვნენ.. საკმარისი იყო მზარეული შეენიშნათ, რომ არწივზე უკეთესად დაეწყოთ ფრენა. მაგრამ ამითი არ თავდებოდა საქმე. ხშირად შუაღამისას წამომდგარა ჩალიდან ამესი და თაისისათვის უკეთებია პატარა წყლის წისქვილები, ანუ ხელის გულის ოდენა ხომალდები, რათქმა უნდა, მთელი თვისი სამკაულებით.

ამესის ჯილდო კი გინება და ცემა იყო. ერთხელ გვერდებ დამტვრეულს ყურიც კი გაუხიეს. მთელი სხეული დაკემსილი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მისი სახე მუდამ ნათელსავით ბრწყინავდა, იყო მშვიდი, სიხარულით აღსავსე. ერთხელაც ფიქრად არავის მოსვლია ეკითხნა, თუ რითი იყო კმაყოფილი ეს უბედური მონა, რაში ჰპოებდა სასოებას. იგი მეტად უბრალო იყო, ისეთივე გულუბრყვილო, როგორც ბავშვი. როდესაც თავის მძიმე შრომას შეუდგებოდა, სუსტი ხმით მოჰყვებოდა უცნაურ ჰიმნის დამღერებას, რისგანაც ბავშვის სული თრთოდა და რაღაც ფიქრთა ჩრდილით იმოსებოდა. ის კი წყნარად და აღფრთოვანებით ჩურჩულებდა თავისთვის:

— გვითხარ მარიამ, რა ნახე იქ, საიდანაც ეხლა მოდიხარ?

— მე ვნახე სუდარა და საფლავზე მჯდომარე ანგელოზები.

და ვიხილე მაშინ დიდება მკვდრეთით აღდგომილისა!

თაისი ჰკითხავდა:

— მამა, რათ აქებ საფლავზე მჯდომარე ანგელოზებს?

ისიც ნაზად უპასუხებდა:

— ჩემო პატარა თვალის სინათლევ, იმიტომ ვუგალობ ანგელოზებს; რომ უფალი ჩვენი იესო ქრისტე ამაღლდა ზეცად.

ამესი ქრისტიანი იყო. იგი მოინათლა და მორწმუნეთა შორის თევდორეს უძახოდნენ. ამ კრებულში იგი ჩუმად დაიარებოდა ღამ-ღამეობით, როცა ყველას ეძინათ ხოლმე.

ამ დროს ეკლესია დიდს განსაცდელში იყო, იმპერატორის ბრძანებით ტაძრები დაანგრიეს, საღმრთო წიგნები სულ მთლად დასწვეს, საეკლესიო ნივთები გადაადნეს. პატივ-აყრილი ქრისტიანობა უნუგეშოდ თვლიდა თავს და სიკვდილსღა ნატრობდა. ყველგან ერთი და იგივე შემაძრწუნებელი, ზარი იყო გამეფებული. ალექსანდრიის თემი დაიქსაქსა, ციხე-

ები დაავსეს ქრისტიან მსხვერპლით. მორწმუნეთა შორის ერთი ერთმანეთზე შემზარავ სცენებს უამბობდნენ, თუ სირიაში, არაბეთში, მესოპოტომიაში თუ კაბადუკიაში, ერთი სიტყვით, იმპერიის ყველა კუთხეში როგორ გამეფდა შოლტი, ცხენის კუდზე ათრევა, ჯვარი ანუ გააფთრებული მხეცებით როგორ ჰყლეტავდენ ღვდლებს, ქრისტიან ქალწულთ, თვით ბავშვებსაც კი. მაშინ მამა ანტონი უკვე ცნობილი იყო თვისი მოღვაწეობით და მოჩვენებებით, როგორც განდეგილთა მეთაური წინასწარმეტყველი. იგი ეგვიპტის სალს მიუდგომელ კლდოვანიდან გადმოაფრინდა მწირ უდაბნოს პირს, შეფრინდა ალექსანდრიაში, მიმოიარა ყველა ეკლესია და ხელახლად ააღგზნო რწმენის ცეცხლი დანგრეულ სამწყსოში. იგი უხილავი იქნა ურწმუნოთათვის. ერთსა და იმავე დროს ქრისტიანთა ყველა კრებაზე მხოლოდ მორწმუნენი ჰხედავდნენ მას, მისი სიტყვებით იკრებდნენ სასოებას და კვლავ აღფრთოვანებას ეძლეოდნენ. დევნა ყველაზე მეტად მონებზე გაახშირეს. შეძრწუნებულ მონებიდან ბევრმა აიღო ხელი თვის რწმენაზე. მეტი წილი კი უდაბნოში გაიფანტა, ზოგი სალოცავად, ზოგი კიდევ ყაჩაღად. მხოლოდ ამესი დარჩა ერთგული. იგი დაუღალავად დატრიალებდა თავის მოძმებში, მარხავდა წამებულთ, ტყვეებს ინახულებდა, განამტკიცებდა რწმენის ცეცხლით და დამშვიდებული ბრუნდებოდა ერთ ძველი ქოხის ნანგრევში. ამისი მოწმე მამა ანტონი აღივსო უაღრეს სიყვარულით, გარდმოავლინა მადლი უფლისა, დაჰკოცნა შავი მონა და კვლავ გაეშურა უდაბნოსკენ.

როდესაც თაისი შვიდი წლისა შეიქნა, ამესიმ ღვთის შესახებ დაუწყო ლაპარაკი.

— მეუფე ჩვენი, — ეუბნებოდა მას ამესი, — სცხოვრობდა ცაში, როგორც ფარაონი თავის საჰარამხანო კარავში და გაგანისვენებდა თვალწარმტაც ბაღების ჩრდილ ქვეშ. იგი ძველზე უძველესია და უფრო ხნიერი, ვიდრე ეს ქვეყნიერება. მას ერთად ერთი შვილი ჰყავდა – მემკვიდრე იესო, რომელიც სულით და გულით უყვარდა და რომელიც სიტურფით თვით ანგელოზებსა და გასათხოვარ ქალებს აღემატებოდა. ერთხელ ჩვენმა მოწყალე მეუფემ უთხრა მემკვიდრე იესოს:

— წადი ჩემი ჰარამხანიდან, თავი დაანებე ჩემს სასახლეს,

ეს ფინიკის ხეები, ეს წყაროებიცაო. წადი ქვეყნად, ხალხს მოეელინე დედამიწაზე და დაიხსენიო. იქ შენ ემზგავსები პატარა ბავშვს და ღარიბად იცხოვრებ ღარიბთა შორისაო. შენი ტანჯვა იქმნება შენი მასაზრდოებელი პური და იმდენ ცრემლს დაჰღვრი, რომ იქიდან მდინარეები აღელდება, რათა დაღლილმა მონებმა შიგ იბანაონ და ტანჯვანი შეიმსუბუქონო. წადი, შვილო ჩემო! წადი!

„მემკვიდრე იესო დაემორჩილა მოწყალე ღვთის ბრძანებას და ჩამოვიდა მიწაზე. სახელდობრ იმ ადგილას, რასაც ბეთლემს უწოდებენ. იგი დადიოდა აყვავებულ მინდვრებზე და თავის თანამგზავრთ ეუბნებოდა:

„ნეტარ არიან მშიერნი, რამეთუ მამაჩემთან წავიყვან სასადილოდ! ნეტარ არიან მწყურვალენი, რამეთუ ციურ წყაროებიდან იგემებენ სულ სხვაგვარ წყალსა! ნეტარ არიან მტირალნი, რამეთუ მე თვალს მოვწმენდავ უფრო სუმბუქი სახოცელით, ვიდრე გამქვირვალე მარმაშია!“

აი ღარიბებმა რისთვის შეიყვარეს იგი და იწამეს ღმერთად. მაგრამ მდიდრებმა შეიძულეს, ემანდ ღარიბები ჩვენზე მაღლა არ დააყენოსო. ამ დროს კეისარი და კლეოპატრა უძლიერესი მეფეები იყვნენ მთელს ქვეყანაზე. ორივემ შეიძულეს იესო და უბრძანეს მსაჯულებს და ღვდელმთავრებს, მოჰკალითო. ისინიც დაეშორჩილენ ეგვიპტის დედოფლის ბრძანებას, სირიელმა მთავრებმა მაღალ მთაზე ამართეს ჯვარი, რომელზედაც გააკრეს იესო. მაგრამ ქალებმა გაბანეს მისი გვამი და დაკრძალეს მღვიმეში. მემკვიდრე იესომ გასტეხა საფლავის ქვა, აღდგა და კვლავ ზეცად ამაღლდა თავის მამასთან.

ამიერიდან, ვინც კვდება მისი სახელით და რწმენით, ყველანი ცისკენ მიდიან ჯილდოს მისაღებად.

უფალიც გახსნის მადლიან ხელს და ეუბნება:

„მოვედით ჩემთან, რამეთუ იწამეთ მემკვიდრე ჩემი იესო. განიბანეთ და შემდეგ ჭამეთ“.

სამოთხის მუსიკის ხმაზე ისინიც ბანაობას მოჰყვებიან, ხოლო მეჯლისის დროს მზერას დაუწყებენ მოცეკვავე ანგელოზებს და ათას სიმღერებს. კეთილი უფალი ჩვენი შეიყვარებს მათ, ვითარცა მგვალის გუგას, ვინაიდან ისინი მისი სტუმრები არიან და მასთან ერთად გაიყოფენ იმ ჰარამ-ხანასაც, იმ წალ-

კოტის ფორთოხალებს, ერთი სიტყვით, ყოველისფერს, რაც კი უფალს მოესურვება.

ამ სახით რავდენჯერმე მოუთხრო ამესიმ ეს ამბავი და თაისმაც იცნო ქეშმარიტება:

— ოჰ, რა ძრიელ მინდა ღვთის ბაღის ბროწეული მეჭამა! — უთქვამს ხშირად ამესისთვის.

— ჩემო პატარავ, უპასუხებდა ამესი, - იმ ბროწეულებს მხოლოდ მონათლულები შესჭამენ და არა წარმართნი.

თაისმა სთხოვა, მომნათლეთო. გულ-უბრყვილო მონამ აქედან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ თაისი უკვე ქრისტიანიაო. განიზრახა უფრო საფუძვლიანად განვანათლებ, თუ კი მოინათლება, რათა ღირსი იყოს წმინდა ეკლესიისაო.

რაკი ღა ბავშვს შობლები უკმეხათ ეკიდებოდნენ, ტყვილა უბრალოდ ხელსა ჰკრავდნენ და კუთხეში აგდებდნენ დასაძინებლად, ბავშვმა მათზე ადვილად აიჩხრიკა გული. ხშირად ამესის უსარგებლნია ამ გარემოებით და აი მაშინ, როდესაც ბავშვს თავისთვის ეძინა დაბმულ საქონელთა გვერდით, იგი მიუჯდებოდა და თავის სულიერ შვილზე უფრო მეტად იახლოვებდა.

ეს ასე ხდებოდა: ღამღამობით ფეხ-აკრეფით მიიპარებოდა სადაც ბავშვს ეძინა, ცუცქზე ჯდებოდა და მოღუშული ტანით მისჩერებოდა პატარასა. მისი შავი სხეული, შავსავე ტანისამოსში ღამის წყვდიადში ისე იკარგებოდა, როგორც მისი სახე. მხოლოდ თვალის კაკლები უელვარებდა თეთრად, საიდანაც ნათელი ისე მოჰკრთოდა, როგორც ჭუჭრუტანიდან შემომკრთალი განთიადის მოციმციმე სხივი. მისი ხმა ამ დროს მეტად წყნარი იყო, ისეთივე წყნარი და ნაღვლიანი, როგორც მწუხრზე ქუჩაში სევდიანი მუსიკა. ხანდახან სახედრის ქშინვა და ხარის ზმუილი იდუმალ ყულთა ხოროსავითა ჰყვებოდა მონის ხმას, რომელიც ბავშვს სახარებას მოუთხრობდა. თვით წყვდიადიც კი მისი ხმის გამოისად ივსებოდა ახალის იმედით, ახალი სათნოების ნაკადულით, ხოლო ახლად მოქცეული პატარა გოგონა ამესის პაწია ხელს ჩაუდებდა მუჭაში და ისე იძინებდა ამესის მონოტონურ ხმებში თითქოს ანგელოზთა ნანას გაუბრუებიაო. ამ სახით მიძინებული პატარა ათას ბუნდოვან სურათების ხილვით სტკბებოდა. მშვიდი და მომღიმარი ამ ღამის ჰარმონიად

გამოხლართულ აკვანში, იგი შესციალებდა ღამის ვარსკვლავს, რომელიც ამ დროს კედლის ნაპვრეტიდან მის ბაგაზე ცელქად მოჰკრთოდა.

ბავშვის მოქცევის ამბავი გაგრძელდა ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულამდე. და აი ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც თაისს არხეინად სთვლემდა, მიუახლოვდა ამესი და სიხარულით აღფრთოვანებულმა ხელში აიყვანა. იგი ჩვეულებრივ კონკ ტანისამოსით კი არ იყო, არამედ გრძელი, სუფთა თეთრ მანდილით, რომელშიაც სწრაფად გამოახვია ბავშვი და ნეტარებით ჩასჩურჩულა:

— წავიდეთ, ჩემო სულო! წავიდეთ ჩემო თვალის სინათლევ! წავიდეთ, გულის ანგელოზო! უნდა ნათლობის პერანგი ჩაგაცვა....

ამ სიტყვებზე ბავშვი გულში ჩაიკრა და სწრაფად გარედ გამოვიდა: შემფრთხალს და ცნობისმოყვარეობით გატაცებულ თაისს თავი მანდილიდან ამოეყო, ხელი თავის მეგობრის ყელზე შემოეხვია და უკვირდა, როგორ თავისუფლად მიჰქრის ამ ბნელს დერეფანშიო. აგერ ისინი გავიდნენ ბნელი ქუჩით, გადასჭრეს ებრაელთა უბანი და გვერდით გაუარეს საპაფლაოს, სადაც ბუს შავბნელი კივილი გაჰქონდა. ერთგან ჯვრების ქვეშაც კი მოუხდათ გავლა, სადაც დასჯილნი გაეკრათ. ყვავ-ყორნები ეხლაც კი არ მოჰშორებოდნენ უბედურ მსხვერპლთ და ნისკარტ-კლანჭებით სძიძგნიდნენ უკვე დაკორტნილ მათ ლეშს. თაისს გული გაუსკდა ამის დანახვაზე და თავი მანდილ ქვეშ ჩაჰმალა. ეხლა კი იგი ვეღარა ჰბედავდა თავის მაღლა ამოყოფას და აქეთ-იქით ყურებას. უეცრივ ისე იგრძნო, თითქოს მიწაზე დასვეს. თვალები როცა გაახილა, შეჰნიშნა, რომ იგი სადღაც ბნელს მღვიმეშია, რომელიც ფისის მაშხალებით გაენათებინათ. მღვიმის კედლები რაღაცა მხატვრობით იყო სავსე. ასე ეგონა, ამ მკრთოლავ შუქზე თვითეული სახე ცოცხლდება, სულს იდგამს და კედლიდან გადმოსვლას აპირებსო. ესენი იყვნენ გრძელი სამოსელით მორთული ხალხი, ბზის შტოებით ხელში, რომელიც მშვიდად დაიარებოდნენ თავიანთსავით უწყინარ კრავებისა, გვრიტებისა თუ ველურად გაშვებულ ვაზების შუა.

თაისმა ამ სახეთა შორის იცნო იესო ნაზარეველი, რომლის გარშემო ყაყაჩოსი და ხაშხაშის ყვავილები დაეხატნათ.

ამის გვერდით იდგა ერთი მოხუცებული, რომელიც სადღესასწაულო სამოსელში გამოწყობილიყო, მის გამხდარ სახეზე ლმობიერების იერი ეკრა, ხოლო გრძელი თეთრი წვერი გულზე თხლად სცემდა. ეს იყო ბიზანტიის ეპისკოპოზი, რომელიც კირენეს სამწყსოდან გამოედევნათ და ეხლა თავისი შრომით შოულობდა ლუკმა პურს. უმთავრესი მისი ხელობა თხის მატყლის დართვა და შალების ქსოვა იყო. გვერდით ორი ღარიბი ბავშვი უდგა. იქვე მოხუცებული ზანგი ქალი იდგა და გაშლილი თეთრეული ეპირა. ამესმა ბავშვი ძირს ჩამოსვა, დაიჩოქა მღვდელ მთავრის წინ და ათრთოლებული ხმით მიჰმართა:

— აი მამაო, ეს გახლავს ჩემი სული, ჩემი გულის საყვარელი ასული, ეს აქ მოგგვარე აღთქმისაებრ და თუ შენს უწმინდესობას არა აქვს რა საწინააღმდეგო, ნათელი ეცი ცხოვრებისა.

მის სიტყვებზე მღვდელმთავარმა ხელი ძირს დაუშვა. ამესმა და თაისმა მხოლოდ ეხლა შეჰნიშნეს მისი გამჭკნარი თითები, რომელზედაც წამების დროს ფრჩხილები დაეძროთ მისთვის. თაისი შეფრთხა და ამესის გულზე მიეხუტა. მაგრამ მღვდელმთავარმა ტკბილი სიტყვებით დაამშვიდა.

— ნუ გეშინიან, ჩემო საყვარელო შვილო, აგერ აქ არის შენი სულიერი მამა ამესი, რომელსაც მორწმუნეთა შორის თეოდორეს ეძახიან, აგერ ეს მადლ შემოსილი დედაშენიც, რომელმაც თავის ხელით მოგიმზადა ეს სამოსელი.

ეანაც მობრუნდა ზანგ ქალისკენ:

— ამას ნიტიდას უწოდებენ,—დაურთო მან,—ეს მხევალია ამა ქვეყნის. მაგრამ უფალი ჩვენი იესო მას აამაღლებს თავის საყვარელ სძალთა შორის.

შემდეგ თვით თაისს მიუბრუნდა:

- მითხარი, შვილო, გწამს ღმერთი, ძლიერი, ყოვლის შემომქმედი მეუფე და მისი ძე იესო, რომელიც ჩვენი ცხოვრებისთვის ჯვარს ეცვა და აღსდგა მკვდრეთით? გწამს, მოციქულთა სასწაული, მათი მოძღვრება?

— გვწამს,—უპასუხეს ერთხმად ამესმა და ნიტიდამ, რომელთაც ერთურთის ხელი დაეჭირათ.

მღვდელმთავარის ბრძანებით ნიტიდამ დაიჩოქა და გაჰხადა თაისს. შიშველ ბავშვს ყელზე შანა ჰქონდა. მღვდელ-

მთავარმა სამჯერ ემბაზში ამოაყურყუმელავა. მომხმარე ბავშმა ზეთი მოაწოდა, რითაც ვივანტიუსმა შეჰმურა იგი, შემდეგ სხეულზე მარილი მოაფრქვია და თანაც პატარა კვნიტი დააადო ტუჩზე. როცა ნათლობა დასრულდა, ნიტიდამ ბავშვი შეამშრალა და თავისი ხელით მოქსოვილი თეთრი სამოსი გადააცვა.

მღვდელმთავარმა ყველას მშვიდობის ამბორი უყო და გაიხადა შესამოსი.

როდესაც მღვიმიდან გამოვიდნენ, ამესმა მიჰმართა:

— უნდა სუყველამ განვიხაროთ, რომ უფალს კიდევ ერთი სული ვაჩუქეთ: წავიდეთ, მამაო, სადაც მეუფება შენი სცხოვრობს და მთელი ღამე ვილხინოთ.

— ძალიან კარგი!—უპასუხა მღვდელ-მთავარმა.

პატარა საზოგადოება მღვდელმთავრის სადგომისაკენ გაემართა. მისი ბინა ამ მღვიმიდან არ იყო შორს. ეს იყო პატარა ოთახი, ორი სართავი დაზგით და პატარა მაგიდით, რომელზედაც სუფთა სუფრა იყო გაშლილი. შესვლისთანავე ამესმა მიჰმართა ნატიდს:

— აბა, მოიტა ერბოს ქილა და ტაფა, კარგი ვახშამი მოვამზადოთ.

ამ სიტყვებზე მან კალთის ქვეშიდან ამოიღო რემდენიმე პატარა თევზი, შემდეგ ცეცხლი გააჩაღა და ერბოზე შესწვა. ბოლოს ყველანი რიგზე დასხდნენ, მღვდელმთავარი, ორივე ზანგი, მსახური ბიჭები, თვით თაისიც და გემრიელად შეექცეოდნენ თევზს. ვივანტიუსი მოუთხრობდა იესოს ცხოვრებაზე, ენებაზე, სასწაულებზე და იმ მოძღვრებაზე, რომლითაც მაცხოვარი ეკლესიის დღესასწაულსა და სამარადისო ცხოვრების დამყარებას ჰქადაგებდა. მართალია, მღვდელმთავრის სიტყვა ტლანქი იყო, მაგრამ მდიდარი შინაარსით და ცხოველი სურათებით. იგი მართალთა ცხოვრებას ადარებდა ძოწეულისნართს, ხოლო ნათლისღებას ამგვარად ჰხსნიდა:

— სული წმიდა გარდმოვიდა წყალზე, და აი რატომ ვიღებთ ნათელს წყლით. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მდინარეებში სცხოვრობენ ალნი. ეს საზარელი ფერიები მეტად საშიშო არიან ჩვენთვის. ათასი ავადმყოფობა, სულიერი თუ ხორციელი, სულ მათგან არის მოვლენილი.

ხანდახან იგი გამოცანებითაც ლაპარაკობდა და ბავშვს ამ სახით უნერგავდა სიყვარულსა და მოკრძალებას. ვახშმის შემ-

დეგ მან ღვინო მოიტანა და ცოტ-ცოტა ყველას დაალევინა. ამან მისი საყვარელი სტუმრები ააპიკპიკა და მალე სასულიერო ლექსებისა და ჰიმნების მღერას მოჰყვნენ. შემდეგ ამესმა და ნატიდამ ნუბიელთა გვარად იცეკვეს, რომელიც ბავშვობის დროს შეესწავლათ. ეს იყო, მართლაც, მეტად საინტერესო ცეკვა. ხელების შლით სხეულს რიგზე გადასწევ-გადმოსწევდნენ, მწყობრად ხან მარცხნივ ხან მარჯვნივ წავიდოდნენ, თან კი ფართო თვალებით იღიმებოდნენ და სიამოვნებით კბილებს ახრჭენდნენ, რომელთა შუქის ელვარება იქ მყოფთა თვალს სჭრიდა.

აი ასე მოინათლა პატარა თაისი.

მას სიამე უყვარდა და თანდათან რაც იზრდებოდა, იმდენად უფრო ემატებოდა სურვილი მეტი სიტკბოებისა. იგი მთელს დღეს ცეკვა-თამაშში ატარებდა თავის ტოლებთან, მოედებოდნენ ქუჩებს და ცეკვითა და სიმღერით იკლებდნენ იქაურობას:

— დელია-დელავ, რატომ ზიხარ სახლში?

-- მილეტიდან მოტანილ მატყლს ვართავ.

— დელია-დელავ, როგორ დაიღუპა შენი შვილი?

— თეთრი ცხენიდან ზღვაში გადავარდა*).

ამიერიდან ამესის მშვიდ საზოგადოებას გაუფრთხა და ისევ თავის ტოლები ამჯობინა. იგი ვერც კი ამჩნევდა, თუ მისი მეგობარი ამესი როგორ იშვიათად დაიარებოდა მასთან. რაკი ქრისტიანთა დევნა შესწყდა, მორწმუნეთა კრება კვლავ რიგზე მოეწყო. ნუბიელი ეხლა სულ ამ კრებებზე დადიოდა. მისი რწმენა აღფრთოვანებას მიეცა. ხშირად მის გულიდან საშინელი შურისძიების ქარ-ცეცხლი ჰქროდა. იგი ამბობდა, რომ მდიდრები თავიანთ ქონებას სამარადისოდ ვერ შეინარჩუნებენო. იგი არ აკლდებოდა არც ერთს საზოგადოების კრებას, ყველგან მას ნახვიდით, ღარიბ-ღატაკთა შორის, რო-

*) ფრანგულადაც ეს ადგილი არაა რითმიული, არც მწყობრი. თვით დასაწყისი „დელია-დელა“ განგებ ვიხმარეთ, რადგანაც შესაფერად უმჯობესი სიტყვა ვერ გამოვნახეთ. ტექსტში ასე იკითხება: „Torti tortu, pourquoi gardes-tu la maison?“. torti tortu-ს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომ ქართულად მისი სპეციფიკური ტერმინი მოგვენახა. მთარგმნელი.

მელნიც ქალაქის კედლების ჩრდილ ქვეშ მოკალათებულიყვ-ნენ. აი, ამათ შორის იგი ჰქუხდა წინასწარმეტყველსავით და აუწყებდა მათ მონათა განთავისუფლებას და განსჯის დღის მოახლოვებას.

— დადგება ჩვენი სუფევის დღეც,—ამბობდა იგი,—მონები მაპრით დავთვრებით და საუცხოო საქმელებს შევჭამთ, მაშინ როდესაც მდიდრები ჩვენ ფერხთან ხოხვას მოჰყვებიან და ჩვენი ნამცეცებით გამოძღებიან.

მაგრამ მისი სიტყვები დიდ ხანს არ შენახულა დაფარულად. მთელს იმ მხარეში ყველა გაეცნო ამესის. ბატონები ეხლა შიშობდნენ, ამესიმ მონები არ აგვიჯანყოსო. თაისის მამაც გააფთრდა. იგი უზომოდ გაბოროტებული იყო იმაზე, მაგრამ ამ სიბრაზეს გულში ჰფარავდა და მონასთან არ ამხელდა.

ერთხელ მის ოჯახში ვერცხლის სამარილე დაიკარგა, რომელიც ღმერთთა სატრაპეზო მაგიდაზე იდგა. ეს ამესის გადააბრალეს, ვითომც, როგორც ქრისტიანმა, შური იძია მისი და მისი ღმერთებისაო. ეს ბრალდება ვერ დაუმტკიცეს. მიუხედავად ამისა, მონა მაინც სასამართლოში დაიბარეს და რაკი ცუდ მსახურადა სთვლიდნენ, მსაჯულმა სიკვდილი მიუსაჯა.

— ეგ ხელები, რომლითაც ხეირიანი ვერა გამოიყვანე-რა, ხვალვე გაკრული იქნება ძელზე.

ამესმა უდრტვინველად მიიღო განაჩენი, მსაჯულს თავი დაუკრა და დარაჯებს მორჩილად გაჰყვა საპყრობილეში. სამი დღის განმავლობაში იგი თვით საპყრობილეშიც არ ისვენებდა და სახარებას ჰქადაგებდა. იმდენად ძლიერი იყო მისი სიტყვა, რომ ახალი მოძღვრება იწამეს არა მარტო დამნაშავეებმა, არამედ თვით ჯალათმაც-კი, რომელმაც უზომო ცრემლები დააფრქვია თავის ცოდვების შენანებით.

განაჩენის აღსასრულებლად იგი სწორედ იმ სასაფლაოზე წაიყვანეს, სადაც ორიოდ წლის წინად ღამით აღფრთოვანებული მოჰქროდა ღა თავის სულიერ პატარა ქალს—თაისს გულში ჩახუტულს მოარბევინებდა მოსანათლად. აი, კიდეც გააკრეს იგი ძელზე. არც ერთი საყვედური, არც ერთი გმობის სიტყვა არ აღმოუთქვამს. მან მშვიდად აიტანა საოცარი ტკივილები, ოღონდ მხოლოდ ერთხელ წაიჩურჩულა: „მასვით... მწყურიან!“

მისი წამება სამ დღე და ღამეს გაგრძელდა. შეუძლებელი იყო დაჯერება, თუ ადამიანის სხეულს ამდენის მოთმენა შეეძლებოდა. რამდენჯერმე იფიქრეს—მოკვდაო. ბუზები წამწამებში ეხვეოდნენ. მაგრამ უეცრივ სისხლით აღვსილს თვალებს გამოახელდა. მეოთხე დილას მან დაიწყო გალობა ისეთი სუფთა და კრიალა ხმით, თითქოს უმანკო ბავშვი დამდგარა ლოცვის წესადაო:

— გვითხარი, მარიამ, რა ნახე იქ, საიდანაც ეხლა მოდიხარ?

შემდეგ მომღიმარე სახით წაიჩურჩულა:

— აგერ ანგელოზებიც! მათ მოაქვთ ჩემთვის ღვინო და ხილი! ვიშ, რა საამურია მათი ფრთების ნიავი!..

და სული განუტევა.

მის სახეს სიკვდილის შემდგომაც არ წაშლია აღტაცებისა და ნეტარების გამომეტყველება. მისი მცველები განცვიფრებულნი იყვნენ ასეთი სანახაობით. ვივანტიუსი თავის თანამოძმე ქრისტიანებითურთ მოვიდა და გამოითხოვა წამებულის გვამის დაკრძალვა იოანე ნათლისმცემლის სასაფლაოზე. ეკლესიამაც იწამა იგი და წმინდათა შორის ჩარიცხა თეოდორე ნუბიელის სახელით.

სამი წლის შემდეგ, მაქსენციუსის დამმარცხებელმა კონსტატინემ ბრძანება გასცა, რომ ქრისტიანთა დევნა შეწყვეტილიყო. მართლაც, ამიერიდან ქრისტიანობა უშიშრად ჰგრძნობდა თავს და მუდამ ძლიერ იმპერატორის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა.

თაისი თითქმის თერთმეტი წლისა იქნებოდა, როდესაც მისი მეგობარი აწამეს. ამის დანახვამ მასში აუწერელი საშინელების აჩრდილი გაამეფა, თუმცა მისი სული იმდენად წმინდა არა ყოფილა, რომ მონა ამესის ნეტარების მიზეზი გაეგო ან ამ ქვეყნად, ანდა როცა აწამეს იგი, ან რატომ იყო, რომ სიკვდილის შემდგომაც-კი მის სახეს არ ჰშორდებოდა ბედნიერების ანარეკლი! მან ისე გაიგო, ვითომც სათნოება მხოლოდ შემაძრწუნებელი ტანჯვის ფასით თუ შეიძლება -მოვიპოთო. ამიტომ შეკრთა იგი, ეშინოდა სათნოებისა, ეკრძალებოდა კეთილ საქმეს, მართლა არ მაწამონო. მისი სხეული ტანჯვის გახსენებაზე ისე ჰკრთოდა, როგორც შემოდგომის ქარით ათრთოლებული გაყვითლებული ფოთოლი.

იგი ჯერ კიდევ ჰასაკოვნებით არ დამწიფებულიყო, რომ ნავთსადგურის ბიჭებს ნებდებოდა, ანუ ვიღაც უცნობ მოხუც კაცებს დასდევდა, რომელნიც უმიზნოდ დაეხეტებოდნენ იმ მხარეში. რასაც საჩუქრად მიიღებდა, მაშინვე ტკბილეულობაში ჰხარჯავდა, ანდა რამე მოსაოთავს ყიდულობდა.

რაკი-ღა სახლში არაფერი შემოჰქონდა, დედა სასტიკად ეპყრობოდა და არა ერთხელ გაუტყეპნია კიდეც. რომ მის ცემას გაჰქცეოდა, იგი გარბოდა ქალაქ გარედ და იქ იმალებოდა კლდეების შუა, სადაც აუარებელი ჯოჯო და ხვლიკი ჰბუდობდა. აქ იგი ეძლეოდა ოცნებას და შურით ებრიცებოდა თვალები, როდესაც გაიხსენებდა კეკლუცად მორთულ ქალებს, მათ სამკაულს, რომელნიც აუარებელ მონებითა და მხევლებით ამაყად გავლილი უნახავს მთავარ ქუჩებზე.

ერთხელ დედისგან ნაცემ-ნატყეპი იგი გულ-ხელდაკრებილი იჯდა და გულამოსკვნილი სტიროდა. ამდროს უცნობმა დედაბერმა გამოიარა. მტირალ ბავშვის დანახვაზე შეჩერდა, რაოდენიმე წუთით აჰხედ-დაჰხედა და აღტაცებით წამოიძახა:

— ვისი ბავშვი ხარ, მშვენიერო ველის ყვავილო? ბედნიერია ის მამა, ვინც რომ შთაგსახა და ნეტარია დედაშენი ვინც რომა გშობა!

თაისი დასდუმდა და თვალები მიწას ჩააშტერა. თვალის კილოები ისე გასწითლებოდა, თითქოს სისხლის ცრემლებით მოჰსხურვიაო.

— ჩემო ზამბახო, თეთრო იავ,—განაგრძო დედაბერმა,— განა დედაშენი ბედნიერი არ არის, რომ პატარა ღმერთ-ქალი გამოგზარდა, ანუ მამაშენი არ განიხარებს, როდესაც გიპვრეტს პირ-ბადრ მთვარეს?

მაშინ ბავშვმა თითქოს თავისთვის წაიდუდღუნა:

— კარგი მიეცეს კარგი მამა ის არის—გაბერილი ტიკი, და დედა კიდევ გაუმაძღარი წურბელა,—აი რა ბედნიერი მშობლები მყავს...

დედაბერმა მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო. შემდეგ ალერსიანად დაუწყო საუბარი:

— ტურფა სუმბულო, მშვენიერო ნათლის ასულო, წამოდი ჩემთან და სულ ცეკვა-სიცილში ილხინე. თაფლის კვერეულებს არ გამოგილევ, ჩემს შვილსაც, ჩემს საკუთარ შვილს თვალის ჩინსავით ეყვარები. მერე, რომ იცოდე, რა

ლამაზი ყმაწვილია, როგორი ტანადი, მოყვანილი! ნიკაპზე მხოლოდ ეხლა ამოსდის გინგლი. ერთი სიტყვით, როგორც ამბობენ ხოლმე, ნამდვილი ახარნელი გოჯი არის!

თაისმა უპასუხა:

— რატომაც არა, წამოვალ.

წამოდგა და მართლაც დედაბერს გაჰყვა.

ამ დედაბერს სახელად მეროეს ეძახოდნენ. იმისი საქმე ის იყო, რომ გოგოები და ბიჭები ერთი ქვეყნის კუთხიდან მეორეში ეტარებინა. ასწავლიდა მუსიკას, ცეკვას, რომ მდიდრებისთვის მეჯლისის დროს მიექირავებინა.

რაკი დაინახა, თაისი ერთი ლამაზესი ქალთაგანი იქმნებაო, მან ყოველისფერი იღონა, წკეპლასაც-კი არ მოერიდა, რომ მუსიკა და სიმღერები კარგა შეესწავლებინა მისთვის. ამის გარდა, არც ის იყო გასაკვირველი, თუ მისი ღვთაებრივი ფეხები ლამაზად გაეწკეპლა, თუ-კი ცეკვის დროს მუსიკას რიგზე არ ააყოლებდა. მისი ვაჟიშვილი ერთი ახმახი რამ იყო, უსახური, უჰასაკო და სქესობრივ ძალლონეს მოკლებული. ყოველთვის იგი ასრულებდა ამ ბავშვის სასჯელს. როგორც მოცეკვეთა მოშურნე ადამიანი, იგი თაისს ახელოვნებდა პანტომიმებში, რათა სახის მეტყველებით, ჟესტით და პოზით გამოეხატნა ადამიანთა ქვენა გრძნობანი. ერთი ზიზღითა და შურით აძლევდა ათასგვარ დარიგებას, მაგრამ როცა დაინახავდა, რომ მისი მოწაფე სულ წინ და წინ მიდის და თვითონ კი უღონო იყო, რომ მისი ხორციელი სიტკბოებანი განეცადა, იგი სიბრაზით სახეს აკაწრიდა, სჩქმეტავდა, ხშირად უკნიდან სადგისით სჩხვლიტდა, როგორც ამას სჩადიან ბოროტი ბავშვები, სულ-კი იმიტომ, რომ მამაკაცთა ვნებათა დასატკბობი საგანი მისთვის ამ ჟამად უქმი იყო და უსარგებლო. მისი გაკვეთილების წყალობით თაისი სულ მოკლე ხანში შეიქმნა დახელოვნებული მემუსიკე, მომღერალი თუ მოცეკვე. თავის პატრონთა ბოროტება მას არ ანცვიფრებდა. ეს მას ბუნებრივად მიაჩნდა, ალბად ასე უნდა მომექცენ, რომ კარგი ხელოვანი გამოვიდეო. იგი ერთგვარ პატივისცემასაც-კი ჰგრძნობდა ამ ბებერ დედაკაცის წინაშე, რომელიც თითქმის ყოველ დღე ბერძნული ღვინით მთვრალი ეგდო. როდესაც მეროე ანტიოქიაში გაჩერდა, თავისი მოწაფე მიაქირავა მდიდარ ლუდ-ხანის ვაჭრებს, როგორც მოცეკვე და მესალამურე. თაისმა იცე-

კვა. ყველას მოეწონა. როცა ცეკვას მორჩა, ვნება აშლილი სოდაგრები იწვევდნენ მას და ორონქის ჭალაში მიჰყავდათ საქეიფოდ. ისიც სთანხმდებოდა, ყველას ჰნებდებოდა, თითქოს არც თავისა და არც სიყვარულის ფასი არ იცოხო. მაგრამ ერთ ღამეს, როდესაც მან იცეკვა მეტათ მორთულ ახალგაზდა კაცებთან ერთად ქალაქში, ერთი პროკონსულის შვილი მიუახლოვდა და ჰასკოვნების ვნებათა შუქმფინარემ მიჰმართა ისეთი მომხიბვლელი ხმით, თითქოს ხმა იგი კოცნის წვიმაში ამოუვლიაო:

— ოჰ, რატომ გვირგვინი არა ვარ, თაის, რომ მაგ კულულებს შევქსოვოდი, რატომ პერანგად არ ვიქცევი, რომ შენი ნაზი სხეული გამომეკვალთა, ზედ შევწნოდი, ან რად არა ვარ მაგ კოხტა ფეხების საცმელი! ოჰ, რომ იცოდე, თუ რარიგად მსურს, რომ მაგ ფუნთუშა ფეხით მსრესდე, რარიგადა მსურს, ჩემი ალერსი ტანთ ჩაგეცვას მარმაშის პერანგად, ანდა ჩემი ხმა გარდაიქცეს შენს კულულების გვირგვინადა! წამომყე, მშვენიერო გოგონავ, წამომყე სახლში და დავივიწყოთ ეს ქვეყანა!

თაისმა შეჰხედა, როდესაც ყმაწვილი ლაპარაკობდა, და მოიწონა. უეცრივ იგრძნო, რომ შუბლზე ცივი ოფლი მოასკდა და ისე გამწვანდა, როგორც ბალახი. თვალთ დაუბნელდა, წატორტმანდა. ყმაწვილმა კიდევ სთხოვა, მაგრამ მან უარჰყო, ამაოდ სცდილობდა მხურვალე სიტყვებით და მგზნებარე თვალებით მის მოხიბვლას. როდესაც ძალით მოინდომა მისი წაყვანა, თაისმა ხელისკვრით მოიშორა. ყმაწვილი დაემხო მის წინაშე. ცრემლით ევედრა პატიება, მაგრამ იგი მაინც რაღაცა უცნაურის ძალით ეწინააღმდეგებოდა.

— რა სისულელეა, — ამბობდნენ სტუმრები, — ლოლიუსი კეთილშობილია, ასეთი ლამაზი და მდიდარი და ეს ვილაცა მესალამურე გომბიო უარს ეუბნება.

ლოლიუსი მარტოდ მარტო დაბრუნდა შინ. ღამემ საბოლოოდ ააღგზნო მისი სიყვარული. დილა ადრიან წამოდგა. ფერმკრთალი სახით იგი გაემართა თაისის სახლისაკენ, რათა ყვავილებით მისი კარები მოერთო. მაგრამ თაისი გაურბოდა. თითონაც არ იცოდა, რად, მუდამ თრთოდა, მისი სახე სულ თვალწინ ელანდებოდა. მაგრამ თვისი ტანჯვისა თითონაც არა გაეგებოდა რა. ხშირად ჰკითხავდა

თავს, რატომ შეიცვალა ასე, ან საიდან გაუჩნდა ეს კაეშანი? იგი არც ერთს თავის საყვარელს არ იღებდა: თითქოს განგებ თვითეული მათგანი რაღაცა გამოურკვეველ შიშსა ჰგვრიდა. აღარც ნათელი აინტერესებდა. მუდამ ლოგინში იწვა, თავს საბნის ქვეშ იმალავდა და ქვითინებდა. ლოლიუსმა რამდენჯერმე მოახერხა მის ოთახში შესვლა, ეეედრებოდა, ცრემლს აფრქვევდა, მაგრამ არ იქნა, მოკრთალებით აკანკალებული თაისი ერთთავად ერთსა და იმავეს უპასუხებდა:

არ მინდა! არ მინდა!

— ორი კვირის შემდგომ როცა ლოლიუსს ნებას დაჭეცა, მხოლოდ მაშინ მიხვდა თაისი, რომ იმასაც უყვარდა იგი. დაუყონებლივ მის სახლში გადავიდა და ერთ წუთითაც აღარ ანებებდა თავს: მთელ დღეს კარჩაკეტილ ოთახში ატარებდნენ და ერთურთს თვალებში შეჰყურებდნენ ბავშვური აღტაცებით, ბავშვური შეუწყვეტელი ტიტინით. საღამოობით ორონტის უდაბნო ნაპირებზე დასეირნებდნენ, გასწევდნენ ღაფნის ჭალაკში და დაბრუნებას აღარ ჰფიქრობდნენ. ხშირად განთიადისთვისაც კი დაუსწრიათ, რომ სილპიკუსის ფერდობებზე ზამბახი ეკრიბათ. ორთავე ერთი თასიდან სვამდნენ, ხოლო როდესაც თაისი მტევანს პირით მიაწოდებდა თავის მეჯნურს, იგი მის ტუჩებიდან სათითაო მარცვლობით ჰგლეჯდა კბილებითა.

ერთხელ მეროე მოეჭრა ლოლიუსს და ერთი აურ-ზაღრით მოსთხოვა თაისი.

— ეს ჩემი ქალი იყო, ჩემი კოკობი ვარდი... რათ ნართმევთ, რათ?

ლოლიუსმა კარგა დააჯილდოვა დედა მეროე და ისე გაისტუმრა. მაგრამ რაკი ღა რამდენიმე დღის შემდგომ ხელ-ახლათ მოიჭრა და ზედ მეტი სასყიდელი მოითხოვა, ლოლიუსმა ვეღარ მოითმინა, გაანჩხლდა და ციხეში ჩააგდებინა, ხოლო სამსჯავროში დედაბერს კიდევ რამდენიმე დანაშაული მოაკერა თავზე და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მართლაც, უბედური, ნადირთა კერძი გახდა ცირკში.

თაისსაც შეუყვარდა ლოლიუსი მთელი თავისი არსებით, მთელ თავის ცელქი ოცნების ქარიშხალით და უმანკოების განსაცვიფრებელი გატაცებით. ამ დროს მისი ჩურჩული მართლა მისი გულის ღვთაებრივი ჩურჩული იყო:

— მე შენს მეტს არვის ვკუთნებივარ, არც ვეკუთვნები· ლოლიუსი უპასუხებდა:

— შენ კიდევ არც ერთს ქალს არა ჰგევხარ, ჩემო სიკოკხლეო.

ასეთი მომხიბვლელი ზღაპრული ცხოვრება ექვს თვეს გაგრძელდა და ერთიანად წამოინგრა მოულოდნელად. თაისმა ვეკრივ რაღაცა ობლობის სიცივე იგრძნო. ლოლიუსი სულ ველარ იცნო. იგი ჰფიქრობდა:

— ნეტავ ვინ შემიცვალა იგი ასე უცბად? როგორ მოხდა, რომ ეს ეხლა ჩვეულებრივ ხალხს დაემზგავსა და ერთი ბეწოდაც აღარა ჰგავს თავის თავს?

მან მიატოვა ლოლიუსი, თუმცა საიდუმლოდ არ დაუტოვებია, რომ ლოლიუსს ახლა სხვაში იპოვნიდა, ვინაიდან დღეიდან მასში ძველ ლოლიუსის სახეს აღარა ჰხედავდა. ამავე დროს იგი ჰფიქრობდა, რომ იმისთანა კაცთან ცხოვრება, რომელიც არასოდეს არ ჰყვარებია, უფრო ნაკლებად მოსაწყენი იქნება, ვიდრე იმ კაცთან ვიცხოვრო, რომელიც უკვე-აღარ მიყვარსო. ამიტომ იგი გაერია მდიდართა საზოგადოებაში დღესასწაულების დროს, როდესაც შიშველი ქალები და კურტიზანთა მთელი ხროვა ოორონტის ზვირთებსა სძრავდნენ თავიანთ გაშმაგებული ენებიანი სიცილ-კისკისით... თაისიც იღებდა მონაწილეობას ყველა ამ სამხიარულო სანახაობაში, რომელსაც ქალაქი ჰმართავდა. განსაკუთრებით შეუყვარდა თეატრი, სადაც გაქნილი აქტიორები ყველა ქვეყნიდან თავს იყრიდნენ. სანახაობისთვის დამშეული ხალხი მათ დანახვაზე გადარეული ყიჟინებდა.

თაისი გულდასმით თვალ-ყურს ადევნებდა მსახიობთა სახის ნაკვთების თამაშს, მოცეკვეთა პლასტიკას, განსაკუთრებით იმ ტრაგედიების შესრულებას სადაც ღმერთ-ქალნი მონაწილეობას იღებდნენ და ახალგაზრდა ყრმათ ეძლეოდნენ. რაკი ღა შეჰნიშნა, თუ მსახიობნი რა დროს რითი იპყრობდნენ მაყურებელთ, თაისმა გულში გაივლო, მაგათ მოხიბვლას მე უფრო კარგათ შევძლებ, რადგანაც ამ მოთამაშე ქალებზე ბევრად უფრო ლამაზი ვარო. ამის შემდეგ იგი გაემართა მსახიობთა მასწავლებელთან და სთხოვა, მეც მასწავლეთ სცენაზე გამოსვლაო. მისმა სილამაზემ ადვილად ძოჰხიბლა მასწავლებელი. ამას გარდა დედაბერ მეროეს გაკვეთილებს უქმად არ

ჩაეარნა მისთვის, ასე რომ სულ მოკლე ხანში იმდენად გავარ-ჯიშდა, რომ სცენაზე გამოსასვლელად გაკადნიერდა. სადებიუ-ტოდ მას მისცეს დირკეს როლი.

პირველად საშვალო ქების ღირსი ძლივს გახდა. ეს იმი-ტომ, რომ თაისს ჯერ კიდევ გამოცდილება აკლდა, მეორე კიდევ, საზოგადოებაც არ იყო მის შესახვედრად მომზა-დებული. მაგრამ რამდენიმე თვის უნაყოფო გამოსვლის შემ-დეგ მისი სიტურფის ძლიერებამ მალე იჩინა თავი, ასე რომ ახლა მთელს ქალაქში მის შესახებ ღა თუ გაიგონებდით ლა-პარაკსა. მთელი ანტიოქია თეატრის კარებს აწყდებოდა. იმ-პერიის ყველა დიდ-დიდი მოხელე და წარჩინებული მოქალა-ქენი თავს მოვალედ ჰრაცხდნენ თეატრში წასულიყვნენ, რომ უცხო სილამაზის პატრონი ქალი ენახათ სცენაზე. თვით მუშები, ბარგის მტვირთველნი თუ ნავთსადგურის მეზღვაურე-ბი უკანასკნელ ლუკმას იკლებდნენ, რომ თეატრში ადგილი წინდაწინვე უზრუნველ ეყოთ. მგოსანნი თაისის საქებლად ლექსებს სთხზავდნენ. თეთრწვეროსანი ფილოსოფოსნი მაღა-ლის ხმით ჰკიცხავდნენ მას, ხოლო ქრისტიანი მღვდლები ყო-ველ შეხვედრის დროს გზას უქცევდნენ, რომ პირი მოერი-დებინათ. მისი კარის ზღურბლი მორთული იქმნა ყვავილებით. საყვარლებიდან იგი იღებდა უთვალავ ოქროს, მრავალთა ქო-ნება დაუსრულებელ მდინარესავით თავშეუკავებლად მოდიო-და მის ბინისაკენ. თაისი დამშვიდდა. ერთგვარი კმაყოფილება იგრძნო. ამაყი სიმშვიდით განიხარებდა იგი, რომ ამდენი ხალ-ხის სათაყვანებელი გახდა, როგორც მათი საღმრთო კერპი. ბოლოს იქნობამდინაც მივიდა, რომ მრავალთა სიყვარულის გამო თავისი თავი თვით შეიყვარა.

რამდენიმე წლის განმავლობაში ასეთ დიდებასა და სი-ყვარულს განიცდიდა ანტიოქიელთაგან. უეცრივ მან მოისურ-ვა, რომ თვისი დიდება ეჩვენებინა ახლა ალექსანდრიელთათ-ვისაც, სადაც დაიბადა იგი, თავის ბავშვობა გაატარა სისაწუ-ლესა და ათას სირცხვილში, რა თქმა უნდა, მშიერ-წყურვილ-მა, როგორც მტვერში ამოხრჩობილმა გამხდარმა ჭრიჭინამ. ოქროს ქალაქმა დიდის ამბით მიიღო და ახალი სიმდიდრით აავსო იგი. თვითეული მისი სათამაშოთ გამოსვლა დაუსრუ-ლებელი ტრიუმფი იყო. აუარებელმა ცნობისმოყვარემ და მოტრფიალემ დაიწყო მასთან სიარული, მაგრამ თაისი ყველას

ვულგრილად უხვდებოდა, რადგანაც იმედი სრულიად გადაიწყვიტა, ვერასოდეს ლოლიუსს ველარ ვიპოვნიო.

მრავალთა შორის თაისმა ერთი ფილოსოფოსიც მიიღო — ნიკიასი, რომელსაც დიდათა ჰსურდა მისი ხელში ჩაგდება, თუმცა ყველას უმტკიცებდა, მისი ჩემთან ყოლის სურვილი ფიქრადაც არ მოსდისო. მიუხედავად აუარებელი ქონების, იგი მაინც წყნარი და ჭკვიანი კაცი იყო. მაგრამ მან ვერ შესძლო თაისის მოხიბვლა ვერც სიმდიდრით, ვერც სულის სიდიადით, ვერც თუ გრძნობათა აღმაფრენით. პირ-იქით, თაისს იგი არ უყვარდა, თითქმის კიდევაცა სძულდა, რომ ის ასე დამცინავი სახით გამოიყურებოდა. იგი მას შეურაცხჰყოფდა თვისი დაუსრულებელი ეჭვიანობით. თვითონ ურწმუნო იყო, თაისს კი ღრმა რწმენა ბავშვობითვე ჰქონდა ჩანერგული. თაისსა სწამდა განგება, მავნე სულთა ძლიერება, სიმართლე, მართლმსაჯულების გამარჯვება. ასევე სწამდა იესო ქრისტე და სირიელთა კეთილი ღმერთ-ქალი. მას ისიც სწამდა, რომ ძაღლები უმალ ყეფას მოჰყვებიან, როცა ჰეკატა გაივლის სასაფლაოზეო; არც ქალის სიძლიერეში შეჰქონდა ეჭვი; იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქალებს შეუძლიანთ სიყვარულის ზეშთაგონება, ტრფიალების სასმელის ჩასხმა თასში, რომელიც ცხვრის სისხლით უნდა იყვეს შესვრილიო. მას სწყუროდა რაღაცა უცნობის ხილვა, უცნობის დაწაფება; იგი მოუწოდებდა უსახელო არსებათ და საკუთარ სულის უბეში ისე სცხოვრობდა, როგორც ბრმა, დაუსრულებელი ხელის ფათურით. მომავალი მას აშინებდა და მისი გაგების წყურვილი ჰკლავდა. მან გარშემოირტყა იჩიდას ქურუმნი, ქალდეველი ჯადოსნები, ზანგი მკითხავნი, რომელნიც თვალთ-მაქცობდენ და ყოველ ფეხის გადადგმაზე ატყუებდნენ, თუმცა თავს არას დროს არ აბეზრებდნენ. იგი უფრთხოდა სიკვდილს და მის სახეს ყველგან ჰხედავდა. როდესაც ვნებას უთმობდა ადგილს, ისე ეჩვენებოდა, თითქოს ყინულოვანი თითით ვიღაცა მხრებზე მეხებაო. ამ დროს მას თრთოლვა იცვამდა, გაფითრებული სახით წამოიჯრებოდა და სატრფოს მოხვეულ ხელებში შეძრწუნებული მორთავდა ყვირილს.

ნიკიასი მას ეუბნებოდა:

— ნუ თუ სულ ერთი არ არის, ჩემო თაის, ბედისგან შავბნელ წიაღში ძაშინ ჩავიმარხებით, როდესაც თმა გაგვი-

თეთრდება და სახე გამჭკნართ თვითვე შეგვეზარება ჩვენი ხილვა, თუ ეხლა ამ მშვენიერ დღეს, რომელიც მიუწდომელ ცის სივრციდან მომხიბვლელი სახით გვიღიმის? დავსტკბეთ სიცოცხლით, ჩემო კარგო. ჩვენ მაშინ ვიცოცხლებთ ხანგრძლივად, როდესაც წუთიერ სიტკბოებას განვიცდით. არაა სხვა ცნობიერება გრძნობათა გარეშე: სიყვარული... ეს თვით შეგნებაა, შემეცნება! ის რაც არ ვიცით, არც არსებობს. მაშ გულს რათ ვიფუჭებთ არ არსებულის შიშით?

მაგრამ ის ულმობელი იყო და მკაცრად უპასუხებდა:

— მეზიზღებიან ყველანი, ვინც შენებრ იქცევა, არც არაფრისა ეშინიან და არც თუ რისიმე იმედი აქვს. მე მსურს ვიცოდე! ყოვლისფრის გაგება! ყოვლისფრის შესმენა!

რომ ცხოვრების საიდუმლოებას ჩახვედრილიყო, მან ფილოსოფიურ წიგნების კითხვას მიჰყო ხელი, მაგრამ ვერა გაიგო რა. რაც დრო მიდიოდა და სიყრმის ხანასა ჰშორდებოდა, იმდენად უფრო გატაცებით იხსენებდა მას. მას უყვარდა ტანისამოსის გადაცმა და იმ ადგილებში გავლა, სადაც მას სიღარიბეში გაეტარებინა თვისი ბავშვობა. ძალიან ნანობდა, რომ მშობლები დაჰკარგა. განსაკუთრებით ისა სწყინდა, რომ მათი სიყვარული ვერ შესძლო. როდესაც ქრისტიან მღვდელს დაინახავდა, მას აგონდებოდა თვისი ნათლობის ამბავი და რატომღაც ჭღელავდა, ირეოდა. ერთხელ ღამით თავზე მანდილი წამოისხა, თვისი კულულა ნაწნავები ჩაჰშალა და ასე უცნობი სახით დაიწყო ხეტიალი და თვითონაც არ იცოდა, თუ როგორ მივიდა წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასთან. აქ მას შეესმა გალობის ხმა. შეჰნიშნა ასევე სანთლის შუქი. აქ არა იყო რა საკვირველი, რადგანაც ოცი წლის განმავლობაში, რაც გამარჯვებული მაქსენციუსი ქრისტიანებს მფარველობას უწევდა, წირვა-ლოცვა არ შეუწყვეტნიათ მორწმუნეთ და ბრწყინვალედ იხდიდნენ ყოველ დღესასწაულს, მაგრამ გალობა იგი მხურვალედ მოუწოდებდა ყოველ მორწმუნის სულს. თაისმაც ვეღარ მოითმინა. ეკლესიის კარებს მიაწვა და შიგნით შეეიდა. აქ მან დაინახა მრავალი ქალი და კაცი, ბავშვები, რომელნიც წმინდა საფლავის წინ დაჩოქილიყვნენ. ეს საფლავი იყო ტლანქად გამოჭრილი უშველებელი კლდის ნატეხი, რომელზედაც გამოესახათ ყურძნის

ფოთლები და რამდენიმე მტევანი. ამისდა მიუხედავად იმ ქვას დიდი პატივი ჰქონდა. იგი დახურული იყო ბზის მწვანე შტოებით და წითელი ვარდის გვირგვინებით. ირგვლივ აუარებელი სანთლები ისე კაშკაშებდნენ, როგორც წყვდიად-ღამეში ვარსკვლავები. საკმეველიდან ანადენი ბოლი ანგელოზთა სამოსელის ნაოჭებად იზიდებოდა გუმბათისაკენ. კედლებზე კიდევ რამდენიმე სურათი იყო. მღვდელმსახურთ თეთრები ეცვათ და საფლავის გარშემო დაჩოქილიყვნენ. ხალხთან ერთად იგინი ჰგალობდნენ საგალობელს, რომელშიც ჰხატავდნენ ტანჯვის აღტაცებას და დაუსრულებელ სევდას. თაისი სმენად გადაიქცა და მალე იდუმალებათა ქსელში გახვეულმა ნათლად დაინახა, თუ მის აღდგომილ გრძნობებში რარიგი მანქანებით ერთად აირია ერთსა და იმავე დროს ცხოვრების სიტკბობა და სიკვდილის საშიშროება.

როდესაც გალობა გათავდა, მორწმუნენი წამოიშალნენ, რომ სათითაოდ მისულიყვნენ საფლავის საკოცნელად. ესენი იყვნენ უბრალო მუშები, რომელნიც თავიანთ შრომით სცხოვრობდნენ. მძიმე ნაბიჯით მიდიოდნენ საფლავთან და უძრავი სახით ტუჩებს ადებდნენ მის ნაპირზე. ქალები ბავშვებს ხელში იყვანდნენ, რომ არც ესენი დარჩენოდათ დაულოცველნი, ფრთხილად პირს, ან ლოყას მიადებინებდნენ საფლავზე, შემდეგ მუხლს მოიყრიდნენ და ისევ წყნარადვე ჰშორდებოდნენ.

აღელვებულმა და უზომოდ განცვიფრებულმა თაისმა ჰკითხა ერთს იქ მყოფს, თუ რად სჩადიოდნენ ასე.

— ნუთუ არ იცი, ქალო,—უპასუხებს ის,—რომ დღეს წმინდა თევდორეს ნეტარ ხსოვნას ვდღესასწაულობთ? ეს იყო ნუბიელი, ჩვენი თანამოძმე, რომელიც სარწმუნოებისთვის აწამეს იმპერატორ დიოკლიტიანეს დროს. ის იყო მშვიდი, უწყინარი და მოწამე შეიქმნა ქრისტეს სახელისთვის. აი, ამიტომ მოველით თეთრი სამოსელით და წითელი ყვავილებით მოვრთეთ ეს წმინდა საფლავი.

ამის გაგონებისთანვე თაისი დაემხო და მდუღარე ცრემლები გადმოაფრქვია. ნახევრად მივიწყებული ამესის ხსოვნა ეხლა იღვიძებდა მის სულში. სანთლების შუქმა, ყვავილების სურნელოვანებამ, საკმეველის ღრუბელმა, საგალობელთა ჰარმონიამ უეცრივ მისი ნაზი და მწუხარე ხსოვნის აჩრდილი მომხიბვლელ დიდების შარავანდედით შეჰმოსა. ამ სანახაობით დაბრმავებულმა თაისმა ძლივს მოიკრიბა ფიქრის ძალა:

— ის იყო კეთილი და აი ეხლა რა მაღალია, რა ძლიერი, მშვენებით სრული! მერე, როგორ აღემატა ხალხს? რა იყო ეს უცნობი ძლიერი რამე, რომელიც სიმდიდრეზე და მიწიერ სიტკბოებაზე ბევრად უფრო მაღალი არის, უაღრესი?

იგი წამოდგა მეტად ნელა, მიბრუნდა წმინდანის საფლავისკენ, რომელსაც ასე რიგად უყვარდა იგი, მისი იისფერი თვალები, რომლებიც ეხლა ცრემლებით ავსებოდნენ და სანთლების შუქზე ნაღვლიანად უელვარებდნენ. შემდეგ დაჰლუნა თავი და რა მივიდა კრძალვით საფლავთან, ათას სურვილთა დაუშრეტელი წყურვილით მან უკანასკნელმა დააწაფა თავისი ტუჩები მონის ცივ საფლავის ქვას.

შინ დაბრუნებისას თაისმა ნიკიასის ოთახში მიაშურა. იგი მის მოლოდინში იყო. საღამური ტანისამოსის გული გაეხსნა, თმა სურნელოვნებით დაეყარცხნა და თან რაღაცა წიგნს კითხულობდა ზნეობის შესახებ. მის დანახვაზე ნიკიასმა ხელები გაშალა და უცხო ფრინველსავით გულში ჩაიკრა იგი.

— ბოროტო თაის,—უთხრა მომღიმარი ხმით,—ვიდრე შენ მოხვიდოდი, იცი რა ვნახე ამ ხელნაწერში, რომელიც დაუწერინებია ერთს გამოჩენილს სტოიკს თავის მოწაფისათვის? იქნებ გგონია აქ იყოს ჩაქსოვილი სათნოებისა და მაღალ-მაღალი წეს-რიგის ამბები? არა! ამ სასტიკ პაპირუსის ფურცლებზე ათი-ათასობით პატარ-პატარა თაისები დასცეკვავდნენ. თვითეული მათგანი ჩემი გოჯის-ოდენა არც-კი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მათი აგებულობა სრული იყო, ნარნარი, აუწერელი, როგორც რომ შენი, ჩემო თაის! ზოგიერთს წითელი და ოქროსფერი მანტია ესხა; ზოგი კიდევ თეთრ ღრუბელსა ჰგვანდა და ჰაეროვანი სახით დაჰფრინავდნენ თავიანთ გამქვირვალი მარმაშის სამოსით; ზოგიერთი კიდევ სულ შიშვლები იყვნენ, ღვთაებრივად უძრავად იდგნენ და ერთი ვნების მეტს არას უნერგავდნენ ადამიანს; და ბოლოს იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ერთმანეთს ისე წააგავდნენ, როგორც აი ეს ხელი ამ მეორე ჩემს ხელს. ორნივე ილიმებოდნენ. ერთი ამბობდა: „მე სიყვარული ვარ“, მეორე-კი უპასუხებდა: „მე კიდევ სიკვდილი ვარ!“

ამ სიტყვებზე იგი თანდათან უფრო მაგრად იხუტებდა გულში თაისს და სრულებით ვერ ამჩნევდა, თუ ეს ქალი როგორი სასტიკი გამომეტყველებით გამოიყურებოდა. იგი ჩას-

ჩურჩულებდა მომხიბვლელ სიტყვებს, თუმც თაისის ყურს არც ერთი მათგანი აღარ ჩასწვეთებია.

— დიახ, როდესაც ის სტრიქონი წამიკითხავს, სადაც ეწერა: „არაფერმა არ უნდა წაგართვას გულისყური, რათა უფრო უაღრესად ჰყო განსპეტაკებული სული შენიო“. —მე შენზე ვფიქრობდი და ჩემს თავს ვუკარნახებდი: „დაჰკოცნე შენი თაისი ცეცხლზე უფრო დამწველი კოცნით და თაფლზე უტკბესი გრძნებათა ალით!“ აი შენს გამოისად. რანაირად ესმის ფილოსოფიურ წიგნების შინაარსი შენს ფეხთამტვერ ფილოსოფოსსა. მართალია, ყველა ჩვენგანი, რავდენიც უნდა ვიყოთ, ჩვენს აზრებს მხოლოდ სხვის აზრების შემწეობით ვიგებთ და წიგნებსაც ისე ვკითხულობთ, როგორც ეხლა მე, მაგრამ...

თაისი ყურს არ უგდებდა. მისი გული და გონება ისევ ნუბიელის საფლავთან იყო. როდესაც ნიკიასმა გაიგონა მისი ამოოხვრა, შესწყვიტა ფილოსოფიურ აფორიზმების გაშლა, ნაზად აკოცა ყელზე და თითქმის ჩურჩულით გააგონა:

— ნუ ხარ მოწყენილი, ჩემო ბავშვო, მხოლოდ მაშინა ხარ ბედნიერი, როცა ამ ქვეყნიერებას ივიწყებ. ამისთვის ჩვენ მრავალი საშუალება მოგვეპოვება. წავიდეთ, ჩვენი ცხოვრება მოვატყუოთ: მართალია, იგი შურს იძიებს ჩვენსას, მაგრამ რას ვაქნევთ! წავიდეთ, გვიყვარდეს ტრფობის ცეცხლით ჩვენ ერთმანეთი.

მაგრამ თაისმა ხელისკვრით მოიშორა:

— ერთმანეთი გვიყვარდეს?—შეჰკივლა გააფთრებით: განა შენ ვინმე გყვარებია შენს სიცოცხლეში? არც მე მიყვარხარ! არა! არ მიყვარხარ-მეთქი! პირიქით, მძაგხარ! გასწი! ხომ გაიგონე, მძაგხარ-მეთქი! ყველანი მძულხართ, ყველანი, ვინც კი ბედნიერები და მდიდრები ხართ! გასწი! გაეთრიე! კეთილი მარტო უბედური თუ იქმნება თორემ სხვა არავინ... დიახ, არავინ! როდესაც პატარა ვიყავი, ერთ ზანგ მონას ვიცნობდი, რომელიც ჯვარზე გააკრეს. იგი კეთილი იყო, სიყვარულით აღვსილი და ცხოვრების საიდუმლოების გასაღებიც ეჭირა ხელში. შენ იმისი ღირსი არც-კი ხარ, რომ მისთვის თასმები შეგეხსნა ქალამნების გასახდელად. გასწი აქედან! აღარა მსურს კვალად გიყურო!

იგი პირქვე დაემხო ხალიჩაზე და დილამდე თავშეუკავებ-

ლივ ქვითინებდა, თანაც აღთქმასა სდებდა, ეცხოვრა მარტივად, სისაწყლეში, როგორც წმინდა თევდორეს.

მეორე დღეს ისევ ლხინს დაუბრუნდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ მისი სილამაზე არ იყო სამარადისო, ესეც მალე გამოეცლებოდა ხელიდან. ამიტომ სცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სიტკბობა განეცადა და დიდების შარავანდედით შემოსილიყო. თეატრში ეხლა უბრალოდ აღარ გამოდიოდა, თუ წინასწარ კარგად არ იქმნებოდა მომზადებული. და მართლაც: იგი სცენაზე სრული განხორციელება იყო იმ სახეობათა, რომელთა შექმნაც შეეძლოთ მოქანდაკეთ, მხატვრებს თუ აღფრთოვანებულ მგოსნებს. ფილოსოფოსნი და მეცნიერნი მის ყოველს მოძრაობაში რაღაცა ღვთაებრივ ჰარმონიის განსახიერებას ჰხედავდნენ, მისი გრაცია სათნოების აღსავალ კარად გამოჰხატეს და ერთმანეთს არწმუნებდნენ—თაისი ერთსა და იმავე დროს მსახიობიც არის და შესანიშნავი გეომეტრიკაო. უბრალო ხალხი, ღარიბ-ღატაკნი, მოკრთალებულნი და თვით ხეპრე-გაუნათლებელნიც კი, რომელთა წინაშე თაისი არ უკადრისობდა გამოსვლას, მას ჰლოკავდნენ და ისე სთვლიდნენ, როგორც განგების მიერ მოვლენილ წყალობას. მიუხედავად ამისა, ამ ძლიერ ქება-დიდებისა და ხოტბის ქარიშხალში იგი უფრო მეტადა სწუხდა და სიკვდილის შიშით იშლებოდა. აღარასფერს აღარ შეეძლო მისი გართობა, არც ციხე-კოშკს, არც წალკოტს, რომელიც მის საღმრთო საფარს გარშემოერტყა და თავისი სიტურფით მთელი ის მხარე აალაპარაკა.

ამ წალკოტში მისი გულისთვის ახარეს ინდოეთისა და სპარსეთის ხილეულობა, რაზეც აუარებელი ფული იქმნა დახარჯული. პატარა ნაკადულები საამო ჩუხჩუხით რწყავდენ მათ, ხოლო მიმონგრეული კედლები და მარმარილოს სვეტები, ბუროთ მოძღვრის მიერ ხელოვნურად გადმოკიდებულიყვნენ ზედ კლდის პირს და მრავალ ქანდაკით შემოვლებულ ტბის სარკეზე თვალწარმტაც ანარეკლის ბადესა ჰშლიდენ. წალკოტის შუაგულში ამართული იყო ფერიათა მღვიძე. ამ მღვიმეს ეს სახელი იმიტომ უწოდეს, რომ შესავალ კარში სანთლით გამოკვალთილი სამი ქალის ქანდაკი იდგა. ეს ქალები ტანისამოსს იხდიდნენ, რომ ებანავათ. თანაც მოუსვენრად აქეთ-იქით იხედებოდნენ, არავინ დაგვინახოსო. და ყველა ეს ისე ხელოვნურად იყო გაკეთებული, რომ უცხო თვალს მარ-

თლა ცოცხალი ქალები ეგონებოდათ. ამ თავშესაფარში გადმოხეთქილ მჩქეფარე ტალღებიდან სინათლე ისე აშუქებდა, თითქოს ცისარტყელას შარავანდედით შეუმოსნიაო. ირგვლივ, როგორც სალმრთო მღვიმის კედლები, მოფენილი იყო ყვავილის გვირგვინებით, რომლებიც თაისის სილამაზის შესამკობელად დაეკიდნათ. აქვე იყო სატრაგედიო და საკომედიო პირბადეები, მრავალი სასცენო სურათი, ამასთანავე რამდენიმე საოცარი ცხოველის სახე, რომლის მზგავსს მხოლოდ სიზმარში ნახავთ, ანდა ზღაპრებში გაიგონებთ. შუაში ამართული იყო პატარა ეროსი. ეს იყო ძველის ძველი სპილოს ძვლის უძვირფასესი ნამუშავარი, რომელიც ნიკიასმა უძღვნა მას. შავი მარმალილოს თხა სიღრმეში იდგა და ძვირფას ქვის თვალებს ელექტრონსავით აელვარებდა. ექვსი ალაბასტრის ციკანი გარშემოჰხვეოდნენ, თითქოს ძუძუს საწოვლად გამზადებულანო, მაგრამ დედა თხა უსხლტებოდათ: წინა ფეხები კლდეზე შეედგა და თითქოს მწვერვალისკენ გაქცევას აპირებდა. იტალიკი ბიზანტიური ხალიჩით იყო დაფენილი, აქვე გაეშალათ ლიბიის ლომების ტყავები და რამდენიმე ქსოვილი ბალიში, რომელიც კათეს ყვითელ მოდგმის ხალხს შეეკერნათ. აქა-იქ, ბრინჯაოს ვაზებში ნახარები იყო აღყვავებული იასამნის ტოტები. ოქროს კანდელებიდან სუნელოვნება იკმეოდა. სიღრმის მარცხენა მხარეს გაშუქებული ძოწეულით მორთული ფარდა ოქროს ლურსმებით იყო მიჭედილი უშველებელ ინდოეთურ კუს ფარზე, რომელიც თაისის საწოლის მაგიერობასა სწევდა. აი, აქ, ამ წყაროს საამო ჩუხჩუხში, ყვავილებსა და სურნელოვნების შუა თაისი მშვიდად ისვენებდა და ვახშმის მომლოდინე ერთობოდა ათას მეგობრებთან საუბრით, ანუ თეატრის ახალ-ახალ ხელოვნებაზე, ხშირად კიდევ ჟამთამსვლელობის სისწრაფეზე.

იმ დღეს სცენაზე თამაშის შემდეგ თაისი სწორედ ამ ფერიათა მღვიმეში ისვენებდა. იგი ნაღვლიანად დასცქეროდა სარკეში გამომკრთალ თავის სახეს და სცდილობდა, აღმოეჩინა პირველი ნიშნები თავის დაკნობისა. ეს აზრი მას ტანში ჰშლიდა და საშინელ დასკვნას აძლევდა ხელში, რომ მალე დადგება დრო, როდესაც მისი კულულები ჭაღარა თრთვილით შეიმოსება, ხოლო ნარნარი სახე—ნაოჭებით. ამაოდ სცდილობდა დამშვიდებას იმ იმედით, რომ საკმარისია ესა და

ეს ბალახი მოვწვათ, წარმოვსთქვათ ესა და ეს ჯადოსნური სიტყვები, რათა სახის სინორჩე აღვადგინოთო. მაგრამ ულმობელი ხმა თითქოს განგებ ჩაჰკიოდა ყურის ძირში: „შენც დაბერდები, თაის, შენც დაბერდები!“ ამ ხმაზე მას ცივი ოფლით ესხურებოდა შუბლი. შემდგ ისევ ნაზად იხედებოდა სარკეში და კვალად თავის თავს ჰხედავდა სიყვარულის ღირს ქმნილებად, რომელიც უსაზღვრო ნარნარებით შემოსილიყო. ამ დროს კი კმაყოფილი იყო: „მთელს ალექსანდრიაში,—ჩურჩულებდა ნეტარებით, – არ არის ქალი, რომელსაც შეეძლოს მეტოქეობა გამიწიოს სხეულის მოქნილობაში, მოძრაობის გრაციაში და ნაკვთა ნარნარებაში. ჩემი ხელები კი, ოჰ ჩემო სარკეე, სიყვარულის ნამდვილ ჯაჭვს წარმოადგენენ, ჯაჭვს, ჯადოსნურ ჯაჭვსა!“.

როდესაც იგი ამ ფიქრებში იყო, უეცრივ უცნობი შეჰნიშნა გამხდარი სახით, აღზნებული თვალებით, გაბურძვნილი თმითა და წვერ-ულვაშით, რომელსაც გრძელი ძვირფასი სამოსელი ეცვა. მის დანახვაზე თაისი შეკრთა, სარკე ხელიდან გაუვარდა და შეჰკივლა.

პაფნუტი უძრავად იდგა და, რა შეჰნიშნა, რომ მის წინ მდგარი არსება მეტად ლამაზი და მომხიბვლელი იყო, გულში ლოცვას მოჰყვა:

— მომხედე უფალო, მწე მეყავ მე, რათა ამ ქალის სილამაზემ არ შემაცდინოს და გავხადო მხევალი შენი.

შემდეგ თავს ძალა დაატანა და ამეტყველდა:

— თაის. მე შორეულის ქვეყნიდგან ვარ. აქ მოველი იმიტომ, რომ შენი სილამაზის ხმა მეც შემესმა. ამბობენ, შენ ერთი უხელოვნესი მსახიობი ხარ, მასთან მიუვალი. ის, რაც შენს შესახებ არის გავრცელებული შენი სიმდიდრისა თუ საატრფიალო ამბების შესახებ, რაღაცა ზღაპრულ რამედ მიმაჩნია და მაგონებს როდოპის უძველეს ლეგენდას, რომელიც ნილოსის თითქმის ყველა მენავემ სულ ზეპირად იცის. ამ ამბებმა მეც აღმაფრთოვანეს და აღმავსეს სურვილით, რომ მეც მენახე. აჰა, მოველი, განცვიფრებული ვხედავ, რომ სინამდვილე მონათხრობ ამბებს ბევრად აღემატება. შენ ასჯერ და ათასჯერ უფრო კეკლუცი და ხელოვანი ყოფილხარ, ვიდრე ამბობდნენ. და, აი, ეხლა, როდესაც პირისპირ გიმზერ, გულში სულ იმას ვამბობ: „შეუძლებელია ისე მიუახლოვდე, რომ არ წატორტმანდე, როგორც მთვრალი მეთქი“.

პაფნუტიმ პირფერობით წარმოსთქვა ეს სიტყვები. თაისი კი რავდენადმე უკმაყოფილოდ შეჰყურებდა ამ საოცარ არსებას, რომელმაც ანაზდეულად შეაკრთო იგი. ეს უცნაურად მოვლენილი ძალა-უნებურად ანცვიფრებდა მას თავისი ველური გამომეტყველებით და ნაღვლიანად აგზნებული თვალებით. იგი ერთგვარმა ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა ამ კაცის ცხოვრება და ვითარება გაეგო, ვინაიდან იგი არც ერთს მის ნაცნობს არ ჰგვანებია. ამიტომ ოდნავი დაცინვით უპასუხა თვის მოსაუბრეს:

— როგორც სჩანს, შენ ადვილად ეძლევი აღფრთოვანებას. ფრთხილად, რომ ჩემმა შემოხედვამ მთლად არ დაგადნოს! ერიდე, ჩემს სიყვარულს!

მან უპასუხა:

— მიყვარხარ, თაის! თვით სიცოცხლეზედაც მეტად მიყვარხარ, თვით ჩემს თავზედაც მეტად! შენს გამოისად მივატოვე ჩემი უდაბნო, რომელზედაც ეხლაც ბევრს ვწუხვარ; შენი გულისათვის ჩემი დადუმებული ბაგე უწმინდეს სიტყვებს წარმოსთქვამდა; შენ გამოისად ვიხილე იგი, რის ხილვაც აკრძალული მქონდა; შენთვისვე ვისმინე ის, რაც არ უნდა მოგესმინა; შენთვის შეშფოთდა ჩემი სული და განმეხსნა ტანჯული გული; აქედან გადმოხეთქა იმ ნაკადულმა, რომლის ცვარებსაც მტრედები ჰსვამენ; შენთვის დღე და ღამ მოვდიოდი უდაბნო გზითა, არ ვერიდებოდი ბოროტ სულებს, არც თუ აფთართა ხროვას; შიშველი ფეხით მოვარღვევდი გველებით და ჯოჯოებით მოფენილ უდაბნოს ქვიშას, მხოლოდ იმიტომ, რომ მიყვარხარ! დიახ, მე შენ მიყვარხარ, თაის! მიყვარხარ, მაგრამ არა ისე, როგორც აქ გეწვევიან ხოლმე ვნება აღელვებული მამაკაცები, როგორც მშიერი მგლები ანუ გაცოფიანებული ხარები, ოჰ, არა თაის! ამათ შენ ისე უყვარხარ, როგორც ლომს მშველი! მათი გაუძღომელი სიყვარული სისხლით არის შებღალული და ისე ჩაგნთქავს, რომ შენი სულიდან და ხორციდან ნატამალიც-კი აღარ დარჩეს! მე-კი მიყვარხარ ჭეშმარიტებისა და სულიწმინდის სახელით, რათა სიყვარული ესე იყოს სამარადისო, უკუნითი უკანისამდე დაუსრულებელი! ის, რასაც ეხლა ვგრძნობ შენთვის გულში, არის ჭეშმარიტება და მოწყალება განგებისა! ამისთვის გპირდები უფრო უმჯობეს საჩუქარს, ვიდრე ვნებით დათრობაა, ანუ წყნარ ღამის მომ-

ხიბვლელი სიზმრები! გპირდები უწმინდეს ძმობის მეჯლისს და ზეციურ ქორწინებას! ჩემგან მოძღვნილი ნეტარება იქმნება დაუსრულებელი, იგი გამოუთქმელია, უაღრესი! იგი ისეთი მომხიბვლელია და წარმტაცი, რომ მისი ჩრდილიც-კი რომ იხილონ მომაკვდავებმა, მყისვე განცვიფრებით განუტევებდნენ სულს.

თაისი უსმენდა... იცინოდა:

— მეკობარო, — უთხრა მან, — მაჩვენე ეგ საოცარი სიყვარული. ნუღარ ახანებ! გრძელ-გრძელი განსჯა ჩემს სიკეკლუცეს შეურაცხჰყოფს. მაშ ნუღარ დავკარგავთ ძვირფასს დროსა. მსურს გავეცნო იმ ნეტარებას, რომელსაც ეხლა შენ მე მპირდები. მაგრამ ვშიშობ-კი, ვაი თუ მაგ ნეტარებას ვერასდროს შივხვდე და ის, რასაც შენ მპირდები, მხოლოდ სიტყვად დარჩეს. და განა ეს ასე არ არის? ბედნიერების აღთქმა უფრო ადვილია, ვიდრე მისი მიცემა-მინიჭება. ვფიქრობ, შენ მხოლოდ მსჯელობის უნარი გაქვს და სხვა არაფერი. აი, ეხლა მეუბნებოდი რაღაც უცნაურ სიყვარულზე. მე-კი ის ვიცი, რომ უხსოვარ დროიდან ადამიანები ერთურთს ჰკოცნიან, მომხიბვლელ ზღაპრებს უამბობენ. საოცარი იქმნებოდა, რომ დღემდე კიდევ რაიმე საიდუმლო ყოფილიყოს გამოსამჟღავნებელი ამ სფეროში. დიახაც, ამ საგანზე თვით საყვარლებმა უფრო მეტი იციან, ვიდრე ჯადოსნებმა.

— ნუ დაიცინები, თაის, მე შენ მოგიძღვნი უცნობ სიყვარულის თაიგულსა!

— მეგობარო, შენ დაგვიანდი. უკვე ყოველგვარი სიყვარული ვიცი, შევიგნე, განვიცადე და რას მეტყვი ისეთს, რაც არ ჰსმენოდეს ან ჩემს გულსა, ან ჩემს ვნების ცეცხლს?

— ჩემი მოძღვნილი სიყვარული დიდების შარავანდედით იქმნება შემოსილი, მაშინ როდესაც ის სიყვარული, რომელსაც შენ დღემდე იცნობ, სირცხვილის მეტს არას გაჩვენებს.

თაისმა მდუმარედ გადაჰხედა. სასტიკი ნაოჭი გადაეკრა ნაღვლიან შუბლზე.

— შენ მეტად თავხედი ყოფილხარ, — უთხრა ბოლო დროს ნაღვლიანად, — სულ ტყუილად არცხვენ შენს დიასახლისს. აბა შემომხედე და პირდაპირ მითხარ, ნუთუ ისეთი ქმნილება ვარ, რომელიც მოკლებულია დიდებასა? არა, ამით ვამაყობ და

არცა მრცხვენის! ყველა ისინი, ვინც ჩემებრ სცხოვრობენ, არას ირცხვენენ, თუმცა ჩემზე ნაკლებად ლამაზები არიან და ჩემი სიმდიდრეც მათ თვალსა სჭრის. ყოველ ნაბიჯზე მიჩოვაბნეული ენებითა თესლსა და მით მოვიხვეჭე მსოფლიოში დიდების სახელი! მე თვით ამა ქვეყნის მპყროპელ მეფეებზედაც-კი ძლიერი ვარ. მე ფერხთა ქვეშ ჩამვარდნიან და მოწყალეობა უთხოვნიათ. აბა დაჰხედე ამ ჩემს პაწაწა ლამაზ ფეხებს: ათასი და ათი-ათასი ეხლავე თავს გასწირავდა და სისხლს მოუფიქრებლად დაანთხევდა, ოღონდ ამათი კოცნით ბედნიერება ჰღირსებოდათ. აი, ხომ მხედავთ, რა პატარა ვარ და რა მცირე ადგილს ვიკავებ. ვინც სერაპისის ტაძრის თავიდან დამინახავს ქუჩაზე გავლის დროს, უეჭველია, ბრინჯის მარცვლად მოვეჩვენები, მაგრამ ეს მარცვალი იმდენი ხალხის უბედურობისა და სიკვდილის მიზეზი იყო, იმდენ ბოროტმოქმედების, შურისა და სასოწარკვეთილების სათავე, რომ მით მთელი ზღვა-ქვეყანა გაივსებოდა. ნუთუ სისულელე არ არის შენი მხილება, ვითომც ჩემი სიყვარული სირცხვილისა და შეურაცხყოფის ბუდე იყოს, მაშინ როდესაც ყოველისფერი მხოლოდ ერთს დიდებას მიღაღადებს ანგელოზთა ხმით?!

— ის, რაც ხალხის თვალში დიდებად ითვლება, შერცხვენას ნიშნავს ღვთის წინაშე. ჰოი, დედაკაცო, ჩვენ იმდენად სხვა-და-სხვა ქვეყანაში ვცხოვრობდით, რომ ერთურთის აზრის გაგება გვიჭირდება. ამიტომ, საკვირველი არ უნდა იყოს, თუ სხვა-და-სხვა ენაზე ვლაპარაკობთ. მე-კი, ღმერთია მოწამე, ვცდილობ, რომ გაგაგებინო ყოველისფერი და არც მოვიცვლი აქედან ფეხს, ვიდრე ჩვენი გრძნობანი ერთ დონეზე არ დადგებიან. ნეტა ვინ მომცემს ისეთ აღგზნებულ სიტყვების ძლიერებას, რომ შენ დაგადნო სანთელივით, რომ ჩემს სურვილთა თითებით აღგიტაცო და იმად გარდაქქმნა, რადაც მსურხარ? რა ძალა მომანიჭებს შენს თავს, ჰოი მთრთოლავო სულო, რომ ჩემ შთამგონებელ სულის ძალით გაუწყო ახალი სიმშვენიერე, რომლის ხილვით დასტკბე და ცრემლებით წამოიძახო: „აჰა, მხოლოდ დღეს დავიბადე!“ ნეტა ვინ გადმოადენს ჩემი გულიდან სილოამის წყაროს, რომ შიგ განიბანო და კვალად ჰპოვო შენი დაკარგული უბიწოება? ნეტა ვინ გარდამქნის იორდანეს მდინარედ, რათა ტალღებში გამოგხვიო და ცხოვრება დაუსრულებელი გაგემებინო მომაკვდავსა?

თაისი აღარ ანჩხლობდა.

— ეს კაცი,— ჰფიქრობდა იგი, სამარადისო ცხოვრებაზე მესაუბრება. ერთი სიტყვით, ისე გამოდის, თითქოს თვითეულ სიტყვას ჯადოსნურ წიგნის ფურცლებიდან კითხულობსო. უეჭველია, ეს ვინმე აღმოსავლეთის მოგვი იქნება და თან მოიტანდა ისეთ წამალს, რომელიც სიკვდილსა და სიბერეს ეწინააღმდეგება.

და გადასწყვიტა, დაჰნებებოდა. ამიტომ, განგებ თავი ისე დაიჭირა, ვითომც რიღაცისა ეშინიანო, მღვიმის სიღრმისკენ გადასდგა რავდენიმე ნაბიჯი, თავის საწოლის ნაპირზე ჩამოჯდა, ხელოვნურად წამოსასხამი გადაიგდო შიშველ მკერდიდან, შემდეგ შეჩერდა და ასე უძრავი, მდუმარე სახით მის მომლოდინე ძირს დაიყურებოდა. ხშირი წამწმები სახეზე საოცნებო ჩრდილს აყენებდნენ. მთელი მისი პოზა მორჩილებასა ჰხატავდა; თეთრი, შიშველი კოხტა ფეხები წყნარად გადმოჰკიდა საწოლიდან და უმანკო ბავშვსავით აათამაშა, რომელიც წყლის ნაპირას. ზის და თავისთვის თამაშობს.

მაგრამ პაფნუტი უძრავად იდგა, თუმცა თვალს ვერ აშორებდა მას. ათრთოლებული ფეხები მუხლებში ეკეცებოდა, პირში თითქოს ენა გაუშრა, თავში რაღაცას განუწყვეტელი შხუილი გაჰქონდა. უეცრივ თვალი დაუბნელდა და თვის წინ ლეგა ღრუბლების მეტს აღარას ჰხედავდა. მან იფიქრა, უეჭველია, ეს იესომ თვალზე ხელი დამაფარაო, რომ ეს მაცდური დედაკაცი არ დამანახვოსო. ამით გამხნევებული, ის კვლავ განმტკიცდა და ამაყად მიჰმართა მას, როგორც უდაბნოს ლირსეულმა მოხუცმა განდეგილმა:

— თუ დამნებდები, ნუთუ ბგონია, დაემალვი მეუფის თვალსა?

მან თავი გააქნია.

— მეუფის თვალსა? მერე ვინ ატანს ძალას, რომ უდარაჯოს ფერიათა მღვიმეს? დაე, გაგვშორდეს, თუ მას ჩვენ შეურაცხვყოფთ! მაგრამ რითი შეგვეძლო მისი გაჯავრება? რითი ვაწყენინებთ მას? რადგანაც მან შეგვქმნა, მას არა აქვს უფლება გაჯავრებისა, თუ დაგვინახა, რომ ჩვენ სწორედ ისეთები ვართ, როგორიც შეგვქმნა და ვიქცევით იმ ბუნების დაგვარად, რომელიც თვით მან მოგვანიჭა. მაგრამ რა, მასზე ბევრს რამეს ამბობენ და ხშირად ისეთ აზრებს აწერენ, რო-

შელიც თვით მას იქნებ ფიქრადაც არ მოსვლია. აი, თუნდა შენ, მითხარ, უცნობო, თვით შენ-კი მართლა კარგა გესმის მისი თვისება? ან ვინ ხარ, რომ მისი სახელით მესაუბრები?

ამ შეკითხვაზე პაფნუტიმ გადიძრო ძოწეული და გამოჩნდა თავისი საკუთარი ძაძის სამოსით:

— მე ვარ პაფნუტი, ანტინოეს წინამძღვარი და მოვალ წმინდა უდაბნოდან. იმ ხელმა, რომელმაც აბრაამი ქალდეელთან გამოიყვანა, ხოლო ლოტი სოდომიდან, მომწყვიტა ამა ბიწიერ ქვეყანასა. უკვე ხალხისთვის არ ვარსებობდი, მაგრამ შენი სახე ჩემ უდაბნო იერუსალიმის კედლებთა შორის მომეცლინა და ვცანი, რომ აღვსილხარ ბიწიერებით და რომ სიკვდილი ჰხეფობს შენში. და აი, დედაკაცო, ეხლა ვდგევარ შენს წინაშე, როგორც საფლავის წინ და მოგიწოდებ: „თაის, ალსდეგი!“.

პაფნუტის სახელის გაგონებაზე, რომ ეს ბერია და წინამძღვარი, თაისი გაფითრდა და შეძრწუნებული აცახცახდა. უეცრივ თმები გაიწეწა, გულზე ხელი დაიკრიბა და მის ფერხთა წინაშე მოჰყვა გოდებას და მოთქმასა:

— ნუ მომაყენებ ბოროტებას... რად მოხვედი? რა გინდა ჩემგან? ნუ მომაყენებ ბოროტებას. ვიცი, რომ წმინდა მეუდაბნოებს სძულთ ისეთი ქალები, რომელნიც ჩემებრ ქვეყნიერების მოსახიბლად დაბადებულან. მეშინიან... მეშინიან ბოროტი თვალით არ შემომხედო და არ დამწყევლო! ვაჰიმე, განა ეჭვს შევიტან შენს ძლიერებაში? მაგრამ უწყოდე, პაფნუტი, რომ არა ვარ ღირსი შეძულებისა და წყევლა-კრულვის. მე არასოდეს არ დამიცინია შენი ნებსითი სილატაკისთვის, როგორც ამას სჩადიან მრავალი ჩემი სტუმრები. შენც შენის მხრით დანაშაულებად ნუ ჩამითვლი ამ სიმდიდრესა. მე მეტად ლამაზი და ხელოვანი ვარ თამაშობის დროს. ჩემი მდგომარეობა ისე ამოვირჩიე, როგორც თვით ჩემი ბუნებრივი მიდრეკილება მამხილებდა. მე სწორედ იმისთვის დავბადებულვარ, რასაც ვაკეთებ. დავბადებულვარ ხალხთა მოსახიბვლელად. ნუ ... ეს ჩემი ბრალი არის? აი, შენც ამ წუთში ამბობდი, რომ გიყვარვარ. ნუ მოიმარჯვებ შენს ცოდნათა ჯადოსნურ ძალას, ნუ წარმოსთქვამ საიდუმლო სიტყვებს, რომ ჩემი სილამაზე დაითრგუნოს, რათა მარილის სვეტად გარდავიქმნე! ოჰ, ნუ, ნუ იზამ! ნუ მაშინებ... მე ისედაც ძალზედ ვარ შე-

შინებული!.. ნუ მომკლავ!... ოჰ, რომ იცოდე, თუ როგორ მეშინიან სიკვდილისა...შავბნელი სიკვდილისა!..

მან ანიშნა, ადექიო. შემდეგ მიჰართა:

— დამშვიდდი, ბავშვო, შურისძიებით არ დაგსჯი შენ. მოვალ იმის სახელით, ვინც რომ ჭის გვერდით იჯდა და იმ სურით დალია წყალი, რომელიც ცოდვილმა სამარიელმა ქალმა მიაწოდა, ან და ვინც ივახშმა და დაიძინა სვიმონთან, ხოლო მარიამს ნება დართო, რათა ამ ცოდვილ ქალს სურნელოვნებით დაებანა მისთვის ფეხები. მეც არ ვარ უცოდველი, რომ პირველმა ქვა მე გესროლო. ხშირად ბოროტად მოქმედარნია, რაც ღმერთს ჩემთვის უწყალობებია. ამიტომ არა რისხვამ, არამედ შენმა სიბრალულმა მომიყვანა აქ. ამიტომვე ძალმიძს მოგმართო სრული სიყვარულით, ვინაიდან აქ თვით ჩემი გულის მისწრაფებამ წამომიყვანა. აბა, მე ვიწვი შეწყალების ცეცხლით, ეხლა შენს თვალებს, რომელნიც შეჩვეულნი არიან მხოლოდ ერთ ტლანქ ხორციელ სანახაობათ, ეხლა მეთქი, გიმეორებ, რომ მათ შეეძლოთ საიდუმლო ნათლის განჭვრეტა, მაშინ მიხილავდი, ვითარცა მოკვეთილ იმ ბუჩქის შტოს, რომელიც უფალმა ჩვენმა აჩვენა მოსეს, ცეცხლი ეკიდა და კი არ იწოდა. ამითი მან მისცა ჭეშმარიტ სიყვარულის შემეცნება, რომელიც მუდამ აღზნებულია და კი არ იწვის, რათა სურნელოვნებად ააკმიოს რასაც მოედვის.

— უცნობო ბერო, მჯერა და არც თუ მეშინიან შენი შეჩვენებისა. ხშირად გამიგონია თებაიდელ განდეგილთა შესახებ. რაც რომ ანტონისა და პავლეს ცხოვრებაზე უთქვიათ, მართლაც რომ საოცრება რამ არის. არც თუ შენი სახელია ჩემთვის უცნობი. მითხრეს, რომ მიუხედავად სიჯიელისა, შენი სათნოებით თვით მოხუცებულ განდეგილებსაც-კი აღემატები. რა წამსაც თვალი მოგკარი, მაშინვე მივხვდი, რომ არაჩვეულებრივი ადამიანი იყავი. მითხარ, შეგიძლიან ის გააკეთო ჩემთვის, რასაც ვერ მისწვდნენ ვერც იზიდას ქურუმნი, ვერც ჰერმესისა და ციურ იუნონას წმინდა მსახურნი, არც თუ ქალდეველი მოგვები? აბა, თუ მართლა გიყვარვარ, მითხარი, შეგიძლიან, სიკვდილს ხელი შეუშალო და გადამარჩინო?

— დედაკაცო, მხოლოდ ის იცხოვრებს, ვისაც ცხოვრება უნდა. განუტევე ეს ბიწიერი სიტკბოებანი, რომლითაც სამარადისოდ იღუპავ თავს. ხელიდან გამოჰგლიჯე ეშმაკებს ეს

შენი ხორცი, რომელიც ღმერთმა განწმინდა სულის შთაბერვით, გამოჰგლეჯე ხელიდან მეთქი, რომ საზარელ სახით არ დასწვან ჯოჯოხეთის ალზე. დაღლილ-დაქანცულს ამდენი ბილიერებით, ეხლა გეკერვება დასვენება: წარვედ განდეგილობის კუთხეულ წყაროზე და ის გაგაგრილებს შენ! წარვედ, დაეწაფე უდაბნოს შადრევანთ, რომელნიც უხილავ სახით თვით ცათამდე ისვრიან ზვირთებს! დაღლილო სულო, წარვედ და მიიღე იქ, რასაც ეძებდი! მწყურვალე გულო, ნეტარების მაძიებელო, წარვედ და იგემე ჭეშმარიტი სიხარული: სიღარიბე, უარისყოფა, თავის დავიწყება, მთელი არსებით განდგომა ზეციურ მეუფისათვის—აი გზა ახალი ცხოვრებისა, გზა აუწერელი სიხარულისა! ქრისტეს დაუძინებელო მაგინებელო ხვალ-კი მის საყვარელო სასძლოო, მივედი მასთან, ნუ ახანებ! წარვედი მასთან, მის მაძიებელო, წარვედ და, რა იხილავ, იტყვი: „აგერა, ვპოვე სიყვარული!“

თაისი ამ დროს თითქოს რაღაცა შორეულს უქვრეტდა.

— მამაო,— ჰკითხა მან,— მე რომ უარვყო ეს სიტკბოება და მოვინანიო ცოდვები, მართლა უკნობი სხეულით აღმოვცენდები ზეცად მთელი მშვენიერების სიძლიერით?

— თაის, მე შენ მოგიძღვნი სამარადისო ცხოვრებასა. მერწმუნე, ჭეშმარიტებას გაუწყებ...

— მაგრამ ვინ მექმნება თავდებად, რომ ეს ჭეშმარიტებაა?

— დავითი და წინასწარმეტყველნი, საღმთო წერილი და სასწაულები, რომელთა მოწამეც თვით იქმნები.

— იცი რა, მინდოდა შენი სიტყვები დამეჯერებინა. ეს იმიტომ, რომ, გამოგიტყდები, ამ ქვეყნად ბედნიერება ვერა ვპოვე. ჩემი ხვედრი უფრო უმშვენიერესი იყო, ვიდრე რომელიმე დედოფლისა, მიუხედავად ამისა, ცხოვრებამ მწუხარების შეტი არა მაჩვენა-რა, რისგანაც ძალზე მოვიქანცე. ყველა ქალებს ჰშურთ ჩემი ბედი, მე-კი ხშირად ერთ უკბილო დედაბრის ბედი მინატრია, რომელიც ერთ დროს ტკბილ კვერებს მომყიდდა ხოლმე ამ ქალაქის ძველ კარის ბჭეს ქვეშ. ხშირად მოსვლია ფიქრად, მართლ ღარიბები არიან კეთილნი, სათნოიანი ხალხი, ბედნიერები, კურთხეულნი, უეჭველია, სიღარიბეში და მოკრძალებაში ყოფილა ყოველისფერი მეთქი. აჰა, ახლა შენც შეარყიე ჩემი სული და გამოამზეურე, რასაც აქ-

ნობამდე ეძინა ჩემში. ეჰა, ვის ვენდო? ვის დავუჯერო? რას მოვეკიდო? ან რა არის ჩვენი ცხოვრება?

ამის გამგონე პაფნუტიმ პირჯვარი გადიწერა. რაღაცა ზეციურმა სიხარულმა სახე გაუბრწყინა ნეტარებით.

— ყური დამიგდე, — უთხრა მან, — აქ შენს სამყოფელში, მარტოთ-მარტო არ შემოვ'აულვარ. მეორეც მიწევდა თანამგზავრობას, მეორეც, რომელიც ეხლაც ჩემს გვერდით სდგას. შენ არ შეგიძლიან მისი ხილვა, რადგანაც შენ ჯერ კიდევ მისი დანახვის ღირსი არა ხარ. მაგრამ მალე ნახავ მას მომხიბვლელ დიდებულებით შემოსილს და იტყვი: „მარტო ერთი იგია ღირსი სიყვარულისა, სხვა არავინა... სხვა არავინ!“ აი, ეხლა რომ მადლიერი ხელით არ ვყავდე დაკავებული, ოჰ, თაის, შესაძლებელი იყო ცოდვაში ჩავვარდნილიყავ, ვინაიდან თვით მე მხოლოდ უძლურება და აღშფოთება ვარ! მაგრამ მან ჩვენ ორნივე გამოგვიხსნა! იგი იმდენადვე მოწყალე არის, რავდენადაც ძლიერი, ხოლო მისი სახელი არის მაცხოვარი — მხსნელი! მისი მოსვლა ქვეყნიერებას ეუწყა დავითისა და სიბილეს მიერ, მას აკვანშივე თაყვანი სცეს მწყემსებმა და მოგვებმა, იგი ჯვარს ეცვა ფარისეველთა მიერ, წმინდანმა ქალებმა დაკრძალეს, მისი აღდგომა უწყებულ იქმნა მოციქულთა მიერ, ხოლო ყოველივე ეს შეამოწმეს მისი სახელით წამებულთა ლეგიონმა. და აი, როცა მან დაინახა, რომ შენ სიკვდილისა გეშინიან, აქ, შენს საფარში, დედაკაცო, მოვიდა საკუთარ ფეხით, რათა არ მოგკლას, უკვდავი გყოს. ასე არ არის ჰოი იესო?! შენ ეხლა ისე მეცხადები, როგორც გალილეველთ იმ სასწაულმოქმედ დღეს, როდესაც შენთან ერთად ზეციდან შთამოსული ვარსკვლავები ისე ახლოს იყვნენ ცოდვილ მიწაზე, რომ თვით ბავშვებიც-კი ხელში იღებდნენ და თავიანთ დედებთან ერთად თამაშობდნენ ბეთლემის ყოველ კუთხეს. ასე არ არის, იესო მაცხოვარო ჩემო, რომ შენ ჩვენ შორის ხარ და შენ მაჩვენებ შენს ძვირფას სხეულს? ეს ხომ შენი სახეა, თვით ეს ცრემლი, რომელიც ლოყაზე მოგდის, ნუთუ ნამდვილი ცრემლი არ არის? დიახაც! სამარადისო მართმსაჯულების ანგელოზი აიღებს მას და ეს იქმნება თაისის სულის სასყიდელი. ასეა, განა, იესო, შენ აქ ხარ, აქა, ჩვენთან ახლოს? მაგრამ აგერ, შენი ღვთაებრივი ბაგე იხსნება. შენ გსურს ლაპარაკი: სთქვი, მე ყურს გიგდებ. შენც, თაის, ბედ-

ნიერო თაის! ყური დაუგდე, რას გეუბნება მაცხოვარი! ამას ოვითონ ის ამბობს და არა მე. „დიდი ხანია დაგეძებდი, ჩემო გზა-დაბნეულო, დაკარგულო კრავო! აჰა, გიპოვნე. ნულარ გაიქცევი, უნდა გიტვირთო და მიგგვარო მამას ციურ სასუფეველში. წამო, ჩემო თაის, მომყევი ჩემო რჩეულო შვილო, წამო და ვიტიროთ ერთად!“

პაფნუტი უზომო აღფრთოვანებით დაემხო და თაისმა წმინდანის სახეზე შეჰნიშნა თვით ცოცხალ იესოს სახიერების მეტყველება.

— ოჰ, წარსულო სიყრმის დღეებო,—წარმოსთქვა ქვითინით შენანებულმა ქალმა, ოჰ, ჩემო ძვირფასო მამა ამესი! კეთილო წმინდაო თევდორე, რატომ მაშინ არ მოვკვდი შენს თეთრს მანდილში, როდესაც ახლად მონათლული მოგყავდი შინ.

პაფნუტიმ აღარ დააცალა და აღტაცებით შესძახა:

— როგორ, შენ მონათლული ხარ? ჰოი, მაღალო განგებავ! ჰოი, ღვთაების მაღალო სიბრძნეე! ეხლა კი ვიცი, თუ რა ძალას მოვყავდი აქეთ, ეხლა ვიცი, თუ რა გხდიდა ჩემს თვალში ასე ძვირფასად და ასე მომხიბვლელ ქმნილებად. თვით ნათლის წყლის ძალამ შთამაგონა თავი დამანებებინა წმინდა სავანის კედლებისათვის, რათა მომენახე ამ მოშხამულ ჰაერში მყოფი. წვეთ-წვეთობით შენი ნათლობის წყალი შუბლს მისხურავდა და მაქეზებდა ამ საქმეზე. მაშ მოდი, ჩემო საყვარელო დაო, მოდი და მიიღე ჩემგან ძმის გულწრფელი ამბორი.

და მოკრთალებით აკოცა შუბლზე.

შემდეგ დასდუმდა, რათა განგებისთვის მიეცა დრო უკანასკნელ სიტყვის სათქმელად. მღვიმეში კი თაისის ოდნავი ქვითინი გაისმოდა, რომელიც შადრევნის საამურ ჩუხჩუხს წარმტაც ხმებად ეხლართებოდა.

იგი სტიროდა, სტიროდა თავშეუკავებლივ, ასე რომ ცრემლსაც კი არ იწმენდავდა. ამ დროს ორი შავი მხევალი მოვიდა, რომელთაც სურნელოვნება და ყვავილების თაიგულები მოართვეს.

— ტირილი სრულებითაც არ იყო საჭირო, — სთქვა მან და შეეცადა გაეღიმნა, ცრემლები თვალებს აწითლებენ და სახესაც ფეროვნებას უკარგავენ, დღეს ჩემს მეგობრებთან

უნდა ვივახშმო და მსურს მეტად ლამაზი ვიყო. ჩემს გარდა სხვა ქალებიც იქმნებიან, რომელნიც შეეცდებიან, რათა ჩემი დაღლილობის კვალი იპოვნონ. მხევლებიც დროზე მოვიდნენ! — დროა, ჩამაცვან. წადი, მამაო, ნება მიეცი, ჩამაცვან. ესენი მეტად მარდი და მარჯვე გოგოები არიან. ძალიან კარგი სასყიდელი გავიღე მათში. აბა შეხედე აგერა იმ შავს, ოქროს სამკლავური რომ აქვს და თეთრი კბილები გადმოუყრია: ეს ერთ კონსულის ცოლს გამოვტაცე ვაჭრობის დროს.

პაფნუტის ჯერ ჰსურდა წინააღმდეგობა გაეწია და თაისი ვახშმად არ გაეშვა, მაგრამ რაკი გადასწყვიტა, სიფრთხილე სჯობიანო, ჰკითხა, იქ ვის შეეხვდებითო. მან უპასუხა, რომ მეჯლისის გამმართველს ვნახავთ, მოხუც კოტას, ფლოტის პრეფექტს, ნიკიასს და რამდენიმე ფილოსოფოსს, რომელთაც ნადიმობის დროს კამათი უყვართ. აქვე იქმნება მგოსანი კალიკრატე, სერაპისის მთავარი ქურუმი, მდიდარი ახალგაზრდობა, რომლებიც უმთავრესად ცხენების ხედვნას უნდებიან, და ბოლოს ქალები, რომელთა შესახებ არაფერის თქმა არ შეიძლება გარდა იმისა, რომ მთელი მათი უპირატესობა მათს სიახალგაზრდავეში გამოიხატება. მაშინ განდეგილმა ზეშთაგონებით უპასუხა:

— წარვედი მასთან, თაის, წარვედი! მაგრამ ერთი ნაბიჯითაც არ ჩამოგრჩები, წამოვალ ამ მეჯლისზე, შენს გვერდით დავჯდები და არც ერთხელ ხმას არ ამოვიღებ.

თაისმა გადიხარხარა. და იმ დროს როცა ორი შავი მხეალი დაფუსფუსობდნენ მის გარშემო, უნებლიეთ წამოიძახა:

— ნეტავ რას იტყვიან, როდესაც დაინახავენ, რომ თებაიდელი მეუდაბნოე ჩემი საყვარელია!

მ ე ჯ ლ ი ს ი.

როდესაც თაისი პაფნუტითურთ სამეჯლისო დარბაზში შევიდა, სტუმრები უკვე თავ-თავიანთ სავარძლებში ისხდნენ და ტკბილი საუზმით ერთობოდნენ. მათ წინ ვერცხლის ჭურჭელით გაშლილი ფართო მაგიდა იდგა, რომელსაც ნალის მოყვანილობა ჰქონდა. მაგიდის შუაგულზე ამართული იყო ვერცხლის აუზი. ოთხი სატირი თავზე გადმოჰყურებდა აუზს, ხოლო ხელში კოხტა ტიკჰორები ეჭირათ, საიდანაც მარილ-

წყალი გამოდიოდა აუზის ასავსებად. აქ კიდევ მოხარშული თევზები ცოცხლებსავით დასცურავდნენ ოხშივარ ანადენ ზვირთებში. თაისის დანახვაზე აქეთ-იქიდან ასტეხეს ხმაურობა:

— სალამი ხარიტების დაიას!

— სალამი მდუმარე მელპომენეს, რომლის მეტყველებასაც ყოვლისფრის გამოსახვა შეუძლიან.

— სალამი სანატრელს!

— მას, ვინც რომ ტანჯვასა და მკურნალობასა სწევს!

— როკოტის მარგალიტს!

— ალექსანდრიის კოკობ ვარდსა!

თაისი მოუთმენლად იცდიდა, რომ ეს ქებათა ნაკადული შეწყვეტილიყო; შემდეგ მიჰმართა მეჯლისის მასპინძელს კოტას:

— ლუციუს, აგერა მეუდაბნოე მწირი მოგგვარე, პაფნუტი, ანტინოეს წინამძღვარი, რომლის სიტყვებიც ცეცხლსავით სწვავენ.

ლუციუს ავრელიუს კოტა, ფლოტის პრეფექტი, ზეზე წამოდგა:

— კეთილი იყოს შენი მოსელა, პაფნუტი, შენი, ვინც რომ აღიარებ ქრისტიანთა სარწმუნოებას. თვითონ მეც რაოდენადმე პატივსა ვცემ ამ სარწმუნოებას, რომელსაც დღეიდან სახელმწიფოც აღიარებს. ღვთაებრივმა კონსტანტინემ შენი თანამორწმუნენი პირველ რიგში დაიყენა როგორც მეგობრები და სახელმწიფოს მმართველნი. ლათინთა სიბრძნეს, მართლაც აქნობამდის ადგილი უნდა დაეთმო შენი ქრისტესთვის ჩვენს პანთეონში. ეს ჩვენ მამათა წესი არის, რომ ყოველ ღმერთში რაოდენადმე ღვთაებრიობა დავინახოთ. მაგრამ თავი დავანებოთ ამას. ვსვათ და ვილხინოთ, ვიდრე დრო ხელთა გვაქვს.

მოხუცი კოტა ამას ამბობდა დამშვიდებით. მას ის ის იყო ახალი მასალები გადაეთვალიერებინა და დაესრულებინა მეექვსე წიგნი კართაგოს ისტორიისა. რაკი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ დრო ტყვილად არ დავკარგეო, იგი მადლობელი იყო ღმერთებისა და თავის თავისაც.

— პაფნუტი,--დაუმატა მან, აი აქ შენ ნახავ რამდენიმე პირს, რომელნიც, ჭეშმარიტად, სიყვარულის ღირსნი არიან: აი, ეს ჰერმოდორე, სერაპისის მთავარი ქურუმი, აი ეს ფილოსოფოსებიც: დორიონი, ნიკიასი და ზენოთემისე, აგერ

ეს კალიკრატე, სახელოვანი მგოსანი, ეს კიდევ ახალგაზრდა ხერეასე და არისტობულე, ჩემი სიყრმის ძვირფას თანამგზავრის შვილები; მათ ახლოს კიდევ ფილინა და დროზე სხვდან, რომელთა სილამაზეს სამართლიანად ქებას ასხამენ.

ნიკიასი მივიდა პაფნუტის საკოცნელად, შემდეგ წასჩურჩულა:

— აკი გაგაფრთხილე, ძმაო, ვენერა ძრიელია მეთქი. აქ შენდა უნებურად იმის ტკბილ მეუფებას მოუყვანიხარ. ყური დამიგდე, შენ კაცი ხარ, ღვთაებრიობა შემოსილი, მაგრამ თუ რომ არ იცნობ, რომ თაისი დედაა ღმერთებისა, მაშინ ვაი შენ, სიკვდილი აუცილებელია! იცოდე, რომ მოხუც მათემატიკოს მელანთეს ასე აქვს ჩვეულებად: „ვენერა თუ არ შემეწევა, სრულიად უძლური ვარ, რომ სამკუთხედის თვისებანი დავამტკიცოო!“.

ამ დროს დორიონმა წამოიწია! იგი მთელს ამ ხნის განმავლობაში შინჯავდა ახლად მოსულს, ეხლა თითქოს იცნოო, ტაში შემოჰკრა და განცვიფრებით დაიძახა:

— ეს ის არის, ჩემო მეგობრებო! მისი გამომეტყველება, მისი წვერი, მისი მანდილი! არა, ეს ის არის, ის! მაგას თეატრში შევხვდი, როდესაც ჩვენი ღვთაებრივი თაისი სცენაზე გამოვიდა და მომხიბვლელ ხელებს გვაჩვენებდა, მაშინ ეს მკაცრად ჰღელავდა და შემიძლიან დავამოწმო, რომ თითქოს რისხვით რაღასაც იმუქრებოდა. ეს პატიოსანი ადამიანია და ეხლავე ყველას გაგვცოცხავს. მისი მეტყველება საშინელებაა! თუ რომ მარკუსი ქრისტიანთა პლატონად ითვლება, მაშინ პაფნუტი მათ დემოსთენათ უნდა ჩაირიცხოს. თვით ეპიკურსაც თავის პატარა ბაღჩაში მზგავსი არასოდეს არ ექმნებოდა გაგონილი.

ამასობაში ფილინა და დროზე გაშმაგებული თვალებით ნთქავდნენ თაისს. წაბლისფერი თმა ფერმკრთალი იის გვირგვინით შემოეფარგლნა. თვითეული ყვავილი უნებურად გაგონებდნენ მის თვალთ, ასე რომ თუ ყვავილები ფერმკრთალ გამომეტყველებასა ჰხატავდნენ, სამაგიეროდ თვალები მოელვარე ყვავილებად შუქს ჰფენდნენ ირგვლივ. ეს იყო ამ ქალის დიდი ძღვენი: მასზე ყოველისფერი სცოცხლობდა, ყოველისფერს სული ედგა, ყოველისფერი ჰარმონიით იყო შეზავებული. მისი სამოსელი, ოქრომკედით ნაქსოვი ქობა, ნაფეღლიან

გრაციით შეკმუხვნილი ნოკეპი ისეთი მწუხარედ გამოიყურებოდნენ, რომ მათ ვერლარა ვერ აცოცხლებდა, ვერც ოქროს სამაჯურები, ვერც იაგუნდის ყელსაბამი, ვერც თუ შიშველ გულ-მკერდისა და მკლავების ძვირფასი სამკაულები. მისი სიცოცხლე, მისი ღირებულება მხოლოდ ეს შიშველი გულ-მკერდი და მკლავები იყო. მოშურნე ქალებიც უნებურად ესიყვარულებოდნენ თაისის სამოსელს, თუმცა ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავთ.

— რა კარგი რამ ხარ,—უთხრა ფილინამ,—შენ ამაზე უკეთესი არ იქმნებოდი, როცა ალექსანდრიაში მოხველი. დედაჩემი გიგონებდა ხოლმე. ის მეუბნებოდა, რომ იმ დროს თურმე შენ ბევრი არავინ შეგეღრებოდა.

— ვინ არის,—იკითხა თავისი მხრით ახლა დროზემ,—აი ეს ახალი საყვარელი, რომელიც შენ შემოიყვანე? მაგას როგორღაც არაჩვეულებრივი და ველური გამომეტყველება აქვს. თუ რომ არსებობდნენ სპილოს მწყემსები, უეჭველია, ერთი მათგანი ესეც იქმნებოდა. სად გიპოვნია, თაის, ასეთი ველური მეგობარი? იქნებ ქვესკნელიდან ჰადესის კომლში მონახე და იმიტომ ამოიყვანე, რომ ყველანი დაგვაფრთხო?

მაგრამ ფილინამ პირზე ხელი მიიფარა და გესლიანად შეჰნიშნა:

— ჩუმათ, სიყვარულის საიდუმლოება საიდუმლოებად უნდა დარჩეს, მისი გაგება აღკრძალულია. რაც შეეხება ჩემს გემოვნებას, რაღა თქმა უნდა, უფრო ეთნას კომლიან ბაგეს. ვარჩევდი, ვიდრე ამ კაცის ტლანქ ტუჩების კოცნას. მაგრამ ჩვენი ნაზი და კეკლუცი თაისი, რომელიც ღირსია სიყვარულისა და გაღმერთებისა, იმით აღგვემატება, რომ როგორც ღმერთ-ქალი ყველას თხოვნას ასრულებს და არა მარტო იმათას, ვინც სიყვარულის ღირსნი არიან, ერთი სიტყვით, როგორც ჩვენ ვიქცევით ხოლმე.

— ფრთხილად ორივე,—შეჰნიშნა თაისმა,—ეს ძლიერი ჯადოსანია. მაგას თვით ჩურჩულით წამოთქმული სიტყვები და ადამიანთა აზრებიც კი ესმის. ძილის დროს გულს ამოგგლეჯთ, მის მაგივრად ღრუბელს ჩაგიდებთ და მეორე დღეს, როდესაც წყალს დალევთ, თქვენ მოიშთვებით წყურვილითა.

მისი მეტოქე ქალები გაფითრდენ. თაისმა ზურგი შეაქცია და პაფნუტის გვერდით ჩამოჯდა სავარძელზე. ამ დროს

კოტა წამოდგა და მხიარული ხმით დაჰფარა სტუმრების ხმაურობა:

— მეგობრებო, ყველამ თვისი ადგილი დაიკავეთ! მონებო, დაასხით ღვინო და თაფლი!

და პირველმა თვითონ ასწია ვერცხლის თასი:

— ჯერ ღვთაებრივ კონსტანცისა და იმპერიის სულის სადღეგრძელო დავლიოთ. სამშობლო ყველაფერზე მაღლა უნდა დავაყენოთ, თვით ღმერთებზე მაღლაც-კი, ვინაიდან იგი ყველას ერთიანად შეიცავს თავის სახელის დიად შემეცნებაში.

ყველა სტუმრებმა ტუჩებთან მიიტანეს თავ-თავიანთი თასი. ერთად ერთმა პაფნუტიმ არ დალია ეს სადღეგრძელო, რადგანაც კონსტანცი სდევნიდა ნიკეს სარწმუნოებას, ხოლო ქრისტიანთა სამშობლო არა არს ამ ქვეყნიური.

დორიონმა გამოსცალა სადღეგრძელო, მაგრამ იქვე წაიბუტბუტა:

— რა არის სამშობლო? მოჩუხჩუხე მდინარე. დაუდგროშელია მისი ნაპირები, ხოლო მისი ზვირთები მუდამ იცვლება.

— კარგად ვიცი, ჩემო დორიონ,—უპასუხა ფლოტის პრეფექტმა,—რომ შენ ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს მოქალაქეობრივ საქმიანობას და გწამს, რომ ბრძენი ქვეყნიურ შრომიდან უნდა იყოს განთავისუფლებულიო. მე-კი მგონია, რომ პატიოსანი ადამიანი ყველაზე მეტს ვალდებულებას უნდა ასრულებდეს სახელმწიფოში. სახელმწიფო ეს ისეთი მშვენიერება რამ არის, რომ მისთვის ზრუნვა არავის არ მოსწყინდება.

თავისი მხრით ახლა ჰერმოდორემ შენიშნა დორიონს:

— აი ეს არის ეხლა იკითხა დორიონმა, რა არის სამშობლოო! ეხლავე ვუპასუხებ: სამშობლო, ეს ღმერთთა საკურთხეველი და წინაპართა საფლავებია. თანამოქალაქეებად საზოგადო მოგონება და საერთო იმედი გვხდის და სხვა არაფერი.

ამაზე ახალგაზდა არისტობულემ შეაჩერა:

— ვფცივ კასტორსა, რომ დღეს მეტად მშვენიერი ბედაური ვნახე. ეს დემოფონეს ეკუთვნის. რა მოყვანილი თავი აქვს, სწორე და პატარა ქვემოთა ყბა, მაგარი ფეხები! რა ამაყად უპირავს თავი, თითქოს მამალი იყოს, ისე გულადად იყურება.

მაგრამ ახალგაზდა ხორე არ დაეთანხმა:

— ეგ არც ისე კარგი ცხენია, როგორც გგონია. მეტად ვიწრო ჩლიქები აქვს. აბა ნახავ, თუ მალე არ წახდეს.

მათ კამათი არ დაესრულებინათ, რომ დროზემ გამყვირალი ხმით დაიძახა:

— აჰ, კინალამ თევზის ფხა ყელზე არ დამადგა. ბედზე მივასწარ და ყელიდან ამოვიღე. ღმერთებს ვუყვარვარ, რომ ასეთ განსაცდელს გადამარჩინეს.

— შენ ამბობ, ღმერთებს ვუყვარვარო, ჩემო დროზე,— ჩაერია თავის მხრით ნიკიასი,—მაშასადამე, ისინი ადამიანთა სისუსტესაც იზიარებენ. სიყვარული იმას ეწვევა, ვინც სულიერ სილატაკეს განიცდის. აქაა ადამიანთა სუსტი მხარეცის სიყვარული, რომელსაც ღმერთები დროზესადმი ჰგრძნობენ, ცხადი საბუთია იმისი, თუ რავდენად მახინჯები ყოფილან და რა შორს სდგანან სისრულემდე.

ამის გამგონე დროზე წამოჭარხლდა.

— ნიკიას, შენ სისულელის მეტს არას ჰბოდავ. ეგ საქმეს სრულებითაც არ შეეხება. მაგრამ ეს ხომ შენი თვისებაა, რომ არ გაიგო ის, რასაც გეუბნებიან და ისეთ სიტყვებით უპასუხო, რომელნიც ყოველ აზრს არიან მოკლებულნი.

მაგრამ ნიკიასი ისევ ღიმილით შეჰყურებდა:

— სთქვი, სთქვი, ჩემო დროზე, რაც რამ უნდა სთქვა, შენ მადლობის მეტი არა გეთქმის-რა, რადგანაც ლაპარაკის დროს კოხტა კბილები გიჩანს ხოლმე.

ამდროს დარბაზში შემოვიდა ერთი ძალზე მოხუცებული ადამიანი, რომელსაც ღირსეულად ეჭირა თავი და დარბაზს მშვიდად გადაავლო თვალი. კოტამ ანიშნა, რომ მოხუცს თავის ადგილი დაეჭირა მის გვერდით.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, ევკსიტე,—უთხრა მან— ამ თვეში ხომ ახალი ფილოსოფიური ტრაქტატი არ დაგიწერია? თუ არა ვცდები, ეს უნდა იყოს ოთხმოცდამეთორმეტე წიგნი, რაც რომ ნილოსის ლერწამით შენს მადლიან ხელქვეშ დაწერილა.

ევკრიტემ ვერცხლისფერ თმაზე ხელი გადაისვა და კმაყოფილებით უპასუხა:

— ბულბული სოგალობლად არის შექმნილი, ხოლო მე, იმიტომ, რომ უკვდავი ღმერთები ვადიდო.

ᲓᲝᲠᲘᲝᲜᲘ

ევკრიტეს მოწიწებით მივესალმოთ, როგორც უკანასკნელ სტოიკს. ჰალარა და დარბაისელი ჩვენ შორის ისეა გამობრწყინებული, როგორც წინაპართა სამაგალითო სახიერება! იგი მარტოა, ობლად ჰგრძნობს თავს ბრბოში თუ ხალხში და ისეთ სიტყვებს ამბობს, რომელთა მნიშვნელობა არავის გაეგება.

ᲔᲕᲙᲠᲘᲢᲔ

სცდები, დორიონ. სათნოების ფილოსოფია ჯერ მთლად არ გამქრალა ამ ქვეყნადა. მე მრავალი მოწაფეები მყვანან ალექსანდრიაში, რომში, თვით კონსტანტინეპოლშიაც. მრავალ მონებს და კეისართა შთამომავალთ ძალუძთ თავისუფალი ცხოვრება, რათა ყოველისფრის ჩამოშორებით დაუსრულებელი ნეტარება დაიმკვიდრონ. ზოგიერთები ცოცხლად გვიდგენენ ეპიკტეტსა და მარკ-ავრელიუსს. მაგრამ თუ რომ მართალი ყოფილიყო ის, რომ ქვეყნიერებაზე სათნოება სამარადისოდ იქმნა გაფრენილი, მაშინ როგორ-ღა შესძლებდა იგი ჩემს ბედნიერებას შეჰხებოდა, როდესაც ჩემზე არ ყოფილა დამოკიდებული მისი არსებობა, ანუ მისი დათრგუნვა და მოსპობა? მხოლოდ სულელნი ჰფიქრობენ, დორიონ, ვითომც ნეტარება მათს საკუთარ ძალღონის გარეშე იყოს. მე არა მსურს-რა, რასაც ღმერთები არ ისურვებდნენ, და მსურს ის, რაც იმათ უნდათ. ამის გამო მე ვემზგავსები მათ და, რაღა თქმა უნდა, კიდევაც ვიყოფ მათს უკვდავ კმაყოფილებას. თუ დაიღუპა სათნოება, მეც ხელს მოვაწერ, დაიღუპოს. ეს ჩემი თანხმობა მე მავსებს სიხარულით, როგორც ჩემი გონებისა და მამაცობის უაღრესი ძალღონის მოქმედება. ჩემი სიბრძნე ყოველთვის ჰბაძავს ღვთაებრივ სიბრძნეს, მისგანს ღებულობს ასლს და ეს უფრო ძვირფასი არის, ვიდრე პირველი, ვინაიდან ამისი გადმოღება მეტად და მეტად ძვირად გვიზის.

ᲜᲘᲙᲘᲐᲡᲘ

მესმის! შენ ზეციერ განგების თანამოძმეობა გსურს. მაგრამ თუ რომ სათნოება მხოლოდ ძალღონის მოკრებაში იხატებოდეს, ჩემო ევკრიტე, და იმ ძალდატანებაში, რომლითაც ზენონის მოწაფენი ჰფიქრობენ ღმერთთა თანამზგავსად გავხდე-

ბითო, მაშინ ის ბაყაყიც, რომელიც იბერებოდა და ჰფიქრობდა ხარისოდენად გახდომას, სტოიციზმის სასწაულად უნდა ჩაითვალოს.

ე ვ ა კ რ ი ტ ე

ნიკიას, შენ შენებურად დაიცინები და ამ მხრით, ეგონებ, მეტოქე არავინ გყავს. მაგრამ თუ ის ხარი, რომელზედაც შენ ამბობ, მართლა ღმერთია, როგორც აპისი ან როგორც ამ მთავარ ჭურუმის ქვესკნელში მყოფი ხარი, თუ ის ბაყაყიც ზეშთაგონებული სიბრძნით იქმნებოდა მომადლებული, მაშინ, ნეტარ ეს უკანასკნელი არ იქმნებოდა იმ ხარის ღირსი? ან რა უფლება გექმნებოდა აღკერკძალა ამ პატარა ცხოველისათვის, რომ აღფრთოვანების ფრთები შეეკვეცნა?

ოთხმა მსახურმა სუფრაზე ტახი შემოიტანეს, რომელსაც ჯერ კიდევ ჯაგარი ჰქონდა. ცომისგან გაკეთებული გოჭები გარს შემოერტყათ მისთვის, თითქოს ძუძუსა სწოვენო. ამითი სჩანდა, რომ ტახი ნეზვი უნდა ყოფილიყო.

ზენოთემისე მობრუნდა პაფნუტისკენ და ყველას გასაგონად დაიძახა:

— მეგობრებო, აქ ერთი სტუმარი შემოგვემატა. ეს პაფნუტი გახლავთ, რომელიც განდეგილ ცხოვრებას ეწევა და საოცარი ცხოვრებით იღვწის.

კ ო ტ ა

უმჯობესია გეთქვა, ზენოთემისე, რომ მას ეკუთვნის პირველი ადგილი, ვინაიდან ეგ დაუპატიჟებლად გვეწვია.

ზ ე ნ ო ტ ე მ ი ს ე

აი, სწორედ ამიტომ უნდა მივიღოთ იგი განსაკუთრებული პატივით, ძვირფასო ლუციუს, და ვეცადოთ ისე მოვიქცეთ, როგორც მაგას ესიამოვნება. რაღა თქმა უნდა, ასეთი ადამიანი გემრიელ საჭმელებს იმდენად არ შეჰხარის, რავდენადაც დიდ აზრების სურნელოვნებას. უეჭველია, ჩვენ მაგას იმით უფრო დავაკმაყოფილებთ, თუ სარწმუნოებაზე ჩამოვუგდებთ საუბარს, თუნდა იმ სარწმუნოებაზე, რომელსაც ეგ აღიარებს, ესე იგი, ჯვარცმულ იესოს სარწმუნოებაზე. ჩემთვის ეს მით უფროა სახარბიელო, რომ ეს სარწმუნოება ფრიად მაინტერესებს, განსაკუთრებით ამ მოძღვრების მრავალფეროვა-

ნი იგავები. თუ გამოვიცნობთ აზრს, რაც თვითეულ სიტყვაში იმალება, მაშინ დავინახავთ, რომ მოძღვრება იგი ჭეშმარიტებაა და ძალაუნებურად გვაფიქრებინებს, რომ ეს წიგნები, მართლაც, ღვთიურ განგებით და ზეშთაგონებით უწერიათ. მაგრამ ერთგვარად ვერ შევაფასებ ძველ აღთქმის წიგნებს, ჩემო პაფნუტი, ვინაიდან არცერთი მათგანი სულიწმიდის ზეშთაგონებით არ უწერიათ, როგორც ამას გვიმტკიცებენ თვით ებრაელები. უფრო დასაჯერებელია, რომ აქ რაღაცა ბოროტი გენიოსობის კარნახია. თვით იეღოვაც, რომელმაც ამ წიგნების დაწერა შთააგონა მათ, ერთი იმ სულთაგანი იყო, რომლებიც ჰაერსა შხამავენ და ათას ჭირსა და უბედურობასა სთესავენ კაცთა ნათესავის დასაღუპავად, მაგრამ სული იგი ყველა სულებს აღემატებოდა თავისი სირეგვენით და იმავე დროს უხეში სიმკაცრით. პირიქით, ის გველი, რომელიც ელვარე ოქროსფრთებით შემოეხვია ცნობიერების ხეს, მართლა სიყვარულითა და ცოდნით იყო აღსავსე. ამიტომ აუცილებელი იყო ბრძოლა ორ ძალის შუა: ერთი იყო ბრწყინვალე, ხოლო მეორე—ნაღვლიანი მანდილით მებრძოლი. ეს ბრძოლა ქვეყნიერების გაჩენის პირველი დღიდანვე დაიწყო. ღმერთმა ის-ის იყო შეისვენა, ადამ და ევაც ბედნიერად სცხოვრობდნენ ედემის შუა, არ ეკრძალვოდნენ სიშიშვლეს, უსაზღვროდ უყვარდათ ერთმანეთი და შეჰხაროდნენ ბუნების სიტურფეს, მაგრამ, საუბედუროდ, ბოროტმა იეღოვამ განიზრახა მათი წამება და აჰა, მოშხამა ისინიც და მთელი ის შთამამავლობა, რომელსაც ევა თავისი მუცლით ატარებდა. რაკი-ღა ამ რეგვენს ხელთ არა ჰქონდა ფარგალი, არც თუ იცოდა მისი მოხმარება, არც იცოდა, რა იყო ჩანგი, ხელოვნება, ნადირსავით წამოიქოჩრა და ამ ორ საბრალო ბუნების ბავშვებს ათასი საშინელი გამოცხადებით და ჭექა-გვრგვინვის მუქარით გულს უხეთქავდა. ადამ და ევა მის ჩრდილს ყოველს ნაბიჯზე ჰხედავდნენ, ერთურთს ეკვროდნენ, და ამ შიშზე მათი სიყვარულიც ორკეცდებოდა. გველმა შეიბრალა და გადასწყვიტა მათი განათლება, რათა ცნობიერებით აღფურვილნი ათასი სიცრუით არ მოტყუებულიყვნენ. ეს განზრახვა ჰსაჭიროებდა მეტად დიდ სიფრთხილეს, ხოლო პირველ ადამიანთა სუსტი მხარე ხომ სულ იმედს აკარგვინებდა, რომ მისი ცდა უნაყოფოდ ჩაივლიდა. ამისდამიუხედავად კეთილისმდომელმა დემონმა ცდა

მოახდინა. იეღოვას ფარულად, რომელიც ამტკიცებდა, ყოველისფერს ვხედავო, ნამდვილად-კი ორთავე თვალით ბრმა იყო და. ვერასა ჰხედავდა, იგი მიუახლოვდა ამ ორს ქმნილებას და. მყისვე მოჰბიბლა თავისი ფრთებისა და ჯავშნოსან ქერქის სიდიადით. შემდეგ მათი გონება შეიპყრო ათასგვარი სანახაობით, განსაკუთრებით თავისი სხეულის სწორე სახეობათა მრავალფეროვნებით. იგი ავლებდა წრეს, ელიფსის, ლამაზ ხრახნილს, რომელთა საოცარი თვისებანი შემდეგ ბერძნებმა შეიგნეს და შეითვისეს ხელოვნების აღსაყვავებლად. ადამი უფრო მეტად უკვირდებოდა ამ სახეებს, ვიდრე ევა. მაგრამ როდესაც გველმა ხმა აიმაღლა და ჭეშმარიტებაზე მოჰყვა ქადაგებას, სახელდობრ იმ ჭეშმარიტებაზე, რომლის ჩვენება სიცხადით შეუძლებელი იყო, იგი მიჰხვედა, რომ თიხისგან შექმნილი ადამის გონება მეტად ბნელი იყო, რომ ჭეშმარიტება იგი შეეგნო, პირიქით, ევა უფრო ნაზი და მგრძნობიერი ეჩვენა. ამიტომ ახლა ამას მიჰმართა, როდესაც მისი მეუღლე იქ არ იყო და მას პირველს აუწყა საიდუმლო ჭეშმარიტება...

ᲓᲝᲠᲘᲝᲜᲘ

მაპატიე, ზენოთემისე, მაგრამ არ შემიძლიან არ შეგაჩერო. მაგ მოთხრობით ხელად მივხვდი ნაცნობ მითს, რომელიც გვიხატავს პალადა ათენესის და მდევების ბრძოლას. იეღოვა ძალიან წაგავს ტიფონს, ხოლო პალადას ბერძნები ყოველთვის იმ გველთან ერთადა ჰხატავენ ხოლმე, მაგრამ რასაც შენ ამბობ, ეგ ფრიად საეჭვოდ მიმაჩნია, რომ გველს მართლა მაგოდენი კეთილ-სინდისიერება ჰქონდეს, ანუ ჭკუა. თუ მართლა ეგ ბრძენი იყოს, განა ქალის ჭკუას ენდობოდა, რომელიც მეტად უძლურია, რომ სიბრძნე შეიგნოს? ის უფრო დასაჯერებელია, რომ ეგეც იეღოვასავით სულელი და ცრუ არის, ისეთივე გაუთლელი რეგვენი, და თუ ევა ამოირჩია, მხოლოდ იმიტომ, რომ ის უფრო ადვილი შესაცდენი იყო, ვიდრე ადამი, ვისაც არც გონება და არც თუ გამჭრიახობა აკლდა.

ᲖᲔᲜᲝᲗᲔᲛᲘᲡᲔ

მაგრამ ნუ გავიწყდება, დორიონ, რომ არა გონების გაამჭრიახობით, არამედ გრძნობით ეცნობებიან უმაღლეს დუწმინდეს ჭეშმარიტებას. აი, ამიტომ არის, რომ ქალები, მარ-

თალია, მამაკაცებზე ნაკლები გამჭრიახნი არიან, მაგრამ მათზე უფრო გრძნობიერნი და ადვილად შემთვისებელნი, რის გამოც ესენი უფრო მალე ჰხვდებიან ღვთაებრივ რამეს, მათ აქვთ ნიჭი წინასწარმეტყველობისა, ასე რომ უმიზეზოდ არ უნდა გვეჩვენებოდეს, თუ რომ აპოლონსა და იესო ნაზარეველს ქალი სებრ ჩაცმულსა ჰხატავენ. გველი მისი დამრიგებელი იყო, მაშასადამე, ბრძენი. დიახ, ეს ასე იყო ჩემო დორიონ, და სწორედ ამიტომ აირჩია ევა, ეს რძეზე უთეთრესი ქმნილება, ვიდრე გაუთლელი ადამი. ევაც მორჩილად ყურს უგდებდა ნებას დაჰყვა, რომ ცნობიერების ხესთან მიჰყოლოდა, რომლის ტოტები ცას სწვდებოდნენ, რათა ციური ცვარით დანამულიყო ხოლმე. ამ ხის ფოთლები ყველა იმ ხალხის ენაზე ლაპარაკობდნენ, რომლებიც უნდა წარმოშობილიყვნენ პირველ ხალხისგან. მათი შეერთებული ხმები თანხმოვან ჰარმონიად ეზავებოდა. მისი ნაყოფი აძლევდა მის მქამელს ცნობადის გასაღებს, რომლითაც იგი ეცნობებოდა ათასგვარ ლითონს, ქვებს, მცენარეს, აგრედვე ფიზიკურსა და ზნეობრივ კანონებს, მაგრამ ყველა ეს ცეცხლის ალში იწვებოდა და ვისაც ტანჯვისა და სიკვდილისა ეშინოდა, ვერ ჰხედავდა ამ ნაყოფის პირთან მიტანას. და აი, როდესაც გველის პირველი გაკვეთილი მოისმინა, ევამ დასძლია უსაფუძვლო შიში და მოინდომა ამ ხის ნაყოფის მიღება, რომელიც ყველაფერთან ერთად თვით ღმერთის ვინაობას გააცნობდა. მაგრამ რომ ადამი მასზე დაბლა არა მდგარიყო, მან ამ საოცარ ხესთან მიიყვანა, მოსწყვიტა ალისფერი ვაშლი, ცოტაოდენი თვითონ მოჰკმიჩა და დანარჩენი თავის ამხანაგს გადაულოცა. საუბედურო, ამ დროს იეღოვა შემთხვევით დასეირნობდა ბაღში და, რა შეჰნიშნა, რომ ესენი ღმერთთანასწორი გახდებოდნენ, აუწერელმა სიცოფემ მოიცვა იგი. შურიანობის დროს, ის მეტად შემაძრწუნებელი რამ იყო.. და აი, რა მოიკრიბა მთელი თავისი ძალღონე, ისეთნაირად შეარხია იქაურობა, რომ ორი პატარა არსება კინაღამ შიშით გაჰქრნენ. მამაკაცს ხელიდან ვაშლი გაუვარდა, ხოლო შეძრწუნებულმა ქალი ყელზე ჩამოეკიდა უბედურს და ათრთოლებით ჩასჩურჩულა: „მე მინდა, რომ ისევ რეგვენად დაერჩე და შენთან ერთად ვიტანჯო!“ გამარჯვებულ იეღოვას ადამ და ევა მთელი მისი შთამომავლობითურთ საუკუნოების განმავლობაში

სიპნელეში ჰყავს გამომწყვედეული და შიშისზარსა სცემს ყოველ წუთში. მისი ხელობა, რომელიც მხოლოდ ტლანქი მეტეორებისა და ელვის ისრების ტყორცნაში გამოიხატებოდა, საბოლოოდ გველის ხელოვნებასა სჩრდილავს, რომელიც ერთსადა იმავე დროს იყო მუსიკოსი და მათემათიკოსი. მან შეასწავლა ხალხს უსამართლოება, სიმკაცრე-სირეგვნე და ბოროტება გაამეფა მთელს მიწის ზურგზე. იგი სდევნიდა კაინსა და მის შვილებს, რადგანაც ესენი დაწინაურდნენ და ცხოვრების შესაფერი უნარი გამოიჩინეს. ასევე ამოსწყვიტა მან ფილისტიმლელები, რომელთაც ორფეისავით შესთხზეს კეკლუცი პოემები და მომხიბვლელი იგავები, როგორც ეზოპმა. იგი დაუღალავი მტერი იყო ცოდნისა და სიმშვენიერის, აი, რატომ იყო, რომ კაცთა ნათესავი სისხლის ცრემლებით იგლოვდა საუკუნეთა განმავლობაში ფრთოსანი გველის დამარცხებას. საბედნიეროდ, ბერძენთა შორის გამოჩნდნენ გამჭრიახი მოაზრენი, როგორც, მაგალითად, პითაგორი და პლატონი, რომელთაც თივიანთ გენიოსობის ძალით კვლავ აღადგინეს ის სახენი და იდეები, რომელსაც იეღოვას დაუძინებელი მტერი ამაოდ ასწავლიდა პირველ ქალს. იმ გველის სული მათში გადმოვიდა. ამიტომაც არის, რომ, როგორც დორიონმა სთქვა, ათინელნი პატივსა სცემდნენ მას. შემდეგ, უფრო ჩვენს ახლო წარსულში, ადამიანთა სახით გამოჩნდა სამი ზეციერი სული— იესო გალილეველი, ბაზილიდე და ვალენტინი, რომელთაც მოენიჭათ უფლება ცნობიერების ხიდან მოეწყვიტათ უტკბესი და უგემრიელესი ნაყოფი. აი რის თქმა მინდოდა ქრისტიანთა გასამართლებლად, რომელთაც სრულიად უსაფუძვლოდ ებრაელთა შეცდომებს აწერენ ხოლმე.

დორიონი

თუ არა ვცდები, ზენოთემისე, შენის აზრით სულ სამი ადამიანი ყოფილა განსაცვიფრებელი, იესო, ბასილიდე და ვალენტინი, რომელთაც აგვიხსნეს ის საიდუმლონი, რაც პითაგორს, პლატონს და დანარჩენ ფილოსოფოსთ, თვით ღვთაებრივ ეპიკურსაც კი, დარჩათ აუხსნელი. დიდად დაგვავალებ, თუ აგვიხსნი, რა საშუალებით შეიძინეს ამ მომაკვდავვბმა ის ცოდნა, რომელიც ბრძენთაც კი შეუმჩნეველი დარჩათ.

ზენოთემისე

ნუ თუ კიდევ ვანმეორება გეჭირვება, ჩემო დორიონ, რომ მეცნიერება და სიბრძნე მხოლოდ პირველი საფეხურია ცნობიერების მისაღწევად, და რომ მხოლოდ ერთი აღმაფრენა მიგვიყვანს ხოლმე სამარადისო ჭეშმარიტებამდის?

ჰერმოდორე

მართალია, ზენოთემისე, სული აღფრთოვნებით ისევე საზრდოობს, როგორც ჭრიჭინა დილის ცვარით. მაგრამ ვსთქვათ უფრო ნათლად: მხოლოდ სულსა აქვს თვისება აღფრთოვანებისა და მეტს არასფერს. ადამიანი სამპიროვანია, იგი შესდგება ნივთიერ სხეულისაგან, მეტად ნარნარი, მაგრამ იმავე დროს ნივთიერი სულისგან და უსხეულო არსებისგან. როდესაც არსება გამოდის თავის სხეულიდან, როგორც თვალწარმტაც სასახლიდან, რომელიც უეცრივ მდებარეობისა და განდეგილობის საავანეთ გარდაიქცევა ხოლმე, იგი ფრთას გაჰკრავს სულის წალკოტში, აქ ნახულობს ღმერთს, ერთვის მას და ამით იგემებს ხოლმე აღტაცებას, როგორც სიკვდილის მომლოდინე, უკედ, მომავალი ცხოვრების წინამგრძნობი, წინასწარ განმცდელი. სიკვდილი ეს თვით ცხოვრებაა, ეს ის მდგომარეობაა, რომელიც ფრიად წაგავს ღვთაებრივ სიწმიდის მდგომარეობას, მას ხელთ უპყრია სამარადისო სიხარული და იმავე დროს აბსოლიუტური ცოდნაც. იგი ეუფლება გაერთიანების სამყაროს, რომელიც ყოველისფერია. ერთი სიტყვით, იგი სრულდება, უაღრესია ქმნილთა შორის.

ნ ი კ ი ა ს ი

ეს მშვენიერება რამ არის. მაგრამ, მართალი უნდა გითხრა ჩემო ჰერმოდორე, მე დიდს განსხვავებას ვერა ვხედავ პირველისა და ამ უკანასკნელის შუა. ასე მგონია, თვით სიტყვაც კი არ მოგვეპოვება, რომ აღვნიშნოთ ეს განსხვავება. დაუსაბამო მარადისობა საოცრად წაგავს არ არსებობას: ერთიც და მეორეც მიუწდომელია. ჩემის აზრით ასეთი სისრულე მეტად ძვირად უჯდება: მის მისაღწევად მთელი შენის არსებობით უნდა შეეწირო, ერთი სიტყვით, შესწირო შენი არსებობა— ალარ იყო— ეს, რადა თქმა უნდა, უბედურებაა,

რომელსაც თვით ღმერთიც-კი ვერ ასცდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფილოსოფოსებმა თავში ჩაიდეს მისი სრულყოფა. თუ რომ არ ვიცით, რას ნიშნავს არ არსებობა, აღარც ის ვეესმის, რა არის თვით არსებობა. ჩვენ არა ვიცით რა. ამბობენ, ადამიანებს ერთურთის გაგება არ შეუძლიანთო. მე კი ვფიქრობ, შეუძლებელია საბოლოოდ ერთმანეთს არ შესთანხმდნენ! მაშინ მაინც, როდესაც ერთურთის გვერდით დაჰმარხავენ წინააღმდეგობის უფსკრულში, რომლითაც ისე ამოივსნენ, როგორც პელიონი ოსაზე.

კ ო ტ ა

ფილოსოფიის ერთი მოტრფიალეთაგანი მეც გახლავართ. თავისუფალ დროს ყოველთვის მის შესწავლას ვანდომებ. მაგრამ მათი გაგება მხოლოდ ციცერონის წიგნებში თუ შემიძლიან, თორემ სხვებს სრულებით ვერ ვიგებ. ჰეი, მონებო, თაფლი და ღვინო!

კალიკრატე

აი ერთი კიდევ საოცარი რამ! როდესაც მშიერი ვარ, მაგონდება ხოლმე ის დრო, როდესაც მგოსნები მოწყალე ტირანებთან ერთად სხდებოდენ სუფრაზე. ამის გახსენება ყოველთვის ძალასა მგვრის. სამაგიეროდ როდესაც შენ ამ მშვენიერ ღვინოს მისხავ, ჩემო გულუხვო ლუციუს, მაშინ საინ-ქალაქო და გმირული ხანის ომიანობანი მაგონდება. სირცხვილით ვიწვი, რომ ასეთ დაკნინების ხანაში ვსცხოვრობ, ხშირად თავისუფლებას მოვუწოდებ ხოლმე და ჩემს გონებაში უკანასკნელ რომაელებთან ერთად ფილიპეს მინდვრებზე ვლვრი სისხლს.

პ ო ტ ა

რესპუბლიკის დამხობის დროს ჩემი წინაპარნი ბრუტოსთან ერთად დაიხოცნენ თავისუფლებისთვის. მაგრამ როგორღაც მეეჭვება, ნუ თუ არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ, რასაც ისინი რომაელ ხალხის თავისუფლებას ეძახდნენ, არ იყო ჭეშმარიტი თავისუფლება. იქნებ ისინი სულ სხვა რამისთვის იბრძოდნენ, სახელდობრ, თავიანთ თავის სასახელოდ, თუ ახალ მართველობაში როგორ ნიჭს გამოვიჩენთო. უარს არ ვამბობ, მეც მწამს, რომ თავისუფლება ეს პირველი ბუდნიე-

რებაა ერისა. მაგრამ რამდენსაც ვაკვირდები, რამდენსაც ცხოვრებაში გამოცდილებას ვიძენ, იმდენად უფრო მტკიცედ ვადგები იმ აზრს, რომ მხოლოდ შეუზღუდველ გამგეობას შეუძლიან მისი უზრუნველყოფილება, რაღა თქმა უნდა, მოქალაქეთა სასარგებლოთ. აგერ, ორმოცი წელიწადი სრულდება, რაც სახელმწიფო ვალდებულების უღელს ვატარებ, გამოცდილებამ დამანახვა, რომ ხალხი მხოლოდ მაშინ იჩაგრება და ისრისება მონობის ქვეშ, როდესაც მართველობითი ძალა სუსტია. ამიტომ ,ს ორატორები, რომელნიც სცდილობენ ამ ძალის დასუსტებას, საზიზღარ ბოროტმოქმედებას სჩადიან. თუ რომ ერთის ნებაყოფლობა ხშირად დამღუპველ მიმართულებად მიგვაჩნია, ხალხ.ს შეთანხმებას შეუძლიან წინააღუდგეს მას. სანამ რომაელები მშვიდობიანობის სხივებს მოჰფენდენ ქვეყნიერებას, ხალხი თავს ბედნიერად არა ჰგრძნობდნენ და თვალი სულ თვითმპყრობელთაკენ ჰქონდათ მიპყრობილი, ვინაიდან მხოლოდ მათ ხელში ჰგრძნობდნენ ადამიანობას და სრულს კაცურს უფლებას.

ᲕᲔᲠᲛᲝᲓᲝᲢᲠᲔ

ჩემის აზრით, ლუციუს, უკეთესი მმართველობა არსად არის და ვერც თუ მოვიგონებთ, ვინაიდან თვით ბერძნებიც კი, რომელთაც ამდენი გონების სიმახვილე გამოიჩინეს ახალ-ახალ ფორმების შესაქმნელად, ამ საკითხში უძლურები გამოდგნენ და ხეირიანი ვერა იპოვნეს-რა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენც იმედი უნდა გადავიწყვიტოთ და ხელი ავიღოთ უმჯობესის ძიებაზე. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ უკვე ნიშნები სჩანს, რომ თანდათან ვუახლოვდებით იმ შემაძრწუნებელ ხანას, როდესაც ქვეყნიერება უნდა დაიღუპოს ბარბაროსობის უკუნეთ წყვდიადში. ჩვენ ბედმა გვარგუნა, ჩემო ლუციუს, მოწმები ვყოფილიყავით ცივილიზაციის საზარელ სულის ღაფვისა. ერთად ერთი დიდი იმედი, რაც-კი გონებამ გვიკარნახა, ანუ მეცნიერებამ, ეს არის უგუნური აღფრთოვანება, რათა ჩვენს დასაფლავებას თვითვე ვუყუროთ ყოველ წუთში.

ᲙᲝᲢᲐ

მართლაც ხალხის შიმშილი და ბარბაროსების თავისაწყვეტა ის შემაძრწუნებელი ლახტია, რომლითაც ზურგზე ტყავს

აგვაძრობენ. მაგრამ კარგი ფლოტით, მწყობრი ლაშქრით და ბევრი ფინანსებით...

ჰერმოდორე

რა საჭიროა, ჩემო კარგო, რომ თავი თვითვე არ მოვიტყუოთ? მომაკვდავი იმპერია სულ ადვილად გახდება ბარბაროსების ლუკმა. მალე ვნახავთ ამ მშვენიერს ქალაქებს, რომელთა აშენებაზეც ბერძენთა გენიოსობამ და რომაელთა მოთმინებამ მთელი ძალღონე შეალიეს, ჰო, ვნახავთ მეთქი, რომ სულერთიან დაანგრიონ გამომთვრალმა ველურებმა. აღარ იქმნება ამ ქვეყნად აღარც ხელოვნება, აღარც თუ ფილოსოფია. ღმერთების ქანდაკებანი დაიმსხვრევიან თავიანთსავე საღმრთო საფარ ქვეშ. ეს იქმნება წამი უკუნეთისა და ქვეყნიერების სიკვდილისა! მართლაც და როგორ დავიჯეროთ, რომ ოდესმე მაინც სარმატები არ იუკადრისებენ გონებრივ ვარჯიშობას, რომ გერმანელები შესძლებენ მუსიკისა და ფილოსოფიის შესწავლას, რომ კვადები და მარკომანები თაყვანსასცემენ უკვდავ ღმერთებს? არა! ყოველისფერი იზნიქება და დაღუპვისაკენ იხრება. ეს არის ძველი ეგვიპტის ჟამი! ესეც მის მზგავსად მსოფლიოს აკვნად ითვლებოდა და აჰა, მის განსასვენებელ კარვად იქცა. თვით სერაპისი, ეს სიკვდილის ღმერთიც-კი, უკანასკნელ თაყვანისცემას ეღირსება მომაკვდავთაგან, და მეც, ვგონებ რომ უკანასკნელი ქურუმი ვიქმნები მისი საღმრთო კერისა.

ამ დროს ერთმა საოცარმა ფიგურამ ფარდა გამოარღვია და სტუმრებიც აიშალნენ. ეს იყო პატარა კუზიანი კაცი, მოტვლეპილი თავით. მას ეცვა აზიურს გემოვნებაზე, ცისფერი წამოსასხამის ქვეშ მოსჩანდა ოქროს ვარსკვლავებით მოქარგული ძოწეული. პაფნუტიმ მასში მარკუს არიანი იცნო. უეცრივ გაფითრდა, ასე ეგონა, ეს-ეს არის მის შემოსვლაზე იპექებს და მეხი ქვესკნელში ჩაჰმარხავს ამ კუზიან ეშმაკსაო. ის, რაც ვერ შესძლო მეჯლისის დროს წარმართთა უმეცრებამ, ფილოსოფიურ აზრების აბნევამ, ის შეასრულა ამ ჰერეტიკოსის გამოჩენამ, რამაც სულის სიმტკიცე დაუკარგა პაფნუტის. მას ჰსურდა გაქცეულიყო, მაგრამ ამდროს მან შეჰხედა თაისს, რომლის თვალებიც მოსჩერებოდნენ... და კვლავ გულის სიმშვიდე მოიპოვა. სულიერ განცდით უკვე განსტვრი-

ტა, რომ თაისი წმინდანთა რიცხვში ეწერებოდა და აგერ კიდევაც შემწეობას მიწევსო. ამიტომ, მის სამოსელის კალთა ფრთხილად აიღო და გონებაში დაიწყო ლოცვა.

ქების ჩურჩული გაისმა დარბაზში. ამ კაცს ყველანი ისე იცნობდნენ, როგორც ქრისტიანებს პლატონს. ჰერმოდორემ პირველმა მიჰმართა მას:

— დიდად გვახარებს, ბრწყინვალე მარკუს, რომ შენც ჩვენს შორისა ხარ. მართლაც, დროზე კი მოხველი. ჩვენ ქრისტიანთა სარწმუნოებაზე მხოლოდ ის ვიცით, რასაც რომ საქვეყნოდ ასწავლიან. რაღა თქმა უნდა, რომ ისეთი ფილოსოფოსი, როგორც შენ, ისე არ იფიქრებს, როგორც უმრავლესობა ჰფიქრობს. ამიტომ ჩვენთვის ფრიად საინტერესოა შენი აზრის გაგება, თუ რას ჰფიქრობ იმ ჭარწმუნოების საიდუმლო მხარის შესახებ, რომელსაც შენ აღიარებ? ჩვენი საყვარელი ზენოთემისე, რომელსაც შენც კარგად იცნობ, სიმბოლოებით არის გადარეული და ეს-ეს არის ეხლა ცნობილ პაფნუტის ჰკითხავდა ებრაელთა წიგნების ვითარებაზე. მაგრამ პაფნუტიმ არ უპასუხა. ეს არც გვაკვირვებს, რადგანაც ჩვენი სტუმარი დუმილებას შესდგომია და ღმერთმაც უდაბნოშივე ბეჭედი დაასვა მის ბაგესა. მაგრამ შენ, მარკუს, ხშირად გილაპარაკნია ქრისტიანთა კრებებზე, თვით ღვთაებრივ კოსტანტინეს მიერ მოწვეულ კრებაზედაც-კი, შენ შეგიძლიან, რა თქმა უნდა, თუ-კი ისურვებ, დააკმაყოფილო ჩვენი ცნობისმოყვარეობა და აგვიხსნა ფილოსოფიური ჭეშმარიტებანი, რასაც-კი ქრისტიანთა მითები შეიცავენ. პირველი ჭეშმარიტება ნუთუ ის არ არის, რომ მტკიცდება ერთად ერთი ღმერთის არსებობა, რომელსაც მტკიცედ თვითონ მეც ვაღვიარებ?

მ ა რ კ უ ს ი

რაღა თქმა უნდა, ჩემო საყვარელნო, მე მწამს ერთი ღმერთი, დაუსაბამო, ყოველი ღვთის დასაწყისი...

ნ ი კ ი ა ს ი

ჩვენ ვიცით, მარკუს, რომ შენმა ღმერთმა შეჰქმნა ეს ქვეყანა. ეს, რაღა თქმა უნდა, უდიდესი გარდამავალი ხანის გადაჭრა იყო მის არსებობაში. იგი მთელს საუკუნეთა განმავ-

ლობაში ჰფიქრობდა, ვიდრე ამ გარდაწყვეტილებას დაადგებოდა. მაგრამ ტყუილი რომ არა ვსთქვა, ერთით ძალიან ცუდს მდგომარეობაში იმყოფებოდა იგი თუ ასე არ მოიქცეოდა, მაშინ სულ უმოქმედოდ უნდა ყოფილიყო. ამ მხრით ის იქმნებოდა სრული უაღრესი. ხოლო თუ ჰსურდა თვისი არსებობა დაემტკიცებინა, მაშინ უნდა ამოქმედებულიყო. შენ ამტკიცებ, რომ მან მოქმედება გადასწყვიტა. მზად ვარ დაგიჯერო, თუმცა სრული ღმერთის მხრით ეს მეტად არა საპატიო წინდაუხედავობა იქმნებოდა. მაგრამ გვითხარი, მარკუს, რანაირად დაიწყო მან ქვეყნიერების შექმნა?

მ ა რ კ უ ს ი

არა ქრისტიანეთა შორის, ვისაც კი ჰერმოდორესი და ზენოთემუსეს ოდენა მაინც ცოდნა აქვს, უნდა ესმოდეს, რომ ღმერთს ქვეყნიერება უშუამავლოდ არ გაუჩენია. მან მისცა თავის ერთად ერთს ძეს სიცოცხლის ძალა, რომლითაც ყოველისფერი შეიქმნა.

ჰ ე რ მ ო დ ო რ ე

მართალს ამბობ, მარკუს, და ამ ძეს სხვა-და-სხვა სახელით თაყვანსა სცემენ, ზოგგან ჰერმესს უწოდებენ, მიტრას, ადონაისს, აპოლოს, ზოგგან კიდევ—იესოს.

მ ა რ კ უ ს ი

აბა რა ქრისტიანი ვიქნებოდი, თუ რომ მისთვის იესო ქრისტეზე მეტი სახელი დამერქვია! იგი მაცხოვარია ჩვენი, ქეშმარიტი ძე მეუფისა. მაგრამ იგი არ არის დაუსაბამო, ვინაიდან იგი იშვა, დასაბამი აქვს. თუ ვიფიქრებთ, ვითომც დაბადებამდინ საუკუნოებით არსებობდა იგიო, ეს უაზრობა იქმნებოდა, რაიც ისევ ნიკეის ვირებს უნდა დავუტოვოთ საჩუქრად და კიდევ იმ დიდყურას, რომელიც წყეულ ათანასის სახელით ალექსანდრიის კრებულს ჰმართავდა.

ამ სიტყვების დროს პაფნუტმა სულ ერთიანად დაჰკარგა ფერი. შუბლზედ კიდევ ცივი ოფლი მოასკდა. ათრთოლებულმა პირჯვარი ძლიეს გადიწერა, რათა დიდებულ მდუმარეობისთვის კვალად მიეცა თავი. მარკუსი განაგრძობდა:

— ცხადია, ნიკეის სულელური სიმბოლო სარწმუნოებისა პირდაპირი გალაშქრებაა ღვთის წინაშე, რათა მან იძულებით

გაჰყოს თვისი განუყოფელი არსება, რითაც შეიქმნა ყოველივე. მაშ დროა, ნიკიას, შესწყვიტო ეგ გესლიანი დაცინვა ქრისტიანთა ღმერთზე. იცოდე, რომ ველის ზამბახისავით იგი არც იღწვის და არც ართავს. მოქმედი არა ის არის, არამედ მისი ძე, იესო, რომელმაც შეჰქმნა ეს ქვეყანა და იმიტომ მოგვევლინა, რომ თავისი ნაღვაწი შეასწოროს. მართალია, მისი ქმნილება სრული იყო, სპეტაკი, მაგრამ აუცილებლობის გამო ბოროტებაც ჩაერთო მასში.

ნიკიასი

მერე რა არის კეთილი? ან რას ეძახიან ბოროტს?

მდუმარეობა ჩამოვარდა. ამ დროს ჰერმოდორემ სტუმრების ყურადღება მიაქცია კორინთის ლითონისაგან გაკეთებულ თხას, რომელიც სუფრის შუაგულს იდგა და ზურგზე გადაკიდებული კალათებით მოეზიდებოდა თეთრსა და შავს ზეთის ხილს.

— აბა შეჰხედეთ ამ ზეთის ხილს,—დაიძახა მან,—მათი კონტრასტის ჩრდილი ჩვენ გვეალერსება, ჩვენ ის მოგვწონს, ეს თეთრია, ეს კიდევ—შავი. მაგრამ მათ რომ გონება ჰქონდეთ და შეეძლოთ ამის შეგნება, თეთრები გვეტყოდნენ: კარგია, როდესაც თეთრს ზეთის ხილს ჰხედავთ. სამაგიეროდ რა ცუდია, როცა შავს ჰხედავთ. და შავი ზეთის ხილი შეიჯავრებდა თეთრს. ჩვენ, რათაქმა უნდა, უმჯობესად ვსჯით, რადგანაც ჩვენ იმათზე იმდენადვე მაღლა ვდგევართ, რამდენადაც ღმერთები ჩვენზე. იმ ადამიანისთვის, ვინც რომ ნივთიერების მხოლოდ ერთ ნაწილს ჰხედავს, ბოროტება არის ბოროტება; ხოლო რაკი ღმერთი ყოვლისფერს ჰხედავს, ამიტომ მისთვის ბოროტება სიკეთეს ნიშნავს. თქმა არ უნდა, რომ უემური უემურია და ულაზათო, და არა მშვენიერი; მაგრამ თვითეული ნივთი რომ მშვენიერი ყოფილიყო, მთლიანად მაინც არ იქმნებოდა უნაკლულო. მაშასადამე, კარგია, რომ არსებობს ბოროტება, როგორც დაგვიმტკიცა მეორე პლატონმა, რომელიც პირველზე უფრო მაღალია.

ევკრიტე

ვსთქვათ უკეთესად: ბოროტება ქვეყნისთვის არ არის ბოროტება, ვინაიდან ქვეყნიერება იგი დაურღვეველი ჰარმონიაა.

ბოროტება ისევ ბოროტ მოქმედისთვის არის, რომელიც მას სჩადის და შეძლო კი არ ჩაედინა.

კ ო ტ ა

ვფიცავ იუპიტერს, უმჯობესი მსჯელობა შეუძლებელია!

ე ვ კ რ ი ტ ე

ქვეყნიერება არის დიდებულ მგოსნის ტრაგედია. მის შემომქმედმა ღმერთმა თვითოეულს ჩვენგანს მიანიჭა ის როლი, რომელიც უნდა ვითამაშოთ. თუ მას ჰსურს, რომ შენ ლატაკი იყო, მათხოვარა, თავადი, ანუ დაფეხვილი, მეტი ღონე არ არის, შენც უნდა ადგე და რაც შეიძლება უმჯობესად გამოჰხატო ის სახე, რომელიც წილად გარგუნა მან.

ნ ი კ ი ა ს ი

რა თქმა უნდა, უმჯობესი იქმნებოდა, თუ რომ შენი დაფეხვილი ჰეფესტოსსავით იკოჭლებდა, თუ რომ უგსური აიაქსის სიცოფეს მისცემს თავს, სისხლის მაძიებელი დედაკაცი განაახლებს ფედრას საშინელ ბოროტმოქმედებას, მოღალატე გაჰყიდის სამშობლოს, მკვლელი—მოჰკლავს, ავაზაკი იავაზაკებს, მაშინ პიესის დამთავრების შემდეგ ყველა ეს აქტიორები, მართლ-მსაჯულების მსახური მეფეები, სისხლის მსმელი ტირანები, სათნოიანი ქალწულები და გარყვნილი დედაკაცები, დიდსულოვანი მოქალაქენი თუ მდაბალი მკვლელნი—ამ დიდებული მგოსნისგან მიიღებენ ერთგვარ საჩუქარს.

ე ვ კ რ ი ტ ე

შენ ამახინჯებ ჩემს აზრს, ნიკიას, მშვენიერ ქალწულს ვიღაც საზიზღარ გორგოს ადარებ. ვწუხვარ და მებრალები, რომ ღმერთების მაღალი ბუნებისა ჯერ არა გესმის-რა, არ იცი, რა არის ჭეშმარიტება, ანუ მარადიული დაურღვეველი კანონები.

ზ ე ნ ო ბ ი ა

ვინც რა აზრისა უნდა იყვეს, მეგობრებო, მე მაინც მწამს სიკეთისა და ბოროტების რეალობა. მაგრამ ამავე დროს მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ არ არის არც ერთი მოქმედება, თუნდაც ეს იუდის ამბორი იყოს, რომელიც გამოხსნის მარცვალს არ ინახავდეს თავის გულში. ბოროტება საშუალე-

ბას გვაძლევს საბოლოოდ თავი დავიხსნათ. ქრისტიანებმა ეს მშვენიერად გამოჰხატეს ერთს იგავში, რომ ვიღაცა ქერათმიან კაცს თავისი მასწავლებელი გაუყიდნია მშვიდობიანი ამბორის ყოფით და ამითი უზრუნველყოფილ იქმნა ხალხთა გამოხსნა. ამიტომ, ჩემის აზრით, იმაზე მეტი უსამართლობა არა არის რა, როგორც ის შურისძიება, რომელსაც ფეიქარ პავლეს ზოგიერთა მოწაფენი განიცდიან და უწყალოდ სდევნიან იესოს ერი უბედურ მოციქულთაგანს. მათ ავიწყდებათ, რომ იუდის ამბორი აუცილებელი იყო, რომ იგი იწინისწარმეტყველა თვით იესომ, რათა გამართლებულიყო წინასწარმეტყველთა თქმულებანი და თავის მოძღვრებაც რეალურ ნიადაგზე დაეყენებინა, რა თქმა უნდა, ხალხის სახ'ნელად. იუდას თუ ოცდა-ათი ვერცხლი არ მიეღო, მაშინ იესოს ღვთაებრივი სიბრძნე სიცრუედ დარჩებოდა, განგება მოტყუებული შეიქმნებოდა, მის განზრახულებაც დაითრგუნებოდა და ქვეყნიერებაც დაუსრულებელ ბოროტებისა და სამარადისო უმეცრების წიაღში ჩაინთქებოდა.

მ ა რ კ უ ს ი

ღვთაებრივმა სიბრძნემ წინასწარ განსჭვრიტა, რომ იუდა, რომელიც სავსებით თავისუფალი იყო გამცემის ამბორი არ ეყო იესოსთვის, მაინც გასცემდა მას. ამნაირად, ისკარიოტელის ბოროტმოქმედობა მან გამოიყენა ვითარცა ქვაკუთხედი ხსნის მშვენიერ სასახლის ასაშენებლად.

ზ ე ნ ო ტ ი ე მ ი ს ე

ეხლა ისე გელაპარაკებოდი, მარკუს, თითქოს მჯეროდეს, ვითომც ხალხი ჯვარცმულ იესოს გამოეხსნას. თუ ვთქვი, იმიტომ, რომ ქრისტიანებს ასე სჯერათ. მეც მათი თვალსაზრისით ვზომავდი, რათა ნათელმეყო იმათი შეცდომა, ვისაცა სჯერა იუდას სამარადისო სასჯელი. ჩემი ღრმა რწმენით იესო მხოლოდ წინამორბედი იყო ბაზილიდესი და ვალენტინისა. რაც შეეხება საიდუმლო გამოხსნას, მე თქვენ მოგითხრობთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, თუ-კი რაოდენადმე მაინც გსურთ შომისმინოთ, თუ ნამდვილად როგორა ჰხდება იგი ამ ქვეყნადა.

სტუმრებმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნიეს. ამ დროს თორმეტი ქალწული შემოვიდა დარბაზში. თავზე სათითაოდ

ცერერას სალმრთო ხილეულობით სავსე კალათები შეედგათ, თან უხილავ სალამურის ხმას ფეხს აყოლებდნენ, თანაც სტუმრებს მომხიბვლელ სახით უღიმოდნენ. კალათები სუფრაზე დასდგეს. სალამური შესწყდა. ზენოთემისემ განაგრძო.

— როდესაც ღვთის განგებამ—სახელად ევნოიამ-შეჰქმნა ქვეყანა, მან ანგელოზებს ჩაბარა დედამიწის გამგებლობა. მაგრამ მათ ვერ დაიცვეს სულის სიწმინდე, როგორც ეს შეეფერებოდა ანგელოზებს და ქვეყნის მმართველთ. რაკი შეჰნიშნეს, დაბლა ლამაზი ქალები ყოფილანო, მათ საღამ: საღამოობით უდარაჯეს მდინარის პირს და სისხლის აღრევა, მოახდინეს. ამ შერევნიდან წარმოიშვა თავშეუკავებელი და მეტად მოუსვენარი თაობა, რომელმაც მთელი ქვეყანა აავსო ბოროტებითა. უმანკოთა სისხლით მოირწყო დედამიწა. ამის დანახვაზე ევნოია მოიცვა უსაზღვრო მწუხარებამ:

„— აი, რა ჩავიდინე!—ოხვრით ამბობდა იგი, როცა გადმოჰყურებდა დედამიწას, — ჩემი საბრალო შვილები დაეხეტებიან უბედურად. უბედურებაა მათი ცხოვრება, ათასი ჭირითა და ვარამით სავსე. და ეს სულ იმიტომ, რომ მე ვარ თვითვე დამნაშავე. მათი ტანჯვა ჩემივე დანაშაულებაა, ამიტომ მევე უნდა გამოვისყიდო იგი. მე მაინც არ დავტოვებ მათ. თუ ბედნიერებს ვერა ვყოფ, მაშინ მეც მათსავით უბედური გავხდები. ჩემია ეს შეცდომა, მე მეკუთვნის იგი, როცა მათ სხეული მივანიჭე, რომელიც მათ ამცირებს. მაშასადამე, საჭიროა, რომ მეც მათი სისხლხორცი შევიმოსო და მათ შორის დავიწყო ცხოვრება“.

ეს რომ სთქვა, ევნოია დაუშვა დაბლა-დაბლა და შთაიხარა ერთი არგოვიანელი ქალწულის საშოში. ის იშვა პატარა, მეტად სუსტი. სახელად ელენე დაარქვეს. წვალებასა და ტანჯვაში აღიზარდა პატარა ელენე, მაგრამ მალე იგი შეიქმნა ისეთი მომხიბვლელი, ისეთი ლამაზი, რომ ყველაზე სასურველი ქალი გახდა, როგორც ეს ისურვეს თვითონ. იგი უნებლიე მსხვერპლი გახდა თავგზა აბნეული ხალხისა, უდრტვინველად იტანდა ათას შეურაცყოფას, თვით სიმრუშესაც კი არ ეკრძალებოდა, იტანდა პატივის აყრას, ყოველგვარ უსამართლობას, და თვისი სიმშვენიერით მრავალი ხალხი დაჰღუპა მხოლოდ, იმიტომ, რომ ღმერთს ეპატიებინა ქვეყნიერებისათვის ყოველგვარი დანაშაული. და არასოდეს ღვთის განგება, ევნოია არა,

ყოფილა შთამომავლობისათვის ისე პატივსაცემი და სათაყვანო, როგორც იმ დროს, როდესაც ქვეყნად მოვლენილი ქალის სახით გმირთა რაზმებს თუ საბრალო მწყემსებს ვნების ქარიშხალს უყენებდა, ყველას ათრობდა. მგოსნები ჰხედებოდნენ მის ღვთაებრიობას, თავიანთ ხოტბებში მას ჰსახავდნენ უდრტვინველს, აუშფოთველს, დიდებულს და იმავე დროს მოკრთალებულს. მათი ხოტბები მუდამ ასეთი სიტყვებით იწყებოდა- „ნათელო სულო, ვით მდუმარე ზღვათა-ზღვის სუნთქვავ!...“

ასე გაეხვია ევნოია თავისივე გულ-ჩვილობით ამოდენა უბედურობის ტანჯვა-ბოროტების ფერხულში. იგი გარდაიცვალა. არგვიანელები დღესაც აჩვენებენ მის საფლავს. ამ მიცვალებით იგი უნდა გასცნობოდა თვით სიკვდილს და ეგემნა ის მწარე ნაყოფი, რომელიც ხორციელ სიტკბოებით დასთესა ქვეყნად. მაგრამ ელენეს გახრწნილ გვამიდან როგორც იყო თავი გაინთავისუფლა და ახლა სხვა ქალის სახით კვლავ განიახლა ახალი ტანჯვის სარბიელი. ამნაირად, ასე გადადის იგი ერთი ქალიდან მეორეში და მთელ საუკუნეთა განმავლობაში თავის თავზე იღებს ქვეყნის ცოდვებს. მისი მსხვერპლი, რა თქმა უნდა, არ დარჩება უკვალოდ. იგი სისხლ-ხორცით ჩვენთან არის, ჩვენ გვესიყვარულება, სტირის ჩვენი ცრემლებით, იცინის ჩვენი სიხარულის დროს. იგი საბოლოოდ ყველას ერთად გვიტვირთებს, ჩაგვიკრავს თავის ბროლფიქალად გადაშლილ მკერდში და აღგვიყვანს ახლად დაპყრობილ ცის უბეში.

ჰერმოდორე

ეს მითი მეც ვიცოდი. ისე მაგონდება, თითქოს ერთ-ერთს მეტამორფოზაში ეგ ღვთაებრივი ელენე სცხოვრობდა ჯადოსან სვიმონის დროს, სახელდობრ ტიბერიუსის მეფობაში. თუ არა ვცდები, ვგონებ, მისი შეცდომა და დამცირება უნებლიე იყო, რის გამოც ანგელოზებმა თან წარიტაცეს ერთ საშინელ დაცემის დროს.

ზენოთემისი

ჩემო ჰერმოდორე, მართლაც, ვინც კარგად არ არის, ჩახედული და დაწელოვნებული საიდუმლოთა გამოცნობაში, ყველა ჰფიქრობდა, ვითომც ევნოიას არ ჰსურდა დაცემულიყო. მაგრამ ეს რომ ასე ყოფილიყო, ევნოია არ იქნებო-

და კურტიზანი და იმავე დროს ჩვენი მხსნელი, იგი არ იქმნებოდა ჩვენი მსხვერპლი, ათასი ლაქით მოთხვირილი, არ იქნებოდა პური, ანუ ჩვენი შერცხვენის ღვინით დამთვრალი, რათა ასე ყოველ მხრით დასრულებულ—გამოკვალთული სასურველ მონად მირთმეოდა, დაწულიყო საკურთხეველზე და გუნდრუკის კვამლად აკმეულიყო მეუფესთან. თუ მისი ცოდვანი არ ყოფილიყო მისი ნებაყოფლობის ნაყოფი, მაშინ მას არავითარი ღირსება არ ექნებოდა.

კალიკრატე

იქნებ გვითხრა, ზენოთემისე, სად, რომელ ქვეყანაში, ან რა სახელით, რომელი მომხიბვლელი სახით სცხოვრობს ეს მარად აღდგომილი ელენე?

ზენოთემისე

მეტად ბრძენი უნდა იყვეს ადამიანი, რომ ეს საიდუმლო გამოიცნოს. სიბრძნე კი, ჩემო კალიკრატე, მგოსნებს არა აქვთ მინიჭებული. მათი საქმეა გარეგნულ ფორმებს მისდიონ და მათი ალერსით ისე გაერთნონ, როგორც პატარა ბავშვები უაზრო ჩხირკედელაობით.

კალიკრატე

გეშინოდეს ძლიერი ღმერთების რისხვისა, ურწმუნო ზენოთემისე! მგოსნები მეტად ძვირად უღირთ ღმერთებს. თვით უკვდავ ღმერთებმა პირველად მაგათ უკარნახეს და ლექსებად გამოათქმევინეს თავიანთი უცვლელი კანონები და განჭვრეტილებანი. ჰიმნები მეტად ესიამოვნებათ ზეციერ მცხოვრებთ. ვინ არ იცის, რომ მგოსნები ჯადოსნები არიან და რომ მათთვის არავითარი დაფარული არ არსებობს. რაკი თვით მე პოეტი გახლავართ, მე აგიხსნით ევნოიას უკანასკნელ სამყოფელს. სამარადისო ელენე თქვენსავე ახლოა: იგი თქვენ გიმზერთ, ჩვენ კიდევ იმას. აბა შეჰხედეთ ამ ქალს, რომელიც თავის სავარძლის ბალიშისყურს გადმოჰყუდებია. შეჰხედეთ, როგორ დაფიქრებული, რა მომხიბვლელი სახით გამოიყურება! თვალები თითქოს ცრემლებით ავსია, ტუჩები კიდევ კოცნის წვიმით. მომხიბვლელი იგი, არიამისა და აზიის ყვავილობის დროს, ევნოია იგი ეხლა თაისად იწოდების!

ფ ი ლ ი ნ ა

რა სთქვი, კალიკრატე? ჩვენი საყვარელი თაისი იცნობ-და პარისსა და აქეელთ კნემდით*) მორთულები როცა იბრძო-დნენ ილიონთან? მართალია? ტროიანელთა ცხენი მართლა ისეთი უზარმაზარი იყო, დაო თაის?

არისტოგბულე

ვინ ლაპარაკობს ცხენზე?

— ფრაკიელსავით გამოვიბრუეე!

წამოიძახა ხერეიმ და სკამიდან გადმოვარდა.

კალიკრატემ თასი აიღო:

— თუ რომ ვილოთებთ ცოფმორევით, ყველანი ისე და-ვიხოცებით, რომ შური ვერც-კი ვიძიოთ...

მოხუც კოტას უკვე ეძინა. მოტვლეპილი თავი მხრებში ჩასძრომოდა და სასაცილოდ ექინდრებოდა.

სულ სხვა იყო დორიონი. აგერ რა ხანია საფილოსოფო მანდილის ქვეშ მოუთმენლად სტოკავდა. წამოდგა თუ არა, ტორტმანით თაისის საკარძლისკენ გასწია.

— თაის, მე შენ მიყვარხარ, თუმცა ეს სიყვარული უღირ-სად მხდის და მარცხვენს კიდეც.

თ ა ი ს ი

რატომ წინად კი არ გიყვარდი?

დ ო რ ი ო ნ ი

იმიტომ, რომ ფხიზელი ვიყავი.

თ ა ი ს ი

ჩემო საბრალო მეგობარო. მე კიდეე მხოლოდ ცარიელა წყალს ვსვამდი. მაშ შეურიგდი იმ აზრს, რომ არ მიყვარხარ.

დორიონს არ ჰსურდა ყური ეგდო. რაღაცა წაიბურდღუ-ნა და დროზესკენ გაეშურა, რომელიც სახის-გამომეტყველე-ბით თითქოს ეპატიჟებოდა მას, რაარის თავის მეგობარ ქა-ლისათვის ხელიდან გამოეტაცნა იგი. სამაგიეროდ ზენოთემი-სემ დაიჭირა დაცალიერებული ადგილი და თაისს პირდაპირ ტუჩებში აკოცა.

---

*) კნემიდა—ბერძენთა უძველეს დროინდელი სამხედრო ფეხსაცმე-ლი იყო.

თ ა ი ს ი

მე უფრო სათნოიან ადამიანად გთვლიდი.

ზ ე ნ ო თ ე მ ი ს ე

მე სრული ვარ. სრულნი კი ყოველ კანონს გარეშე სდგანან.

თ ა ი ს ი

მაგრამ ნუთუ არ გეშინიან, რომ სული წასწყმიდო ქალის მოხვევნაში?

ზ ე ნ ო თ ე მ ი ს ე

სხეულს შეუძლიან სურვილს ისე დაემორჩილოს, რომ სულმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს.

თ ა ი ს ი

მომშორდი! მე მსურს, რომ სულითაცა და ხორცითაც ვუყვარდე, ყველა ეს ფილოსოფოსები თხები არიან!

ლამფები ერთი-მეორეზე ჰქრებოდა. ფერმკრთალი დილის სხივი გაწეულ ფარდებიდან შემოიჭრა და ცელქად შეაშუქა ფერმიხდილ სტუმრების სახეს, რომელთაც უძილობისგან თვალები მოჰგუდვოდათ. არისტობულე ისევ ძირს ეგდო ხერეს გვერდით მუშტ-მოღერებული და სიზმარში მეჯინიბეს უწმაწური ლანძღვით უმასპინძლდებოდა. ზენოთემისეს ნახევრად შიშველი ფილინა გულში ჩაეკრა, თითქოს ეშინიან, არსად გამექცესო. დორიონი დროზეს თავზე დასდგომოდა და ოქროს თასით კისერში წვეთ-წვეთად ასხავდა წითელ ღვინოს, რომელიც კისრიდგან მომღელვარე გულ-მკერდზე ისე მოსცურავდა, როგორც დამარცვლილი ლალის მძივი. ფილოსოფოსი თავის მხრით იმას სცდილობდა, რომ არც ერთი წვეთი არ დაჰკარგვოდა და სათითაოდ აელოკნა ქალის პირსავსე თეთრ მკერდიდან. ევკრიტე წამოდგა, ნიკიას მხარზე ხელი დასცხო და ანიშნა, დარბაზის სიღრმეში გაჰყოლოდა.

— მეგობარო,—უთხრა ღიმილით,—თუ შენ კიდევ რამეზე ჰფიქრობ, მითხარი, რაზე ჰფიქრობ?

— მე იმას ვფიქრობ, რომ ქალები ადონისეს წარმოადგენენ მეთქი.

— რა გინდა სთქვა?

— ნუთუ არ იცი, ევკრიტე, რომ ქალები ყოველ წელს

თავიანთ ტერასაზე პატარა ბაღჩას აშენებენ. უნდა ნახო, რა-ნაირი გულმოდგინებით მოაქვთ ქილები და შეყვარებულ ვე-ნერის სახელზე რა ლამაზ ყვავილებს ჰრგავენ ხოლმე ამ ქი-ლებში. ეს ყვავილები რაოდენმე ხანს ჰყვავიან და შემდეგ სჭკნებიან უწყალო ბედის განკარგულებით.

— და ეს ნუთუ ერთი და იგივე არ არის, ჩემო ნიკიას? სისულელეა, როდესაც იმას ვეკვრით და ვეკოწიწებით, რაც რომ წარმავალია.

— თუ რომ სილამაზე ჩრდილია, ჩვენი სურვილი ჩაი-თელება გამომკრთალ ელვად. აბა რათ არის სისულელე, რომ სილამაზეს ვიტრფოდეთ? პირიქით, ნუთუ უფრო მოსაწონი არ არის, რომ ყველაფერი ის, რაც რომ ხანმოკლეა, ელვამ და მეხმა გაანადგურეს ეს დაუშერელი ჩრდილი?

— ჩემო ნიკიას, როცა გიყურებ, ასე მგონია, ჩემს წინ ბავშვი სდგას და კოჭაობს მეთქი. დამიჯერე, ყველაფერს თა-ვისუფლება სჯობიან: განთავისუფლდი. მხოლოდ მაშინ შე-გიძლიან კაცად იქცე.

— როგორ შეიძლება თავისუფალი ვიყოთ, ევკრიტე, რადესაც სხეული გვაქვს.

— ეხლავე დაინახავ, ჩემო შვილო, მაშინ მეტყვი: ევკ-რიტე თავისუფალი იყოო.

ამ სიტყვებს მოხუცი მტკიცედ ამბობდა, თანაც ცალი ხელით პორფირის სვეტს მიჰყუდებოდა. მისი შუბლი გაბრ-წყინებული იყო განთიადის სხივებისაგან. ჰერმოდორე და მარ-კუსი მათთან ახლოს მოსულიყვნენ. ოთხივენი გულ-გრილად შეჰყურებდნენ მოქეიფეთა სიცილ-ხარხარს და ისევ საღმრთო საგნებზე არჩევდნენ ლაპარაკს, ვიდრე მათს აურზაურში ჩარე-ვას. ევკრიტეს სიტყვები ისეთ სიბრძნეთ მოეჩვენა მარკუსს, რომ თავი ვეღარ შეიკავა:

— ღირსი ხარ, ღირსი, ჩემო ევკრიტე, რომ პირადად ჭეშმარიტი ღმერთი იხილო.

ევკრიტემ უპასუხა:

— ჭეშმარიტი ღმერთი თვით ბრძენის გულშია.

შემდეგ სიკვდილზე ჩამოაგდეს საუბარი.

— ჩემი სურვილია,—სთქვა ევკრიტემ,—რომ სიკვდილი მაშინ მეწვიოს, როდესაც ჩემი თავის გასწორების ზრუნვაში

ვარ, რათა აღვასრულო ნაკისრი ვალდებულებანი. მაშინ მის წინაშე აღვაპყრობ ჩემს წმინდა ხელებს და ღმერთებს მივმართავ ღაღადისით: „თქვენი სახებანი, ძლიერნო ღმერთნო, რაიც ჩემს სულის ტაძარში აჰმართევით, არ შემიგინებია; ყოველთვის მათ ვძღვნიდი ჩემს სპეტაკ ფიქრებს, გულის ზრახვას, ვითარცა ყვავილების კონას და გვირგვინებს. ვიცხოვრე, როგორც ეს ესურვებოდა თქვენს ნებასა. ეხლა მიმიღეთ. საკმარისია რაც ვიცხოვრე“.

ამ სიტყვებზე ხელები ააპყრო. ნათელმა სახე გაუბრწყინა.

წუთით ფიქრმა წაიღო. შემდეგ უეცრივ აღელდა და აღტაცებით წამოიძახა:

— განუტევე ცხოვრება ესე, ევკრიტე, როგორც დამწიფებული ნაყოფი, რომელიც ხესა სწყდება, ჰმადლობს მას, როგორც თაღის მარჩენელს და დედამიწას, რომელიც მისთვის საზრდოს არ იშურებდა!

სთქვა ეს თუ არა, კალთის ქვეშიდან ამოიძრო შიშველი ხანჯალი და პირდაპირ გულში დაიკრა.

როდესაც მისი მსმენელნი მისცვივდნენ და ხელი დაუჭირეს, ხანჯალმა უკვე თავისი დანიშნულება შეასრულა და უწყალოდ გაჰგმირა ბრძენის გული: ევკრიტე სამარიდისო განსასვენებელს მიიცვალა. ჰერმოდორეს და ნიკიასმა ასწიეს გაფითრებული და სისხლში მოსვრილი გვამი და ერთს მახლობელ სავარძელზე დაასვენეს. სტუმრები შეინძრნენ. ქალებმა საზარელი კივილი მოჰრთეს. აურზაური გამეფდა ორიოდ წუთის წინ ძილისა და ვნების თავსაფარ ფარდების ჩრდილ ქვეშ. მოხუცმა კოტამაც სწრაფად გაიღვიძა. იგი, როგორც ჯარისკაცობაში სიფრთხილეს შეჩვეული დარაჯი, განგმირულ გვამის პრილობას ჰსინჯავდა და თან მოუსვენრად ყვიროდა:

— სად არის ჩემი მკურნალი არისტე? დაუძახეთ... არისტეს დაუძახეთ!

ნიკიასმა ნაღვლიანად თავი გაიქნია:

— ევკრიტე აღარ არის. მაგას სიკვდილი ისევე უნდოდა, როგორც სხვებს სიყვარული. იგიც, როგორც ყველა ჩვენ, დაემორჩილა ვნებიან სურვილს. და აი, ეხლა იგი იმ ღმერთებს დაემზგავსა, რომელთაც აღარა ჰსურთ-რა.

კოტამ შუბლში შემოიკრა:

— მოვკვდეთ! სიკვდილსა ვნატრობდეთ, როდესაც კიდევ

შეგვიძლიან სახელმწიფოს ვალი გადვუხადოთ, მას ვეწესახუ-
როთ! ეჰა, რა უაზრობა!.. უგუნურება!.. უგუნურება!..

მხოლოდ პაფნუტი და თაისი დარჩნენ უძრავად. მდუმა-
რედ ერთიმეორის გვერდით ისხდნენ და უზომო ზიზღით აღვ-
სილიყვნენ. სული მათი შიშისზარს განიცდიდა, თუმცა იმავე
დროს რაღაცა იმედის სხივი ალიონის სხივს ვარდისფრად ეხ-
ლართებოდა.

უეცრივ პაფნუტიმ მაგრად მოჰკიდა თაისს ხელი, გადა-
აბიჯა გალექილ მთვრალ სტუმრებს და ღვინისა და სისხლის
გუბის სამთავროდან გამოიტაცა გარედ.

განთიადმა ვარდის ფრად შეჰღება მთელი ქალაქი. გრძე-
ლი კოლონადა ორწყებად მისდევდა უდაბნოსავით მიყრილებულ
ქუჩებს. შორიდან შუქნაკრავი ალექსანდრეს საფლავის ძეგლი
კოკონსავით აგზნებულიყო. ქუჩების ქვაფენილზე უსწორ-მას-
წოროდ ეყარა დამჭკნარი გვირგვინები და ჩამქრალი ბაწხალე-
ბი. ჰაერში ზღვიდან მონაბერი სიო საამურ სიგრილეს ჰფენდა.
პაფნუტიმ ზიზღით შემოიგლიჯა ძვირფასი სამოსელი და ფე-
ხით დაუწყო თელვა.

– ხომ გაიგონე, თაის,—უთხრა მან, - მათ წამოანთხიეს
ყოველგვარი სისულელე და სისაზიზღრე. ზეციერი შემოქმედი
ურცხვად შეაგინეს და ჯოჯოხეთის ბიწიერების შარავანდედი
შემოავლეს მის ბრწყინვალე სახიერებას, იუდა ამაღლდა, იე-
სოს სახელი კი მიწაში დაფლეს. ხომ დაინახე, როგორ
უარსა ჰყოფდნენ, არ არსებობს სიკეთე, არ არსებობს
ბოროტებაო! თვით ეს სულმდაბალი, ბნელეთის ვეშაპი, ეს
საზიზღარი პირუტყვი, ხრწნილებისა და სიკვდილის წინამორ-
ბედი არიანელი, ამხედრდა მაცხოვრის დასათრგუნად და ბაგე
მისი ღაღადსა ჰყოფდა, ვით პირდაღრენილი შავი საფლავი. ხომ
დაინახე-მეთქი ჩემო თაის, თუ როგორ მოცოცავდა ამ საზი-
ზღარი ჩრჩილთა ხროვა, როგორა გსვრიდნენ ბიწიერებით ნო-
ნადენი ოფლის ღვართქვევით! ხომ დაინახე, ეს მხევლები რო-
გორ დაეცნენ, თვით მონების ფეხქვეშ განართხულნი როგორ
ხვრინავდნენ! ხომ დაინახე, თუ ეს პირუტყვები რა რიგ ჭრის-
ხავდნენ ბილწი წუმპით ირგვლივ ხალიჩებს; ან ის, ის გამო-
სულელებული მოხუცი, რომელმაც საკუთარი ხელით ღვინოზე
უსაზიზღრესი სისხლი იმიტომ გადმოანთხია გვერდიდან, რომ
ამ შემაძრწუნებელ ორგიის შემდეგ უეცრივ წარსდგეს იესოს

წინაშე! დიდება შეუფესა ღმერთსა ჩვენსა! დიდება ძლიერს! შენ თვითონ ნახე მრავალთა შეცდომა და შეიმცნე თუ რა საშინელეპაა იგი! თაის, თაის, თაის! მოიგონე ამ ფილოსოფოსთა უგუნურებანი და მითხარ, გსურს კიდევ მათს საშინელების ფერხულში ება? მოიგონე მათი სახე, სიცილ-ხარხარი შენი მეტოქე ქალებისა, მოიგონე ეს ხორციელი სიტკბოების ლოთი მაიმუნები და მითხარი, გსურს კიდევ დარჩე იმათთანა, გსურს რომ მათ ჰგავდე, მათი სახება შეირჩინო?

თაისი ისედაც აჯინკრული იყო მთელი იმ ღამის საშინელი სანახაობით, აღელვებული იხსენებდა მამაკაცთა სიგულქვავეს და ამხანაგ ქალების სიბოროტეს, ამიტომ ველარ მოითმინა, გაფითრებული სახით გულზე მიეყრდნო პაფუნტის და შეევედრა მთრთოლვარე ხმით:

— ოჰ, რომ იცოდე, მამაო, როგორ მოვიქანცე' ნეტან სად შემეძლება ვიპოვნო მშვიდი და მყუდრო ნავთსაყუდელი? ისე ვგრძნობ, თითქოს ეს გახურებული შუბლი გასკდომას აპირებს, ხოლო ხელები ისე დამცვივდა, რომ ბედნიერების თასიც რომ გამომაწოდონ, თვით მის დაჭერას ვერ შევიძლებ.

პაფნუტიმ ალერსიანად გაუღიმა:

— გამაგრდი, დაო ჩემო; შენი მყუდროების საათიც ახლოვდება. იგი იქმნება ისეთივე წმინდა და სუფთა, როგორც ეს ნისლი, რომელიც ალიონზე ვარდის ფრად გადაჰპენტია ირგვლივ მდელოს.

ამასობაში ორივე მიუახლოვდნენ თაისის ბინას. ვერხვისა და წაბლის ხეების წვერები ფერიათა მღვიმის გარშემო ოდნავ ჰფეთქავდნენ ცისკრის ნიავის ნელი სუნთქვით და ნამთა ვერცხლის მძივს ნელის რწევით აფერადებდნენ, მათ წინ გაშლილი იყო სახალხო მოედანი, რომელიც შემორტყმული იყო მრავალი ქანდაკებით და მარმარილოს სვეტებით. ნაპირებზე კიდევ ნახევრად მრგვალი მარმარილოს სკამები იყო გადმოკიდული ცაცხვის ხეების ქვეშ. თაისი დაეშვა ერთს სკამზე, მდუმარედ უყურა, უყურა პაფნუტის თვალებში, შემდეგ ხელები დაუჭირა და ნაღვლიანად შეეკითხა:

— როგორ მოვიქცე, მითხარი მამაო, მითხარი!

— ბოლომდინ მიჰყევი იმას, ვინც რომ მოვიდა და მოგძებნა. იგი გაშორებს ქვეყანას, როგორც მევენახე მტევანს მოსწყვეტს ყურძნის შტოსა და საწნახელში წაიღებს, რათა

დასწუროს და სურნელოვანი ღვინო ჩააყენოს. ყური დამიგდე, შვილო ჩემო: აქედან, თორმეტი საათის სავალი იქნება ჩრდილოეთით, ზღვის მახლობლად. იქ არის ქალთა მონასტერი, სადაც საოცარი წესრიგი ჰსუფევს. აქ ნახავ სიბრძნეს, ცხოვრებას მომხიბვლელს, რომელსაც ლექსებს შეუთხზავ და წინასწარმეტყველთა ხმით ქებათა-ქებას უგალობებ. ჭეშმარიტად, შიგ მცხოვრები ქალები დედამიწას ფეხს არც კი ადგამენ, ხოლო სიწმინდის გამოისად თვით ზეცას ებჯინებიან. მიწიერი მათი ცხოვრება ზეციერ ანგელოზთა ცხოვრებაა. მათ ჰსურთ სიღარიბე, რათა იესომ შეიყვაროს იგინი, ჰსურთ იყვნენ მშვიდნი, რათა მან არ მოაშოროს თვალი თვისი, სათნოიანი, რათა მის სასძლოდ ჩაეწერნონ ზეციერ წიგნში. იესო მათი სტუმარია. იგი ყოველ დღე მებაღის სახით ეცხადება მათ ფეხშიშველი, გაშლილი თეთრი ხელებით, როგორც იგი ეჩვენა მის საფლავის საძებრად წამოსულს მარიამს. აი, დღესვე წაგიყვან ამ მონასტერში, ჩემო თაის, და მალე, სულ მალე, ამ ქალწულთა საზოგადოებაში გაინაწილებ ზეციურ საუბარსა და ნეტარებასა. იგინი ისე მოგელიან, როგორც სულიერ დას. მონასტრის ზღრუბლზე შეგხვდება მათი დედა, სათნო ალბინე, რომელიც სიხარულით მიგიღებს, დაგკოცნის და ასე გეტყვის:

„მშვიდობა შენდა კეთილი იყოს შენი მოსვლა, ჩემო ასულო!“

თაისმა აღტაცებით შესძახა:

— ალბინე! ღმერთო ჩემო, კეისართა ასული! იმპერატორ კარუსის შვილის შვილი!

— დიახ, ის არის! ეს ის ალბინეა, რომელიც ძოწეულის სამოსელში დაიბადა, მაგრამ ჩაიცვა უხეში ძაძა და მიუხედავად იმისა, რომ ამა ქვეყნის მმართველთა შვილი იყო, აღმაღლდა იქამდე, რომ იესოს მხევალის სახელი დაიმსახურა. იგი დედაშენი იქმნება, შვილო თაის!

თაისი წამოდგა და გარდაწყვეტით შეევედრა:

— მაშ, წამიყვანე ალბინესთან.

პაფნუტი სიხარულით ცას დაეწია. გამარჯვება ეხლა თითქმის ბოლომდინ მიიყვანა:

— რაღა თქმა უნდა, წაგიყვან. იქ გამოგამწყვდევ პატარა სავანეში, სადაც შენს ცოდვებს გამოისყიდი ლოცვებითა

და ცრემლთა ფრქვევით. ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია ალ-ბინეს ასულთ ისე შეუერთდე, რომ არ განწმენდილიყვე ბი-წიერების ჭუჭყიდანა. თვით მე დავკეტავ შენს კარებსა და იქ დაუწყებ ლოდინს იესოს, რათა თვით იგი გეწვიოს, გაარ-ღვიოს დაბეჭდილი კარი იგი და ნუგეში გცეს ტყვედ-ქმნილ ქალსა. არ იფიქრო, ვითომც არ მოვა იგი. არა, ოჰ, თაის! ის მოვა, მოვა! ოჰ, რომ იცოდე, თუ რარიგად დაგიწყებს ცემას მთრთოლვარე გული, როდესაც იგრძნობ, რომ მისი ხე-ლები შეგეხო, მისი შუქმფინარე თვალთა სხივი გადმოგეფინა, რათა მოგწმინდოს ცხარე ცრემლნი...

თაისმა აღარ დააცადა:

— წამიყვა, წამიყვა, მამაო, —უთხრა ხელმეორედ, — მაშ წამიყვანე ალბინესას.

სიხარულით აღსავსე გულით პაფნუტიმ თვალი მიმოავ-ლო იქაურობას და თითქმის უშიშრად ჰნეტარებდა სანახაო-ბის ჰვრეტით. მისი თვალები რაღაცა ზეციური აღმაფრენით ეწაფებოდნენ ღვთიურ ნათელს და ისე ჰგრძნობდა, თითქოს რაღაცა უხილავი ძალის სუნთქვა ზედ სპეტაკ შუბლზე სიოდ ევლინებოდა. მაგრამ უეცრივ შეჰნიშნა, რომ საჯარო მოედნის ერთი კარით უნდა თაისის სახლში შესულიყვნენ. ამან სულ ერთიანად შესცვალა დიადი სანახაობა. იგივე მშვე-ნიერი ხილნარი, ხეივანთა ცად-აბჯენილი კოკონ აღგზნებუ-ლი თავები, რომლითაც მოფარგლული იყო თაისის წალკო-ტი, უეცრივ ჯადოსნურ ბადედ გარდაიქცა, სადაც ბიწიერე-ბის მორევი დაგუბებულიყო და თვით ეს სუბუქი წმინდა ჰაე-რი იქიდან ანადენი შმორის სუნით მოშხამულიყო. პაფნუტი აღტაცებიდან უეცრივ სასოწარკვეთილებაზე გადავიდა და თვა-ლიდგან ცხარე ცრემლები გადმოჰყარა.

— თაის, —უთხრა მან, —ეხლავე უნდა ვიეულტოთ აქედან, ვიეულტოთ ისე, რომ უკან აღარც-კი მოვიხედოთ. მაგრამ ჩვენს შემდგომად არაფერს დავტოვებთ, რაც-კი შენს წარსულ ბი-წიერ ცხოვრების თანაზიარობასა სწევდა, საჭირო არ არის ეს. სქელი ფარდები, არც ეს ფარჩის საწოლი, ანუ სურნელოვ-ნებათა სურები, სანთლები, ერთი სიტყვით, ყოველისფერი ის, რაც-კი შენს შერცხვენას ღაღადებს. ნუთუ ისურვებ, რომ ეს ეშმაკეულთა საბუდარი უდაბნოშიც გამოგვედევნოს წყეულ-თა ფრთებით? ხომ იცი, რომ ყველა ესენი, რაც-კი შენს შეც-

დომას ხელს უწყობდა, შუამავალი იყო ეშმაკისა და შენი უბრყვილო სულისა. ყოველისფერი ეს გელაპარაკებოდა, უხილავ სახით არ გისვენებდა და სარკმლიდან, თუ კარიდან, თვით ჭერიდანაც-კი გიკაკუნებდა და მაცდურ სახით გატყვევებდა, გაცდენდა! დაე, მაშ დაიღუპოს ყოველისფერი, რაიც შენი შერცხვენის მიზეზი იყო! დაჩქარდი, თაის, და, ვიდრე ქალაქსა სძინავს, უბრძანე შენს მსახურთ, ყველაფერი კოცონზე დასდონ, რათა ჩვენივე ხელით დავწვათ შენი შემრცხვენი და თვალის ამხვევი სიმდიდრე.

თაისი დასთანხმდა.

— ისე მოიქეცი, როგორც შენა გსურს, მამაო,—უპასუხა მან,—განა არ ვიცი, რომ ხშირად უსულო საგნები ეშმაკეულ ძალთა საბუდრადა ჰხდებიან ხოლმე. ვიცი ისიც, რომ ღამღამობით ზოგიერთა საგნები ლაპარაკობენ, ხან-გამოშვებით რატომღაც ნაპერწკლებს ისერიან, ანდა სწორი ჩათვლით აკაკუნებენ, თითქოს რაღაცა ნიშანს აძლევენ ერთმანეთსაო. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. არ შენიშნე, მამაო, ფერიათა მღვიმის შემოსავლის მარჯვენა მხარეს რომ სდგას ერთი შიშველი ქალის ქანდაკება, რომელიც საბანაოდ ემზადება? ერთხელ ჩემი თვალითა ვნახე, რომ ეს ქანდაკება ცოცხალ აღამიანსავით მოტრიალდა, თავი რაღაცას დაუქნია და შემდეგ ჩვეულებრივი სახე მიიღო. შიშისაგან იქვე გავშეშდი. ნიკიასს ვუამბე ამ სასწაულზე. ის-კი დამცინოდა. მაგრამ ამ ქანდაკებაში რაღაცა ჯადოსნური ძალა მოიპოვება. ეს იქიდანაც ვიცი, რომ ერთი დალმატინელი ისე მოჰხიბლა, რომ უბედური, ჩემს სილამაზეს ყურადღებას არც-კი აქცევდა და ამ ცივ მარმარილოს ნაკვეთს-კი დღე და ღამე მისჩერებოდა. უეცველია, მოჯადოვებულ წრეში ვიყავი მომწყვდეული. ხშირად უნახავთ აქ, რომ ახალგაზდა ჯარისკაცები ბრინჯაოსა და მარმარილოს ქანდაკებას შემოხვეულნი ჩაჰ:დომოდნენ. ამისდამიუხედავად, მაინც მენანება მათი მოსპობა. ყველა ეს იშვიათი ხელოვნებით არის ნამუშევარი. თუ რომ დაიწვა ეს ფარდები, ეს ნივთეულობა, დიდი დანაკლისი იქნება ქვეყნისთვის. ზოგიერთი ფერადები საუცხოოა და მეტად ძვირად ულირდათ, ვინც მე მომიძღვნეს. აგრეთვე მაქვს მრავალი ოქროს

თასი, სურათები, სტატუები, რომელთაც ადამიანი ფასს ვერ დასდებს. ვფიქრობ, მათი მოსპობა ცოდვა იქმნება. მაგრამ ეს ხომ შენ უკედ იცი, მამაო, მოიქეც ისე, როგორცა გსურს.

ამ სიტყვებზე თაისი შეჰყვა პაფნუტის პატარა კარებში, სადაც აუარებელი გვირგვინები ეკიდა. შიგნით შესვლისთანავე კარები მიჰხურა და ერთს მხევალს უბრძანა, რომ ყველა მონებისთვის მოეხმო. მართლაც, პირველ დაძახებაზევე სამზარეულოდან ოთხი ინდოელი გამოვიდა. ოთხთავე ყვითელ-კანიანები იყვნენ და მოღრეცილები. თაისს მეტად ძვირად დაუჯდა ამ ოთხი მონის შეძენა. მას ეხალისებოდა ისეთი მონების შეძენა, რომელნიც ერთმანეთს ემზგავსებოდნენ, ერთგვარი ფიზიკური ნაკლულევანებით. როდესაც სუფრაზე ემსახურებოდნენ, სტუმრები ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ ხოლმე და მათ თავგადასავალს ათხრობინებდნენ. დაძახებისთანავე ოთხთავემ გულხელი დაიკრიბეს და მდუმარედ მის ბრძანებას ელოდნენ. მათ მოჰყვნენ მათი თანაშემწენი. შემდეგ მოვიდნენ მეჯინიბენი, მონადირენი, შინამსახურნი და შაკრიკნი, რომელთაც მწვანე თხილამურები ეცვათ, ამათ მოჰყვნენ ორი მებაღე, ექვსი შემზარავი სახის ზანგი და სამი ბერძენი ტყვე: ერთი გრამატიკოსი, მეორე—მგოსანი და მესამე--- მომღერალი. ყვლანი რიგ-რიგად დაეწყვნენ. ცნობისმოყვარე ზანგმა ქალებმაც თავი მოიყარეს, უშველებელ თვალებს თეთრად ფართოდ ატრიალებდნენ, ხოლო პირს ყურებამდინ აღებდნენ, რომელიც საყურეებით ჰქონდათ მორთული. ბოლოს ექვსი თეთრი მხევალი გამოვიდა. ამათ რაღაცა უკმაყოფილება ეტყობოდათ. როდესაც ყველანი შეგროვდნენ, თაისმა ხმა აღიმაღლა და პაფნუტზე მიუთითა:

— რაც ამან გითხრათ, გააკეთეთ. მაგაზე სულიწმინდაა გადმოსული და თუ ბრძანება არ აუსრულეთ, იცოდეთ, რომ დაიხოცებით.

მას მართლა სჯეროდა, სწამდა, რომ ასე მოხდებოდა, ვინაიდან გაგონილი ჰქონდა, რომ წმინდა მეუდაბნოებს აქვთ ძლიერი ძალა, რათა ურწმუნონი დასწყევლონ და გაანადგურონო. საკმარისი იყო, მისი აზრით, მეუდაბნოეს კვერთხი დაერტყა, რომ მიწა გამსქდარიყო და გახურებულ ცეცხლში ჩაღუპულიყვნენ ესენი.

პაფნუტიმ დაგზავნა ქალები და ბერძენი მონები, ხოლო

დანარჩენთ-კი უბრძანა: მოიტეთ შეშა მოედნის შუაგულზე, გააჩაღეთ კოცონი და დასწვით, რაც სახლში, ან მის მღვიმებში ნახოთ.

განცვიფრებული მონები ადგილიდანაც არ იძვროდნენ და თვალ-წარბში შეჰყურებდნენ თავიანთ დიასახლისს. მაგრამ როდესაც იგი ისევ უძრავი და მდუმარე დარჩა, ისინი შექუჩდნენ და ურთიერთს ეკვის თვალით ეკითხებოდნენ, ხომ არ ხუმრობენო.

— დაემორჩილეთ ჩემს ბრძანებას! —გაიმეორა განდეგილმა.

მათში მრავალი ქრისტიანიც იყო. ბრძანების აზრს შიხვდნენ, მაშინვე შეშა მოზიდეს და მაშხალები გააჩიროაღდნეს. სხვებიც სიამოვნებით ჰბაძავდნენ მათ, რადგან თვითონაც ღარიბ-ღატაკები იყვნენ და უნებურად ესწრაფებოდნენ შეძლებულთა ქონების განადგურებას. როდესაც კოკონი აიგზნო, პაფნუტიმ მიჰმართა თაისს:

— ერთ წუთით ვიფიქრე, მოდი, ალექსანდრიის ეკლესიის მეპურეტლეს დავუძახებ მეთქი, (თუ კი კიდევ დარჩენილა ვინმე ეკლესიის ღირსი და მხეც არიანელთა მიერ არ არის შებილწული), ვიფიქრე, დავუძახებ და მთელ ამ ქონებას გადავცემ, რათა იგი გაუნაწილოს ქვრივ-ობლებს და ღატაკებსა შეთქი, რათა ამითი აღდგენილ იქმნას სამართლიანობა. მაგრამ ეს ფიქრი ღვთის შთაგონებით არ მომსვლია. მე თუ ისე მოვიქცევოდი, უსათუოდ იესოს საყვარელ შვილებს სასტიკად ვაწყენინებდი, თუ მათ მივართმევდი ბილწ სიტკბოების საუნჯეს. თაის, იცოდე, რომ ყოველისფერი უნდა მოისპოს თვით უკანასკნელ ძაფამდე, რასაც-კი შენ მიჰკარებიხარ. მადლობა ღმერთსა, ამიერიდან ეს სამოსელი, ეს ზეწრები, სამკაულები, რომელნიც შენი კოცნის მეტს არას ჰხედავდნენ, ეხლა იგრძნობენ ცეცხლის ენას, მის ალის კოცნას. ჰეი, მონებო, აბა, აჩქარდით! მიუმატეთ შეშა! მოიტეთ ზედმეტი ჩირაღდნები! მოაშუქევით მაშხალები! შენ კი, დედაკაცო, შედი შიგნით, მოიხსენ ეს სამარცხვინო სამკაულები და სთხოვე შენს უკანასკნელ მხევალს, როგორც განსაკუთრებული მოწყალება, ის უკანასკნელი სამოსელი, რომელიც ზედ ეცვას, იატაკის საწმედად.

თაისი დაემორჩილა. გარედ კი იმ დროს, როდესაც ინდოელები დაჩოქილი იყვნენ და აგუზგუზებულ ცეცხლს უბე-

რავდნენ, ზანგებს მოჰქონდათ სათითაოდ სპილოს ძვლის ნივთეულობა, აბრეშუმის ქსოვილები, ძვირფასი ყელსაბამები, გვირგვინები თუ ათასი რამ სამკაულები და უწყალოდ ჰყრიდნენ კოცონზე. კომლი შავ სვეტად ადიოდა, თითქოს ძველი აღთქმის მსხვერპლის შეწირვა ჰხდებაო. შემდეგ ცეცხლიც ამოვარდა, უცნაურ ცხოველსავით მოჰყვა სისინს და თითქმის უჩინარი ალის პირით დაიწყო ჩანთქმა უძვირფასესი საზრდოსი. ახლა კი უფრო გათამამდნენ მსახურნი. მხიარულად მოარბენინებდნენ ოქროსქსოვილებს, ფარდებს, მრავალფეროვან ზეწრებს. სიხარულით დახტოდნენ მძიმე მაგიდებისა და სავარძლების ქვეშ, იტაცებდნენ გერმის ყურთუკებს, ოქროს ჯაჭვებით დამაგრებულ ძვირფას საწოლსა. ამ დროს სამმა მხეცმა ეფიოპელმა მოარბენინეს გულში ჩახუტული სამი ფერიის ქანდაკი. ერთი ამ ქანდაკთაგანი ისევე იყო მიღებული და საყვარელი, როგორც მომაკვდავი არსება. მათ დამნახველ ადამიანს თვალწინ უდგებოდა სამი უშველებელი მაიმუნი, რომელნიც ზღაპრებში მზეთუნახავებს იტაცებენ. როდესაც ამ მხეცთა ხელიდან დაიმსხვრა ეს სამი შიშველი ქალის თვალწარმტაცი ქანდაკი, ირგვლივ მაყურებელთა შორის გაისმა ოხვრა და გმინვა.

ამ დროს გამოჩნდა თვით თაისი. იგი მომხიბვლელ სანახაობას წარმოადგენდა. გაშლილი თმები, ფეხშიშველი, ნელა მიაბიჯებდა. ტანთ უშნო, ხამის სამოსი გადაეცვა, რომელიც მის სხეულს ჩაჰკდომოდა, თითქოს მის ღვთაებრივ სინაზის ნექტარს დასწაფებიაო. მას უკან მოსდევდა მებაღე, რომელსაც მოჰქონდა სპილოს ძვლის ეროსი.

კარის ზღრუბლზე თაისმა ანიშნა შეჩერება. შემდეგ მობრუნდა პაფნუტისკენ და ამ პატარა ღმერთზე ვედრების სახით მიუთითა:

— წმინდაო მამაო,—ჰკითხა მან,—ნუთუ ესეც უნდა ჩაიწვას ცეცხლში? ეს უძველესი ხელოვნების ნიმუში არის და ასჯერ მეტი ოქრო ღირს, რასაც იწონის. მაგის დაკარგვას ვერვინ ინაზღაურებს, ვინაიდან ქვეყანაზე სხვა მხატვარი აღარ იქმნება, რომ ასეთი მშვენიერი ეროსი გამოჰკვეთოს. ნუ დაივიწყებ, მამაო, რომ ეს ბავშვი თვით განხორციელებული სიყვარულია და სასტიკად არ უნდა მოვეპყროთ. მერწმუნე: სიყვარული სათნოებაა და თუ მე ვსცოდავდი, მამაო, არა მაგი-

სი წყალობით, არამედ მაგის წინააღმდეგ. არასოდეს არ დავინანებ, რაც მაგის კარნახით ჩამიდენია, პირიქით, ვიგლოვებ და ცრემლით გამოვისყიდი, რაც მაგის აღკრძალვის წინააღმდეგ გამიკეთებია. იგი სასტიკად უკრძალავს ქალებს, რომ იმათ არ დაჰნებდნენ, ვინც მისი სახელით არ მოდიან. აბა შეჰხედე, პაფნუტი, რა ლამაზი რამ არის პატარა ეროსი! რარიგი მომხიბვლელი სახით იმალება ამ მებაღის მღელვარე წვერში! ეროხელ ნიკიასმა, (მაშინ ის ჩემი თაყვანისმცემელი მოტრფიალე იყო), როცა ეს მომიტანა, ასე მითხრა: „ეგ ჩემზე გესაუბრება ხოლმეო“. მაგრამ ეს ცუღლუტი მხოლოდ ერთ ყმაწვილზე მელაპარაკებოდა, რომელიც ანტიოქიაში გავიცანი და ერთხელ სიტყვითაც-კი არ ახსენა ნიკიასი. საკმაო სიმდიდრე ჩაინთქა ამ კოკონში, მამაო! იკმარე! ეს ეროსი მაინც გადაარჩინე და სადმე მონასტერში შეინახე. ვინც მაგას იხილავს, უნებურად ღმერთისკენ მიიქცევენ თავიანთ გულისყურს, რადგანაც სიყვარულის ფრთები უმაღლეს ფიქრთა სამთავროში გვაფრენენ ხოლმე.

მებაღემ იფიქრა, პატარა ეროსს ხსნა ეღირსაო და ისე ულიმოდა, როგორც ბავშვს. მაგრამ პაფნუტიმ უეცრივ ხელიდან გამოსტაცა პატარა ღმერთი და შიგ ცეცხლის გულში გადისროლა.

— საკმარისია,—წარმოსთქვა მან,—რომ ნიკიასი შეჰხეზია. მაგისგან შხამის მეტი არა გამოვა-რა, ამიტომ, დაე, დაიღუპოს.

შემდეგ ხელი მიჰყო ძვირფას ნივთეულობას, ფარჩის სამოსელს, ძოწეულის წამოსასხამებს, ოქროთი ნაქსოვ ფეხსაცმელებს, სანთლებს, ქნარს, ჩანგსა, სხვა-და-სხვა სარკეს და სათითაოდ აგდებდა აღგზნებულ ცეცხლში, რომელიც უფრო დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა, ვიდრე სარდანაპალის მიერ დანთებული კოკონი. მონები-კი ამ ნგრევისა და განადგურების ხილვით აღფრთოვანებაში მოდიოდნენ და კოკონის გარშემო სცეკვდნენ, სიმღერებს გაჰკიოდნენ, მაშინ, როდესაც თავზე ფერფლი და ნაპერწკლები ეწვიმებოდათ.

ხმაურობისგან გამოღვიძებული მეზობლები ფანჯრებს აღებდნენ და თვალების ფშვნეტით ათვალიერებდნენ, კვამლი საიდან მოდისო. შემდეგ ნახევრად ჩაცმულნი გამოდიოდნენ მოედანზე და ამ კოკონს გარს ერტყმოდნენ.

— რას ნიშნავს ესა!—ჰკითხავდნენ ერთურთს გაოცებით.

მაყურებელთა შორის ვაჭრებიც ერიენ, რომელთაგანაც თაისი ყიდულობდა ხოლმე ათასგვარ სურნელოვნებას თუ სამკაულებს. იგინი ვერ ბიმხვდარიყვნენ სანახაობის მნიშვნელობას, თავები წინ წამოეყოთ და მოუსვენრად სცდილობდნენ საიდუმლოს გამოცნობას. ახალგაზდა მოქეიფენი თავიანთ საყვარლებითურთ ვახშმიდან ბრუნდებოდნენ. თავი ყვავილების გვირგვინებით შემოეფარგლათ და ფრიალა სამოსლით ერთ ყიჟინს სცემდნენ ამ სანახაობის დანახვაზე. ბრბო თანდითანობით იზრდებოდა, მალე ყველამ გაიგო, რომ ანტინოეს წინამძღვრის შთაგონებით თაისი სწვავს თავის სიმდიდრეს და მონასტერში მიდისო.

ვაჭრები ჰფიქრობდნენ:

— თაისი სტოვებს ამ ქალაქს. მაშ ამიერიდან ჩვენ ველარაფერს მივყიდით მას. საშინელებაა ამის წარმოდგენა. რა დაგვემართება, როცა წავა? ამ მოთრეულ ბერს გაუგიჟებია. ეგ ჩვენ გვანადგურებს. ნეტავ, რად აძლევენ ამის ნებასა? მაშ რაღად გვეჭირვება კანონები, თუ ასეთ დღესაც არ მოგვეხმარებიან? მაშ ალექსანდრიაში გამქრალა მართლმსაჯულება! თაისი აღარა ჰფიქრობს აღარც ჩვენზე და აღარც უბედურ ჩვენს ცოლშვილზე. უნდა როგორმე ვაიძულოთ, ისევ აქ დარჩეს.

თავისი მხრით ახალგაზდობა სულ სხვაგვარადა სწუხდა:

— თუ რომ თაისი უარს იტყვის თამაშობაზე და ტრფიალზე, მაშინ ჩვენს გართობას და ლხინს ბოლო მოეღება. იგი საოცნებო დიდება და პატივი იყო ჩვენი თეატრისა. იგი სიხარულს ჰგვრიდა ყველას, თვით იმათაც კი, ვისაც არ ჰლირსებია მისი ჩაკონება. თუ რომ ვისმე ქალი უყვარდა, უყვარდა მისი ეშხით, მისი სახების წარმოდგენით. არა ყოფილა კოცნა, როდესაც მაგისი სახელი არ ყოფილიყო გახსენებული, ვინაიდან მას ვნება უყვარდა ვნებისათვის. მარტო იმისი წარმოდგენა, რომ ეგ ჩვენს შორისა სცხოვრობს, ყველას გვათრობდა ნეტარებით.

ასე ჰფიქრობდნენ ახალგაზდა ყმაწვილები. ერთი მათგანი, სახელად კერონი, რომელსაც არა ერთხელ გაეთევებინა ღამე თაისთან ერთად, უწმაწურად ილანძღებოდა და ქრისტე

ღმერთს აგინებდა. ყოველმხრით თაისის საქციელს სასტიკად სჯიდნენ:

— ეს სამარცხვინო გაქცევაა!

— ეს სულმდაბალი გაცემაა!

— ეგ პირიდან ლუკმასა გვტაცებს!

— ეგ ჩვენი ქალების მზითევს გვართმევს!

— რადგანაც არ იშლის, ჩემი გვირგვინების ფასი მაინც მომცეს!

— ახლა სამოცი ცალი ტანთსაცმელი, რომელიც მე შემიკვეთა!

— ეგ ყველას მოვალეა!

— მაგის შემდეგ ვინღა წარმოგვიდგენს იფიგენიას, ელექტრეს, ანუ პოლიქსენს? თვით მშვენიერი პოლიბეც ვეღარ შეასრულებს, როგორც ეგ!

მეტად მოსაწყენი გახდება ჩვენი ცხოვრება, როდესაც მაგის სახლის კარები დაიკეტება!

— ეგ ბრწყინვალე ვარსკვლავი იყო, ალექსანდრიის ცის ცქრიალა მთვარე!

ახლა ამათ მოსდევდა ღარიბ-მათხოვართა და დავრდომილთა გოდება:

— როგორ-ღა ვიცხოვრებთ, როდესაც თაისი აღარ გვეყოლება მრჩენელად? დღემდინ მაგის ნასუფრალით ვიკვებებოდით. მაგის საყვარლები, როცა ჟინს მაგის ტრფიალებით იკლავდნენ, კმაყოფილ სახით მიდიოდნენ და არას იშურებდნენ ჩვენთვის. ეხლა ვინ გვეყოლება მრჩენელად, ვინ?

ქურდებიც ბრბოში არეულიყვნენ და იქაურობას ბუზანკალსავით ურევდნენ, რა არის, ამითი ვისარგებლოთ და რაიმე ძვირფასი ნივთი მოვიტაცოთო.

ერთად ერთი მოხუცი ტადდე იდგა თავისთვის, იგი მილეტის მატყლით ვაჭრობდა და თაისს კარგა დიდი ვალი ემართა მისი. ამ ხმაურობის დროს გულ-ხელდაკრებილი იდგა იგი და ღრმად ჩაფიქრებული მშვიდად იწყწავდა თხასავით დაშვებულ წვერს. მაგრამ აი, მან გადაჰხედა იქ მყოფთ, თითქოს ვიღაცას დაუწყო ძებნა. შემდეგ მოვიდა ახალგაზდა კერონთან, გაიხმო ცალკე და წუნარად ჩასჩურჩულა:

— შენ თაისის რჩეული საყვარელი ხარ, აბა თავი გამოიდე და მაგ ბერს ცოცხალი თავით არ დაანებო.

— ვფიცავ პოლუქსა და მის დას, რომ ეგ მაგას ვერა იქმს. აი, ეხლავე მოველაპარაკები თაისს და, ტრაბახობაში რომ არ ჩამომერთვას, მალე დავიყოლიებ. ეგ მე უფრო გამომყვება, ვიდრე ამ მურიან ლაპითეს! ჰეი, გზა მომეცით! გზა! თქვე წუწკებო, თქვენა!

და მუშტი-კრივით გადესია, მიჰყარ-მოჰყარა დედაბრები, გადაჰქელა ბავშვები და როგორც იყო თაისამდინ მიახწია, რომელიც გვერდით გაიხმო.

— მშვენიერო ასულო, - უთხრა მან, — აბა შემომხედე და პირდაპირ მითხარი, ნუთუ უარს ეუბნები ჩემს სიყვარულს?

მაგრამ პაფნუტი ჩაერია:

— უბედურო, — შესძახა მან, — თუ რომ მიეკარე, დაიღუპები! ეგ წმიდანია... ღმერთი დაგსჯის.

— იქით, შე ქოფაკო, — შეუძახა ახალგაზდამ, — თავი დამანებე, ჩემს საყვარელს ველაპარაკო, თორემ წვერში ხელს წაგავლებ და მაგ ცეცხლზე ისე შეგწვამ, როგორც რომ მწვადსა*).

და თან თაისისკენ გაიწოდა ხელი. მაგრამ პაფნუტამ მოულოდნელად ისე მაგრადა ჰკრა ხელი, რომ კერონი რამდენიმე ნაბიჯით უკან გადავარდა და შიგ ნაღვედრისაებრ გაგორდა.

ამასობაში ტადდე ერთიდან მეორესთან დაძვრებოდა, მონებს ყურს უწევდა, შეძლებულთ ულაქუცებდა და ყველას ერთბაშად აქეზებდა პაფნუტის საწინააღმდეგოდ და მართლაც: მალე პატარა ჯგუფი გამოეყო, რომელმაც პირდაპირი იერიში მიიტანა ანტინოეს წინამძღვარზე. კერონიც წამოხტა, გაშავებული სახით, შეტრუსული თმებით, სულს ძლივს იბრუნებდა. იგი სწრაფად ჩაერია ამ ბრბოში და წყევლა-გინებით წინ გაუძღვა საიერიშოთ. პაფნუტი შუაში მოემწყვდა. მუშტებისა და ჯოხების ქნევით, ყვირილ-ყიჟინით და მუქარით მის სიკვდილს მოითხოვდნენ.

— სახრჩობელა, სახრჩობელა მაგ ქოფაკს! — ყვიროდნენ ერთ მხრით.

---

*) une andoille ვთარგმნე „მწვადად“, უკეთესი სიტყვა ვერ მივუყენე. დ. კ.

— არა, ცეცხლში სჯობია!.. ცოცხალი დავწვათ!.. ცოცხალი დავწვათ!..

პაფნუტიმ გულში ჩაიკრა თავის ნადავლი და ცოცხალი თავით აღარავის არ ანებებდა.

— უწმინდურებო, — ჰკუხდა იგი ცეცხლმფრქვევი მეხივით, — ნუ სცდილობთ მტრედი მოიტაცოთ ღვთის ფრთებ ქვეშიდან! უმჯობესია, ამ ქალის მაგალითს მიჰბაძოთ, რათა წუმპე ოქროს ნიაღვრად გარდაჰქმნათ. უარჰყავით მის მზგავსად ეს ცრუ ბედნიერებანი, რაიც, ვითომც, თქვენს სამკვიდრებელს შეადგენდეს. ესწრაფეთ: ახლოვდება დრო, ღვთის მოთმინებასაც ეღება ბოლო! აღვიარეთ თქვენი ცოდვები და ტირილით მოინანიეთ, ილოცეთ, ილოცეთ, რომ გეპატიოთ უმეცრება! მისდიეთ თაისის კვალს. შეიძულეთ თქვენი უსჯულოებანი და მზაკვრობანი! ვინაა თქვენში გინდა მდიდარი, გინდა ღატაკი, თავისუფალი თუ მონა, მოქალაქე თუ ჯარისკაცი, ვისაც შეეძლოს გაკადნიერება და ღვთის წინაშე წარდგომა, ვითომც ამ ქალზე ნაკლები უბიწო იყოს? ყველა თქვენგანი მოხეტიალე უწმინდურობას წარმოადგენს და თუ წუმპის ნაკადულად არ იქეცით, ეს მხოლოდ და მხოლოდ ისევ მაღალი ღვთის წყალობით!

როდესაც ასე ლაპარაკობდა, მის თვალები ცეცხლის ალს აფრქვევდენ. თითქოს გაღადღადებული ნაღვედარაო, ისეთ იყო მისი სიტყვა. თუ ვინმე უგდებდა ყურს, მხოლოდ იმიტომ, რომ იძულებული იყო: მისმა ძლიერმა ხმამ ყველანი ერთობ დაიმონა ჯადოსნურ ძალით.

მაგრამ მოხუცი ტადდე გულხელდაკრეფილი არ ყოფილა. იგი კალათაში იკრებდა ქვებსა და ლოკოკინის სადაფს. მართალია, თვითონ ვერა ჰბედავდა, მაგრამ სხვებს ხელდახელ აჩეჩებდა და აქეზებდა, რომ ამოქმედებულიყვნენ. მართლაც, მალე ქვები წამოუშინეს. ერთმა ისე მარჯვედ ესროლა ლოკოკინა, რომ პაფნუტის შუბლი გადუსერა. წამებულის შუბლიდან გადმონადენი სისხლი შავ სახეზე წითელ ნიაღვრად გადმოსკდა და მონანიებულ თაისის თავზე ისე ეღვენთებოდა, როგორც ნათლობის ახალი ნაკურთხი წყალი. უზომოდ აღელვებული თაისი მის გულზე ეკვროდა, ძაძის სამოსი მკაცრად სწიწკნიდა მის სხეულსა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც აშკარად ჰგრძნობდა, თუ ზიზღისგან როგორ თრთოლაედა მისი სახსრების ყოველი ნაკვეთი თვით ამ უხეში სამოსის ქვეშ.

ამ დროს ძვირფასად ჩაცმული ლამაზი კაცი, რომელსაც ასკილის ვარდის გვირგვინით შემოეფარგლა თავი, სწრაფად ჩამოერია პრბოს, გამოარღვია იგი და შეუტია გააფთრებულთ:

— შეჩერდით! შეჩერდით! ეს ბერი ჩემი ძმაა!

ეს იყო ნიკიასი, რომელმაც თვალები დაუხუჭა ფილოსოფოს ევკრიტეს. იგი სახლში ბრუნდებოდა. ამ მოედანზე გამოვლის დროს უნებლიედ შეჩერდა, თუმცა არაფერი გაჰკვირვებია, ვინაიდან, საზოგადოდ მას აღარაფერი აკვირვებდა. იგი მიუახლოვდა აღგზნებულ კოკონს და მალე მიჰხვდა ყოველისფერს, როცა მომნანიებელის სამოსელში თვალი მოჰკრა თაისს და ბის გვერდით კიდევ პაფნუტის, რომელსაც უწყალოდ უშენდენ ქვებს.

მან ხელახლად აიმაღლა ხმა:

— შესდექით. გეუბნებით, შესდექით მეთქი! დაიფარეთ ჩემი ძველი მეგობარი! პატივი ეცით ძვირფას პაფნუტის თავს!

მაგრამ იგი შეჩვეული იყო ბრძენთა კამათს, არც თუ იმდენი ძალა ჰქონდა, რომ ხალხის ყურადღება დაემორჩილებინა. მას ყურს არავინ ათხოვებდა. ქვებისა და ლოკოკინების სეტყვა თავში უშენდა დაჩოქილ ბერს, რომელსაც თაისი დაეფარა კალთის ქვეშ და მადლობასა სძღვნიდა განგებას, რომლის წყალობითაც ჭრილობანი ალერსის სახეთ ეჩვენებოდა. ნიკიასი სასოწარკვეთილებამ მოიცვა, რომ მეგობარს ველარაფრით ვერ დაიხსნიდა. მან გადასწყვიტა, დაე, ღმერთებმა გასაჯონო, რომ უეცრივ ბრწყინვალე აზრმა გაურბინა, რომელიც თვით ამ უმზგავსი ბრბოს სიძულვილმა შთააგონა მას. სწრაფად სარტყელიდან ოქროთი სავსე ქისა ჩამოიხსნა, გადაერია პირველ რიგში, სადაც უფრო გაშმაგებით უშენდენ ქვებსა და მათ ყურთან ააწკრიალა ოქრო. პირველად ყურადღება არავის მიუქცევია მისთვის. შემდეგ ნელ-ნელ სიცოფეს უკლეს და ბოლის მიჰმართეს ოქროს წკრიალს. ნიკიასმა შეჰნიშნა, ეხლა უბედურ მსხვერპლთ ეშველებათო, აღარ დააყოვნა, მოხსნა ქისა და მარჯვნივ და მარცხნივ გადაჰფანტა ოქრო და ვერცხლი. გაუმაძღარი ბრბო დაესია. ფილოსოფოსი ბედნიერად ჰგრძნობდა თავს, რომ ხერხით გაიმარჯვა და უფრო შორი-შორს გაფანტა ბრბოს ოქრო-ვერცხლი. დაკუზული ბრბო ქვა-ფენილზე მოწკრიალე ფულებს ეისდევდა. მონები, მათხოვრები თუ ვაჭრები ერთგვარად ურევ-

დენ ნაგავსა ტალახში ხელსა, ხოლო პატრიცნი შემოხვეულიყვნენ კერონის გვერდით და ამ სანახაობაზე გულიანად ხარხარებდენ. თვით კერონსაც კი დაავიწყდა თავისი რისხვა. მისი მეგობრები აქეზებდენ ძირს განართხულ მეტოქეებს, ირჩევდენ ფალავნებს და სანაძლეოსა სდებდენ, არა ეს აჯობებს, არა ესაო. ხოლო როდესაც ჩხუბი ასტყდებოდა, ესენი გარედან უღიზინებდნენ, როგორც ამას სჩადიან გაცოფებულ ძაღლების წაჩხუბების დროს მოსეირენი. როდესაც ერთმა უფეხომ ფეხიანებს დაასწრო და დრახმა ხელიდან სხვებს გამოსტაცა, სიხარული ცას ასწვდა. ახლა ახალგაზდებმაც დაიწყეს ფულების ბნევა, ასე რომ მალე მთელს მოედანზე მხოლოდ ზურვებსღა თუ დაინახავდით, რომლებიც ოქრო-ვერცხლისა და სპილენძის წვიმის ქვეშ ისე ჰღელავდნენ, როგორც აბობოქრებულ ზღვის ტალღები. პაფნუტი ყველას დაავიწყდათ.

ეხლა კი იდროვა ნიკიასმა. სწრაფად მიირბინა მასთან, გადააფარა თავისი მანდილი და თაისთან ერთად ერთს მისახვევში გაიყვანა, სადაც ბრბოს დევნიდან თავისუფალი იყვნენ. რავდენიმე ხანს ისე მირბოდნენ ხმის ამოუღებლივ. შემდეგ, როცა სრულს სამშვიდობოზე მივიდენ, ნაბიჯს უკლეს. ნიკიასმა მანდილი გაანთავისუფლა და რაოდენადმე ნაღვლიანი დაცინვით უთხრა:

— მაშ ასე, აღსრულდა! პლუტონი იტაცებს პროზერპინეს! თვითონ თაისიც გვტოვებს ობლად. იგი უმჯობესად სთვლის, რომ ჩემს სასტიკ მეგობარს გაჰყვეს უკან,

— ეს მართალია,—უპასუხა თაისმა,—მე დავიღალე ისეთ ხალხთან ცხოვრებით, როგორც შენ ხარ, მუდამ მომღიმარი, სურნელოვნებით შენამული, სუფთა და თავმოყვარე. ამგვარადვე დავიღალე ყველა იმათგან, რაც რომ ვიცი, გამომიცდია. ახლა მივდივარ უცნობის საძიებლად. მე გამოვცადე, რომ სიტკბოება არ იძლევა ბედნიერებას. ეს სიმდიდრე კი მპირდება ჭეშმარიტ სიხარულს, რომელიც, თურმე თვით ტანჯვა-წამებაში იმალება. მე მწამს, რომ ეს ასე იქმნება, ვინაიდან ეს კაცი თვით ჭეშმარიტებასა ჰმფლობს!

— მეც ვმფლობ ჭეშმარიტებას,—უპასუხა ღიმილით ნიკიასმა,—თუ ეგ მარტო ერთს ჭეშმარიტებას იცნობს, მე ყოველისფერს, მე მაგაზე ბევრად უფრო მდიდარი ვარ, მაგრამ,

მართალი უნდა გითხრა, ამით არც მეტად ამაყი ვარ, არც თუ ბედნიერი.

მაგრამ რაკი დაინახა, რომ პაფნუტი ნაპერწკლებს აყრის თვალიდან, ახლა ამისკენ მოტრიალდა:

— ძვირფასო პაფნუტი, არ იფიქრო, ვითომც მასხარად მიმაჩნდე, ანუ უგუნურ ვინმედ. და თუნდა ჩემი ცხოვრება შენსას შევადარო, გადაჭრით ვერ გეტყვი, რომელი უფრო საბარბიელოა და პატივსადები. აი ეხლა დავბრუნდები, ვიბანებ, კრობილე და მირტილე უკვე მზად იქმნებიან, რომ დამზილონ. შემდეგ მივიღებ ფაზისის ხოხბის ფრთას და გვეღრზე წამოწოლილი მეათასეჯერ მოვყვები აპულეს ერთ-ერთ იგავ-არაკის კითხვას, ან და პორფირეს ტრაქტატების გარჩევას. შენც შენის მხრით დაუბრუნდები შენს სავანეს, სადაც მუხლმოყრილი მოჰყვები ყურმოჭრილ აქლემსავით ერთსა და იმავე ფორმულების ცოხვნას, ერთსა და იმავე ლოცვების ღეჭვას, რომელიც ათასჯერ და ათიათასჯერ გადაუცოხნ-გადმოუცოხნიათ, საღამოთი კიდევ დაჯდები თალგამს შეექცევი, რა თქმა უნდა, ერბოს წაუსმელად. რას ვიზავთ, ჩემო ძვირფასო! ასეთი თითქოს სხვა და სხვა სახის მოქმედებით ჩვენ ორნივე ვემორჩილებით ერთსა და იმავე გრძნობას, ერთსა და იმავე მამოძრავებელ ძალას; ორნივე მოვყვებით სიტყბოების ძებნას, ხოლო სახეში გვექნება ბედნიერება, არ არსებული და შეუძლებელი ბედნიერება! ამიტომ, ჩემის მხრით სისულელე იქმნებოდა უმართლოდ ჩაგთვალო შენ, ჩემ თავს კი მართალი უწოდო. შენ კი, ჩემო თაის, წადი და განიხარე! იყავი, თუ კი შესაძლოა, უფრო მეტი ბედნიერი ამ ნაკლულევანებაში და მარხულობაში, ვიდრე ფუფუნებაში ყოფნის დროსა. როდესაც ყველაფერი ავწონე, სწორედ, მშურს შენი საქციელი, ჩემო თაის! ჩვენი ცხოვრება ყურმოჭრილ ყმებად გვხდის. ჩვენი ბუნების მორჩილნი ცალ-ცალკე ვირჩევთ გზებს, როგორც მე და პაფნუტი, და ამგვარად ვესწრაფებოდით მხოლოდ ერთგვარ კმაყოფილებას. შენ კი, ძვირფასო თაის, ამოგირჩევია წინააღმდეგი გზა, ვიდრე აქნობამდინ გქონდა გათელილი ფუფუნებაში ყოფნის დროსა. ეს კი იშვიათი შემთხვევაა, იშვიათი, მაგრამ სათაყვანო, რომელიც ძნელად რომ ერთსა და იმავე პირში როდისმე მომხდარიყოს. როგორც ჩვენი საყვარელი პაფნუტია. მაგრამ ეს არ მოხდება არასოდეს. მშვიდობით,

თაის!წადი და მიჰყე იმ გზას, რომელსაც გიჩვენებს შენი ბუნების სიცხოველე, შენი ბედის ახალი საყვირი. წადი და შორს წარიღე ნიკიასის ტკბილი სურვილნი! მე ვიცი მათი ამოება, მაგრამ რას მოგცემ განა ასეთს, რაიც აღემატებოდეს ამ მწირსა და ცარიელა სურვილებს იმ აღმაფრენი ილლუზიების შექმნისათვის, რომელნიც ერთხელ დამარწევდნენ შენს მოხვევნის დროს და რომელთა ხსოვნის მეტი არა დამრჩა რა! მშვიდობით, მომხიბვლელო სახეთა სახებაო, რომელიც თითქოს განგებ და თავისდა უნებურად ამ ქვეყანაში გადმოგტყორცნა ბუნეიბს ძალამ!

ვიდრე ის ლაპარაკობდა, პაფნუტის გულში რისხვის ქარცეცხლი გუბდებოდა და აჰა, უეცრივ დაიქუხა წყევლა და კრულვით:

— წადი, შე შეჩვენებულო! მძულხარ და მეჯავრები, მეჯავრები, როგორც ჯოჯოხეთის მოციქული! წარვედ, მოგვშორდი ასჯერ და ათასჯერ უფრო საზიზღარო, ვიდრე ეს უმეცარი ბრბოა, ეხლა რომ ქვებით მქოლავდა. მათ არ იცოდნენ, რას იქმოდნენ და წყალობა ღვთისა, რასაც თვით შევთხოვ მუხლმოდრეკით, ერთხელაც იქმნება გადმოვა მათზე. მაგრამ შენ, უბედურო ნიკიას, შენ მხოლოდ შხამი ხარ და უნდობარი საწამლავი. შენი ბაგის სუნთქვა მხოლოდ სასოწარკვეთილებისა და სიკვდილის ქარიშხალს უშვებს. ერთი შენი შხამიანი ღიმილი უმეტესი ღვთის გმობაა, ვიდრე შეეძლოთ მთელს საუკუნეთა განმავლობაში სატანის პირით ელაღადათ ურწმუნოთა ლაშქარს. შორს მეთქი, გარეწარო!

ნიკიასი მხოლოდ სინაზით შეჰყურებდა.

— მშვიდობით, ჩემო ძმაო,—უთხრა მან,— დაე, სარწმუნოება გქონდეს მუდამ შეურყეველი, ვითარცა ეგ ზიზღი და სიყვარული! მშვიდობით, შენც, თაის! ეჰა, შენ მალე დამივიწყებ, მაშინ როდესაც ჩემს გულში წარუხოცელი დარჩება შენი ტკბილი ხსოვნა!

როცა ისინი მიატოვა, ნიკიასი გაეშურა მიხვეულ-მოხვეული ქუჩით, რომელსაც მიჰყავდა იგი ალექსანდრიის დიდ სასაფლაოსთან. აქ სცხოვრობდნენ მექოთნეები. მათი დუქნები სავსე იყო ქოთნებით და აფერადებული თიხის იმ ფიგურებით, რომლებიც ჰხატავდნენ ღმერთებს, აქტიორებს, ქალებს, პატარა ფრთოსან გენიებს, ერთი სიტყვით, ყველა იმ ნივ-

თებს, რომლებიც ჩვეულებადა ჰქონდათ მიცვალებულისთვის საფლავში ჩაეტანებინათ ხოლმე. იგი დააცქერდა ამ ფიგურებს და ნაღვლიანმა ფიქრებმა გაიტაცა. მას წარმოუდგა, რომ მალე ზოგიერთა ამ სუმბუქ ხელოვნებათაგანი მოწმები გახდებოდნენ მისი საუკუნო ძილისა. ამასობაში ისე მოეჩვენა, თითქოს ერთი კალთა აწეული პატარა ეროსი დასცინოდა. ამ ფიქრებმა მეტად დააღონეს იგი. რომ მათი ლანდი გაედევნა, იგი მოჰყვა ფილოსოფოსობას:

— რა თქმა უნდა, დროს არავითარი რეალობა არა აქვს. ეს ჩვენი გონების წმინდა ილლუზიაა და სხვა არაფერი. მაშასადამე, თუ არ არსებობს იგი, როგორღა მაწვევდა სიკვდილს! მაგრამ აქედანვე ვასკვნი, რომ ჩემი სიკვდილი არის, როგორც იყო ყოველთვის და იქნება კიდეც. მართალია, არა ვგრძნობ მის ფრთებს ჩემთან ახლოს, მაგრამ ვიცი, რომ არის და რომ მე არ უნდა მეშინოდეს მისი, ვინაიდან, სისულელე იქნებოდა იმისი შემშინებოდა რაც უკვე წავიდა. იგი ისევე არსებობს, როგორც წიგნის უკანასკნელი გვერდი, რომელსაც მე ვკითხულობ და რომელიც ჯერ კიდევ არ გამითავებია.

ამ გვარი მსჯელობით გაიარა მან მთელი ეს გზა. მიუხედავად ამისა, ვერაფერმა გაამხიარულა იგი, სული მისი კაეშნის ბადეს ვერ გასცილდა. ამასობაში კიდეც მივიდა სახლთან. მისი ყურადღება მიიპყრო სიცილ-კისკისმა. მის მოლოდინში კრობილე და მირტილე ეზოში გამოსულიყვნენ და მხიარულად ბურთაობდნენ...

პაფნუტი და თაისი მალე გავიდნენ ქალაქიდან მთვარის ჭიშკარით და ზღვის ნაპირს გაედევნენ.

— დედაკაცო, — უთხრა მან, — მთელი ეს ზღვაც ვერ შესძლებდა შენი ბიწიერების ჩამორეცხვას.

პაფნუტი ლაპარაკობდა რისხვით და ზიზღით:

— შენ თვით ძაღლზე და ღორზე უფრო ბილწი იყავი, ვინაიდან წარმართებს და ურწმუნოებს აძლევდი საქელავად ამ სხეულს, რომელიც დაუსაბამომ თავის ტაძრად ააგო! ბიწიერებანი შენნი იმდენად მრავალია. რომ ეხლაც, როდესაც შეიგენ ჭეშმარიტება, პირს ისე ვერ მოჰკუმავ, ვერც თუ გულხელს დაიკრებავ, რომ მათმა სუნმა არ აგირიოს გული. შენ თვითვე შეგეზიზღება შენი თავი...

თაისი მორჩილად მისდევდა და ყოველ დაბრკოლებებს ადვი-

ლად იტანდა, როგორც გზის სიბნელეს, ისე სიცხე-პაპანაქების ალ-მურს. დაღლილობისგან მუხლები ეკვეცებოდა, წყურვილი კიდევ სუნთქვას უგზნებდა კოცონსავით. მაგრამ პაფნუტი ულმობელი გამოდგა, პირიქით, უხაროდა, რომ ახლად მოქცელი ტანჯვითა და ხორციელი წამებით გამოისყიდდა წარსულ ცოდვებს. საღრმთო სურვილის სასტიკი თავგამოდებით იგი იქნობამდინ მივიდა, რომ მზად იყო კარგა გაეჯოხნა ეს სხეული, რომელსაც შერჩა სილამაზე, როგორც მისი ბიწიერების მოწამე. მის კეთილშობილურ რისხვას საზღვარი აღარ ჰქონდა, როდესაც გაახსენდა, რომ თაისი უზიარებდა ნიკიასს სარეცელს. ამ დროს ისეთი საშინელი წარმოდგენა განსჭვრიტა გონების თვალით, რომ შეკუმშულ გულში სისხლმა იფეთქა და გადმონთხევას ჰლამობდა. პირზე მომდგარი წყევლა-კრულვა ყელში შეუწყდა და სიბრაზით მხოლოდ კბილები გააკრაჭუნა. ეს იყო უკანასკნელი წამების წუთები, როდესაც მან ველარ მოითმინა, უკმეხად მობრუნდა და ფერწასუმა, საზარელი რისხვით აღფურვილმა გაშმაგებული თვალები ჩააშტერა თაისის სხეულს, თითქობს ისრებად გაუარა მის თვითეულხ ნაკვთს, სულის სალარო შეუნგრია და შიგ სახეში მიაფურთხა.

მან მშვიდად გაიწმინდა სახე და კვლავ განაგრძო სიარული. ეხლა პაფნუტი მიზდევდა უკან. თვალებით ისე მიშტერებოდა მის ტანს, როგოცრ გადაშლილ შავ-ბნელ უფსკრულს. იგი მისდევდა, თან კი საღმრთო რისხვის ცეცხლით იწვოდა. იგი ჰფიქრობდა ქრისტეს სახელით შური ეძია, ვიდრე თვით ქრისტე იძიებდა. სწორედ ამდროს შეჰნიშნა, რომ თაისის ქუსლიდან გადმოდენილი სისხლით შარა-გზის ქვიშა ირწყებოდა. მაშინ კი მოლბა პაფნუტი. რაღაცა გრილი ნიავი იგრძნო აღშფოთებულ სულის სიღრმეში. გულმა ტოკვა დაუწყო, რისხვის ალი ჩაჰქრა და მის ადგილას ახლა ცრემლთა ნაკადულმა წამოჰხეთქა. იგი დაემხო მის წინაშე და უმწეო ხმით მოჰყვა გოდებას. იგი იგლოვდა თავს, უწოდებდა მას თავის საყვარელ დას, დედას. ფეხს უკოცნიდა როგორც წმიდანს, ხოლო გადმოდენილ სისხლს კოცნით უშრობდა ერთი და იმავეს ათასჯერ განმეორებით:

ოჰ, ტკბილო დაო, ჩემო დედა, ოჰ, წმინდანო დავ!

შემდეგ ილოცდა მოკრთალებით:

— ზეციერო ანგელოზნო, მიიღეთ ეს სისხლის წვეთი,

ვითარცა უძვირფასესი ძღვენი მეუფის წინაშე შესაწირველად. დაე, ნაზი სამოთხის ყვავილი აღმოსცენდეს ამ მწირ ქვიშნარზე, რომელიც თაისის პატიოსანი სისხლით მოირწყო, რათა მის მნახველებმა დაიბრუნონ გულისა და გრძნობათ სიწმინდე! ჰოი, წმიდაო, წმიდაო, ყოვლად წმიდაო თაის!

როდესაც ასე ლოცულობდა და წინასწარმეტყველებდა, მათ მახლობლად პატარა ბიჭმა გაიარა სახედარით. პაფნუტიმ ულბრძანა ძირს ჩამოსვლა. მის მაგიერად თაისი შეჰსვა, ხელში აღვირი დაიჭირა და გზას გაუდგა. საღამოთი ერთ რუს პირას ჩამოხტა მშვენიერ ხის ჩრდილოვანში. სახედარი ფინიკის ხეზე მიაბა, ხოლო თითონ ხავს მოდებულ ქვაზე ჩამოჯდა და თაისითურთ შეექცა პურს, რომელიც მარილ წყალში იყო ამოვლებული. შემდეგ მუქით წმინდა წყალი დალიეს და წყნარად მოჰყვნენ საუბარს სამარადისო ცხოვრებაზე. თაისი ამბობდა:

— ჩვს დღეში ასეთი წმინდა წყალი არ დამილევია, არც თუ ასეთი სუფთა ჰაერით მისუნთქვია. ვგრძნობ, რომ ღმერთი დაჰქროლაეს ჩვენს გარშემო.

პაფნუტი უპასუხებდა:

— აი, ეხლა ხომ საღამოა, ჩემო დაო! ლაჟვარდი საღამოს ზეწარი ნელ-ნელა მიდამოს ეფარება, მაგრამ მალე იხილავ, თუ აღმოსავლეთის კიდობნიდან ვითარ აცისკროვნდება ახალი ცხოვრების განთიადი! ეს იქმნება სამარადისო ცისკრის უმეკნარი ვარდების აყვავილება!

შემდეგ მთელ ღამით მიდიოდნენ. იმ დროს, როდესაც ღამის გუშაგი ვერცხლის ფრად აელვარებდა ზღვის ტალღებსა, ისინი ჰგალობდნენ ჰიმნებსა და ფსალმუნებს. როდესაც მზე ამოვიდა, მათ წინ უდაბნო ისე გაიშალა, როგორც ლომის ტყავი ლიბიელთა ქვეყანაში. ქვიშის საზღვრებზე გამოჩნდა ბზით შემორტყმული თეთრი შენობანი, რომელნიც ვარდისფერ განთიადის მომხიბველელ ნისლში ცურაობდა.

— მამაო, —ბიჭმართა თაისმა,—ეს არის ის ცხოვრების კიდობანი?

— შენ თვითონვე სთქვი, შვილო ჩემო და დაო ჩემო. ეს არის სახელი მხსნელთა მხსნელის, სადაც უნდა დაგაბინავო შენ.

მალე მათ დაინახეს ქალები, რომლებიც განდეგილთა სახლების გარშემო დაფუსფუსებდნენ, თითქოს სკას ფუტკრები

შემოჰხვევიანო. ზოგნი პურს აცხობდნენ, ზოგნი კიდევ მწვანილსა ჰკრებდნენ, ზოგნიც ართავდნენ; ცის ნათელი ყველას ისე მიმოჰფენოდა, როგორც ღვთაებრივი ღიმილის ნეტარება. იყვნენ ისეთნიც, რომელნიც ოცნებას მისცემოდნენ მაღალ ხეთ ჩრდილ ქვეშ. მათი თეთრი ხელები ამაოდ ქანაობდნენ ჰაერში, რადგანაც მათ მაგდალინელის როლი იკისრეს და ლოცვის მეტს არას აკეთებდნენ. ამათ თეთრები ეცვათ და სახელად მარიამს უწოდებდნენ, ხოლო იმათ, ვინც მუშაობდნენ, ცისფერი ეცვათ და მართას უძახდნენ. ყველას ზემოდან წამოსასხამი ესხათ, ხოლო ვინც უფრო უმცროსნი იყვნენ, შუბლზე ჩამოშლილი თმა ჰქონდათ. უეჭველია, ეს უნებურად მოსვლოდათ, ვინაიდან მონასტრის წეს-რიგი ამას უკრძალავდა მათ. ერთი ძალზე მოხუცებული დედაკაცი ერთი სავანიდან მეორემდინ დასეირნობდა. ხელში ეკავა მძიმე ხის კვერთხი. პაფნუტი მივიდა მასთან, მოკრძალებით ემთხვია მის კაბის კალთას და კრძალვით მიჰმართა:

— მშვიდობა უფლისა იყოს შენთანა, ღირსო ალბინე! შენს სკაში მომყავს ერთი გზა-აბნეული ფუტკარი, რომელსაც ყვავილები ეპირვება. ეს დავიპირე, მუკაში მოვიმწყვდიე და საკუთარი სუნთქვით გავათბე. მე მას გწირავ შენ!

თან თაისზე მიუთითა, რომელმაც მუხლი მოიყარა კეისრის ასულის წინაშე.

ალბინე წუთით დააცქერდა თაისს, შემდეგ უბრძანა წამოდგომა, შუბლზე აკოცა, პაფნუტისაკენ მოტრიალდა და გადაწყვეტით უთხრა:

— ამას მარიამთა შორის მოვათავსებთ.

პაფნუტიძ დაწვრილებით უამბო, თუ რა გზით და როგორ მოიყვანა მან თაისი ამ ცხონების კარის ზღრუბლამდე ამიტომ სთხოვა, რომ ჯერჯერობით სადმე ჩაეკეტნათ იგი ცოდვების მოსანანიებლად. ალბინე დასთანხმდა და მონანიებელი წაიყვანა პატარა ქოხში, რომელიც პატარა ლეტის სიკვდილის შემდგომ სულ ცარიელი იყო. ამ პატარა ოთახში იყო ქვეშაგები, პატარა მაგიდა და წყლით სავსე სურა. თაისმა რომ ამ ოთახის დერეფანში ფეხი შესდგა, რაღაცა გამოურკვეველი სიხარული იგრძნო.

— მე თითონვე მსურს კარების დაკეტვა,—სთქვა პაფნუ-

ტიმ,— რათა დავბეჭდო იგი, ვიდრე თვით იესო არ მოვა და საკუთარი ხელით არ აჰხსნის მას.

ამ სიტყვებზე იგი წყაროსკენ გაეშურა, აიღო სველი თიხა, ფურთხით მიაკრა კარებზე, შემდეგ თვისი თმა ჩააკრა შიგ და თითქოს დამშვიდდა, მოისვენა. პატარა ხანს უკან სარკმელიდან გადაჰხედა თაისს, რომელიც თავისთვის კმაყოფილი იდგა. ამის დანახვაზე პაფნუტი დაემხო, თაყვანი სცა მეუფეს და აღტაცებით დაიძახა:

— ვით არ არის სიყვარულის ღირსი, ვინც რომ ცხოვრების სწორე გზით დადის! ოჰ, რა კარგია, რა ნარნარი ფეხები აქვს, ბრწყინვალე სახე!..

ბოლოს წამოდგა თვალებზე კუნკულა ჩამოიფარა და მშვიდად გაუდგა გზას.

ალბინემ დაუძახა იქვე მორიგ დას:

— შვილო, წაუღე თაისს, რაც კი მისთვის საჭიროა: პური, წყალი და სამთვლიანი სალამური.

რ ძ ი ა ნ ა

პაფნუტი დაბრუნდა წმიდა მონასტერში. ათრიბის მახლობლად პატარა ნავში ჩაჯდა, რომელსაც ნილოსის აღმა იღუმენ სერაფიონის მონასტრისთვის საჭირო სურსათი მიჰქონდა. როდესაც ნაპირზე გადავიდა, მისი მოწაფენი სიხარულით გამოეგებნენ. ზოგნი ცისკენ ააპყრობდნენ ხელს და ღმერთს ჰმადლობდნენ, ზოგნი კიდევ მუხლს იყრიდნენ და თაყიანთ წინამძღვარის ფერხს ჰკოცნიდნენ, ვინაიდან მათ უკვე იცოდნენ, თუ წმინდანმა რა სასწაული მოახდინა ალექსანდრიაში. ასე უჩინრად და სწრაფად იგებდნენ ხოლმე შეუდაბნოები ყოველივე ახალს, რაც კი სარწმუნოების დიდებას შეეხებოდა.

როდესაც პაფნუტი განშორდა მათ და უდაბნოს სიღრმისკენ გაემართა, მისი მოწაფენი უკან გაჰყვნენ და ადიდებდნენ სასწაულმოქმედ ღმერთს. ძმობის შორის ყველაზე უფროსი ფლაბიანე იყო. უეცრივ იგი აღფრთოვანდა, თვალნი ზეცისკენ ააპყრო და აღტაცებით მოჰყვა ზეშთაგონებულ ჰიმნის გალობას:

„კურთხეულ არს დღე ესე! აჰა, მამა დაგვიბრუნდა!

„იგი დაბრუნდა ახალი ღვაწლით შემოსილი, რომელიც თვით ჩვენ ჩაგვეთვლება!

„მამათა სათნოება შვილთა სამკვიდრებელია, ხოლო წინამძღვრის სიწმინდე აღავსებს სავანესა ჩვენსა სურნელოვნებით!

„ჩვენმა სულიერმა მამა-პაფნუტიმ იესოს მიჰგვარა ახალი სძალი!

„მან თავისი სასწაულებრივი ძალით შავი ცხვარი თეთრად აქცია!

„და აი, კვლავ გვიბრუნდება ახალი ღვაწლის შარავანდედით შემოსილი!

„იგი არსინოიტიდეს ფუტკარსა ჰგავს, რომელიც თაფლით დატვირთულა.

„იგი ნუბიელ ცხვარსა ჰგავს, რომელიც მატყლის სიმძიმის გამო ფეხს ძლივს ადგავს.

„ვიდღესასწაულოთ ეს დღე, დღეს ერბოიანი საჭმელი ვჭამოთ!“

როდესაც წინამძღვრის სავანეს მიუახლოვდნენ, კარის ზღრუბლთან დაიჩოქეს და ერთხმად შესძახეს:

— გვაკურთხე, მამაო, გვაკურთხე და თვითეულს თითო კოვზი კარაქი მოგვმადლე, რათა ვიდღესასწაულოთ მოსვლა შენი!

ერთად ერთმა პავლემ ვერ იცნო იგი. „ვინ არის ეს კაცი“,—ეკითხებოდა თვის მოძმეთ. მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევდა, რადგანაც იცოდნენ, რომ იგი ჭკუა ნაკლები იყო, თუმცა სათნოებით აღსავსე.

ანტონოეს წინამძღვარმა კი კარები ჩაიკეტა და ნაღვლიანად ფიქრს მისცემოდა:

— მაშ ასე, როგორც იყო დავბრუნდი ჩემს საყვარელ და მყუდრო სავანეში, დავბრუნდი ჩემს კმაყოფილების ციხე-დარბაზში. მაგრამ რა ამბავია, რომ ეს საყვარელი ისლის თავსახური არ მიღებს მეგობრად, ან რატომ არის, რომ ეს კედლები არ მეუბნებიან: „სალამი შენდა, მეგობარო, კეთილი იყოს შენი მოსვლა!“ ამ რჩეულთა სადგომში ჩემს წასვლის შემდგომ აღარა შეცვლილა-რა. აი ეს მუმია, რომელიც ვინ იცის, რავდენჯერ მინერგავდა ხსნის იმედებსა, აი კიდევ ის წიგნიც, სადაც ხშირად ღვთიურ სახიერებათა ძებნაში ვიყავ. მიუხედავად ამისა, მაინც ველარა ვპოვებ, რაც რომ დავტოვე წასვლის დღესა. თითქმის ყოვლისფერი უფერულად მეჩვენება, სილამაზე შემოსძარცვიათ ამ ნივთებსა, ასე მგონია თითქოს პირველად შემოველი ამ სავანეში. როდესაც დავყურებ ამ ტაბლას, ანუ ამ საწოლს, რომელიც საკუთარ ხელით გამოვკვეთე სალი-კლდისაგან, ან ამ გამხმარ კენჩხას, ან კიდევ ამ პაპირუსის ხვეულებს, რომელნიც ზეციერ მამის ბრძანებას შეიცავენ, ასე მგონია, თითქოს ყველა ეს მიცვალებულის მიერ დატოვებული ნივთები არის-მეთქი. ოჰ, როგორ კარგად ვიცნობდი თვითეულ მათგანს, სამაგიეროდ ეხლა ყოველი შეიცვალა, მათ ველარა ვცნობ. ეჰა! რადგანაც ჩემს გარშემო ნამდვილად არა შეცვლილა-რა, მაშასადამე, თვით მე შევცვლილვარ და ის აღარ ვარ, რაც ვიყავი. სულ სხვა გავმხდარვარ. მიცვალებული—ეს თვითონ მე ვარ. ღმერთო ჩემო, რად მოხდა ასე! რა იქმნა იგი? მან რა წაიღო თან? რა დამიტოვა? ან ვინ ვარ თვით მე?

იგი იმიტომ უფრო იყო მოუსვენრად, რომ თავისი სენაკი ეხლა მეტად პატარა ეჩვენებოდა, მაშინ როდესაც სარწმუნოების თვალსაზრისით ძალიან დიდი იყო, ვინაიდან შიგ თავსდებ ოდა თვით ღვთაებრივი დაუსაბამობა!

როდესაც ლოცვას მოჰყვა და პირქვე დამხობილი შუბლს ფილაქანზე ახეთქებდა, რავდენადმე სიმშვიდე იგრძნო. მაგრამ არ გაევლო საათს, რომ ლოცვად მდგარს თაისის სახე გამოეცხადა. ამისთვის მადლობა შესწირა ზეციერს:

— ტკბილო იესო! ეს შენ მიგზავნი იმის სახეს. ამაში, დიახაც, რომ ვცნობ შენს სათნოებას, დაუსრულებელ სიყვარულსა. შენ აჩითი გსურს გამამაგრო, ვიყო კმაყოფილი და დავმშვიდდე, როდესაც ვიხილავ იმის სახეს, ვინც რომ მოგიძღვენ. შენ კვლავ მაჩვენებ მის ღიმილსა, რაიც აღარავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს, მის უბიწო გრაციას, საიდანაც შხამიანი ისარი ამოვაძრე და განვასპეტაკე იგი, ჩემდა ნუგეშის მოსავლენად, უფალო ჩემო, შენ მას მივლენ სწორედ იმ სახით, რა სახისაც გავხადე განწმენდილი და გამშვენიერებული, შენთვის, მხოლოდ შენთვის განარნარებული, ვითარცა სულიწმინდა გარდმოვლენილი მტრედის სახით! ოჰ, მესმის, მესმის: შენ მას მაჩვენებ, როგორც მეგობარი თავის მოყვასს აჩვენებს ძვირფას საჩუქარს, რომელიც მისგან მიუღია. აი, რატომ ვარ კმაყოფილი ამ ქალის ხილვით. მწამს, რომ მოჩვენება იგი შენგან არს მოვლენილი, მხოლოდ შენგან! ხომ არ დაივიწყებ, ღმერთო ჩემო, რომ ის მე გიძღვენ, შემოგწირე! იესო, მაცხოვარო ჩემო, თუ რომ ისურვებ, შეინახე იგი, დაიფარე განსაცდელისგან, განსაკუთრებით ნუ შეიწყნარებ, თუ რომ მისი სიტურფე სხვისთვის დაიწყებს ელვარებას და არა შენთვის!

მთელ ღამის განმავლობაში ძილი არ მიჰკარებია. ეხლა უფრო ცხადადა ჰხედავდა თაისს, ვიდრე ფერიათა მღვიმეში. ეს თვითონვე სთქვა, მოვლენა სიცხადეს აღემატაო და თან დაუმატა:

— რაც რომ ჩავიდინე, სულ ღვთის სადიდებლად და არა ჩემთვის!

მიუხედავად მისა, არავითარი სიმშვიდე არ უგვრძნია. გაოცებულმა არ იცოდა, თუ რა ჰხდებოდა მის თავზე. ახლა თავის სულს მიჰმართა მწარე ამოოხვრით:

— მარქვი, სულო ჩემო, რადა ხარ ეგრე ნაღვლიანი, ან რად მაძრწუნებ?

მაგრამ სული მაინც შფოთვას განაგრძობდა. ოცდა-ათ დღეს იყო ამ ყოფაში, ასეთი გამოუთქმელი მწუხარებით იტანჯებოდა, რაც მეუდაბნოესთვის სასტიკ განცდას წარმოადგენს. თაისის სახე არ ჰშორდებოდა. ვერც დღე, ვერც ღამე ვერ მოიშორა მისი ლანდი, ისევ მღიმარი სახით, იმავე ნარნარება შემოსილი. პაფნუტი მას არ სდევნიდა, რადგანაც ჰფიქრობდა, ალბად ღმერთი მივლენს სანუგეშებლადაო. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჩვენება იგი წმიდანის სახეს წარმოადგენდა. მაგრამ ერთხელ, განთიადის პირს, თაისი ეჩვენა გაშლილი თმით, იით მორთულ დალალებით, ისეთი ნაზი და მიმზიდველი, რომ შეძრწუნებულმა განდეგილმა წამოიკივლა. როცა გამოიღვიძა, ცივი ოფლი შუბლს მოსკდომოდა. ძილისგან თვალები ჯერ კარგად არ მოეფშვნიტა, ისევ ჰბლიტავდა, რომ ცივი ქასქასი შემოესმა: პატარა ტურა შემოპარულიყო, ძის საწოლის თავზე დაედო თათი და მ ს სახესთან ენა-გადმოგდებული ქაქანებდა და თან ხიხინით დასცინოდა.

პაფნუტიმ წარმოუდგენელი საოცრება იგრძნო: მოეჩვენა, თითქოს მის ფერხთა ქვეშ რაღაცა კოშკი ინგრეოდა. და მართლაც: იგი სასოების მაღალ ტახტრევანიდან ძირს დაეშვა. რავდენიმე წუთის განმავლობაში აზროვნების უნარიც კი დაჰკარგა. შემდეგ, როდესაც გონს მოვიდა, ახალმა ფიქრებმა წაიღო და ამან უფრო გაუასკეცა მოუსვენარი მდგომარეობა.

— ორში ერთია,—ამბობდა თავისთვის,—ან ეს მოჩვენება, როგორც რომ პირველი, ღვთის საქმე არის, მაშასადამე, იგი წმინდაა, უხრწნელი და მხოლოდ ჩემი ბუნებრივი გახრწნილება აფუჭებს მას, როგორც მშვენიერ ღვინოს ამჟავებს უსუფთაო ჭურჭელი. ჩემი ულირსი საქციელით ველარ ვარჩევ ცდუნებას, რის გამოც ეს ეშმაკის ტურა სარგებლობს და აქ შემოსულა. ანდა შეიძლება ისიც მოხდა, რომ ყველა ეს ჩვენებანი ეშმაკის მაცდურებაა. რაღა თქმა უნდა, წინანდელი მოჩვენებანიც მისი საქმე იქმნება და არა ზეციერი მამის, როგორც ვფიქრობდი აქნობამდინ მაშასადამე, დამიკარგნია გამოცნობის ნიჭი, რომელიც ასე რიგად აუცილებელია განდეგილისთვის. ორივე შემთხვევაში ღმერთი მითითებს, რომ აქე-

დანაც ვიელტოდე, წავიდე სადმე განდეგილად, თუმცა ამისი მიზეზი ვერას გზით ვერ გამომიცვნია.

ასე მსჯელობდა იგი და თან შეძრწუნებული კითხულობდა:

— ღმერთო, ძლიერო მართლმსაჯულო, კიდევ რაღა სასტიკ განცდას უნიშნავ შენს მსახურთ, თუ-კი შენს წმიდანთა მოჩვენებანი მათთვის საფრთხეს წარმოადგენენ? მანიშნე რითმე რომ გავიგო, რაა შენით მოვლენილი, ან რა ეშმაკთა საცნაური!

მაგრამ ვინ მიჰხვდება ღვთის განგებას! მას არ მოუსურვებია, რომ თავის მსახურისათვის თვალები აეხილნა. პაფნუტიც ეჭვებს ვეღარ ართმევდა თავს. სანუგეშოდ ისღა დარჩენოდა, რომ აღარ ეფიქრნა თაისზე. მაგრამ მისმა გარდაწყვეტილებამ უნაყოფოდ ჩაიარა. თაისი განუყრელად სულ მასთან იყო. იგი მას უყურებდა, წუთითაც თვალს არ აშორებდა წიგნის კითხვის დროს, ანუ როდესაც ლოცულობდა, პაფნუტის გონებაში იგი მუდამ თავის მარმაშის სამოსლის შრიალით ეწვევოდა ხოლმე, და ამ მოჩვენებას ისეთი ცხადი სახე ჰქონდა, როგორიც თვით რეალურ მოჩვენებათაც კი არა აქვთ. თვითეული გამოცხადება იყო მოძრავი, სწრაფად იცვლიდა თავის სახეს, მაშინ როდესაც განგებითი მოვლენა ყოველთვის უძრავია. თაისი ხან დაფიქრებული სახით ეჩვენებოდა, ხან გვირგვინებით შემკული, ხან იმგვარად მორთული, როგორიც ნახა ალექსანდრიაში უკანასკნელი მეჯლისის დროს, და ყველა ეს იმითი უფრო იყო აღსანიშნავი, რომ ჰარმონიული ნარნარებით არსება იგი მოუწოდებდა სიტკბოების საგემებლად მძიმე ფარდებით დაფარულ ფერიათა მღვიმის სიღრმეში. მაგრამ მომხდარა ისიც, რომ თაისი ბრწყინვალე სახით გამოსცხადებია. ამდროს იგი ციური ღიმილით გაცისკროვნებული იყო ხოლმე, რომელსაც ტანზე მოხურული ძაძა ათასჯერ უფრო ჰშვენოდა, ვიდრე ძოწეულის წამოსასხამი და ოქროს ფოჩებიანი სარტყელი. მაგრამ ეს ძვირი სანახაობა სწრაფულ-წარმავალი იყო, თაისი უეცრივ იცვლიდა ფერს და ახლა ისე წარსდგებოდა საბრალო მეუდაბნოეს წინ, როგორც სიკვდილის წინამორბედი მებუკე. ამ დროს ტრაღიზმით აღსავსე, შიშველი მკერდით, სისხლით მოთითხნილი დაკოდილი მკერდით, თაისი იგი სიკვდილს უხმობდა. ყველაზე მეტად კი პაფნუტის ის აშფოთებდა, რომ ის გვირგვინები, წამოსასხამები, ათას-

გვარი სამკაულები თუ ფარჩეულობა, რაც საკუთარი ხელით დასწვა, ხელახლა უბრუნდებოდა და ეცხადებოდა. ცხადია, ამ ნივთებსაც უხრწნელი სული ჰქონიათო, ჰფიქრობდა იგი და არა ერთხელ შეუკიეზია ალშფოთებით:

— აგერ თაისის ცოდვათა სულები აღარ მაძლეკენ მოსვენებას!

როდესაც მოიხედავდა, ისე ეჩვენებოდა, თითქოს თაისი მის უკან იდგა და თვალს არ აშორებდა. ეს უფრო მეტად აღელვებდა პაფნუტის. მეტად მკაცრი იყო მისი წამება. მაგრამ რაკი სული და ხორცი მაინც წმინდა იყო ცდუნებისგან, იგი მიჰმართავდა ხოლმე ღმერთს ნაზი საყვედურით:

— ღმერთო ძლიერო, თუ რომ ისე შორს წაველ წარმართთა ქვეყანაში მის მოსაძებნად, ეს შენთვის იყო და არა ჩემთვის. უსამართლობა იქმნებოდა, რომ იმისთვის დაგესაჯნე, რაც რომ შენთვის ჩავიდინე. დამიფარე, იესო ტკბილო, მაცხოვარო ჩემო, მიხსენი მე! ნუ მისცემ ნებას, რომ აჩრდილმა ის მოახდინოს, რაც სხეულს არ ჩაუდენია. რადგანაც სხეულით გავიმარჯვე, გამარჯვებული მამყოფე ბოლომდინ, რომ ახლა აჩრდილმა არ დამჯაბნოს და არ წამწყმიდოს. ვიცი, მრავალი განსაცდელი უნდა გადამხდეს, ვგრძნობ და ვიცი კიდეც, ოცნებას უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე სინამდვილეს. ან-კი როგორ შეიძლება სხვაფრივ, როდესაც ოცნება იგი თვით უაღრესი სინამდვილეა? იგი ყოველი ნივთის სული არის! თვით პლატონმაც კი, თუმცა ის წარმართი იყო, იცნო თვითეულ იდეის განსაკუთრებული არსებობა. იმ ალ-ქაჯთა მეჯლისზე, სადაც შენ წარმგზავნე, უფალო, მე მოვისმინე, თუ ხალხი,—რა თქმა უნდა, უწმიდურ ხალხზე ვამბობ ამას, თუმცა გონება არც თუ აგრე დაუკარგიათ,—ჰო და ის ხალხი მხოლოდ იმაში თანხმდებოდნენ, რომ საგნებს ვეცნობებით განდეგილობის დროს, მათს შინაგან არსებას ვიგებთ ექსტაზის შემწეობით, აღფრთოვანებული აზროვნებით. და შენი საღმრთო წერილიც, ღმერთო ჩემო, მრავალჯერ ამოწმებს, რომ სიზმრებისა და გამოცხადებათა უმრავლესი ნაწილი ან შენ მიერ არის მოვლენილი; ანდა შენი მოწინააღმდეგის მხრით, მაღალო ღმერთო!

ეხლა მასში ახალი ადამიანი ცხოვრობდა, იგი მსჯელობდა ღმერთთან, მაგრამ ღმერთი იგი არა სჩაქარობდა

მისი გონების განათლებას. მთელი ღამეები სიზმრის სანახაობათა ღამეებად გარდაექცა. თვით დღეებიც ღამისგან აღარაფრით არ განსხვავდებოდნენ. ერთხელ, დილა ადრიან გამოღვიძებისას, ისეთი ოხვრა ამოუშვა, თითქოს მთვარის შუქზე საფლავიდან ამოსული სული ყოფილიყოს, ამ დროს თაისიც გამოეცხადა. იგი აჩვენებდა თავის დასისხლიანებულ ფეხებს. პაფნუტი აქვითინდა. ვიდრე ის ცრემლებს შეიშრობდა, თაისი მის სარეცელზე გაცურდა და მაცდური სახით ზედ წამოწვა. ეხლა ეკვი არ იყო, რომ თაისი წმინდა სულის სახით არ გამოსცხადებია.

ზიზღით აღსავსე გულით წამოხტა თვის წაბილწულ საწოლიდან და თვალებზე ხელი დაიფარა, რომ დღის ნათელი არ ეხილნა. მაგრამ დრო ისე მიჰფრინავდა, რომ მისი დამწველი სირცხვილი არ წარუტაცნია მის სახიდან. ყოველისფერი სდუმდა. პაფნუტიმ მხოლოდ ეხლა იგრძნო განდეგილობის სიმწვავე. იგი ობლად ჰგრძნობდა თავს, ისიც დღეს, ამოდენი ტანჯვის შემდეგ. მართალია, მოჩვენებამ დასტოვა იგი, მაგრამ მისი განშორება უფრო მწვავე გამოდგა, ვიდრე მისი იქ ყოფნა. აღარასფერი აღარ მოიპოვებოდა, რასაც შეეძლებოდა მისი ყურადღების მიპყრობა. იგი ჰფიქრობდა შეძრწუნებით:

— რატომ ხელი არა ვკარი? ან რატომ არ დავუსხლტი ცივი ხელებიდან, ან მხურვალე მუხლებიდან?

ახლა ღვთის სახელის ხსენებაც კი ეკრძალებოდა, ამ უწმინდურ ადგილას არ შეიბღალოსო. იგი ჰშიშობდა, ახლა კი დრო დაუდგათ წყეულ სულებს და თავისუფლად ითარეშებენ ამ ბიწიერების მოედანზეო. მართლაც, წინაგრძნობამ არ მოატყუა. შვიდი ტურა, წინად რომ დერეფანთან მოსვლას ვერა ჰბედავდნენ, ეხლა თავისუფლად შემოიპარნენ და ძის საწოლ ქვეშ შეკოცდნენ. მწუხრზე მერვე შეჰნიშნა, რომელიც საშინლად ჰყარდა. შემდეგ დილით მათ მიემატათ მეცხრე, მალე ოცდა-ათამდე შესრულდა მათი რიცხვი, შემდეგ სამოცზე ავიდა, შემდეგ კიდევ ოთხმოცამდე. საოცარი ის იყო, რომ თვითეული მათგანი მით უფრო პატარა ჰხდებოდა, რავდენადაც იზრდებოდა მათი რიცხვი. მალე ტურებით მოიფინა მთელი იატაკი, საწოლი, საჯდომი. ერთი მათგანი ახტა და მის თავთან ხის დაფაზე მდებარე თავის ქალაზე ოთხივე ფეხით წამოკუცქდა და გაღადღადებული თვალებით დაუწყო

ყურება ყოველ დღეს თანდათანობით მატულობდა და მატულობდა ტურების რიცხვი.

რომ სიზმრების სიბილწე გამოესყიდნა და უწინდელ ფიქრებს განშორებოდა, პაფნუტიმ გადასწყვიტა სრულებით განშორებოდა ამ სავანეს, წასულიყო სადმე უდაბნოს შუაგულში და სხეულის უმაგალითო გვემით და მოღვაწეობით აღედგინა ძველი სიმშვიდე. მაგრამ ვიდრე ამ გარდაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანდა, იგი გაემართა მოხუც პალემონისკენ, რომ რჩევა ეკითხა.

პალემონი ბოსტანში დაჰხვდა, სადაც იგი მწვანილეულობასა რწყავდა. ეს იყო საღამო ჟამზე. ნილოსი ლაჟვარდისფერი ტალღებით მშვიდათ მისჩქეფდა იის კორდის ქვეშ. პალემონი მეტად ფრთხილად იძვროდა, რათა მხარზე დამჯდარი გვრიტი არ აეფრთხო.

— უფალი იესო იყოს შენთანა, ძმაო პაფნუტი, — უთხრა მან, — მოდი და ნუ გაოცდება ადამიანი, როდესაც მის ღულუხვობას ჰხედავს: იგი მიგზავნის თავის შექმნილ ცხოველთ, რათა მის შემოქმედებაზე ვესაუბრო მათ და მათთან ერთად ვადიდო სახელი მისი. აბა, უყურე ამ გვრიტს, დიაკვირდი ამის ნაზად მოელვარე ყელს და მითხარი, ნუთუ მშვენიერი არ არის ეს ღვთის ქმნილება? მაგრამ, ვხედავ, რომ შენ რაღაცა საქმისთვის მოსულხარ. რაზე გასჯილხარ, ჩემო მამაო? თუ რომ რამე საიდუმლოა, ეხლავე თავს დავანებებ ბოსტნის რწყვას და ყურს დაგიგდებ.

პაფნუტიმ უამბო თავისი მოგზაურობის ამბავი, თუ როგორ გაიმარჯვა, ან როგორ დაბრუნდა, შემდეგ მოჩვენებათა თაობაზე გადავიდა, თვით ის ბიწიერებით საესე სიზმარიც არ დაუმალა, თაისი რომ სარეცელს უზიარებდა, არც თუ ტურების შემოსევა.

— რას მეტყვი, ძმაო, — დაასკვნა მან, — ნუთუ არა სჯობიან, რომ განეუტევო ეს სამყოფელიც, წავიდე სადმე შორს, უდაბნოს წიაღში ჩავიკარგო და სასტიკი მოღვაწეობით თვით ეშმაკნიც კი შევაძრწუნო?

— მე ერთი საბრალო ცოდვილი ვარ, — უპასუხა პალემონმა, — და ძალიან ნაკლებად ვიცნობ ხალხს, რადგანაც მთელი ჩემი სიცოცხლე სულ ამ ბალჩაში გავატარე მშველებთან, კურდღლებთანა და მტრედებთან ერთად. ჩემის აზრით, ძმაო,

შენი უბედურობა ის არის, რომ უეცრივ ქვეყნიურ ცხოვრებას მოსწყდი და განდეგილობის მყუდროებას შეურიგდი. შენს თავსაც, ძმაო, იგივე მოჰხდა, რაც იმ ადამიანის თავზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს ძლიერ სიცხესაც ითმენდა და მკაცრ ყინვასაც არ ერიდებოდა. მას არყევს ხველება და სტანჯავს საშინელი ციებ-ცხელება. შენს ადგილას, ძმაო პაფნუტი, იმის მაგიერ, რომ ეხლავე თვით არ ამეღო და სადმე საზარელ უდაბნოში არ გადავხვეწილიყავი, აქვე დავრჩებოდი და გავერთობოდი იმით, რაც შეეფერება განდეგილს და წმინდა იღუმენს. ვნახავდი, საფუძვლიანად დავათვალიერებდი მეზობელ მონასტრებს. მათში, ამბობენ, ზოგიერთა, მართლაც, თვალსაჩინო რამ არისო. თურმე იღუმენ სერაპიონის მონასტერში, როგორც გადმომცეს, ათას-ოთხას-ოცდა-თორმეტი სავანეა, ხოლო ბერები იმდენ ლეგიონებად არიან დაყოფილი, რავდენი ასოც მოიპოვება ანბანშიო. იმასაც კი ირწმუნებიან, რომ ამა თუ იმ ლეგიონის ხასიათს თავიანთ გამომხატველ ასოსთან. რაოდენიმე დამოკიდებულება აქვსო. ასე, მაგალითად, ის ბერები, რომლებიც Z-ით აღნიშნულ ლეგიონში მოხვედრილან, დაუდგრომელ ხასიათისანი არიან, ხოლო I-ათი აღნიშნულ ლეგიონისანი—უფრო სწორე ხასიათისა არიანო. შენს ადგილას რომ ვყოფილიყავი, უსათუოდ შეეეცდებოდი, ძმაო, ჩემივე თვალით მენახა და დავრწმუნებულიყავი ამ ნათქვამის სინამდვილეში. ერთიბეწო დროს არ დავკარგავდი, რომ თვითეული მათგანი საფუძვლიანად შემესწავლა და ერთურთისათვის შემედარებინა. ყველა ეს შენისთანა ადამიანის შესაფერ საქმეს წარმოადგენს. უეჭველია, გაგონილი გექმნება, რომ იღუმენმა ეფრემმა მშვენიერი სასულიერო ცხოვრების წეს-რიგი შეადგინა. მისი ნებართვით შეგეძლო ამის გადაწერა, რადგანაც შენ უკვე დახელოვნებული მწერალი ხარ. მე ამას ვერ მოვახერხებ, ბარისგან ხელები სულ დამიკოჟრდა, ისე მოქნილი აღარა მაქვს, რომ შევძლო ლეწრწის ტარის თავისუფალი ნავარდი პაპირუსის ფურცლებზე. შენ კი, ჩემო ძმაო, მრავალ მეცნიერებას იცნობ, ამისთვის უნდა ჰმადლობდე ღმერთს, ვინაიდან, რაღაა იმაზე მეტი სასიამოვნო სანახავი, როგორც ღვთის მიერ ნაკარნახევ დაწერილის კითხვა და წერა. ძმაო პაფნუტი, რად გაჩერებულხარ მაგრე, ან რატომ არ გადმოგვცემ წერილობით ჩვენს მოძღვართა ,,პავლესი

და ანტონის ბოძღვრებას? ამ მუშაობაში ნელ-ნელ გაერთობოდი და მალე მოიპოვებდი სულისა და გულის სიმშვიდეს. განდეგილობა კვალად გაგიტაცებდა და მალე იმავ ცხოვრებას დაუბრუნდებოდი, რომელსაც მისდევდი და შენი მოგზაურობის გამო დროებით შეწყვიტე. არც ისე დიდ სარგებლობას უნდა ველოდეთ თავგადაკლულ ლოცვა-ვედრებისაგან. მას ჟამსა შინა, როდესაც მამა ანტონი ჩვენთან იყო, ყოველთვის ამას გვეუბნებოდა: „ხანგრძლივი მარხულება ჰბადებს უძლურებას, ხოლო უძლურება — უმოქმედებასაო. არიან ისეთი ბერები, რომლებიც ხანგრძლივი მარხულობით იავადებენ სულსაც და ხორცსაც. მათზე შეიძლება ითქვას, რომ თავისი ხელითვე ხანჯლით იგმირავენ გულს და ეშმაკის კერძნი ჰხდებიან“. ასე ამბობდა წმინდა კაცი მამა ანტონი. მე ერთი რეგვენი კაცი ვარ, მაგრამ წყალობითა ღვთისათა მისი სიტყვები მაინც დამახსოვდა.

პაფნუტიმ მადლობა გადაუხადა პალემონს და აღუთქვა, შენს რჩევაზე კიდევ ვიფიქრებო. როდესაც ბოსტანს გასცილდა, მიიხედა და კეთილი მებაღე შეჰნიშნა, რომელიც ისევ განაგრძობდა სალათის რწყვას. მის მოსრილ ბეჭებზე გვრიტი იჯდა და ნაზად ფრთებს იკორტნიდა. ამის დანახვაზე კინაღამ ტირილი მოუვიდა პაფნუტის.

შინ დაბრუნებისას რაღაცა სიშინელი მოძრაობა შეჰნიშნა, თითქოს ძლიერი ქარიშხალი აბორიალებდა ქვიშას. როცა დააკვირდა, ცხადად დაინახა, რომ ათი-ათასობით ერთი ციცქნა ტურები ირეოდნენ მის სავანეში. ამ ღამით მას დაესიზმრა მაღალი სვეტი, რომელზედაც გამოხატული იყო ადამიანის სახე. შემდეგ მოესმა ხმა:

--- ადი ამ სვეტზე!

გამოღვიძებისას იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სიზმარი ზეციერ ძალით იყო მოვლენილი და, მაშასადამე, უნდა მომზადებულიყო ბრძანების ასასრულებლად. ამიტომ მოუწოდა თავის მოწაფეებს და შემდეგი სიტყვით მიჰმართა:

— საყვარელნო შვილნო, გტოვებთ აქ ყველას, რათა წავიდე იქ, სადაც მიმიწვევს ღმერთი ჩემი. ჩემს აქ არ ყოფნის დროს დაემორჩილეთ ფლაბიანეს და იზრუნეთ ჩვენს მამა პავლეზე. იყავით კურთხეულ! მშვიდობით!

სანამ ის ჰშორდებოდა, მოწაფენი მიწაზე იყვნენ გარ-

თხმულნი, ხოლო როდესაც წამოდგნენ, თვალი ძლივს მოჰ-
კრეს თავიანთ მოძღვარს შორს, ქვიშის ჰორიზონტის გასწვრივ.

მთელი დღე და ღამით იარა, ვიდრე წარმართთა ტაძ-
რამდინ არ მიაღწია, ს დაც კოღოსა და მორიელების გვერდით
ათია ღამე თავის საოცარ მოგზაურობის დროს. ოცდა-ათი
თვალუწვდენელი სვეტი ადამიანის სახით და ლოტუსის ყვა-
ვილით თავდებოდა. სვეტები ერთურთზე გასული თა-
ღებით იყო დამაგრებული. ერთი სვეტი თაღ-ჩამონგრეული
იყო და ტაძრის ბოლოს თავისუფლად ამართულიყო. მისი
თავ-ბალიში წარმოადგენდა ქალის თავს, რომელსაც გაშლი-
ლი თმები მხრებზე ჰქონდა ჩამოწეწილი, თვალები ფართოდ
გაეხილნა და დატკრეცილი ლოყებით მაცდურად იღიმე-
ბოდა.

პაფნუტიმ მაშინვე იცნო ეს სვეტი, რომელიც სიზმარში
ნახა და თავის სადგომად აირჩია. განიზრახა, ოცდა-ათ წყრთის
სიმაღლეზე აცოცებულიყო და ამ სვეტის თავზე დაედო ბინა.
ამიტომ იგი გაემართა მახლობელ სოფელში, სადაც საჭირო
ზომის კიბე შეუკვეთა. როდესაც კიბე დაუმზადეს და სვეტზე
მიაყუდეს, პაფნუტი ავიდა, მოექცა სვეტის თავზე, დაიჩოქა და
მოახსენა უფალს:

— აი, უფალო, სადგური, რომელიც თვით შენ მიჩვენე.
აქ დავყოფ, ვიდრე შენი წყალობა მექმნების და არ ამოახ-
ლოვდება ჟამი ჩემი აღსასრულისა.

მას თან არავითარი საზრდო არ აუტანია. იგი მიენდო
განგებას, თანაც იმედი ჰქონდა, რომ მახლობელ სოფლის კე-
თილი გლეხობა არ დასტოვებდა უნუგეშოდ და ყოველთვის
არსებობის პურს მიაწოდებდნენ. და, მართლაც მეორე დღეს,
ასე ცხრა საათი არც კი იქმნებოდა, რომ ამ სვეტს შემოეხვივნენ
ქალები და ბავშვები და წმინდანს მოუტანეს პური და წყალი,
თანაც ფინიკის ტოტები. ბავშვები კიბეზე ადიოდნენ და აჰ-
ქონდათ მასთან, რაც მოეტანათ მის საზრდოთ.

რაკი სვეტის თავი იმდენად ფართო არ იყო, რომ პაფ-
ნუტის წამოწოლა შესძლებოდა, იგი იკეცავდა, თავს გულთან
ჩაჰქინდრავდა და ამ ყოფაში ატარებდა მთელ ღამეს, ასე რომ
ძილი მისთვის უფრო სასტიკი დაქანცვა იყო, ვიდრე დღი-
სით ფხიზლობა. განთიადისას ქორები ფრთებით აღვიძებდნენ.

ყოველ თვალის ვამოხილებაზე იგი რაღაცა ნაღველსა და დაუსრულებელ შიშსა ჰგრძნობდა.

მისი კიბის გამკეთებელი დურგალი, თურმე, მორწმუნე ყოფილიყო. როდესაც წარმოიდგინა, წმინდანი სიცხისა და ავდრისგან შეწუხდებაო და შესაძლებელია ძილის დროს გადმოვარდეს და ცოდო დაატრიალოსო, მაშინვე შეუდგა საქმეს, რომ სვეტისთვის სახურავი და აივანი გაეკეთებინა. ამასობაში მთელს სოფლებს მოედო პაფნუტის ამბავი და ათასობით მოდიოდნენ მხვნელ-მთესველები თავიანთ ცოლშვილითურთ ახალ მესვეტის სანახავად. როდესაც პაფნუტის მოწაფეებმა გაიგეს თავიანთ მასწავლებლის განდეგილობის ახალი საოცარი სავანე, მოვიდნენ მასთან და წყალობა გამოითხოვეს, რომ მის სვეტის ქვეშ ბინა დაედოთ. ყოველ დილით იგინი იყრიდნენ თავს მასწავლებლის გარშემო, რომელიც შემდეგ დარიგებას აძლევდა მათ:

— შვილნო ჩემნო, იყავით, ვითარცა იესოს მიერ ნაკურთხი ბავშვები, ვინაიდან აქ არის ცხონება ჩვენი. ხორციელი ცოდვა ყოველ ცოდვისა და ბოროტების სათავე არის. ესენი ისე მომდინარეობენ მისგან, როგორც ნაკადული წყაროს სათავიდან. ამაყობა, გულზვიადობა, ძუნწობა, სიზარმაცე, რისჩვა, შეუწყნარებლობა და შური — აი მისი საყვარელი შთამომავლობა! ყველა ეს საკუთარი თვალით ვიხილე ალექსანდრიაში: ვიხილე მდიდრები, რომელნიც ბიწიერებისა და ხორციელ სიტკბოების მორევში იხრჩობოდნენ. მათი დაღუპვა აუცილებელია, როგორც დამსხვრეულ ნავის გადარჩენის იმედი გაცოფებულ უფსკრულის წიაღში.

როდესაც ეფრემ წინამძღვარმა და სერაპიონმა გაიგეს ეს ახალი ამბავი პაფნუტის თაობაზე, გამოეშურნენ მის სანახავად. მათი დანახვა ფრიად გაეხარდა პაფნუტის. „აჰა, უფალმა ინება და განდეგილთა მგალითი გავხდიო“ — ჰფიქრობდა იგი. წმინდა მამებიც აღარ ჰმალავდნენ თავიანთს განცვიფრებას. ერთურთში მოილაპარაკეს და შემდეგ საყვედურით მიჰმართეს პაფნუტის, რომ ასეთი განწირულება და განდგომილება გაკიცხვის ღირსია, ვიდრე მადლობისაო, და ურჩევდნენ ჩამოსვლას.

— ჩვენი ცხოვრების წეს-რიგს არღვევ, — ეუბნებოდნენ

ისინი, —შენი საქციელი ყოველმხრით საოცარია და ამიტომ ჩვენ ვერ მოგიწონებთო.

მაგრამ პაფნუტი უპასუხებდა:

— რა არის მონასტრული ცხოვრება, თუ არა სასწაულ-მოქმედებით აღსავსე სიცოცხლე? ნუთუ განდეგილის მოღვაწეობაც ისეთივე განსაკუთრებული სახისა არ უნდა იყვეს, როგორც თვით იმისი ცხოვრებაა? ღმერთმა მანიშნა აქ ამოსვლა და მისივე ჩვენებით დავეშვები, როცა ისურვებს.

ყოველ დღე სხვა და სხვა მხრის ბერ-მონაზონები მოდიოდნენ და პაფნუტის შინაურებს უერთდებოდნენ. აქვე იშენებდნენ ქოხებს, აქვე იდებდნენ ბინას. ბევრი მათგანი ჰბაძავდა თვით მოძღვარს: სხვა სვეტების ნანგრევებზე ადიოდნენ და მესვეტეობას ეწეოდნენ, თუმცა თავიანთ მოძმენი ჰკიცხავდნენ, თანაც ხორციელად ავადდებოდნენ და დამარცხებულნი ძალა-უნებურათ ხელს იღებდნენ ასეთს მოღვაწეობაზე.

მლოცველები ხომ შეუწყვეტლივ მოდიოდნენ. ზოგი მათგანი შორეულ ქვეყნებიდან იყვნენ და აუტანელი შიმშილწყურვილი მოეთმინათ. ერთმა ქვრივმა ღარიბმა დედაბერმა იფიქრა, მოდი და წყლითა და ნესვებით ვივაჭრებო. იგი ლამაზათ მოეწყო სვეტის დაბლა, წითელი თიხის ჭურჭელი ჩაარიგა ლურჯ ზეწრის გვერდით და მაღალ ხმით იძახოდა: აბა, ვისა ჰსურს ცივი წყალი! ამ დედაბრის მზგავსად ხაბაზმა აგური მოიტანა, პატარა საცხობი ღუმელი ამოაშენა, რომ პური და მწარე კვერები გამოეცხო მლოცველებში გასასაღებლად. რაკი მნახველთა და მლოცველთა ბრბო დღითიდღე მატულობდა, ერთმა გაუმაძღარმა ადამიანმა მთელი ქარვასლა გააშენა შიგ, მალე სვეტის გარშემო საბაზრო მოედანიც გაიჭიმა, სადაც ნილოსის მებადურნი თევზსა ჰზიდავდნენ, ხოლო მემწვანილენი—მწვანილს. ერთი დალაქი ხალხს ცისქვეშ ჰპარსავდა და მაყურებელთ ჰხოცავდა სიცილით. ამნაირად, ეს უძველესი ტაძარი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში მდუმარეობის მანდილში იყო გახვეული, ეხლა აივსო ახალი სიცოცხლის მჩქეფარე ტალღებით, მშვიდი მყუდროება კვალად სიცოცხლის ძახილად გარდიქმნა. სირაჯები სარდაფებს ჰხსნიდნენ ძველის ძველ სადგომებში, ხოლო სვეტებზე, სადაც, სხვათა

შორის, წმინდა პაფნუტის სახე გამოეხატათ, შემდეგი წაეწერათ ბერძნულად და ეგვიპტურად: „აქ იყიდება პროწეულისა და ლეღვის ღვინო და ნამდვილი კიდიკაის ლუდი“. აქა-იქ კედლებზე ვაპრებს ხახვის გალა დაეკიდათ, აგრედვე თევზი, ახლად ნანადირევი კურდღლები, თუ გატყავებული ცხვრები. საღამ-საღამოობით, ამ ნანგრევის ძველი სტუმრები — ვირ-თაგვები ფარა-ფარად მირბოდნენ მდინარისკენ, მაშინ როდესაც იბისებს მოუსვენრად გადმოეყოთ კისერი და გაუბედავათ აბიჯებდნენ მაღალს ლავგარდანზე, სადაც სამზარეულოდან მოდენილი კომლი და მთვრალების ხმაურობა უფრთხობდათ გულსა. საქმე იქამდინაც მივიდა, რომ მიწების გამიჯვნასაც მიჰყვეს ხელი, ლარი გაავლეს ქუჩების გასაყვანად, კალატოზები სახლებისა და მონასტრების შენებას მოჰყვნენ, ასე რომ ექვსი თვის შემდეგ აქ გაშენდა ქალაქი, სადაც ნახავდით ეკლესიებს, სატუსაღოს, სასამართლოს თუ სასწავლებელს, რომელიც ერთმა ბრმა მწერალმა დააარსა.

მლოცველთა სვლას საზღვარი არა ჰქონდა. თვითონ ეპისკოპოსები და ქორ-ეპისკოპოსები მოვიდნენ სანახავად და განცვიფრდნენ წმინდანის მოღვაწეობით. ანტიოქიის პატრიარქი, რომელიც ამ ჟამად ეგვიპტეში იყო, გამოეშურა თავისი სასულიერო მრევლითურთ მის სანახავად. მან საქვეყნოდ მოიწონა მესვეტის ღვაწლი. თვით ლიბიის საეკლესიო კრებული, პატრიარქის არ ყოფნის დროს, განცვიფრებული იქმნა უმაგალითო სანახაობით და დასტური დასცა პატრიარქის მოწონებას. როცა ეს შეიტყვეს ეფრემ წინამძღვარმა და სერაპიონმა, კვლავ გამოემართნენ პაფნუტისკენ და მუხლ-მოდრეკით შეეეედრნენ თავიანთ პირველი ეპვის პატიებას. პაფნუტიმ უპასუხა:

— უწყოდეთ, ძმანო ჩემნო, რომ მონ-ნიების ღვაწლი ოდნავაც კი არ შეედრება იმ მაცდურებას, რომელსაც განვიცდი და ჩემდა საოცრად არ აქვს დასასრული. ადამიანი გარეგნულად მეტად პატარად გვეჩვენება თვით თვალ-უწვდენელ სვეტის თავზე, რომელზედაც ღვთის ბრძანებით ვიღვწეი ეხლა. ადამიანები აქედან ჭიანჭველებად მეჩვენება, მაგრამ თუ მათ შინაგან არსებას ჩავუკვირდებით, მაშინ დავინახავთ, რომ ადამიანი იგი უფრო დიდია, ვიდრე ქვეყნიერება, ვინაიდან თვით ამასაც შეიცავს იგი! ყველაფერი ის, რაც კი ჩემ თვალ

წინ გადაშლილა, ეს მონასტრები, სასტუმროები, ნავ-ხომალდები, ეს მდინარენი, სოფელ-ქალაქები, ანუ ის, რასაც აქედან ვხედავ შორს მთები, თვით გადაშლილი უდაბნოც კი არარას ნიშნავს იმასთან შედარებით, რაც რომ ჩემშია, ჩემში ჰსუფევს. ჩემი გულის წიაღით თვით მე ვატარებ აურიცხელ სოფელს და ქალაქს, თვალუწვდენელ უდაბნოებს და მთებს. და ბოროტება, ბოროტება და სიკვდილი, რომელნიც გაშლილან ამ უსაზღვრო სივრცის უბეში, ისე ჰფარავენ მას, როგორც ღამით წყვდიადი ჰფარავს მიწას. ერთადერთი ვარ ასე ობლად, რომელიც ცუღი აზრების ქვეყნიერებად გარდავიქმენ.

იგი ასე ამბობდა იმიტომ, რომ მასში იყო ქალისადმი ლტოლვილება.

მეშვიდე თვეზე ალექსანდრიიდან, ბებასტიდან და საისიდან მოვიდნენ უშვილო ქალები, რომელნიც წმინდანს შესთხოვდნენ საშვილოსნოს განაყოფიერებას. იგინი ეკვროდნენ მწირ სხეულით ამ სვეტს, რომ მას გარდმოეღლინა ნაყოფიერების მადლი. შემდეგ თვალ-გადუწვდენელ სივრცეზე გაიქმა ურმები, საკაცეები, რომლითაც მიჰყავდათ აკითმყოფნი და დაავადებულნი, რათა წმინდა ველისგან მიეღოთ განკურნება. დედები ვედრებით ხელს აპყრობდნენ პაფნუტისაკენ და აჩვენებდნენ. ღვთის კაცი ყველას იღებდა. ბრმები ხელების ფათურით მიიკვლევდნენ მისკენ გზას და ალალ-ბედზე თვალების მაგიერ იყურებოდნენ მისკენ ორი გასულსლიანებული ღია ჭუკრუტანაი. დამბლანი აჩვენებდნენ თავიანთ უძრავ ნაწილებს, სიგამხდრეს, საღსრების საშინელ სიმახინჯეს; კოჭლნი დაგრეხილ ფეხებს აჩვენებდნენ, კუტი დასნეულებულნი კიდევ გულს იღელავდნენ, რომელსაც უხილავი სვავი ულრღნიდა შიგნიდან. წყალმაკით დატანჯული ქალები საკაცებიდან ისე გადმოჰქონდათ, როგორც წყლით სავსე რუმბები. პაფნუტიმ აკურთხა ისინი. სპილოს ჭირით შეპყრობილნი ნუბიელნი მძიმედ მობობლავდნენ და მტირალი სახით შეჰყურებდნენ მას. იგი პირჯვრის გარდაწერით ჰკურნავდა მათ. აფროდიტეპოლიდან მას მოჰგვარეს ერთი ახალგაზდა ქალი, რომელსაც სისხლი ამოელო და აგერ სამი დღე შესრულებოდა, რაც ეძინა. იგი სანთლისგან გაკეთებულსა ჰგავდა და მის შშობ-

ლებს, რომელთაც უკვე მკლრად მიაჩნდათ იგი, გულზე ბზის შტოები დაეფარებინათ პაფნუტიმ ილოცა, ახალგაზდა ქალმაც თვალები გაახილა და წამოდგა.

ხალხში გავრცელდა ხმა წმინდანის სასწაულთ-მოქმედებაზე, ამიტომ ყველა ის უბედურები, ვინც კი იმ ავადმყოფობით იყვნენ შეპყრობილნი, რასაც ბერძნები ღვთისგან მოვლენილ პირს უწოდებენ, ყველანი მისკენ მოეშურებოდნენ, ეგვიპტის ორთავე კუთხიდან. რაწამს სვეტს მოჰკრავდნენ თვალს, პირქვე ემხრომოდნენ, მოჰყვებოდნენ საცოდავ კვლანჯას და დაკლულ ქათამსავით ფრთხიალს. მაყურებელნი კიდევ თავისი მხრით ამ სანახაობით გაოგნებულიყვნენ და მზენაკრავებსავით უნებურათ ჰბაძვიდნენ მათ ბერები და მლოცველნი, მამაკაცები თუ ქალები ერთთავად ტალახში ეყარნენ და დორბლ მორეულნი ავათმყოფებთან ერთად სიგიჟემდინ მიდიოდნენ, ზოგი მიწასა ყლაპავდა, ერთმანეთს აწყდებოდნენ. პაფნუტი კი სვეტის თავიდან გადმოჰყურებდა და თვითონაც კარგათ ჰგრძნობდა, თუ როგორ უთრთოდა მუხლები. იგი ამხნევებდა ხალხს და ცისკენ აპყრობილი ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— მე ვარ ცოდვათა სახსნელად შეწირული კრავი. ჩემს თავზე ვიღებ ხალხის ცოდვას. ამიტომ არის, რომ უფალმა სხეული ჩემი ააავსო ავსულთა თესლით.

ყოველთვის, როდესაც ვინმე ავადმყოფი განკურნებული მიდიოდა, ყველგან სიხარულის ფერხული იბმოდა, მას ულოცავდნენ, აღტაცებით ხელში იყვანდნენ და ყიჟინით აღარ ისვენებდნენ:

— ჩვენ ეს-ეს არის ვიხილეთ სილოამის მეორე საბანებელი, ცოდვათა განწმენდილი ემბაზი!

უკვე რავდენიმე ასი ცალი ყავარჯენი ეკიდა სასწაულმოქმედის სვეტზე; წარჩინებული მანდილოსნები აღთქმისაებრ აქ მოდიოდნენ და ხატებსა და გვირგვინებს ჰკიდებდნენ. ბერძნები ორ ტაეპიან მახვილ ლექსებს სწერდნენ. ხოლო რაკი თვითეული მლოცველი თავის სახელს სჭრიდა, მალე მთელი სვეტი ადამიანის სიმაღლეზე მრავალ წარწერებით აივსო, რომელთა შორის ნახავდით ლათინურს, ბერძნულს, ემრაულს, ეგვიპტურს, პუნიკურს, სირიულს და მოგების ენაზე ნაწერს.

როდესაც აღდგომის უქმე დღეები დაიწყო, ამ სასწაულების ქალაქში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. თვით მო-

ხუცებულებიც კი განცვიფრებულები იყვნენ ამ სანახაობით და ყველას იმას ეუბნებოდნენ, რომ ეს დრო უძველეს დროს წაგავს, როდესაც ხალხი საიდუმლო სერობისთვის ერთად თავს იყრიდაო. თვალუწვდენელ მინდორზე ხალხი ათასობით ირეოდა. აქ იყვნენ ჭრელ სამოსიანი ეგვიპტელები, თეთრ მანდილ გაშლილი არაბები, თეთრ წინ-საფარიანი ნუბიელნი, მოკლე წამოსასხამიანი ბერძნები, გრძელ ნაოჭებით მორთულ ტოგიანი რომაელები, სამხედრო აბჯარში ჩასხმული ბარბაროსნი თუ ძვირფასად დართული კურტიზანი ქალები. ჩადრმოსხმული ქალები სახედრებით იარებოდნენ, წინ შავი საჟურისნი მიუძღოდათ, რომელნიც ჯოხის ცემით ბრბოში გზას ძლივს მიიკვლევდნენ. აქვე ჯამბაზებს გაეშალათ ხალიჩები და ათასი თვალთმაქცობით და მასხარაობით ართობდნენ მაყურებლებს. ჯადოსნებსაც ეხელთათ დრო, ცოცხალი გველები მოეყვანათ, წელზე ქამრად შემოერტყათ, ასე რომ ხელს არც კი ახლებდნენ: მცურავნი, მართლა, მათი ყოველი სიტყვის მორჩილნი იყვნენ. და მთელი ეს ბრბო, ერთურთში არეული, ჭრელ სანახაობას წარმოადგენდა, რომელსაც განუწყვეტელი გუგუნი გაჰქონდა. მექარავნეთა ყვირილ-ყიჟინი, მათი უტიფრო ლანძღვა გინება, რომ აქლემები რიგზე ეტარებინათ, ვაჭრების ღრიანცალი, რომელნიც თვალნაკრავის წამალსა ჰყიდდნენ, ბერების გაბმული მონოტონური გალობა ძველი აღთქმის საგალობლებისა, გონ-არეულ დედაკაცების ქადაგად დაცემა, მათხოვრების ზმუილ-კრუსუნით ნამღერი ძველი ჰარმონიული ლექსები, ცხვრების ბღავილი, ვირების ყროყინი, მეზღვაურთა ძახილი, რომელნიც მგზავრებს უძახოდნენ,--ყველა ეს ხმები ერთმანეთში ირეოდა, გამაყრუებელ ხმაურობად გამოისმოდა. ამ ხმაურობას აგვირგვინებდნენ პატარა შიშველი ზანგები, რომელნიც გაშმაგებულნი დარბოდნენ და ფინიკის ტოტების გასაყიდად საშინელი ხმით გაჰკიოდნენ.

ყველა ეს მრავალფეროვანი არსებანი იხუთებოდნენ ლაჟვარდ ცის ქვეშ დახშული ჰაერისგან, რომელიც შეზავებულიყო ქალების სურნელებით, ზანგთა მყრალი სუნით, დამწვარი ქონის ოშხივარით თუ გუნდრუკის კვამლით, რომელსაც მორწმუნენი მწყემსებისგან ყიდულობდნენ და წმიდანის სვეტის გარშემო აკმევდნენ. ღამ-ღამეობით ყოველ მხარეს ცეცხლს აჩაღებდნენ, ანთებდნენ მაშხაღებს და ამ წითლად

შომღელვარე ზვირთებზე დაფუსფუსობდა მოძრავი ხალხის შავი აჩრდილები. ერთ ადგილას მოხუცს გარშემორტყმოდა ახალგაზდობა. იგი ცეცხლაპირს წამოცუცქულიყო და თავის მსმენელებს მოუთხრობდა ძველის-ძველს არაკს, თუ ოდესღაც ბიტიუსმა როგორ მოიჯადოვა თავისი საკუთარი გული, ამოიგლიჯა ბუდიდანა და ჩასდო აკაციის ბუღოში, თვითონ კი ხედ გარდაიქმნაო. ამ მოთხრობის დროს მოხუცი ხელებს იქნევდა. ცეცხლის ზვირთზე გამომკრთალი მისი ჩრდილი სასაცილო სახით იმეორებდა მის ჟესტებსა, ხოლო აღფრთოვანებული მსმენელნი გაკვირვებას გამოსთქვამდნენ. დუქნებში ლოთები აქა-იქ წაყრილიყვნენ და ლუდსა და ღვინოს ითხოვდნენ. მათ წინ გაშიშვლებული ქალები თვალის-ჩაკვრით უწმაწურად ცეკვავდნენ და ათასგვარ ენების სცენებს ჰხატავდნენ მათს მოსახიბლად და მათი ენების ასაღელვებლად. იქვე გვერდით ახალგაზდობა ნარდსა და ყომარს თამაშობდა. მოხუცებულები სიბნელით ჰსარგებლობდნენ და გარყვნილ ქალებს კურკურით დასდევდნენ. და აი, ამ მოძრავ სახეთა შორის მხოლოდ ერთი სვეტი აყუდებულიყო განდეგილად, რომლის რქებით მორთული თავ-ბალიში წყვდიადში გაიყურებოდა, ხოლო მასზე მყოფი პაფნუტი კი ცისა და დედამიწის ქვეშ დაუღალავად განაგრძობდა სულიერ ბრძოლას. უეცრივ ნილოსის ლაჟვარდ ზვირთებზე მთვარე ამოსცურღა. სანახაობამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ღამის გუშაგი იგი შიშველი ღმერთ-ქალის ბროლფიქალი გულ-მკერდიაო. ლაჟვარდი სხივები ზეწარსაკით შემოეხვია ერთ ობოლ ხომლს. პაფნუტის ასე ეგონა, ეს თაისი ამოსცურდა შიშველი სახით და ზვირთებში სხივ-მფინარე ნაზად ციაგობს, ხოლო ფერმკრთალი მნათობნი სხივთა ფრქვევით შეჰხარიანო.

მიჰქროდა დრო. წმინდანი კვლავ სვეტზე რჩებოდა. როდესაც ავდრობა დაიწყო, წვიმამ სვეტის სართულში გაატანა, და წვეთმა სულ ერთიანად დაულპო სხეული, გახევებული სახსრები, რომელთაც მოძრაობის უნარი უკვე დაჰკარგოდათ, მზისგან დაწული და სინესტისგან გაწითლებული ხორცი სულ ერთიანად დაუჩირქდა. უშველებელი ღარები საცოდავად მოეპოსკა, თითებიდან და ფეხებიდან ჩირქი ნაკადსავით მოასკდა. მიუხედავად ამისა, მისი შინაგანი არსება მაინც თხოულობდა თაისს, მის დასაკუთრებას, მაგრამ პაფნუტი გულს არ იტეხდა:

— არც თუ ეს არის საკმარისი, ძლიერო ღმერთო! უფრო მეტი განცდა! უფრო მეტი სასჯელი! უფრო მეტი ბილწი ფიქრები! უფრო მეტი საზარელი ლტოლვილებანი! უფალო ღმერთო ჩემო, დაე, მთელ კაცთა ნათესავის ვნებათა ჟინიანობა შთამესხას ძარღვებში, რათა ყველას ცოდვა ვიდვა თავს, ჩემი ცოდვით გამოვისყიდო. და თუნდაც ტყუილი იყოს, რასაც არგოსელ ძუნაზე ამბობენ, მთელი ქვეყნის ცოდო მან აიკიდაო, ეს არაკი რაოდენადმე მაინც სიმართლეს შეიცავს, ასე რომ მეც მჯერა, მჯერა, რომ ასე იქმნებოდა, ვინაიდან, ხშირად ხალხის სამარცხვინო საქციელი წმინდანთა გულში იმიტომ იბუდებს, რომ იქ ისევე დაიღუპნონ, როგორც პირსავსე ჭაში. ამიტომაც არის, რომ მართალთა სული უფრო მეტი ჭუჭყითაა აღსავსე, ვიდრე რომელიმე ცოდვილისა. აი, ამიტომ გმადლობ, ღმერთო ჩემო, რომ შენ გარდამქმენი უწმინდურებათა და ბიწიერების ნიაღვარის სადენ მილადა.

ბაგრამ აი, ამ წმინდა ქალაქს უეცრივ მოედო მღელვარება, რამაც ასკეტის ყურსაც მიაღწია. ვინმე გამოჩენილი პირი, ერთი სიტყვით, ფრიად წარჩინებულ პირთაგანი, ალექსანდრიის ფლოტის პრეფექტი, ლუციუს ავრელიუს კოტა აპირებს აქ მოსვლასაო, უკედ, აგერ მოდის, კიდევაც მოახლოვდაო.

ეს ცნობა მართალი გამოდგა. მოხუცი კოტა წამოსულიყო ნილოსის სანაოსნო გზების დასათვალიერებლად. მოგზაურობის დროს რავდენჯერმე სურვილი გამოეთქვა მესვეტის ნახვისა და ახალი ქალაქის დათვალიერებისა, რომელსაც სახელად სტილოპოლისი უწოდეს. ერთ მშვენიერ დღეს, მართლაც, სტილოპოლისელებმა დაინახეს, რომ მთელი მდინარე ხომალდთა აფრებს დაუფარავთ. ოქროთი და ძოწეულით მორთულ ნავთსადგურზე გამოჩნდა კოტა, რომელსაც მოსდევდა მდივანი ხელში დავთრებით, და არისტე, მისი საყვარელი ექიმი, რომელთანაც ფრიად უყვარდა საუბარი.

კოტას თან ახლდა კარგა მოზრდილი ამალა. მთელი ნაპირი აბჯროსან მხედრობამ დაიკავა. კოტა რავდენიმე ნაბიჯის მანძილზე შეჩერდა და სვეტის დათვალიერებას მოჰყვა, თანაც ტოგის კალთით შუბლზე მომსკდარ ოფლს იწმენდავდა. იგი ბუნებითვე დიდი ცნობის მოყვარე იყო და ხშირს მოგზაურობის დროს ბევრი რამ ენახა. უყვარდა ნახულის გახსენე-

ბა და მათი ჩაწერვა. ამიტომ იყო, რომ საკუთარ თვალით ნახული პუნიკურ ომიანობის ამბები ასწერა და საუკეთესო მასალები მოჰკრიბა, რაც რომ ამ ომს შეეხებოდა. როგორცა სჩანდა, სანახაობას დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა მასზე:

— აი საოცრება!—წარმოსთქვა ოფლში გაწურულმა, თითქოს სული ეხუთებაო,—და, ეს შემთხვევა ფრიად საყურადღებოა თუნდა იმ მხრით, რომ ეს ადამიანი ეროხელ ჩემი სტუმარი იყო. დიახ, ეს ბერი შარშან მეწვია ვახშმად, რის შემდგომაც მოიტაცა ჩვენთან მონადიმე კეკლუცი მსახიობი ქალი.

შემდეგ მობრუნდა მდივნისაკენ:

— ჩასწერე, შვილო, ჩემს უბის წიგნში. ყველაფერი კარგად ანუსხე, ამ სვეტის სიმაღლე, მთელი ადგილის მდებარეობა, ზომა, განსაკუთრებით არ დაგავიწყდეს სვეტის თავ-ბალიშის ფორმის აღწერა.

შემდეგ კვლავ ოფლი მოიწმინდა და განაგრძო ხელახლად:

— სარწმუნო პირები მეუბნებოდნენ, რომ რაც ამ სვეტის თავზე ასულა, აგერ წელიწადი მიდის, ძირს აღარ ჩამოსულაო. ნუთუ ეს შესაძლებელია, ჩემო არისტე?

— ეს მხოლოდ შეშლილებისა და ავადმყოფებისთვის არის შესაძლებელი და არა ჯანსაღი ადამიანისთვის, ვისაც სული და ხორცი მთელი აქვს,—უპასუხა არისტემ: ნუთუ არ იცი, ლუციუს, ხშირად სულით ავადმყოფობა ჰმადლებს თავიანთ მსხვერპლთ ისეთ ნიჭს-უნარს, რაიც ჭკუადმყოფელს და საღს ადამიანს არ მოეპოვება არასოდეს. თუმცა, მართალი რომ ვსთქვათ, ჯანმრთელობისთვის არა არის რა ცუდი, ან კარგი. არის მხოლოდ ჩვენს სახსრებთა სხვა და სხვა გვარი მდგომარეობა და მეტი არაფერი. რავდენსაც მეტსა ვსწავლობ ავადმყოფობათა მრავალ სახეობის თვისებათ, იმდენად უფრო ვრწმუნდები, რომ ესენიც საჭირონი არიან ცხოვრების ფორმათა შესადგენად. მე მათი შესწავლა უფრო მაკმაყოფილებს, ერთგვარ სიამოვნებას მაგრძნობინებს, ვიდრე მათი დამარცხება. ზოგიერთის თვალყურის დევნებას და გამოკვლევას აღტაცებაში მოჰყავს ადამიანი, ვინაიდან, მიუხედავად გარეგნული უსახიერობისა, არსებითად დიად ჰარმონიის ხლართს წარმოადგენენ, ასე რომ, მაგალითად, ჭინჭრის ციება საუცხოვო რამ

არის, ვისაც კი შეუძლიან მისი განსჭვრეტა ცალის თვალით! ზოგიერთა ავადმყოფობანი, მათ მიერ გამოწვეული ტკივილები, გონებრივ ნიჭს ფრთებს უშლიან და ამაღლებენ შემოქმედებით ძალას. ხომ იცნობ კრეონს? ბავშვობისას როგორი სულელი იყო, მასთან ბლუ. მაგრამ მას ზემდეგ, რაც მაღლიდან ჩამოვარდა და თავი გაუსკდა, იგი იმ ცნობილ ვექილად გარდაიქმნა, რომელსაც შენც კარგად იცნობ. თქმა არ უნდა, ამ ბერსაც შინაგან ორგანიზმის ერთ-ერთი ნაწილი მაინც ექმნება წამხდარი. ამის გარდა, მაგისი ცხოვრება არც თუ ეგრე განსაცვიფრებელია, როგორც ეს გეჩვენება, ლუციუს. აბა გაიხსენე ინდოეთის გიმნოსოფისტები, რომელნიც არა თუ ერთი წლის განმავლობაში, არამედ მთელი ათი, ოცი, ხშირად ოცდა-ათი და ორმოცი წლობით სრულიად უძრავად სდგანან.

— ვფიცავ იუპიტერს! — წარმოსთქვა კოტამ, — რომ ეს სასტიკი შეცდომაა! ადამიანი მოძრაობისთვის არის დაბადებული. უმოძრაობა ეს არასაპატიებელი დანაშაულია, ვინაიდან, მითი სახელმწიფოს შემატებით არა ემატებარა და დაკლებით კი აკლდება. არ ვიცი, რა სარწმუნოებას უნდა მივაწერო ასეთი დამლუპველი ჩვეულება. უეჭველია, ეს უნდა მიეწეროს ზოგიერთა აზიურ კულტებს. როდესაც გუბერნატორად დამნიშნეს სირიაში, ვნახე ფალუსები, რომლებიც ჰერას ქალაქის გარშემო აემართნაო. აქ მხოლოდ წელიწადში ორჯერ შედიოდა ერთად ერთი ადამიანი, რომელიც შვიდ ღამის განმავლობაში კარჩაკეტილი რჩებოდა შიგნით. ხალხი დარწმუნებული იყო, რომ შიგ მომწყვდეული ღმერთებთან საუბრობს და ეკვედრება სირიის კეთილდღეობასაო. ეს ჩვეულება უაზრობად მიმაჩნდა, თუმცა არაფერი არ დამიშავებია მის მოსასპობად, ვინაიდან, ჩემი აზრი მუდამ ასეთია, რომ ვალდებული პირი ხალხურ ჩვეულებათ მოსპობას კი არ უნდა სკდილობდეს, არამედ მათს დაფარვას. მართველობას არა აქვს უფლება ხალხს ძალად მოახვიოს ის სარწმუნოება, რომელიც მას მოეპრიანება. მისი საქმე ის არის, რომ ყველაფერი დააკმაყოფილოს, რაც რომ არსებობს, ერთი სიტყვით, რაც რომ დრომ და გარემოებამ, რასსიულმა შეხედულობამ დააკანონა და წმიდათაწმიდად აღიარა იგი. თუ რომ მმართველი მოინდომებს მათს გაუქმებას, იგი გამოდის მეამბოხედ, ტირანად, რის გამოც ხალხი სამართლიანად ღელდება და წინააღმდეგობას უწევს, როგორც საზიზღარსა და მავნე პიროვნებას. ამის გარდა,

რომ მდაბიო ხალხის ცრუ მორწმუნოებას აღვემატოთ, საჭიროა თვით სარწმუნოებანი იგი გავიცნოთ, იმათთან ჩამოვეშვათ. ჩემის აზრით, ჩემო არისტე, სჯობს, ამ კაცს მყუდროება არ შეუშალოთ იმ ჰაერში; დაე, მხოლოდ ფრინველებმა შეაწუხონ, თუკი ეს მათ ჰსურთ. თუ არ ვაიძულებ, ამით მოვიხვეჭ უპირატესობას მასზე. მისი აზრებისა და სარწმუნოების ანგარიშის გაწევა არც აგრერიგად მეინტერესება.

მთელს ამ სიტყვის დროს კოტა ქშინავდა, ახველებდა. პატარა შესვენების შემდეგ თავის მდივანს მხარზე ხელი დაჰკრა:

— არ დაგავიწყდეს, შვილო, ესეც აღნიშნე, რომ ზოგიერთა ქრისტიანთა სექტაში საქებურადა სთვლიან, ვინც კურტიზანებს იტაცებენ და სვეტების თავზე იწყებენ ცხოვრებასა-თქო. შენის მხრით შეგიძლიან დაუმატო, რომ ეს ჩვეულებანი მათი კულტის თანახმად ჰხდება და გვარწმუნებენ, ვითომც ახალ ცხოვრებას გვანიჭებს. მაგრამ ამაზე თვითონ მასვე რომ ვკითხოთ, ის სჯობია.

შემდეგ თავი მაღლა აიღო და, რომ მზეს თვალი არ მოეკრა, ხელი მიიფარა და ისე შესძახა:

— ჰეი, პაფნუტი! თუ კიდევ გახსოვს, რომ შენ ერთხელ ჩემი სტუმარი იყავი, მიპასუხე: რას აკეთებ, მაგ სიმაღლეზე რომ ასულხარ? რად ახველ, ან რატომ რჩები მანდ სამუდამოდ? ან იქნებ ამ სვეტს რაიმე თილისმის ძალა აქვს, რომ თავიდან ველარ ჰშორდები?

რაკი კოტა წარმართი იყო, პაფნუტიმ პასუხის ღირსი არ გაჰხადა, მაგრამ მისი მოწაფე ფლაბიანე მიუახლოვდა და მოახსენა:

— ბრწყინვალე ბატონო ჩემო, წმინდანი იგი მთელი ქვეყნის ცოდვას იღებს თავს და ავადმყოფებსა ჰკურნავს.

— ვფიცავ იუპიტერს! ხომ გესმის, არისტე, ეს კაციც, თურმე, შენსავით ექიმობს, რას იტყვი, რომ ასეთი უდიდესი თანამოძმე გყოლია?—ჰკითხა არისტეს მოხუცმა კოტამ.

არისტემ თავი დაიქნია.

— შესაძლებელია,—უპასუხა მან,—რომ ზოგიერთ ავადმყოფობას ეგ უკედ არჩენდეს, ვიდრე მე. მაგალითად, ეპილეპტიკებს, რომელთაც ხალხში მავნე სულების ავადმყოფო-

ბას აწერენ, ვითომც იგი ღვთის მიერ გამოგზავნილიაო; თუმცა კი ყველა ავადმყოფობანი ღვთიური მიზეზით არიან მოვლენილნი, ვინაიდან, ღმერთები ავრცელებენ მათ ამ ქვეყანაზე, მაგრამ ამ ავადმყოფობათა მიზეზი ხშირად თვით ავადმყოფთა წარმოდგენაა, ჩემო ლუციუს, ასე რომ ამ სვეტზე ასული ბერი უფრო მეტად ანცვიფრებს ამგვარ ავადმყოფთა გონებას, ვიდრე მე, რომელიც თავ-ჩაღუნული აღარ ვიხედები ხოლმე, როდესაც ჩემს ლაბორატორიებთან დავფუსფუსებ, ასე რომ, ჩემო ლუციუს, უნდა შევთანხმდეთ, რომ ამ ქვეყნად უფრო ძლიერი ძალები არსებობენ, ვიდრე ადამიანის გონებაა, ანუ მისი ცოდნა.

— რა ძალებია?—იკითხა კოტამ.

— უგუნურება და უმეცრება!—უპასუხა არისტემ.

— იშვიათად, რომ ასეთი საინტერესო რამ მენახოს, როგორც ეს არის,—სიტყვა ჩამოართვა კოტამ,—ჩემი სურვილია, რომ ვინმე დახელოვნებულმა მწერალმა ასწეროს ამ ქალაქის დაარსების ამბავი. მაგრამ რაც უნდა საუცხოვო სანახაობანი იყოს, ჩვენ ასერიგად არ უნდა გვქრიდეს თვალს, ვინაიდან, ეს არ შეჰფერის რიგიანსა და შრომის მოყვარე ადამიანს. წავიდეთ, არხები დავათვალიეროთ. მშვიდობით, კეთილო პაფნუტი! უკედ, ნახვამდინ! თუ რომ ოდესმე მაინც დაეშვები და ჩვენს ალექსანდრიას ეწვევი, არ დაივიწყო, გეთაყვა, ჩემთან ვახშმად შემოიარე.

ეს რომ იქ მყოფებმა გაიგონეს, მაშინე თავიანთებურად გადააკეთეს. მორწმუნეთა თვალში ერთგვარი შარავანდედით შეიმოსა კოტას ნათქვამი. იგი ერთი პირიდან მეორეზე გადადიოდა, ზოგი თავის მხრით ცოტა რამეს უმატებდა, ასე რომ საბოლოოდ იმას ამბობდნენ, ვითომც სვეტის თავზე მყოფმა წმინდანმა უკვე მოაქცია ფლოტის გამგეო. კოტას სიტყვებში მორწმუნენი სულ სხვა რამესა ჰხედავდნენ: კოტას პატიჟი მათ ისე გაიგეს, ვითომც წმიდანის ზედგავლენით ეს ბრწყინვალე თავადიშვილი იწვევდა მას საიდუმლო სერობის გასამართად, ციურ მეჯლისის მოსაწყობად, რომელიც ზიარებით დაგვირგვინდებოდა. ეს ამბავი შემდეგ სასწაულების ფერადებით მოჰქარგეს. ამბობდნენ, ვითომც იმ დროს, როდესაც კოტა ლაპარაკობდა—დიდი ხნის კამათის შემდეგ ჟეშმარიტება აღიარაო, თვით ანგელოზი ჩამოფრინდა და სპეტაკი ფრთებით

შუბლზე ოფლი მოსწმინდაო. ასევე ამტკიცებდნენ, ვითომც ფლოტის გამგებლის მდივანი და მისი ექიმიც მოიქცნენ და მის მაგალითს მიჰბაძესო. და, რადგანაც ეს სასწაული ყველას თვალ-წინ მოხდა, ასეთი სიცხადით, ლიბიის ეკლესიის მთავრებმა სარწმუნო ოქმები შეადგინეს დასამოწმებლად. ამიერიდან პაფნუტის სახელი გრავინავდა აღმოსავლეთით დასავლეთამდე. ყველა ქრისტიანებს მისკენ მოეპყროთ თვალი და მის ხილვას სიზმრადაც კი ნატრობდნენ ხოლმე. იტალიის შესანიშნავმა ქალაქებმა მას გაუგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები, ხოლო რომის კეისარმა, ღვთაებრივმა კონსტანტინემ, რომელიც მართლმადიდებლობას იცავდა, საკუთარ ხელით მისწერა მისალმება, რომელიც მისმა დელეგატებმა დიდის მოწიწებით გადასცეს. და აი, ერთხელ, როდესაც ქალაქს მის ფერხთა ქვეშ ეძინა, პაფნუტის შეესმა უცნაური ხმა, რომელიც ეუბნებოდა:

— პაფნუტი, უკვე დიდი სახელი მოიხვეჭე შენი საოცარი მოღვაწეობით და სიტყვის სიძლიერით, ღმერთმა თავის სადიდებლად აღგამაღლა. შენ ამოგირჩია მან, რათა სასწაულები მოგეხდინა, ავადმყოფები განგეკურნა, წარმართნი მოგექცია, ცოდვილნი განგენათლებინა, მოგესპო არიანელები და დაგემყარებინა ეკლესიის მშვიდობა.

პაფნუტიმ უპასუხა:

— იყვეს ნება უფლისა!

ხმა განაგრძობდა:

— აღზდექი, პაფნუტი, აღზდექი და წარვედ ურწმუნო კონსტანტინის სასახლეში, რომელიც იმის მაგიერ, რომ კონსტანტინის სიბრძნისთვის მიებაძნა, იგი ხელს უწყობს არიელთა გზის აბნევას და მარკუსის გამარჯვებას. წარვედი! რკინის კარები თავისთავად გაიღება, როდესაც შენს მიახლოვებას იგრძნობს, შენი ქალამნები ელრიალს დაიწყებს ოქროს ქვაფენილზე კეისართა ტახტის წინ და შენი მრისხანე ხმა გულს მთლად შეუცვლის კონსტანტინეს ძეს. შენ დაიწყებ ძლიერი ეკლესიის მშვიდობიან მოწესრიგებას და როგორც სული ჰმეფობს და განაგებს სხეულს, ისე ეკლესია იუფლებს და განაგებს ამიერიდან იმპერიას. შენ თვით სენატორებზე, გრაფებზე და პატრიციებზედაც მაღალი იქმნები. შენ დააშთობ ხალ·ის წყურვილს და ბარბაროსთა გულზვიადობას. მოხუცი კოტა

რომ იხილავს, შენ პირველი ხარ სახელმწიფოში, მოვა და დიდ ბედნიერებად ჩასთვლის, რომ შენ შეგიხსნას ფერხთ თასმები. შენს სიკვდილის შემდგომ შენს ძაძას წაუღებენ ალექსანდრიის პატრიარქს და დიდი ათანასეც, რომელიც დიდების შარავანდედში გაპაღარავდა, დაემხობა და ისე დაჰკოცნის, როგორც წმიდანის ნაშთს! წარვედ!

პაფნუტიმ უპასუხა:

— იყოს ნება ღვთისა, ვითარცა დედამიწასა ზედა, ისე ცათა შინა.

ამ სიტყვებზე გრძელი ხელები გაჰშალა, თითქოს უშველებელი ფრინველის დაჯიჯგნილი ფრთები ყოფილიყოს. ის-ის იყო, ძირს გადმოშვებას აპირებდა, რომ უეცრივ მის ყურის ძირთან გაისმა საზიზღარი, დამცინავი ხარხარი. შეძრწუნებული პაფნუტი უმალვე ზეზე წამოიჭრა.

— ეს ვინ ხარხარებს?

— ჰა! ჰა! ჰა!—განაგრძო ხარხარი წელანდელმა ხმამ: ეს მხოლოდ ჩვენი მეგობრობის დასაწყისია. ოდესმე უფრო ახლოს გამიცნობ და დამიმეგობრდები! ჩემო ძვირფასო, ეს მე გაიძულე, რომ აქ ამოსულიყავი. გმადლობ, დიდათა გმადლობ, რაც შენ ამდენი სიამოვნება მომანიჭე მაგისთანა ერთგული მორჩილებით, როგორც შენ ასრულე ჩემს სურვილს, ჩემს ყოველს ნატვრას, პაფნუტი, მეტად კმაყოფილი ვარ შენი!..

შიშისგან ათრთოლებულმა პაფნუტიმ ძლივ-ძლივობით წაიბუტბუტა:

— შორს ჩემგან, შორს, შორს! გიცანი, გიცანი შე წყეულო! შენ ისა ხარ, ვინც რომ იესო აიყვანე ტაძრის ფილაქანზე და აჩვენე ამა ქვეყნის ყველა სამეფო.

სასოწარკვეთილებით კვალად დაემხო სვეტის თავზე:

— ან როგორ ვერ ვიცანი აქამდე?—ჰფიქრობდა იგი,— მე იმათზე ასჯერ და ათასჯერ უფრო საცოდავი ვარ, ვინც აქ მოდიან სალოცავად, ვინც რომ მირწმუნა წმიდანად. იმდენად დავეცი, რომ უნარი არ მაქვს ზესთაბუნებრივ ძალას ვუმზირო. ეჰა, წარვიდა ყოველივე! ამ ბიწიერებაზე უარესი იმითი გავხდი, რომ აღარ მესმის ცისა და ჯოჯოხეთის ხმა ერთმანეთისაგან განვარჩიო. თვით ჩჩვილის გონებაც კი არა

მაქვს, იმ ახლად დაბადებული ბავშვისა, რომელიც უმალ ტირილს მოჰყვება, რაწამსაც დედის ძუძუს მოაშორებენ; ქოფაკი იცნობს თავის პატრონს, თუნდაც არა ჰხედავდეს, სუნით შეიგნებს; მცენარე მზისკენ იხედება, მე კი... მე... ვერ მიპოვნია ღმერთი ჩემი!.. ეშმაკთა სათამაშო ნივთი გავხდი. მაშ ასე, ეს სატანა იყო, ვინც ამ სვეტის თავს ამომიყვანა და ხორციელი სიტკბოებანი და ქვეყნიური სიამაყე ამომაყოლა. არა ჩემს განცდათა სიდიადე მაწუხებს, ვინაიდან, ანტონიც არა ნაკლებ განცდას ივლენდა მაღალ მთაზე, არა! მე თანახმა ვარ, რომ მათი მახვილით დაგვემილი იყოს მთელი ჩემი სხეული, ჩემი წყლულები არ მაშინებს, ოღონდ ანგელოზები მყვანდნენ მოწმად. იქამდე მიველ, რომ ჩემი ტანჯვანი შემიყვარდა. მაგრამ ღმერთი სდუმს. მისი დუმილი მაკვირვებს. იგი ხელსა მკრავს, მე, ვინც რომ მისით ვსუნთქავდი, ვისაც მისი სახელის გარდა აღარა გამაჩნდარა: იგი ხელსა მკრავს და მარტოდ მტოვებს ამ საშინელს სიცარიელეში. იგი შორს ილტვის ჩემგან. მაგრამ დავედევნები. ერთი ბიჯითაც არ ჩამოვრჩები. ეს ქვა ფეხებს მწვავს. წავიდეთ, ჩქარა წავიდეთ, ღმერთს დავეწიოთ, ღმერთს!..

პაფნუტის აღარ დაუყოვნებია. სწრაფად კიბეს წამოავლო ხელი, მაგრამ პირველ საფეხურზე ჩამოშვებისაიანავე შეჰნიშნა ერთი ცხოველის თავი, რომელიც თვალებში შეჰყურებდა და უკინოდა. მხოლოდ ეხლა მიჰხვდა, რომ ეს მონანიებისა და დიდების ადგილი მხოლოდ ეშმაკთა იარაღი ყოფილიყო მის ასაღელვებლად და შესაშფოთებლად. მაგრამ დიდხანს აღარ გაჩერებულა აქ, სწრაფად დაეშვა და მალე მიწახე დასდგა ფეხი. სიარულს რაკი გადაჩვეულიყო, ფეხები სულ ეხლართებოდა. მაგრამ რაკი სვეტის ჩრდილს ჰხედავდა, თავს ძალა დაატანა წყეულ ადგილის განსარიდებლად. ყველას ეძინა. მთელი მოედანი ისე გადასჭრა, რომ არავის არ შეუნიშნია. მოედნიდან გადასჭრა დუქნები, სასტუმროები და ერთი ხვეული ქუჩით ლიბიის ხომლისკენ გაეშურა. ერთი ძაღლი ყეფით დაედევნა, მაგრამ უდაბნოს პირამდე მიჰყვა და ისევ გამობრუნდა, და პაფნუტიც სწორედ იმ მხარისკენ გაეშურა, საითაც ნადირთა კვალის გარდა ძე ხორციელს ვერავის ნახავდა. სასოწარკვეთილება მოცული პაფნუტი, რაკა ივლტო ამ მატყუარა ქალაქიდან, მთელ დღე და ღამეს ასწორებდა, რომ შორს სადმე მიუვალს ადგილს გარდახვეწილიყო.

შიმშილ-წყურვილისაგან დავრდომილი და ათას წყლულებისაგან დაქანცული უთავბოლოდ მისდევდა უდაბნოს და არ იცოდა, მიაღწევდა ღმერთამდინ თუ არა. ამასობაში თვალი მოჰკრა მყუდრო ქალაქს, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ გაშლილიყო და ჰორიზონტის ძოწეულში იკარგებოდა. ამ ქალაქის შენობები ერთმანეთისაგან დაშორებული იყო და პირამდის სახით თითქოს ნახევრად გვერდები ჰქონდათ ჩამოთლილი. ეს საფლავები იყო. კარები შემტვრეული ჰქონდა. წყვდიადში აშკარად გამოჰკრთოდა აქ შეხიზნულ ნადირთა თვალები, რომელნიც თავიანთ ლეკვებს ძუძუს აწოვებდნენ. მკვდრები კი უპატრონოთ შემოსავალში ეყარნენ: ყაჩაღებს დაეძარცვათ, ხოლო მგლებსა და ტურებს უწყალოდ დაეხრათ, ასე რომ ძნელად თუ ვისმეს გაერჩია მათი ძვლები. როდესაც ეს კაეშნით მოცული ქალაქი გაიარა, ღონე მიხდილი პაფნუტი დაეცა ერთი საფლავის წინ, რომელიც ბექობზე იყო წყაროს პირად, სადაც რავდენიმე ბზის ხე იყო ამოსული. ეს საფლავი ძვირფასად იყო მორთული. რაკი რკინის კარები შეემტვრიათ, გარედან ადვილად დაინახავდით, თუ რა ლამაზად მოერთოთ შიგნითა ოთახი, სადაც ეხლა გველებს დაებუდნათ.

— აი,—ამოოხვრით წარმოსთქვა მან,— ჩემი უკანასკნელი სამყოფელი, ჩემ ცოდვათა მოსანანიებელი კიდობანი, ჩემი ხორცის ჯვარსაცმელი გოლგოთა.

როგორც იყო, საფლავის კარამდის მიფოფხდა. შიგნიდან ქვეწარმავალნი გამოჰბრეკა და თვრამეტი საათი თავ-აუღებლივ დამხობილი იყო ფილაქანზე. წამოდგომისას მცირე ხნით წყაროზე ჩავიდა, მუჭით წყალი შეხვრიპა, შემდეგ რავდენიმე ლოტუსის ღერო მოსწყვიტა, დაჭრიბა ფინიკის შტოები და მარცვლებს დაუწყო ჭამა. რაკი ასეთი ცხოვრება მოეწონა, ნამდვილი წეს-რიგი ასეთი უნდა იყოსო, იგი მცირეოდენი შექცევის შემდეგ კვლავ სასაფლაოს უბრუნდებოდა და დილიდან საღამომდე ცივ ქვაზე დამხობილი შუბლს არ იღებდა მაღლა.

როდესაც ერთხელ ამგვარად ემხო, მას შეესმა ხმა:

— აბა შეეხედე ამ ნახატებს, ესენი ბევრს რამეს გასწავლიან.

პაფნუტიმ აიხედა. მართლაც, ოთხსავ კედელზე შეჰნიშნა ნახატები. ესენი იყო დიდი ხნის ნაცნობი სამხიარულო სცენები, რომელნიც უხსოვარ დროს დიდის ხელოვნებით შეესრულებინათ. აქ გამოეხატნათ მზარეულები. ესენი ვითომც ცეცხლს უბერავდნენ, რის გამოც ლოყები დაჰბურცოდათ; ზოგნი ბატებს ბტყვნიდნენ, ზოგნი კიდევ ცხვრის ბარკალს ჰხრაკავდნენ ტაფაში. ამ სურათის შემდეგ იწყობოდა მეორე. აქ მონადირე მოდიოდა, რომელსაც ისრით გაგმირული მშველი წამოეკიდნა ზურგზე; იქ კიდევ გლეხები სთესდნენ, ზოგნი მკიდნენ, ზოგნიც ხილს ჰკრეფდნენ მხიარულად. ერთგან მოცეკვე ქალები დაეხატნათ. ზოგნი სალამურს უკრავდნენ, ზოგნიც ქნარს, ერთი ახალგაზდა ქალი ჩანგს აეღერებდა. მას ლოტუსის ყვავილი ლამაზად ჩაეხლართნა თავის შავს კულულებში. გამქვირვალ სამოსელში სრულის სიცხადით მოსჩანდა მის სხეულის ყოველი ნაკვთი. მისი სავსე გულმკერდი, მისი კოხტა ტუჩები ახალგაზდობის სიცოცხლით ჰფეთქდნენ, ყვავილობდნენ. მისი ლამაზი თვალები მიშტერებოდა ერთ სახეს, რომელიც პროფილში იყურებოდა. პაფნუტიმ შეჰხედა თუ არა, უმალვე თვალები დაჰხარა და უპასუხა ხმას:

— რად მიბრძანებ, რომ ამ სურათებს ვუყურო? რაღა თქმა უნდა, ესენი წარმოადგენენ იმ წარმართის ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, რომელიც აქ არის დამარხული, ჩემ ფერხთა ქვეშ, შავ ქვის კუბოში. ეგენი გვაგონებენ ამ მიცვალებულის ცხოვრებას, მაგრამ, მიუხედავად ფერადების სიცხოველისა, ეგენი მხოლოდ ჩრდილნი არიან რაღაცა გამოურკვეველი აჩრდილისა, მკვდრის ცხოვრება! ეჰა, ამაოებავ!..

— ის მოკვდა, მაგრამ მან იცხოვრა,—მიუგო იმავე ხმამ, —შენ კი ისე მოკვდები, რომ არ გეცხოვროს!

ამიერიდან პაფნუტის აღარა ჰქონდა მოსვენება. ხმა განუწყვეტლივ ესაუბრებოდა. ჩანგზე მოთამაშე ქალი ხშირ წამწამებს ქვეშიდან მისჩერებოდა მის თვალებსა, თავისი მხრით ესეც აძლევდა ნაზ-ხმით პასუხს:

— აბა, შემომხედე: რარიგი საიდუმლო, და რა ლამაზი რამა ვარ! შემიყვარე; ჩემის ხვევნიდან ამოსწოვე ის სიყვარული, რომელიც შენ აგრე რიგადა გტანჯავს. რას გმატებს განა, რომ მეკრძალვი? ხომ იცი, რომ ვერსად წამიხვალ: მე ქალთა სილამაზეს მიწოდებენ! ან იქნებ ჰფიქრობ, რომ გა-

მექცე? უგუნურო, ჩემს სახეს ყველგან დაინახავ, ამ ყვავილების სახეში, ბზის შტოებში, მტრედთა ფრენაში, ნუკრთა სირბილში, ნაკადულების აღქაფებულ გრგვინვა-ჩხრიალში, მთვარის კრთოლვაზე, და თუ თვალს დაიხუჭავ, მაშინ მას დაინახავ შენსავ გულში. ათასი წლის წინედ, აი ეს კაცი, რომელიც ეხლა მჩვრებშია გახვეული და ამ შავი ქვის უბეში სძინავს, გულში მიკრავდა, მეხუტებოდა, ჩემი ტრფიალების ცეცხლით სთბებოდა. ათასი წლის წინად ჩემს უკანასკნელს კოცნას ელირსა და აქნობამდინ მისი ძილი ამ სურნელოვნების სუნთქვით არის შეზავებული. შენ კარგად მიცნობდი, პაფნუტი, მაშ როგორ მოხდა, რომ ეხლა ველარ მიცანი? მე ერთი ათასთა და ურიცხვ თაისთა განხორციელება ვარ! შენ განსწავლული ბერი ხარ და ბევრი რამ საიდუმლო იცი. შენ მოგზაურობდი და მოგზაურობა ხომ ერთი საუკეთესო საშუალებაა ცოდნის კიდობნის შესავსებად. ხშირად ერთი კარზე გასვლა უფრო მეტს გვმატებს, ვიდრე ათ წლობით სახლში ჯდომა. და აი, რა თქმა უნდა, გაგონილი გექმნება, რომ თაისი ოდესღაც სცხოვრობდა არგოსში ელენეს სახელით. ეს კარიან თებაში იგი სულ სხვა სახელით სცხოვრობდა. ხოლო თების თაისი ეს მე ვარ. მაშ როგორ ვერ გამოიცანი ეს? სიცოცხლის დროს მრავალთა ცოდვა ავიკიდე, ეხლა კი, როდესაც ჩრდილად გარდავიქმენ, კიდევ იმდენ ძალ-ღონეს ვიკრებ, რომ შემიძლიან შენი ცოდვებიც ვიტვირთო, საყვარელო პაფნუტი! რას გიკვირს? ხომ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სადაც უნდა წახვიდე, ყველგან თაისს შეეყრები.

პაფნუტი დაგმხო, ფილაქანზე დასცხო შუბლი და შეძრწუნებულმა დაიკვნესა. ხოლო ახალგაზდა ქალი ჩანგით ხელში ყოველღამ კედლიდან ჩამოდიოდა და ისეთი სინაზით ელაპარაკებოდა, თითქოს მის სიტყვებს სუნთქვის დროს სურნელოვანი ვარდი სცვივაო. მაგრამ რადგანაც წმინდანი ამ განცდის ბადეს ვერ მოჰყვა, იგი უფრო დაჟინებით არ უსვენებდა:

— შემიყვარე; დამითმე, მეგობარო. ვიდრე მეწინაადმდეგები, არ მოგასვენებ არც ერთს წამს. შენ არ იცი, რას ნიშნავს მკვდართა მოთმინება. თუ-კი საჭიროება მოითხოვს, მოვითმენ, ვიდრე არ მოკვდები. მე ჯადოქარი ვარ. რაწამს მოკვდები, შენს სხეულს შთავბერავ სულს და კვალად აღ-

ვადგენ. რაღა თქმა უნდა, მაშინ უარს არ მეტყვი და მომცემ, რასაც ეხლა გევედრები. აბა, დაფიქრდი, პაფნუტი, რა დღეში უნდა ჩავარდე, როდესაც შენი ნეტარი სული მაღლიდან გადმოჰხედავს შენს საკუთარს სხეულს, რომელიც ცოდვათა მორევში იყურყუმალავებს. თვით ღმერთიც კი, რომელიც დაგპირდა, ამ სხეულს საუკუნეთა შემდგომ განსჯის დროს დაგიბრუნებო, მეტად გასაჭირში ჩავარდებოდა და არ ეცოდინებოდა, თუ როგორ მოქცეულიყო. ვით შეუძლიან ციურ დიდებით შეჰმოსოს იმ ადამიანის სახე, რომელიც ეშმაკის კერძი გამხდარა და ჯადოქარის განკარგულებაში იმყოფება? შენ არ გიფიქრნია ამაზე, განა? შესაძლებელია, რომ თვით ღმერთსაც არ უფიქრნია. ჩვენ შორის ის არც თუ ასე შორს გამჭვრეტია, სულ უბრალო ჯადოქარიც კი მოატყუებს. რომ მეხით არ იყოს შემორტყმული, თვით სოფლის ბიჭებიც წვერით დაითრევდნენ და გააპამპულებდნენ. რაღა თქმა უნდა, რომ შენი ღმერთი იმდენად ჭკვიანი არ არის, როგორც მისი მეტოქე ბებერი გველი. ეს საოცარი ხელოვანია! მე თუ მშვენიერი ვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს გასაკეკლუცებლად მუშაობდა იგი. პირველად მან მასწავლა თმების ასე ლამაზად დაწვნა, თითების ასე ვარდისფრად შეღება, ხოლო ფრჩხილების აკაციისავით აყვავება. შენ ძალიან შესცდი, როდესაც აქ დაბინავებისას ფეხით განდევნე აქ მყოფი გველები. არც კი შეიწუხე თავი გაგეგო, ესენიც იმ გველის ოჯახს ხომ არ ეკუთვნოდნენ. მეშინიან, ჩემო საცოდავო მეგობარო, ვგონებ, რომ საჯაი საქმე დაგემართა. მით უმეტეს, რომ წინდაწინ გაგაფრთხილეს, რომ იგი მუსიკოსია და შეყვარებულიო. რა ჰქენი ეს? აგერ, შენ წაეჩხუბე მეცნიერებას და სიმშვენიერეს. ეხლა სრულიად უბედური ხარ, თვით იეღოვაც ყრუა, არც მოგეშველება არასოდეს, რადგანაც იგი იმდენად დიდი არის, როგორც ეს ქვეყნიერება, ამიტომ მას არ შეუძლიან დაძვრა, რადგანაც ერთი ბეწვა ადგილიც აღარსად მოიპოვება, რომ მას შეეძლოს მოძრაობა. და თუ ყოველ შესაძლებლობის გარეშე მცირეოდნად მაინც გაინძრა, მაშინ მთელი ქმნილება შეირყეოდა. ჩემო მშვენიერო განდეგილო, მოდი, მაკოცე.

პაფნუტიმ კარგად იცოდა, თუ რა სასწაულებს ჩადიოდნენ ჯადოსნობის შემწეობით. ამიტომ იყო, რომ მოუსვენარმა ფიქრებმა შეიპყრო:

— შეიძლება ჩემ ფერხთა ქვეშ მდებარე მიცვალებულმა უწყის იმ საიდუმლო წიგნის ლოცვები, რომელიც დაფარულია სამეფო სასაფლაოში. ამ ლოცვების წყალობით მკვდრებს შეუძლიანთ თავიანთი ძველი სახე მიიღონ და დასტკბნენ მზისა და ქვეყნიერების ცქერით, როგორც ამ მომღიმარე ქალის ხილვით.

ახალმა შიშმა გაიტაცა, ვაი თუ მიცვალებული წამოდგეს და მის თვალწინ შეერთდნენ, როგორც ამ ქვეყნიურ ცხოვრების დროსაო. ხშირად ისე მოსჩვენებია, თითქოს მკრთალ კოცნის ხმაური შეესმა. ყოველისფერი მოუსვენარ მდგომარეობაში აგდებდა, შემკრთალ ფოთოლსავით ათრთოლებდა, მით უმეტეს, იცოდა, რომ ღმერთი არ იყო ეხლა მასთან და მარტო ეს იყო საკმარისი, რომ ფიქრებისაც ისე შეეშინებოდა, როგორც გრძნობათა ქარიშხალის. ერთ საღამოს, როდესაც ივი მიწაზე გართხმული იწვა, უცნობმა ხმამ უთხრა:

— პაფნუტი, ქვეყნიერებაზე უფრო მეტი ხალხია, ვიდრე ეს შენ გგონია. მე რომ მოვინდომო და ის გაჩვენო, რაც თვით მინახავს, თქმა არ უნდა, შიშით გული წაგივიდოდა. არიან ისეთი ხალხი, რომელთაც შუბლზე მხოლოდ ერთი თვალი აქვთ; არიან ისეთნი, რომელთაც მხოლოდ ცალი ფეხი აქვთ და სიარულის დროს დახტუნავენ; არიან კიდევ ისეთნი, რომელთაც სქესი ეცვლებათ და მამლებიდან დედლები ჰხდებიან; არიან ხალხი—ხეები, რომელნიც ფესვებს ღრმად უშვებენ დედამიწაში; უთავოებსაც ბევრსა ნახავ, რომელთაც თვალები, პირი, ცხვირი და ყურები სულ გულზე აქვთ. აბა, გულზე ხელი დაიდე და სინიდის ქვეშა სთქვი, ნეტავ იესო ქრისტე ყველა ამ ხალხის საცხონებლად გაეკრა ჯვარზე?

მეორეჯელ სულ სხვა მოჩვენება იხილა. მან დაინახა გაშლილი გზა, რომელიც ნაკადულისა და ბაღების გვერდით მიდიოდა. არისტიბულე და ხერე სირიულ ცხენებს მოაკენებდნენ. სიხარულით აღფრთოვანებულ ჭაბუკთ ლოყები საამოდ დაჭკვეროდათ. ერთგან კალიკრატე გადმომდგარიყო და საუცხოვო დეკლამაციით რაღაც ლექსებს კითხულობდა. კმაყოფილების სიამაყე თრთოდა მის ხმაში და ბრწყინვალედ მოციაგე თვალებში. ერთს წალკოტში ზენოთემისე ოქროს ვაშლებსა ჭკრებდა, თან კიდევ ლაჟვარდ ფრთოსან გველს ზურგზე ხელს

ულვამდა. აქვე იხილა ჰერმოდორე თეთრი სამოსით, ბრწყინვალე მიტრის ქვეშ, რომელიც საღმრთო ბზის ჩრდილ ქვეშ ოცნებობდა. ხე იგი მოფენილი იყო ეგვიპტელების ღმერთებით, არწივებით, მიმინოებით და ნაზად მოელვარე ნახევარ მთვარით. მდინარის ნაპირზე განმარტოვებით იდგა ნიკიასი და ლაჟვარდ ცის ქსოვილზე სწავლობდა ციაგთა ჰარმონიულ მსვლელობის წეს-რიგს. ამდროს ვიღაც მანდილოსანი მოვიდა მასთან, რომელსაც ხელში ზეთიხილის შტო ეჭირა.

— აბა შეჰხედე,—უთხრა მან,—ზოგნი ეძებენ სიმშვენიერეს, და ამით დაუსაბამოს წიაღში უკვდავსა ჰყოფენ წარმავალ სიცოცხლეს; ზოგნი კიდევ ისე სცხოვრობენ, რომ არაფერზე არ ჰფიქრობენ. მაგრამ მარტო ის, რომ ისინი ბუნების სიკეკლუცეს ეტრფიან, ბედნიერები არიან, ბუნებასავით თვალწარმტაცნი, ცხოვრებას ეწირებიან და ამით ქება-დიდებას შესწირავენ ყველა ქმნილების უაღრეს ხელოვნებას; ადამიანი იგი — უმშვენიერესი ჰიმნია დაუსაბამო განგებისა! ყველამ იცის, რომ ბედნიერება უმწიკვლოა, ხოლო სიხარული ნებადართული, ჩემო პაფნუტი, და თუ ყველა აქ ჩამოთვლილი მართალი გამოდგებოდა, ეჰა, რა სასტიკად დაისჯებოდი!

და მოჩვენებაც მყისვე გაჰქრა.

ასეთ სულიერ და ხორციელ განცდით იტანჯებოდა განდეგილი. არც ერთი წუთით მოსვენებას არ აძლევდა სატანა. ამ განდეგილ სამარის სავანე უფრო მეტად იყო დასახლებული, ვიდრე რომელიმე დიდი ქალაქი. შორს გაისმოდა დემონთა ხარხარი. ათასი ბოროტი სული მაცდურების ბადესა ჰქსოვდა. საღამოობით, როდესაც იგი წყაროზე მიდიოდა, ერთმანეთს გადახლართული სატირები და ფავნები ფერხულს აბავენენ მის გარშემო. ეხლა კი მათ აღარაფრისა არ ეშინოდათ. ყველანი დასცინოდნენ, ბილწი სახით შეურაცხჰყოფდნენ. ერთხელ ერთმა ციცქნა ეშმაკმა ბაწარი მოჰპარა, რომელიც პაფნუტის ქამრად ჰქონდა.

პაფნუტი ჰფიქრობდა:

— შავ-ბნელო ფიქრო, აქ სად მომიყვანე?

და გადასწყვიტა მუშაობა, რომ გონება გაერთო, როგორმე დაესვენებინა. წყაროს გვერდით, ჩრდილში, გრძელ ფოთლიანი ბანანები ჰხაროობდა. რავდენიმე ღერი მოსჭრა და

შიგნით შეიტანა, თავის თავ-შესაფარში. აქ საფლავის ქვაზე დაჯდა და დასრესილ ბანანიდან ძაფების გამორჩევას მოჰყვა. ამ ძაფებით დაიწყო იმ კანაფის მაგიერის გრეხა, რომელიც ეშმაკმა მოჰპარა. ეს ბევრად არაფრად ეპიტნავათ ბოროტ სულებსა. შესწყვიტეს ხმაურობა, თვით ჩანგზე მოთამაშე ქალიც დადუმდა, თითქოს უარი სთქვა ჯადოსნობაზეო, აიღო და ჩანგი დახატულ კედელზე ჩამოჰკიდა. ამით გახარებული პაფნუტი განიმტკიცებდა რწმენას:

— შეწევნითა ცისათა,—ამბობდა თავისთვის,—მე დავიცხრობ ხორცს. რაც შეეხება სულს, მას კიდევ მოეპოვება სასოება. ამაოდ სცდილობენ ეშმაკები ჩემს შეცდენას, განსაკუთრებით ეს წყეული გოგო, რომელიც ეჭვს მიბადავდა ბუნებისა და ღვთის შესახებ. მე ვუპასუხებ მოციქულ იოანეს სიტყვით: „პირველთაგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისათანა“. ეს მე მტკიცედ მრწამს, ვერც თუ ვინმე შემირყევს ამ რწმენასა. და თუ რწმენა იგი შეუსაბამობა იქმნება, უფრო მტკიცედ დავიცავ მას. ერთით, ეს, ცხადია, რომ შესაბამობად უნდა დარჩეს, ვინაიდან, თუ ეს ასე არ ყოფილიყო, მაშინ კი არ ვიწამებდი, არამედ მეცოდინებოდა. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ცოდნა არ გვაძლევს ცხოვრებას, რწმენა კი, მხოლოდ ეს ერთი რწმენა გვაცხოვნებს ჩვენ.

ყოველ დილით იგი მზეზე ჰფენდა ნაგრეხ ძაფებს, დიდის სიფრთხილით ერთს მეორეზე ჰგრეხდა, აშრობდა, შემდეგ კიდევა ჰგრეხდა და სულიერად განიხარებდა, რომ კვლავ ბავშვობის უმწიკვლობა და სიმარტივე უბრუნდებოდა. როცა თოკის დაგრეხას მორჩა, ახლა კალათებისა და ლასტების წვნას მოჰყვა, ასე რომ მალე სასაფლაო სავანე პატარა სახელოსნოს დაემზგავსა და პაფნუტიც მუშაობიდან ძალიან ადვილად გადადიოდა ლოცვებზე. მიუხედავად ამისა, ღმერთი მაინც არ ექმნა მწყალობელი. ერთხელ, შუაღამისას, კიდევ გამოაღვიძა ხმამ, რომელმაც შიშისგან აათრთოლა: პაფნუტი მიხვდა, რომ ეს ხმა მიცვალებულის ხმა იყო.

ხმა იგი წყნარის ჩურჩულით ვიღასაც სწრაფად უძახოდა:

— ელენე! ელენე! წამოდი ერთად ვიბანაოთ! წამოდი, ჩქარა!

ერთი ქალი, რომლის პირიც პაფნუტის ყურს წააგავდა, უპასუხებდა პირველ ხმასა:

— მეგობარო, არ შემიძლიან წამოდგომა: ვიღაცა კაცი მაწევს.

უეცრივ პაფნუტიმ შეჰნიშნა, რომ მისი ლოყა ქალის გულზე ესვენა. მან იცნო ჩანგზე მომღერალი ქალი, რომელიც ძლივ-ძლივობისას განთავისუფლდა მის ხელიდან და ნახევრად წამოიწია. პაფნუტიმ ეს აღყვავებული სხეული გულში ჩაიკონა და სასომიხდილმა დაუწყო კოცნა. მისი სითბო, სურნელოვნება და ჯადოსნური მიმზიდველობა ნეტარებით ათრობდა. არ უნდოდა ბედნიერების დაკარგვა. ამიტომ ათრთოლებული ხელებით ქალის ნაზ სხეულს იფარავდა და თან მძაფრი ხმით ეეედრებოდა:

— აქ დარჩი, დარჩი, ჩემო ცაო!

მაგრამ ქალი უკვე კარის ზღურბლზე შესდგა. იგი იცინოდა. მთვარის სხივებში ვერცხლისფრად ელვარებდა მისი ღიმილი.

— რად უნდა დავრჩე? — უპასუხებდა იგი, — აჩრდილის ჩრდილიც საკმარისია შეყვარებულის ცხოველ გონებისთვის. ამის გარდა, შენ უკვე შესცოდე. სხვა რაღა გინდა?

პაფნუტიმ გამეფებულ წყვდიადის უბეში ქვითინი ამოუშვა. განთიადისას იგი დაეძხო და წყნარი ლოცვით, უკედ, საყვედურით მოჰყვა ჩურჩულსა:

— იესო, ჩემო იესო მაცხოვარო, რად დამტოვე მე? ხომ ბხედავ, რა განსაცდელში ჩავვარდნილვარ. მოვედ, მწე მეყავ, ტკბილო მაცხოვარო. მამაშენს არ ვუყვარვარ, იგი ყურს არ მათხოვებს, შენ მაინც მოვედ, შენს იქით ვინღა დამრჩენია, რომ ვიიმედო? მამაშენმა არა იზრუნა-რა ჩემს გასამხნევებლად. არა მესმის რა იმისი. მას არ ვებრალები. მაგრამ შენ, შენ ხომ ქალისგან დაიბადე, შენ მაინც მომხედე, ისევ შენზეა ჩემი სასოება, ჩემი ხსნის უკანასკნელი იმედი. მოიგონე, რომ შენც ოდესღაც ადამიანი იყავი. მოგმართავ არა იმიტომ, რომ შენ ღმერთი ხარ ღმერთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი პეშმარიტი, ღვთისაგან პეშმარიტისა, არამედ იმიტომ, რომ შენ იცხოვრე, ღატაკი და სუსტი ამ ქვეყნად დაიარბოდი, აქ, ამ მიწაზე, სადაც ეხლა მე ვიტანჯები, იმიტომ, რომ სატანას უნდოდა შენი შეცდენა, იმიტომ, რომ მომაკვდავის ოფლი

გიყინავდა ღვთაებრივ შუბლსა, შენს ადამიანობას მივმართავ, ჩემო იესო, ჩემო ძმაო იესო!

როდესაც ეს ლოცვა გაათავა და ხელების ფშვნეტას მოჰყვა, უეცრივ გაისმა საზარელი ხარხარი, რომელმაც სასაფლაოს კედლებიც კი შესძრა და სვეტების მაღლიდან გაისმა ყრუ, დამცინავი ხმა:

— აი ლოცვა, რომელიც, ჭეშმარიტად, მხოლოდ ჰერეტიკოს მარკუსს შეჰფერის! პაფნუტი არიანელია! პაფნუტი არიანელია!..

როგორც მეხის ელვის ისრით განგმირული, ისე დაეცა გულწასული განდეგილი.

.

როდესაც ხელახლად გაახილა თვალები, თავის გარშემო დაინახა შავ-კუნკულებით მორთული ბერები, რომლებიც წყალს თავზე ასხავდნენ და ულოცავდნენ. ზოგნი გარედან დამდგარიყვნენ ბზის შტოებითა.

— როდესაც უდაბნოში გამოვიარეთ,—უთხრა ერთმა მათგანმა,—ამ აკლდამიდან მოგვესმა ხმა. გამოვეშურეთ. აქ შემოსვლისას შენ გიპოვნეთ. გულწასული იყავი ამ ფილაქანზე გართხმული. უეჭველია, მავნე სულებმა მოგაჯადოეს, რომელნიც ჩვენს მოახლოვებაზე აქედან გამოცვივდნენ.

პაფნუტიმ თავი აიღო და სუსტი ხმით ძლივს შეეკითხა:

— ვინ ხართ, ძმებო? ან რად გიჭირავთ ეგ ბზის შტოები? ნუთუ ჩემს დასამარხად არ მოხველით აქ!

აქეთ-იქიდან უპასუხეს:

— ძმაო პაფნუტი, ნუთუ არ უწყი, რომ მამა ჩვენი ანტონი უკვე ას ხუთი წლისა შესრულდა და ანგელოზის მიერ უწყებული იქმნა, რომ აღსრულდება მოკლე ხანში? ეს ამბავი ყველგან ვაუწყეთ ჩვენს მოძმეებს. მამა ანტონი მალე ჩამოვა კოლინის მთიდან, რათა გვაკურთხოს შვილები. ამიტომ მივისწრაფებით ამ ბზის შტოებით ჩვენი სულიერი მამის შესახვედრად. მაგრამ შენ, ძმაო, როგორ მოხდა, რომ ანგელოზმა არ გაუწყა ასეთი დიადი ამბავი?

— ეჰა!—უპასუხა პაფნუტიმ,—მე ეს წყალობა არაფრით არ დამიმსახურებია. ჩემი დიდი სტუმრები და მახარებლები მხოლოდ წყეული სულები და სისხლის მსმელი ლმერთები

არიან. ილოცეთ ჩემთვის! მე — ანტონოის უღირსი წინამძღვარი პაფნუტი, ღვთის მსახურთა შორის, ყველაზე უსაწყლესი და საცოდავი ქმნილება ვარ.

პაფნუტის სახელის გაგონებაზე ყველამ სადიდებლის ღაღადისი დაიწყეს ბზის შტოების რხევით. ის, ვინც პირველად გამოეხმაურა, სახე გაბრწყინებული წამოდგა და ჰკვიროდა განგების მიუწდომლობას.

— ნუთუ შესაძლებელია, რომ შენ პაფნუტი ხარ, ეს ის პაფნუტი, რომელიც ესოდენი სასწაულებით და ღვაწლ-შემოსილი შარავანდედით ცათამდინ აღგამაღლეს! მრავალნი თვით დიდებულ ანტონზე მაღლა გაყენებდნენ. ღირსო მამაო, ეს შენა ხარ, რომელმაც გარყვნილი თაისი მოაქციე და ღმერთს მოჰგვარე, შენ, რომელიც ახველ სვეტის თავზე და სერაბიმთა გუნდით შემორტყმული აღტაცებით ღაღადსა ჰყოფდი მეუფესა! ვინც რომ შენს სვეტის ქვეშ ფხიზლობდა და შენსკენ თვალი მოეპყროთ, მათ იხილეს შენი ნეტარი მიძინება. თეთრ ფრთოსან ანგელოზთა ღრუბელი შემოგრტყმოდა, შენ კი მარჯვენა ხელი გამოგეწოდებინა და ჰლოცავდი შენთა მოსავთა. მეორე დღეს, როდესაც შენ გაჰქერ, დიდხანს კვნესა და ვიში გაისმოდა გვირგვინ მოხდილ სვეტის გარშემო. მაგრამ შენმა მოწაფე ფლაბიანემ ჯერ ეს სასწაული გამოაცხადა საქვეყნოდ და შემდეგ ჩაიბარა შენი სამწყსო. მხოლოდ ერთი უგნური კაცი, სახელად პავლე, წინააღუდგა ხალხის ერთსულოვნებას. იგი ირწმუნებოდა, რომ სიზმარში ვნახე, ეშმაკებს მიჰყავდათ თანაო. ბრბოს უნდოდა მისი ქვით ჩაქოლვა. მართლაც, რაღაცა სასწაულით უნდა აიხსნას, რომ უბედური სიკვდილს გადაურჩა. მე კი ზოსიმე ვარ, ამ განდეგილთა წინამძღვარი, რომელთაც შენს ფერხთა წინაშე განართხულთ ჰხედავ. როგორც ესენი, მეც ვიყრი მუხლს, რათა შენ აკურთხო მამა თვისი საყვარელი შვილებითურთ. შემდეგ გვიამბე იმ სასწაულებზე, რომელნიც კურთხეულ ხელით მოახდინე ღვთის განგებითა.

— ვაი რომ ასე არ არის, როგორც შენ ჰფიქრობ, ძმაო ჩემო. ღმერთი წყალობის მაგიერ საშინელი განცდით მტანჯავს. ანგელოზები არ მოსულან ჩემს საამებლად. მხოლოდ წუვდიადის სვეტი იყო ამართული ჩემი თვალების წინ და ისე ვცხოვრობდი, როგორც საშინელს სიზმრებში. ღვთისა გარე-

შე ყოველისფერი ოცნება ყოფილა. როდესაც ალექსანდრიისკენ სამოგზაუროდ გავეშურე, რავდენიმე საათის განმავლობაში ყურს ვუგდებდი წარმოთქმულ სიტყვებს. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ჩვენს შეცდომებს არა აქვს საზღვარი. და აი, ეს უკულმართი უმეცრება, ეს აბნეულობის ლახვარი მუდამ გზას ბიღობავს, სულ თან დამდევს და არ ვიცი, როდის იქმნება აღსასრული ჩემი შვებისა!

ზოსიმე უპასუხებდა:

— ღირსო მამაო, არ უნდა დავიეიწყოთ, რომ ყველაზე მეტად განდეგილები და წმინდანი მსხვერპლნი ჰხდებიან საშინელი განცდისა. თუ რომ ცად არ იყავი აღყვანილი ანგელოზთა სპეტაკი ფრთებით, სამაგიეროდ, ღმერთმა წყალობით გადმოჰხედა შენს სახიერებას, ვინაიდან, ფლაბიანე და იქ მყოფი ხალხი მოწმენი იყვნენ შენი დიდებული აღმაღლებისა!

პაფნუტიმ გარდასწყვიტა ენახა ანტონი და მისგან კურთხევა გამოეთხოვა.

— ძმაო ზოსიმე, მეც ერთი ბზის შტო მომეცით, თქვენთან ერთად მსურს შევხვდე ჩვენს ღირსეულ მამას.

წავიდეთ! — სიტყვა ჩამოართვა ზოსიმემ, — ბერებს სამხედრო წესი შეგვფერის: ესენი, უმთავრესად, უბრალო ჯარისკაცები არიან. ჩვენ, მე და შენ, როგორც წინამძღვრები, ამათ წინ წავალთ. ესენი კი ფსალმუნების გალობით უკან გაგვყვებიან.

მალე ყველანი გზას გაუდგნენ. პაფნუტიმ დაიწყო ქადაგება:

— ღმერთი მხოლოობის განსახიერებაა, ვინაიდან იგი ჭეშმარიტებაა და ჭეშმარიტება კი ერთია მხოლოდ! ქვეყნიერება მრავალფეროვანია, ვინაიდან, იგი ცდომიერების სარკე არის. უნდა განვშორდეთ ბუნების კეკლუც სურათებს, თვით ისეთ სანახაობათაც კი, რომელთაც გარეგნულად უმანკოების ელფერი გადაჰკვრიათ. მათი მრავალფეროვნება, რომელიც სასიამოვნო სანახაობად ჰხდის მათ, მხოლოდ იმისი ნიშანია, რომ ყველა ესენი ეკარგისნი და გზა ასაქცევნი არიან. ამიტომ არის, რომ მშვიდ მდინარის პირზე ერთ ბღუჯა პაპირუსის დანახვაზე კაეშნის მანდილით მემოსება ტანჯული სული. ყველაფერი ის, რასაც გრძნობებით ვიღებთ, ზიზღის ღირსია. თვით უმცირესი ქვიშაც კი საშიშროებას წარმოადგენს მორ-

წმუნეს თვალში. ყოველისფერი მაცდურებაა. ქალი კიდევ ყოველგვარ მაცდურების დედაა, რომლისაგანაც წარმოიშვების საშინელება ცისა თუ აღყვავებული დედამიწის, წმინდა ჰაერისა და გამჭვირვალე ნაკადულების, რომელთაც ბალღამისა და შხამის გესლი ენთხევათ თავზე. ნეტარ არიან იგინი, რომელთა სულიც დაცობილ. საკურკლეს წარმოადგენს! ნეტარ არიან იგინი, ვინც რომ დამუნჯდნენ, ბრმანი და ყრუვნი გახდნენ და ამ ქვეყნად აღარა ესმით-რა, რამეთუ მათ იცნონ ღმერთი იგი!

ზოსიმე ღრმად ჩაჰკვირვებოდა პაფნუტის სიტყვებს და ახლა თავის მხრივ უპასუხა:

— ღირსო მამაო, უნდა ჩემ ცოდვებში გამოგიტყდე, რადგანაც შენ ამიხილე გონების თვალი და გულისყური. ამნაირად ვენდობით ერთურთს მოციქულთა მზგავსად. ვიდრე ბერად შევდგებოდი, მეტად საშინელს ცხოვრებას ვეწეოდი, ვცხოვრობდი კურტიზანებით განთქმულ ქალაქ მადორაში, სადაც ხორციელ სიტკბოებათა ყოველგვარ საშუალებით ვსარგებლობდი. ყოველ ღამ გარყვნილ ახალგაზდათა ქარავანში ვიყავ ჩაბმული და იქ გოგოებს ვიტაცებდი, რომლებიც უფრო თვალში მომივიდოდნენ. ასეთი წმინდანი, როგორიც შენ ხარ, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს, თუ სადამდის მიდიოდა ჩემი ვნებათა ჟინიანობის ქარიშხალი. საკმარისია გავიხსენო მხოლოდ ერთი რამ, რომ ვნებათ წყვეტება იგი არ იბრალებდა არც დიასახლისებს, არც თუ მონაზნებს, მომღერალ ქალებს ხომ ანგარიში არა ჰქონდათ. თვით წმიდათა-წმიდას საკურთხეველიც კი შემიბღალნია ვნების შხამით. ღვინით და ცხარე სასმელებით ვიღელვებდი ჩემს ქვენა გრძნობებს, რის გამოც მთელს მადორაში სამართლიანად მიწოდებდნენ ლოთ-გაქსუებულს. მიუხედავად ამისა, მე მაინც ქრისტიანად დავრჩი და მრწამდა ჯვარცმული იესო. როდესაც მთელი ჩემი ქონება გავანიავე და სიღარიბის პირველი ნიშნები დავინახე, ერთი ჩემი მეამქრეთაგანი სწრაფად გარდაიცვალა ავი სენის საშინელი ტკივილებით. ფეხზე დგომას ვეღარა სძლებდა, ხელები ვეღარ მოეხმარებინა, მიბუნდული თვალები თავისთავად ეხუჭებოდა. ყელიდან მხოლოდ საზარელი ხრიალი გაჰქონდა. გონება სხეულზე მეტად დაუმძიმდა. ღმერთმა დასაჯა უბედური. რაკი პირუტყულ ცხოვრებას ეწეოდა ღმერთმაც პირუტყვად

გარდაჰქმნა იგი. მართალია, ქონების დაკარგვამ ბევრი რამ კარგი მიკარნახა, მაგრამ მეგობრის უბედურობის მაგალითი ჩემთვის დაუფასებელი რამ იყო. მან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ ეს ქვეყნიერება განვუტევე და გაველ უდაბნოდ. და აი, ოცი წელია, რაც იქ ვცხოვრობ მშვიდობიანად. ჩემი ცხოვრების მყუდრო ნავთსადგური მთელ ამ ხნის განმავლობაში აღარ შერყეულა. ჩემს ბერებთან ერთად ბერობას ვეწევი, ვართავ, ვდურგლობ, ხან ხუროთ-მოძღვრებას ვეწევი, ხშირად საღმრთო წერილების გადაწერასაც კი ვახერხებ, თუმცა უნდა გამოვტყდე, რომ მწერლობის სურვილი არც თუ ისე დიდი მაქვს, რადგანაც შრომა უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე აზრი, ფიქრთა ტალღებში გადარევა. და ასე ვცხოვრობ სიხარულში, ნეტარებაში. დღე ბედნიერების თასს მაძლევს, ხოლო ღამე უშფოთველადა მძინავს, არ ვიცი, რა არის სიზმარი, და მრწამს, რომ წყალობა უფლისა არს ჩემთანა, ვინაიდან, თვით საშინელ ცოდვათა მორევშიც კი სასოება არ დამიკარგავს, სულ ღვთისკენ მქონდა მიპყრობილი ორთავე თვალი.

ეს აღსარება რომ მოისმინა, პაფნუტიმ შეჰხედა ზეცას და მთრთოლვარედ წაიჩურჩულა:

— ჯფალო, უფალო, ამ წაწყმედილ და ბიწიერების ბაირახტარ კაცს, ამ შენს სახელის შემგინებელს, გარყვნილს, მრუშს და ფლიდს არ აშორებ წყალობის თვალს, მე კი მიმირბი, შურით მიმზერ, მე, ვინც რომ ასეთი სისასტიკით ვასრულებდი ყველა შენს მცნებას! ვითარ გამოურკვეველია მართლმსაჯულება შენი, უფალო! ვითარ განუჭვრეტელნი არიან გზანი შენნი!..

ზოსიმემ ხელი გაიშვირა:

— შეჰხედე, ღირსო მამაო, ცისიერის ორთავე მხარეზე როგორ ჭინჭველებსავით ირევიან შავი აჩრდილნი. ესენი ჩვენი ძმები არიან, რომელნიც ჩვენსავით მამა ანტონის სანახავად მიეშურებიან.

როდესაც აღნიშნულს ადგილს მივიდნენ, დიდებული სანახაობა გარდაიშალა მათ წინ. ბერთა ლაშქარი სამ-წყებად გაყოფილიყო. პირველ რიგში იდგნენ მოხუცი მეუდაბნოენი, რომელთა წვერი მიწაზე სცემდა. თვითეულს მათგანს ხელში კვერთხი ეპყრა უპირატესობის აღსანიშნავად. ეფრემისა და სე-

რაპიონის მიერ დაყენებული ბერები, როგორც ნილოსის მხრის ყველა მეუდაბნოენი, მეორე წყებაში იდგნენ; მათს შემდგომ იდგნენ ასკეტნი, რომელნიც ფრიალოებიდან დაშვებულიყვნენ. ზოგიერთს მათგანს გამხმარ შავს სხეულზე კონკები ეცვა, ზოგს კიდევ არც ეს გააჩნდა და ლელით შეეფერა შიშველი სხეული. ზოგი სულ მთლად შიშველი იყო, დედილშობილა, მაგრამ ღმერთს ისინი გრძელი ბალნით შეეპოსა, თითქოს ცხვრის მატყლი მოუსხავთო. ყველას ხელთ ეპყრა მწვანე ბზის შტოები. მთელი ეს წყება წარმოადგენდა ფირუზის ცისარტყელას და თამამად შეგვეძლო შეგვედარებინა რჩეულთა გუნდისთვის, რომელიც გამოუხატნიათ ღვთის ქალაქის ცხოველმყოფელ კედლებზე.

მთელს კრებულში საოცარი წესიერება ჰსუფევდა, რის გამოც პაფნუტიმ სულ ადვილად იპოვნა თავისი მორჩილნი. იგი მათს ახლოს დადგა, ოღონდ სახეზე კუნკულის ტოტი ჩამოიფარა, არავინ მიცნოსო. ამ დროს კიდევ გაისმა ხმები:

— წმიდანი! წმიდანი! — იძახოდნენ ყოველ მხრიდან, წმიდანი მოდის! აგერა, დიდებული წმიდანი! აგერ ის, ვის წინაშეც თვით ჯოჯოხეთიც დაითრგუნა! რჩეული ღვთისა! ჩვენი მამა ანტონი!

ამ ხმებს სამარისებური დუმილი მოჰყვა. ყველამ დაიჩოქა, ზოგგან შუბლით იყვნენ დამხობილნი მწირ მიწის პირზე.

მართლაც, ერთი გორაკის წვერიდან, თვალუწვდენელ უდაბნოს სიღრმეში, გამოჩნდა მოხუცებული წმიდანი, რომელიც მის მოწაფეთ, მაკარსა და ამათასეს მოჰყავდათ ხელით. იგი ნელის ნაბიჯით მოდიოდა, მაგრამ წელში მაინც გასწორებული იყო და აშკარად მოსჩანდა, რომ მასში არ გამოლეულიყო ზესთაბუნებრივი ძალა. თეთრი ქულა წვერი ფართოდ დასცემდა გულ-მკერდზე, ხოლო თავის ქალა ისე უბრწყინავდა, როგორც სინას მთაზე მყოფს მოსეს. მისი მეტყველება იყო ცეცხლმფრქვევი არწივის მეტყველება. ბავშვის ღიმილი ბრწყინავდა მის ლოყებზე. მან ხელნი ასწია, რათა უკურთხებინა თავისი საყვარელი მრევლი და მოსული ხალხი, ეს ის ხელნი, რომელნიც მთელ საუკუნის განმავლობაში ზეკაკურ შრომით მოჰქანცოდა. ამასთანავე ვაისმა მის უკანასკნელი წკრიალა ხმა, აღსავსე სიყვარულით და სათნოებით:

— ვითარმედ მშვენიერია სახლობა შენი, ჰოი იაკობ! ვითარმედ თვალწარმტაცია კარავნი შენნი, ჰოი ისრაელ!

ერთი კუთხიდან მეორემდე ამ ცოცხალ კედლებიდან როგორც ჰარმონიული ჰექა, ისე გაისმა ფსალმუნის გალობა: **ნეტარ არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა!**

ამასობაში მამა ანტონი მაკარითა და ამათესითურთ მიმოიკითხავდა მოხუცებს, ანახორიტებს და სენობიტებს. დღეს ეს წინასწარმეტყველი, რომელმაც სიცოცხლეშივე იხილა ჯოჯოხეთი და თვით სამოთხე, ეს დიდებული განდეგილი, რომელიც მღვიმის წიაღიდან თამამად ხელმძღვანელობდა ქრისტიანთა ეკლესიის მოწესრიგებას, ეს წმიდანი, რომელიც თვით საშინელ განცდის დროს არა ჰკარგავდა და იცავდა წამებულთა სარწმუნოებას, ეს მეცნიერი, რომელიც მპერმეტყველურ ქარცეცხლით ანადგურებდა ჰერეტიკოსთ—აი ეს წმიდა მოხუცი დღეს ნაზად მოიკითხავდა თვითეულ შვილს და ისე ემშვიდობებოდა, როგორც საუკეთესო მახლობელთ. ამ სანეტარო აღსასრულის წინა დღეს, რომელიც თვით მისმა მოსიყვარულე ღმერთმა აღუთქვა მას.

ეფრემსა და სერაპიონს შემდეგი უთხრა:

— თქვენ წინამძღვრობთ უთვალავ ლაშქარს, ამიტომ ცნობილი სარდლებიც გახდით. ზეცად თქვენ იქმნებით შენოსილი ოქროს კვართით, ხოლო მთავარ-ანგელოზი მიხეილი მოგცემთ თავის მებრძოლთა ათასისთავის სახელწოდებას.

როდესაც მოხუცი პალემონი შეჰნიშნა, სიხარულით გადაეხვია და წყნარადა სთქვა:

— აი, ყველაზე უწყინარი, მშვიდი და საუკეთესო შვილი ჩემი. მისი სული ისეთსავე სურნელოვნებასა ჰფენს, როგორც მაგისი დათესილი აღყვავებული ცერცვი.

იღუმენ ზოსიმეს ასეთი სიტყვით მიჰმართა:

— შენ არასოდეს სასოება არ დაგიკარგავს ღვთის ძლიერებისადმი, ამიტომ მშვიდობა უფლისა იყოს შენზედა, შვილო ჩემო. შენი სათნოებათა ზამბახი უკვე აჰყვავდა შენს გახრწნილს ძველს ცხოვრების ფერფლზე.

ასე მიჰმართავდა იგი ყველას სიტყვით, მაგრამ ისე, რომ სიბრძნის ხელი არსად შეჰშლია.

მოხუცთ აღუთქვა ტკბილი მომავალი:

— მოციქულმა იხილა ღვთის ტახტის გარშემო ოცდა-ოთხი მოხუცი, რომელნიც თეთრებში ისხდნენ და თავზე გვირგვინი უბრწყინავდათ.

აქაც ახალგაზდები დაუტოვებია:

გიხაროდეთ! დაუტევეთ ნაღველი ამა ქვეყნისა ბედნიერებს.

ამავარი მოძღვრების ქადაგებით იგი მოიკითხავდა ყველა იქ მყოფთ. როდესაც პაფნუტიმ თავისთან მოახლოებული დაინახა, უეცრივ დაემხო მის წინ და შეჰღაღადა:

— მამაო ჩემო, მამაო ჩემო! მომეხმარე, თორემ ვიღუპები! მე ღმერთს ვუძღვენი თაისის სული, ვიცხოვრე სვეტის თავზე, ერთს განდეგილ აკლდამაში. ქვებზე ცემით შუბლი ისე დამიკოჭოჭდა, როგორც აქლემის მუხლის კვირისტავი. მიუხედავად ამისა, ღმერთი მაინც განმშორდა და არც ერთხელ არ მაღირსა მცირე ნუგეშის გარდმოვლენა. მაკურთხე, მამაო, და ვცხონდები. მასხურე უსუპი და განვიბანები, ისე გავთეთრდები, როგორც სპეტაკი თოვლი.

ანტონს არაფერი უპასუხნია. მან თვალი გადაავლო ანტინოეს ბერებს და პავლე მცირეს დაუძახა. რადგანაც ყველანი განცვიფრდნენ, რომ წმიდნმა გონება-დაკარგულ ადამიანს მიჰმართა, ანტონმა შეჰნიშნა ისინი:

— ღერთმა ამას უფრო მეტი წყალობა მოჰმადლა, ვიდრე რომელიმე თქვენგანს. აბა აიხედე, შვილო ჩემო, პავლე, რას ჭხედავ ცაში?

პავლე მცირემაც აიხედა. სახე გაუბრწყინდა, ენა აეხსნა სასწაულით:

— მე ვხედავ მშვენიერს ტახტს, — სთქვა მან, რომელიც ოქროთი და ძოწეულით არის მორთული. სამი ქალწული დაუღალავად სდარაჯობენ, რათა მას არც ერთი სული არ მიეკაროს, თუ რომ რჩეული არ იქნება. ამათთვის არის ტახტი იგი დადგმული ცაში.

პაფნუტიმ რაკი იფიქრა, ეს ჩემი ქების სიმბოლო არისო, უკვე ღვთის სადიდებლად განემზადა, მაგრამ ანტონმა ანიშნა შეჩერება, რათა ყური ეთხოვებინა პავლე მცირედისთვის, რომელიც ექსტაზს მიცემული კვლავ წყნარ ჩურჩულით განაგრძობდა:

— სამი ქალწული მესაუბრება. ისინი მაუწყებენ: „წმიდანი ამ ქვეყნის დასატოვებლად ემზადება. ალექსანდრიელი თაისი კვდება, და ჩვენც ავაგეთ მისი დიდების ტახტი, ვინაიდან, ჩვენ მისი სამი სათნოება ვართ: რწმენა, შიში და სიყვარული“.

ანტონმა ჰკითხა:

— საყვარელო შვილო, რას ჰხედავ კიდევ?

პავლე მცირე ამაოდ გაჰყურებდა აღმოსავლეთიდან დასავლეთსა, სამხრეთიდან ჩრდილოეთს. დიდხანს იყურა, იყურა, რომ უეცრივ მისი თვალი შეჩერდა ანტინოეს წინამძღვარზე. საღმრთო შიშმა სახიდან წარუშალა აღტაცების შუქი, ხოლო თვალებში უჩინარ ცეცხლის ალმა დაუწყო კრთოლვა:

— მე ვხედავ,—წაილუღლუღა მან,—სამს ეშმაკს, რომელნიც სიხარულით მოხტიან ამ კაცის დასაჭერად. სამთავე სულ სხვა და სხვა სახისა არიან: ერთი კოშკსა ჰგავს, მეორე—ქალსა, მესამე—ჯადოსანსა. სამთავეს ცხელი რკინით აქვთ დადაღული სახელები: პირველს—შუბლზე, მეორეს—მუცელზე, მესამეს—გულზე. აი ეს სახელებიც: გულზვიადობა, ხორციელი სიტკბოება და ეჭვი. სულ ეს დაინახა.

როცა დაასრულა, პავლე მცირე დასდუმდა, ტუჩები მოეშვა, თვალები აემღვრა და კვლავ ძველს მდგომარეობას დაუბრუნდა.

რაკი ანტინოეს ბერები მოუსვენრად შეჰყურებდნენ ანტონს, წმიდანმა წარმოსთქვა:

— უფალმა უკვე წარმოსთქვა თვისი მართლმსაჯულების განაჩენი. ჩვენ მხოლოდ უნდა დავემორჩილოთ მას და დავსდუმდეთ.

მან გაიარა. ლოცვა-კურთხევით ინახულა ყველა მნახველი. მზე უკვე დასავლეთისკენ გადახრილიყო და თვალისმჭრელ შარავანდედით ჰმოსავდა წმიდანს, რომლის ჩრდილიც თანდათან იზრდებოდა და ისე იშლებოდა, როგორც დაუსრულებელი ჯილდო, რათა მისი ხსოვნა ხანგრძლივად დარჩენილიყო მორწმუნეთა შორის მის სიკვდილის შემდგომ.

პაფნუტი დიდხანს იდგა გაშტერებული, თითქოს მეხს ერთს ადგილას გაუქვავებიაო. იგი ვეღარაფერს ჰხედავდა, არაფერი აღარ ესმოდა მხოლოდ ერთი რამ გუგუნებდა მის ყურ-

თან: „თაისი კვდება!“ ასეთი აზრი მას არასოდეს არ მოჰსვლია. ოცი წლის განმავლობაში უმზერდა მუმიას, ოცი წლის განმავლობაში დაჰყურებდა მას, მასზე ოცნებობდა, მაგრამ ის, რომ სოკვდილი თაისის სიცოცხლესაც ჩააქრობდა, მას ვერ დაეჯერებინა და უზომო განცვიფრებას სასოწარკვეთილებაში მოეყვანა.

„თაისი კვდება!“ აი სიტყვა გაუგებარი! „თაისი კვდება!“ ამ ორ სიტყვაში რაოდენად შეძაძრწუნებელი აზრი გამოიხატება! „თსისი კვდება!“ მაშინ რაღა საჭიროა მზე, ყვავილები, ველ-მინდორი, ჩანჩქარ-ნაკადულები, თუნდა მთელი ბუნება? „თაისი კვდება!“ მაშ რაღა საჭიროა ეს ქვეყანაც, თუნდ ეს მსოფლიო? უეცრივ წამოხტა და გიჟივით წამოიძახა: „კვლავ მისი ნახვა, კვლავ ვნახო იგი!“ იგი მირბოდა. მან არ იცოდა, სად მიდიოდა, არც ის, თუ რა ადგილს იყო, მხოლოდ ერთი ალღო ეწეოდა და თითქმის ფეხი არ გაჰმრუდებია ისე მიიყვანა ნილოსამდე. მრავალი ხომალდის აფრა ჰფარავდა მოვარდნილ მდინარის აღელვებულ ზვირთებს. მისვლისთანავე დაუკითხავად შეხტა ერთს ხომალდზე, რომელიც ნუბიელთა ჯარისკაცებს ეკუთვნოდა, საკეს წინ წამოწვა და ხარბ თვალებით დაუწყო სივრცეს ჩანთქმა, მწარედ დაიწყო წყევლა-კრულვა და თავისი თავის გმობა:

— გიჟი ვიყავი, გიჟი, სულელი, რომ თაისით ვერ ვისარგებლე, როდესაც კიდევ დრო ხელთ მქონდა! გიჟი ვარ, გიჟი, როდესაც ვფიქრობ, რომ ქვეყნიერებაზე მის გარდა კიდევ რამე იქმნებოდა! ჰოი, უგუნურებავ! ღმერთზე ვფიქრობდი, სულის ცხონებაზე, სამარადისო ცხოვრებაზე, თითქოს ამას რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა, როდესაც თაისს ვხედავდი. ან რატომ ვერ ვიგრძენ, რომ ნეტარი მარადისობა ამ ქალის ერთს კოცნაში იყო, რომ ცხოვრებას უიმისოდ აზრი არა აქვს და მხოლოდ ცუდ სიზმარს წარმოადგენს? ოჰ, უგუნურო! შენ მას ჰხედავდი და ამავე დროს საიმქვეყნო ბედნიერებას დაეძებდი. ოჰ, სულმდაბალო! შენ მას ჰხედავდი და ღვთისა კი გეშინოდა. ღმერთი! ცა! რა არის ეს? ან კი რა შეუძლიანთ სამაგიერო მოგცენ, რაც კი იმის ნამცეცად არ ეღირებოდა, რის მოცემაც შეეძლო თაისს? ოჰ, შე საბრალო უგუნურო, ვინც რომ ღვთაებრივ წყალობას სხვაგან დაეძებდი და არა თაისის ტუჩებზე! რა ხელმა აგიხვია თვალები?

იყოს წყეული, ვინც რომ მაშინ შენ დაგაბრმავა! შენ შეგეძლო ფასად გეყიდა მისი სიყვარულის წუთები, მაგრამ შენ ეს არა ჰქენ! იგი ხელს გიწვდიდა, ხორც-შესხმული, სრული, სურნელოვნებით შემკული გეევედრებოდა, მაგრამ შენ დაბრმავდი და მის ღია მომხიბვლელ გულმკერდში არ ჩაეკონე გამოუთქმელს ბედნიერებას! შენ ყური მიაპყარ შურიან ხმას, რომელიც გეუბნებოდა: „დასძლიე თავსა, შეიკავე!“ მოტყუებულო, გამოსულელებულო, ოჰ, დიახ, გამოსულელებულო, საცოდავო! ოჰ, ვაი ჩემს თავს! ოჰ, სასოწარკვეთილებავ! მოვკვდე ისე, რომ არ ვიცოდე სიხარული, შთავიდე ჯოჯოხეთს და თან წარვიღო მოგონება დაუვიწყარი წუთებისა, რათა შევსძახო განდგომილ ღმერთს: „დასწვი ეს სხეული, ამოაშრე ძარღვში სისხლი; გამომიფიტე, დამიმსხვრიე საღსრები, ძვლები, მაგრამ შენ ვერ წამართმევ სურნელოვან ტკბილ სახსოვარსა, რომელიც უკუნითი უკუნისამდე გამახარებს!.. „თაისი კვდება“ მასხარა ღმერთო, რომ იცოდე, თუ რარიგ დავცინი შენს ჯოჯოხეთს! „თაისი კვდება“ და არასოდეს არ იქმნება ჩემი, აღარასოდეს, არასოდეს!

და მთელს იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ხომალდი სწრაფად მიარღვევდა მდინარის ზვირთებს, იგი მთელ დღე და ღამეს მუცელზე ეგდო და ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— აღარასოდეს! არასოდეს! აღარასოდეს!

შემდეგ იმის წარმოდგენაზე, რომ თაისი სხვას ეძლეოდა, სხვა ჰსარგებლობდა მითი და არა იგი, რომ იგი ქვეყნიერებას სიყვარულის ნაკადულითა რწყავდა, მაგრამ მან ვერ ისარგებლა, რომ ტუჩები მაინც გაესველებინა, იგი წამოხტა და უზომო ტკივილებისაგან საცოდავად ღმუოდა, სიბრაზისაგან ფრჩხილებით გულმკერდს იკაწრავდა, თითებს იკბენდა ცოფმორეული:

— ოჰ, რომ შემეძლოს ყველას მოელეტა, ვისაც კი თაისი ჰყვარებოდა! — ჰფიქრობდა გაშმაგებული და ამ მკვლელობის გეგმას იგი აღმოფრენ უგუნურებამდის მიჰყავდა. უწინარეს ყოვლისა, იგი დაახრჩობდა ნიკიასს, მაგრამ არა სწრაფად, არამედ ნელა-ნელა, ასე რომ შიგ თვალებში ეყურნა და მისი ტანჯვით დამტკბარიყო. მაგრამ ასეთი სიცოფე უეცრივ გაუვლიდა ხოლმე და ახლა ქვითინს მოჰყვებოდა. ამ დროს იგი მეტად წყნარი იყო და საშინლადაც სუსტდებოდა. ასეთი

უკნობი სინაზე თითქოს გულს ულბობდა, შვებას აძლევდა. თვით მაშვრალ სულს. ამ დროს მას ჰსურდა თვის სიყრმის მეგობარს ყელზე ხოჰხვევოდა და ეთქვა ტკბილად: „ნიკიას, იმიტომ მიყვარხარ, რომ შენ თაისი გიყვარდა. მიამბე რამე მის ცხოვრებიდან. მითხარი, რას გეუბნებოდა, როდესაც გესაუბრულებოდა. მაგრამ ამ დროს შემაძრწუნებელი სიტყვა გამოუკროლებდა და პატარა ხანჯლის წვერსავით ჩასჭრიდა მის ფიქრთა ძაფს: „თაისი კვდება!“.

— სინათლევ ღღისავ! შეეერცხლილო ღამის ჩრდილებო, თქვენც, ათრთოლებულო ხის წვერონო, ველის ნადირნო, შინაურო პირუტყვნო თუ კაეშნით მოცულნო ხალხთა სულნო, ნუთულ არ გესმით: „თაისი კვდება!“ ბრწყინვალე სხივნო, ნიავ-ქარნო, სურნელოვნებავ—გაჰქერით! მოისპეთ თქვენც, ქვეყნიერების სახიერებავ და მის არსებობის დამამტკიცებელო აზრო, გაჰქერთ, მოისპეთ! „თაისი კვდება!“ იგი ქვეყნიერების სიშვენიერე იყო და რაც კი რამ მიუახლოვდებოდა, უმალ მისი სინარნარის ანარეკლით იმოსებოდა. აი ის მოხუცი, თუნდა ის ბრძენნი, ალექსანდრიაში მის გვერდით რომ ისხდნენ მეჯლისის დროს, რა საყვარელნი რამ იყვნენ! როგორ ჰარმონიულად მოისმოდა მათი სიტყვები! მომკინარ მოჩვენებათა გულდი სამოთხის ფრინვლებსავით დაფრთხიალებდნენ მათ ბაგესთან: მშვენიერი იყო მათი სიტყვები, ვინაიდან, თვითეულ ნათგანში ვნებათ-ღელვის სურნელოვნება იკმევოდა. და, რაკი თაისის სუნთქვა დაჰკრთოდა მათ შორის, იმიტომ რასაც ისინი ამბობდნენ. ყველაფერი სიყვარულად იქცა, მშვენიერების თაიგულად, სიმართლის შადრევანად! მომხიბვლელი უსამართლობა მათ სიტყვებს ჰმატებდა დაუსრულებელ სინარნარეს. იმიტომ იყო, რომ იგინი ასე თავისუფლად ჰხატავდნენ ადამიანთა ბუნებასა. მაგრამ რა, ეჰა! ყველა ეს მხოლოდ სიზმარია! „თაისი კვდება!“ ოჰ, რაღა თქმა უნდა, რომ მეც მოვკვდები მისი სიკვდილით! მაგრამ ნუთუ სიკვდილს კი შესძლებ, შე გამოფიტულო შთანასახო, მწირო ნაყოფო, რომელიც ნაღველისა და უნაყოფო ცრემლის გუბეში უკვე ჩაკვდი? საბრალო სახიჩარო, ნუთუ ოცნებობ სიკვდილის გემებას, როდესაც სიცოცხლეს არც კი იცნობ? ოჰ, რომ ღმერთი მაინც არსებობდეს და მართლა განმსჯიდეს! ამის იმედი-ღა დამრჩენია, ამას-ღა ვნატრობ! ღმერთო, რომელიც მძულხარ გულით, მთე-

ლი არსებით, გამიგონე! დამტანჯე სამარადისო ტანჯვის ცეცხლით! ააღგზნე ჩემი წამების კოცონი! რომ ასე მომექცე, აჰა, გაფურთხებ ზედ სახეზე! უნდა ვიპოვნო სამარადისო ჯოჯოხეთი, რათა იქ გადმოვანთხიო სამარადისო რისხვის ცეცხლი, რომელიც გულში აღმგზნებია და კი ვერა მნთქავს!..

განთიადისას ანტინოეს წინამძღვარი სავანის აივანში მიიღო ალბინემ.

— კარგს დროს მობრძანდი, ღირსო მამაო, ჩვენს მყუდრო სავანეში. უეჭველია, იმიტომ მოხველი, რომ აკურთხო წმიდანი, რომელიც შენ მოგვიყვანე. ხომ უწყი, რომ უფალი, წყალობითა თვისათა, თავისთან მოუწოდებს სამარადისო განსასვენებლად? ანდა ვით არ გეცოდინება, რომელსაც ანგელოზნი ერთი უდაბნოდან მეორეში ყველას აუწყებდნენ ამ ამბავს? ეს მართალია, თაისი უახლოვდება თავის ნეტარს აღსასრულს. ეხლა უკვე დასრულდა მისი ღვაწლი და შემიძლიან რამდენიმე სიტყვით გარდმოქცე, თუ როგორ იქცეოდა იგი. შენს წასვლის შემდეგ, რაკი მისი სავანის კარი შენ მიერ იყო დაბეჭდილი, სარკმლიდან გადავაწოდებინე საჭმელი და ერთი სამთვლიანი სალამური, როგორიც მაგის მზგავს ქალებსა აქვთ ხოლმე დიდი ლხინის დროს. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ნაღვლობა არ დაეწყო, აგრეთვე იმიტომ, რომ ღვთის წინაშე მას სხვა ნიჭი არა ჰქონდა-რა. ეს ჩემის მხრით გაუფრთხილებელი ნაბიჯი იყო, რადგანაც თაისი ყოველდღე ამ სალამურით შეასხდა ქებას მეუფეს. ქალწულნი კიდევ გამორბოდნენ და ამ უხილავ სალამურის ხმის გაგონებაზე ირწმუნებოდნენ: „ციურ ჭალაკიდან მკვნესარე ბულბულის ხმა გვესმის, ჯვარცმულ იესოს მომაკვდავ გედის სიმღერა�აო“. ასე ასრულებდა თაისი თავის მონანიების წესს. სამოცი დღის შემდეგ. შენგან დაბეჭდილი კარი თავისთავად გაიღო, თუმცა ძე ხორციელის ხელი ოდნავათაც არ მიჰკარებია. ამ ნიშნით მივხვდი, რომ განცდა დასრულდა, რომ ღმერთმა შეიწყნარა და ცოდვანი აპატია ჩვენს მესალამურეს. აბიერიდან იგი იზიარებდა ჩემი გოგოების შრომას, მათთან ერთად იღვწოდა, ლოცულობდა, გალობდა. წარმოიდგინე, მალე სხვების მაგალითადაც გარდა-

იქმნა. იგი განსახიერებული სათნოება იყო, უბიწოების ხორცშესხმულობა. როდესაც დავინახე, რომ მისი რწმენა ღვთისადმი ფრიად გაღრმავდა, რომ იგი აღივსო მისი სიყვარულით და სასოებით, არ შევშინდი და მისი ხელობა, თვით სილამაზე მის დათა განსმტკიცებლად გამოვიყენე. ჩემის განკარგულებით იგი გვიდგენდა საღმრთო წერილის ბრძენ ქალწულთ. მან დაგვისახა ესთერი, დებორა, ივდითი, ლაზარეს და—მარიამი და იესოს დედა—მარიამი. ვიცი, ღირსო მამაო, შენი სასტიკი ბუნება ღელავს ამ სანახაობათა წარმოდგენით, მაგრამ, გარწმუნებ, თვით შენვე შესწუხდებოდი. როდესაც დაინახავდი კეთილშობილურ სცენებს, როდესაც იგი ნამდვილ ცრემლებსა ჰღვრიდა და ცისკენ აპყრობდა ხელებს, როგორც ბზის შტოებს. დიდი ხანია რაც ქალებს ვუვლი, ვპატრონობ და გამოცდილებამ ეს წეს-რიგი შემამუშავებინა, რომ ძალა არ დავატანო მათს ბუნებას. ყველა თესლი ხომ ერთგვარ ყვავილს არ იღებს. ყველა სულიც ერთგვარად არ განიწმიდების! ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ თაისი ღმერთს მაშინ შეეწირა, როდესაც ჯერ კიდევ ლამაზი იყო, ასეთი მსხვერპლი კი, თუ რომ ეგ პირკელი არ არის, იშვიათი შემთხვევა არის... ეს სიკეკლუცე, ეს ბუნებრივი თვალწარმტაცი შესამოსი მაინც ელფერს არ იცვლის, თუმცა აგერ სამი თვეა ციებ-ცხელება ღრღნის, რაკი ამ ავადმყოფობის დროს ყოველთვის ცის ხილვას თხოულობს, ყოველ დილით ვუბრძანებ ხოლმე, რომ გარედ გამოიტანონ, ეზოში, ჭის გვერდით, ძველი ზეთისხილის ხის ჩრდილ ქვეშ, სადაც ამ მონასტრის მორიგი დები ჩვეულებრივ თავს მოიყრიან ხოლმე. აი, ეხლაც იქ შეგიძლიან მისი ნახვა, ღირსო მამაო. მაშ, დაეჩქარე, ვინაიდან, უფალი იხმობს მას, დღევანდელ საღამოს სუდარა უნდა წაეფაროს იმ სახეს, რომელიც ღმერთმა მრავალთა საპირბოროტოდ და ქვეყნიერების მაგალითად შეჰქმნა ამ ქვეყნად.

პაფნუტი ალბინეს უკან გაჰყვა ეზოში გასასვლელად, რომელიც განთიადის ალისფერ სხივებში მოზიზივობდა. მტრედების გუნდი მარგალიტის კუნწულასავით შეჰკინძოდა აგურის შენობის თავსახურებს. ზეთისხილის ხის ჩრდილ ქვეშ მსუბუქ სარეცელზე განისვენებდა გულ-ხელ დაკრეფილი თაისი. თეთრი ზეწარი დაეხურნათ. მის გვერდით ქალები იდგნენ და ფსალმუნს კითხულობდნენ:

— მიწყალე მე ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცენ უსჯულოებანი ჩემნი!

პაფნუტიმ წყნარად დაუძახა:

— - თაის!

მან წამწმები ასწია და ჩაცვივნულ თვალების თეთრი კილოები მისკენ მიაპყრო.

ალბინემ ქალებს ანიშნა, წასულიყენენ.

— „თაის! — გაიმეორა ბერმა.

მან თავი ასწია; მკრთალი სუნთქვა აღმოჰხდა მის თეთრ ტუჩებიდან.

— ეს შენ ხარ, მამაო ჩემო?.. გახსოვს ის წყაროს წყალი და ფინიკის შტოები, ჩვენ რომ მოვკრიბეთ?.. იმ დღეს, მამაო ჩემო, მე დავიბადე სიყვარულისთვის... სიცოცხლისთვის...

იგი დასდუმდა. თავი ბალიშზე გადუვარდა. სიკვდილი მის თავთან დაჰფრინავდა. ჭირისოფლი შუბლს მოსკდომოდა. ბრწყინვალე იდუმალება მხოლოდ გვრიტის საცოდავმა ღუღუნმა დაარღვია. შემდეგ ბერის თავშეუკავებელი ქვითინი ქალწულთა გალობას შეუერთდა.

— უფალო განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან; რამეთუ უსჯულოებაი ჩემი მე უწყი, და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის.

უეცრივ თაისმა სარეცელზე წამოიწია. მისი იის ფერი თვალები ფართოდ გაიღო და შორს სივრცისკენ გადაიკარგა. თანაც ხელები ასწია, გააწოდა შორეულ ხომლისაკენ და, კრიალა, სუფთა ხმით წარმოსთქვა:

— აგერ ის ვარდები... სამარადისო განთიადის ვარდები!

თვალები გაუბრწყინდა. ოდნავი სიწითლე გადაეკრა მის ფერმკრთალ ლოყებს. იგი ახალი სიცოცხლით ჰსუნთქავდა, უფრო ნაზად, უფრო მომხიბვლელ სახით, ვიდრე ოდესმე. მის წინ დაჩოქილმა პაფნუტიმ თავი ვეღარ შეიკავა და გამხმარი შავი ხელებით შემოეხვია.

— არ მოკვდე, თაის, არა! — ისე საზარლად შეჰღრიალა, რომ თავისი ხმა თვით ვერ იცნო, — შენ მიყვარხარ! არ მოკვდე, არა! ყური დამიგდე ჩემო თაის. მე გატყუებდი, მე მხოლოდ საცოდავი ჩერჩეტი ვიყავ. ღმერთი, ეს ზეცა, ყოვე-

ლისფერი არაფერია. არა არის-რა ჭეშმარიტი გარდა მიწიერი ცხოვრებისა და სიყვარულისა. მე შენ მიყვარხარ! არ მოკვდე, არა! ეს შეუძლებელია... შენ მეტად ძვირფასი რამა ხარ. მოდი ჩემთან, მოდი და ერთად გავიქცეთ, თაის! გულში ჩახუტულს გაგიტაცებ, შორს, შორს... წამო, გვიყვარდეს ერთმანეთი. მაშ გამიგონე, ჩემო საყვარელო და მითხარ: „ვიცოცხლებ, ვიცოცხლებ, კვლავ სიცოცხლე მსურს!“ თაის, ოჰ, თაის, აღსდექ, თაის, აღსდექ!

მაგრამ მას არა ესმოდა-რა. მილეული თვალის ბაია სივრცის უბეში ეკარგებოდა.

თაისი ოდნავ აჩურჩულდა:

— აგერ ცა იხსნება. მე ვხედავ ანგელოზებს, მოციქულებს, წმიდანებს... კეთილი თევდორეც მათ შორის არის, ყვავილები უჭირავს; იგი მიღიმის და მეძახის... ორი სერაბიმი მიახლოვდება... უჰ, რა მშვენიერი რამ არიან!.. მე ვხედავ თვით ღმერთს...

აღტაცებით ამოიკვნესა, თვალი ბალიშზე გადუგორდა... თაისი უკვე მიიცვალა. პაფნუტი სასოწარკვეთილი შემოხვეულ ხელს არ უშვებდა და მიცვალებულს ნთქავდა უზომო სურვილის ცეცხლით, რისხვითა და სიყვარულით.

ალბინემ დაუკივლა:

— გაეთრიე, შე წყეულო!

და წყნარად თითები დაადო მიცვალებულის თვალის კილოებს დასახუჭად. პაფნუტიმ ტორტმანით დაიწია. თვალები ცეცხლებრ აღგზნებოდა და ისე ჰგრძნობდა, თითქოს ფეხქვეშ დედამიწა გამოეცალა.

ქალწულთა ხოროომ დაიწყო ზაქარიას ჰიმნის გალობა:

— კურთხეულ არს უფალი, ღმერთი ისრაილისა!

უეცრივ გალობა ყელშივე შეუწყდათ. მათ დაინახეს ბერის სახე და შეძრწუნებულნი დაიფანტნენ:

— სისხლის მსმელი ღამურა!.. ღამურა!..

იძახოდნენ ისინი.

იგი ისეთი საზიზღარი გახდა, რომ, როდესაც სახეზე ხელი გადაისვა, თვის სიმახინჯე თვითვე იგრძნო.

დასასრული.

გამარჯვება.

კ. ტეტმაიერისა.

გამარჯვება

I.

ხშირი, დაბურული ფიქვნარი, უზარმაზარი, ტყით დაფარული მთები ამართულიყო ჩვენს წინ. ჩანჩქრებს შხუილი გაჰქონდა და ღრანტე ხევ-ხუვებს და ხეობებს შავად დაეღოთ პირი,—გეგონებოდათ სიკვდილის სამფლობელოაო.

ჩემს მუშებს და მანქანებს გაჰყავდათ გზა ამ ტყეში და მთა-ღრეებში. ასიოდე ცული ხმაურობდა, ასიოდე ნაჯახი სჩეხდა ხეებს და ამ ასიოდე ცულს ვამოძრავებდი მე, მხოლოდ მე. მანქანების გუგუნსა და ჩახა-ჩუხში გამოსჩვიოდა ჩემი ნებისყოფა. მხოლოდ და მხოლოდ ჩემის მეოხებით მოძრაობდა, სუნთქავდა, სცოცხლობდა, არსებობდა ამოდენა ხალხი. ჩემის ნებით ინგრეოდა ამოდენა მთები, ჩემის ნებით ამსხვრევდნენ სალ-კლდეებს ნაღმები. მაღალი, ცად ატყორცნილი ნაძვიც კი, რომელსაც ქორისა და არწივის კლანჭების მეტი არაფერი შეჰხებოდა, ისიც კი ირხეოდა და, ამაყი, მიწისკენ იხრებოდა. ას-წლოვანი, უზარმაზარი წიფლები სიკვდილის მოლოდინში მწუხარებით ჰხრიდნენ ძირს ტოტებს. ნაკადულებიც კი თავს ანებებდნენ ჩხრიალს, ჩუხჩუხს და ჩუმად იკარგებოდნენ კლდის ნაპრალებში, როდესაც ზემოდან მოვექცევოდი. გრიგალი გაშმაგებით მიბერავდა სახეში, რადგან ვსპობდი ხეებს, ტყეს, სადაც ის წივილ-კივილით დაგრიალობდა, თითქოს დაბურულს ტევრს დიდებასა და ხოტბას ასხავსო, ხან კი მინელდებოდა, მიყუჩდებოდა, თითქოს განცხრომას მიეცაო, ვით სისხლით გამძღარი ვეფხვი. ჩემს დანახვაზე თავს ძირსა ჰღუნავდნენ და საზარლადა ბრდღვინავდნენ ირმები, რომლებსაც ტყეს ვუსპობდი. ყველაფერი მემდუროდა, ჰკიოდა, ჰღრინავდა, რადგან დღემდე ხელუხლებელ ტევრში შემქონდა უბედურება, აოხრება, გავერანება და სიკვდილი დამანელებელი.

მაგრამ იქ კი, იქ სიცოცხლე მიმქოდა! იქ, მთებს იქით, ორთქლმავალთა კივილის და მის ოთახებ ს გრიალთან ერთად ნათელი უნდა შეეჩრილიყო, გაჩენილიყო პური, ახალი, უცნო-

ბი, ბრ ყინვალე ცხოვრება დაწყებულიყო. ორთქლმავალთა კივილის და მის ოთახების გრიალთან ერთად უნდა შეჭრილიყო კულტურა, დღემდე უცნობი ხილი, დამდგარიყო ახალი ხანა, ჩამკვნარი, ჩამყაყებული ადგილები განახლებულიყო. ისე მეგონა, თითქოს მიმქონდა რაღაცა ღვთიური რამ, თითქოს თვით ღმერთმა გადმომსახა თვისი ძლიერი და წმიდა ხელი და გზა დამილოცა-მეთქი. „სიცოცხლე! სიცოცხლე!“ ვიძახდი ხმამაღლა და მივდიოდი წინ, სულ წინ. ვერ მაჩერებდა ბუჩქი, ხორკლები, მიკიბულ-მოკიბული გზა, მდინარე, ფრიალო, უფსკრული, ვამსხვრევდი და ვანადგურებდი სალ კლდეებს, ვაფრთხობდი არწივებსა, ირმებსა და მგლებს. ჩემივე ნებით ადიოდ-დადიოდა ასიოდ ცული. მანქანების გრიალსა და ჩახჩუხში გამოსჭვივოდა ჩემი ნებისყოფა და ჩემი გულისცემა; ასე მივდიოდი წინ, სულ წინ, წინ, წინ!..

II.

უკვე კარგად შორს შევედით ტევრში. ჩვენი გიზგიზა ცეცხლის ალისაგან ღამე წითლად იღებებოდა არე-მარე. და ბოლი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ადიოდა მაღლა. უეჭველია, ჩვენი ამბავი შორს იყო გავარდნილი, რადგან დრო და დრო ჩუმად მოიპარებოდნენ ხოლმე უცნობი, შეშინებული, გაოცებული არსებანი და ჩუმ-ჩუმად გამოგვყურებდნენ ტევრიდან, ბუჩქებიდან და ჩვენს სამუშაოს ათვალიერებდნენ. მუშები იმათ ქაჯებს ეძახდნენ.

მე კი ჩინებულად ვგრძნობდი თავს! ირგვლივ მერტყა პირველ-ყოფილი, ხელ-უხლებელი ბუნება, ბუნება თავისუფალი, წინ მიმიძღოდა მშვენიერი, დიადი, წმიდა მიზანი! ამ წმიდა ბუნებრივ ცხოვრების გარეშე დრო აღარ მქონდა, რითმე დავეკვიანებულიყავ, რაზედმე შევჩერებულიყავ, რამე მეფიქრა და გონება მომეშხამა ამ უსაშინელეს კითხვით: „რისთვის?“ და მართლაც, რად მივდიოდი იქ, რა მინდოდა, რად გამყავდა გზა? ამ სიკეთეს, ამ ნათელს, რომელიც მიმქონდა, იქნება გამოეწვია ახალი, უარესი ბოროტება, უარესი იმ ბოროტებაზე, რომელიც დღემდე არსებობდა? ვინ იცის, მაგრამ ამას ჩემს თავს არა ვკითხავდი. ცულების თანაბრივი კაკი-კუკი და მათი გამოძახილი ნებას არ მაძლევდა, რაიმე მეფიქრა,

ამეწონ-დამეწონა, განმესაჯა. ვგრძნობდი მხოლოდ, რომ ვაშენებდი, ვქმნიდი, წინ მივისწრაფოდი, ვგრძნობდი, რომ შრომა, როგორც ასეთი, შეიძლება ყოფილიყო კაცისათვის მიზანი, ბედნიერება, ნეტარება, ისევე, როგორც ყოველი სიამოვნება სიამოვნებისთვის, როგორც გონების ვარჯიშობა ძნელად გასაგებ წიგნების კითხვის დროს. საზოგადოდ, ადამიანი ხომ ბავშვსა ჰგავს, რომელიც ცუნცრუკობს, თამაშობს, ხტუნაობს, მაგრამ სრულიადაც არა კითხულობს, რად სჩადის ამას? იმიტომ სჩადის ამას, რომ ნორჩი სისხლი უდუღს ძარღვებში. ასევე საჭიროა მოქმედება, მოძრაობა იმათთვის, რომელთაც შეუძლიანთ მუშაობა და ძარღვებში ძალასა და უნარს გრძნობენ.

როცა სამუშაოს გეგმას ვადგენდი, მეგონა ოთახში გული გადამელევა რუქისა და ფარგლის ხელში ჭერით-მეთქი. გონებაში ნათლად მეხატებოდა ის, რასაც ეხლა ვხედავ და ჩემ თვალწინ არის, შევდიოდი ტყეში, ვიფლობოდი გაუვალ ჭაობებში. არა ერთხელ, ერთი ხაზი რომ გამისვია, დამიგდია ყველაფერი, ზეზე წამოვხტომილვარ, ხელებ აშვერილი, ქშინვით და წყევლა-კრულვით. მე პირველყოფილი ადამიანი ვიყავი, ჩემი სული და გული შინ, საკუთარ კერისკენ მიისწრაფოდა! იმიტომ კი არ მივდიოდი წინ, რომ იქ მხოლოდ მეცხოვრა! არა! მე მიზანი მქონდა, მთელი საუკუნოებით დაშორებული ცივილიზაციით საკუთარ, პირველყოფილ „მე“-საგან მივდიოდი წინასწარ ჩასახული აზრითა და ნებითა.

III

ტყის გულს უფრო და უფრო ვაპობდით. ზოგან დიდი წინააღმდეგობა გვეღობებოდა, მაგრამ ყოველივეს გადავლახავდით ხოლმე. ხანდისხან, როცა გადვიხედავდი მოჭრილ ნაძვისა და წიფლის ტოტებით, დაგრეხილ, მიგლეჯ-მოგლეჯილ, ვით ძალად შელახული თავისუფლება, ფესვებით ამოგსებულ ხრამებში, მეგონა ყველაფერი მემუქრებოდა, მემუქრებოდა სამაგიეროს გადახდით. ეს დაჩეხილი მაღლა ამოშვერილი ტოტები და დაგლეჯილი ფესვები დევ-გმირებს მაგონებდა, იმ დევ-გმირებს, რომელნიც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილან და უმწეოდ აუწევიათ მხრები, მაგონებდა, თითქოს ეს დევ-

გმირები ღმერთებს დაუძარცხებიათ, დაუსჯიათ და აქ ერთად შეუგროვებიათო.

იქ კი, მაღლა, ღმერთების და ხალხის მაღლა, მეგონა, რომ იქ რაღაცა იყო, რაღაცა ღმერთი სიმართლისა, ღმერთი შურისძიებისა.

და დრო-გამოშვებით შიში ამიტანდა ხოლმე.

მართლაც, რად უნდოდა ამ ტევრს, ამ ას-წლოვან ხეებს, უძრავ სალ-კლდეებს რაღაცა ნათელი, ხალხი, სიცოცხლე და რაღაც მიზნები? რა კავშირია გულ-ცივ, უტყვ ბუნებასა და ადამიანის არსებობის შორის? რა არის მათ შორის საერთო?

IV

არავინ იცის ადამიანის ამბავი, არც ვარსკვლავებმა, არც დედამიწამ. არის ერთი უზარმაზარი საერთო მატერია, ერთი საერთო ყველა დასაბამთა დასაბამი, პირველ-არსებობა, ერთი საერთო პირველ დასაბამი წყარო, რომელსაც შეიძლება შეუფარდო ყველაფერი და ყველაფერი მისგან წარმოშვა, მერმე კი:

„ჩვენ მსუბუქი ნავი ვართ მძაფრ ტალღებზე მოხეტიალე:

არც სიბრალული, არც სიყვარული არა აქვს ბუნებას ადამიან სადმი!.. სადაც სიყვარული არ არის, იქ არც სიმძულვარეა, მაგრამ რაიმე გრძნობაც რომ ყოფილიყო ბუნებისა და ადამიანის შორის, ეს გრძნობა მძულვარება იქმნებოდა. იქ, მაღლა, ცაში:

„ვარსკვლავები გულგრილად გადმოკიაფობენ, საშინელი გულგრილობა მოსჩქეფს მათგან მიწისკენ, ხალხისკენ ქვეყნიერობის დასაბამიდან“...

აქ კი, დედამიწაზე, სადაც ბრძოლაა გაჩაღებული, უნდა ყოფილიყო მხოლოდ მძულვარება, უკმაყოფილება.

საღამოს ჟამს მოქანცული და მოწყვეტილი მკვდარივით ვიძინებდი. ხანდისხან კი დილა ადრიან, როცა ღრუბელი ჩამოაწვებოდა ცის კიდურს და ნისლში გამოსჩანდა დაღვრემილი ჩადუნა და მაყვალი, თავდახრილი და პაწია ფიქვებს გადაკონილი, როცა დილის ცვარი იჟურებოდა ხის ფოთლებიდან, ან წვიმა მოდიოდა და ხეების და კოქვების დამპალი ნაჭრები, წყლისაგან გაკრიალებული, აშმორებულ, საზარელ სუნს აუშვებდა—უნებურად შიში შემიპყრობდა ხოლმე.

აღმეძროდა სურვილი, გამეპყრო ფართედ ხელები და შემეძახნა ტყისთვის: ისმინე, ტყევ, მე კაცი ვარ, ადამიანი და ასე უნდა მოვიქცე! შეიგნე, რომ ტყუილ-უბრალოდ კი არ მოვდივარ შენს წინააღმდეგ, იმიტომ კი არა მხოლოდ, რომ შენ დაგამარცხო, არა, მე მეზიდება ძალა, ძალა უზენაესი, სული, რომელსაც არც მე ვიცნობ, არც შენ, რომელიც შთაჰბერა ღმერთმა მხოლოდ ადამიანს და მისი ქვრეტა და განგება კი თვითონ დაიტოვა... ღმერთმა გარგუნა ბედად, რომ შენ გზაზე გადაგვლობებოდი და ჩვენ კი შენს მკერდში გაგვეჭრა ეს გზა... უნდა დაემორჩილო, ტყევ, ბედს! უნდა დაგვმორჩილდე!

ბრმავ, უსიცოცხლო, უნებო ძალავ, ადამიანის გონებამ უნდა ამოგდოს აღვირი, უნდა დაგიმორჩილოს.

რატომ ქვით არ ჩაგვქოლავ სალ-კლდეების წვეროებიდან? რატომ ნიაღვარს არ მოუშვებ და არ წაგვლეკავ? რატომ რისხვასა და მეხს არ დაგვატეხ თავს?! მკვდარი ხარ შენ, უგონო, მჩვარი, უნებისყოფო, ვით ხროვა პირუტყვებისა, რომელსაც მიერეკება შოლტით ერთი მწყემსი და ისინიც იქით მიდიან, საითაც გაირეკს.

V

ხანდისხან ისე მომეჩვენებოდა, თითქოს ამ ტევრიდან რაღაცა ხმა მესმოდა, რაღაცა ალქაჯი ბუნებისა, უზარმაზარი და საშინელი, გამოჩნდებოდა ჩემს წინ და თვალი თვალს გაყრილი მოდიოდა ჩემსკენ ღელედან, ტყის გორაკებიდან, ჯერ მხოლოდ მკერდამდე სჩანდა, მიცქეროდა და თვალს მიშვრებოდა, თვალს საზარელს, ვით სეტყვის ღრუბელი, მიზიდავდა მდევურ ბეჭით, ხელები კი არსად უჩანდა, ხელები ჯერ გორაკებს ჰქონდა მოფარებული. დახეთ, დახეთ, რომ იცინის კიდეც, რაღაც მშვიდი, დამცინავი სიცილით, ვით კერპი საზიზღარი. ჰა, მაშ მეხს არ მატეხ თავს და უფსკრულში არ ჩამიძახებ; არამედ მაკბენინებ გველს, რომელიც მიწაზე დახოხავს და რომელსაც შემიძლიან ხელად გაუჭეჭყო თავი ჩექმის ქუსლით, ან მორიელს, რომელიც ჩემგან გარბის? ის საზარელი ალქაჯი კი, მკერდამდე გორაკებში ჩამალული, იკრიჭებოდა, იცინოდა, მერმე კი სრულიად იმალებოდა, რომ წამოწოლილიყო ხავსზე და თავისი წვერი გადაეფინა ჩადუნასა და მაყვალზე.

VI

აღარ მახსოვს, დიდი ხანი იყო, რაც ტყეში ვიყავი თუ არა. დღე-ღამის სათვალავი დავკარგე, მაგრამ, უეჭველია, ორი თვი უნდა ყოფილიყო. პირველად მწყემსებსა და მეტყეებს ვხედავდით, მერმე არავის, გარდა ამ ტყის ორიოდე მცხოვრებისა, რომელნიც იმ მთებს იქით სცხოვრობდნენ და დრო და დრო ბუჩქნარში გამოჩნდებოდნენ ხოლმე.

ერთხელ, მზე ჩასვლას ეპირებოდა, მუშაობა რომ გავათავეთ და შინ წასასვლელად მოვემზადეთ, უცებ ძაღლის ყეფა მოგვესმა. თითქმის ყველამ გავიღიმეთ და ზოგიერთმა სიხარულით წამოიყვირა: „ოჰო!“ რადგან ტყეში თითქმის გავველურდით და გადავეჩვიეთ ხალხსაც და შინაურ პირუტყვებსაც...

ერთმანეთს გადავხედეთ: გამურული კვამლისაგან, მჭვარტლისაგან, დამწვარი ქარისაგან, მზისაგან, დაგლეჯილნი, დაფლეთილნი, თმა-წვერ მოშვებულნი ყაჩაღთა ბრბოს უფრო ვგვანდით, ვიდრე განათლებულ ქვეყნის შვილებსა.

ძაღლი ისევა ჰყეფდა. ხმაზე შევატყე, მაძებარი უნდა ყოფილიყო. მალე დაიშრიალა ბუჩქებში და საშინელი ყეფით გადმოეშვა ჩვენსკენ. მერმე კი, როგორც რომანტიულ ზღაპარში, გამოჩნდა პატარა თხა და შემდეგ ჯადო დედოფალი, ანუ ტყის ფერია, რომელსაც ხელში სკიპტრასებურ ჯოხზე მიმინო უჯდა და რომელზედაც ნათქვამია: „არა, შენ ნამდვილი არა ხარ, არა, შენ საოცრება ხარ“...

უმალ რაღაცა უცნაურად ახმაურდა ტყე. რაღაც ნაზი, მომხიბვლელი მელოდია შემოსძახეს ფოთლებმა და იგი მელოდია გადნა, განიფანტა ირგვლივ სიბნელეში.

VII

„აგერ ვარ ტყე მოჯადოვებული, ტევრი მუხანათი“...
შრიალებდნენ ნაძვები და წიფლები.

„ტევრი ქალწულებრ კდემამოსილი, სადაც არ გაჭაჭანებულა ადამიანი...

„მო, მოდი, ჩაწექ ჩემს მკერდში, ჩაიყურყუმალავე, ვით

ცივ, ანკარა წყაროში, ვით მომხიბვლელ წყაროში ბაღის შუაგულს, მორთულ-მოკაზმულ ზამბახით და წითელ ყვავილა შროშანათი...

„მო, მოდი, დეე ნაზად გიმღერდეს ნანას ანკარა წყალი და ცვარნი, ვით ვარსკვლავნი, გიკოცნიდნენ თვალებს“...

უეჭველია, ეს მხოლოდ ერთს წუთს გაგრძელდა. მეორედ რომ მივიხედე, იგი იქ აღარ იყო.

VIII

ცეცხლაპირად აღარ მივსულვარ, მუშებთან სავახშმოდ, როგორც ჩვეულებრივ ქოხში; ჩავიკეტე და პირქვე წავეგდეორი თვე იყო ქალისთვის თვალი არ მომეკრა. გამუდმებული ბრძოლა და შრომა, აზრი, რომელიც გონებას მიბრყწინებდა, მაცოცხლებდა, ამ გაუვალ ტყეში ნებას არ მაძლევდა ქალებზე მეფიქრა, დროც არა მქონდა ამისთვის და ან რა მომაგონებდა მათ.

ველური იყო ის მხარე, სადაც ჩვენ გზები გაგვყავდა, ჩვენი სამუშაო იმდენად საშური იყო, რომ დროც არავისა ჰქონდა შემოეძახა მხიარული, ან სახუმარო რამ სიმღერა, ან და ეამბნა თავისი საგმირო თავგადასავალი, ეამბნა რაიმე ცუღლუტობა. უჯიათმა შრომამ და ბუნების სიდიადემ გადაგვახალისა, გარდაგვქმნა რაღაც სხვა არსებად, ჩაგვინერგა რკინის ნება და რკინის ძარღვები. აღარ იყო ჩვენში ადამიანის ჩვეულებრივი ინსტიქტი, ჟინი; ჩაგვიკვდა, მოგვშორდა, მოგვშორდა ისე, როგორც შორდება ხოლმე ფოთოლი ხეს, როცა მას ყინვა დაჰკრავს.

კმაყოფილი ვიყავი, ბედნიერი, თავისუფალი, აზრი მქონდა საღი, ნათელი, მდიდარი ძალა, ენერგია დაუბრეტელი, დამშვიდებული და ცოცხალი...

ვინ იყო ის ქალი? საიდან გაჩნდა ამ გაუვალ ტყეში? რად მოვიდა, ვისთან? ძილი გამიფრინდა, ძილი მშვიდი, წყნარი. თითქოს მომწამლეს, მომაჯადოვეს. შამფურივით ვტრიალებდი ლოგინში, ვერ ვიძინებდი, არც მეძინებოდა. ძველმა გრძნობამ წამოჰყო თავი, ჟინიანობა გამეღვიძა. ქალის უხილავმა სახემ წინ ნელ-ნელა წამოიწია, ცოცხალი სახე მიიღო,

ამოძრავდა და ერთს წუთს ქალი იდგა ჩემს წინ, ვიგრძენი შისი სიახლოვე, ვიცან ის იყო.

დახეთ რაში ყოფილა საქმე! თუ ის ქალი ტყეში მცხოვრების შვილია, შვილი ვინმე მწირის ან მეტყეისი, რატომ არ უნდა წამოვიყვანო, რატომ არ შეიძლება, ბაგალითად ცოლად შეკრთო? რასაკვირველია, თუ დამყაბულდება მაშინ ერთად ვიმუშავებთ, ხელი-ხელ გადაჭდობილი, ერთად წავალთ წინ, დამეხმარება საქმის დასრულებაში, ერთად გავიყვანთ ამ გზას და ნათელსა და ჰურს მივუტანთ ხალხს, ტყის იქით რომ სცხოვრობს. ერთად, ერთად წავალთ ხელი-ხელ გადახვეული, სული-სულ ჩაკონილი...

ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ხმა მაღლა სიცილს ვეღარ ვიკავებდი. სასაცილოა მუდმივი, მარადიული სიცრუე და ტყუილი, რომელსაც ქალები ეძიებენ შამაკაცებისაგან და რომლითაც მამაკაცებს ისე მოაქვთ თავი.

IX

ჯერ ახალგაზდა ვარ, ოცდაათი წლისა ვიქნები. ვჭამ, ვსვამ კარგად, ვარ ჯანსაღად. მაგრამ ორი თვე იქნება ქალისთვის თვალიც არ დამიკრავს. მწყურის კი მისი ამბორი, ხვევნა, ამბორი და არა მისი სული, საერთო მუშაობა იდეალისათვის...

ჰა, ჰა, ჰა! ვხითხითებ, კვლავ. რა სასაცილო, სასაცილო სიტყვებია. ის რომ ეხლა ჩემთან ყოფილიყო და მენახა, რომ მხარზე ხალი ჰქონდა, უეჭველია ხვალ დილით აღარ ვიფიქრებდი არც სულთა ნათესაობაზე, არც საერთო სამუშაოზე. ტყუილია, სიცრუეა! ჩვენმა წინაპრებმა უკვე იცოდნენ, რა ეფიქრათ ამაზე.

და თუ ის მშვენიერია, მშვენიერი, ვით ფლორენტიელი ვენერა... რა მენაღვლება ხალხის, იქ, ტყის იქით რომ სცხოვრობს?

ისეთი ხანმოკლეა ჩვენი სიცოცხლე, წუთიერი, ჩვენ ხომ ერთხელ ვიბადებით!.. საწოლიდან წამოვხტი და მთელი ჩაფი ცივი წყალი დავისხი თავზე. მერმე ტასტი გავავსე წყლით და თავს კიდევ ვისველებდი გამალებული. და ისევ სიცილი ამივარდა ჩემს თავზე. რომ ასე ხელად ამიცუნცრუკდა გული.

სასაცილოც იყო ჩემი თავი. თავი შევიმშრალე, სიგარას მოუკიდე და კარავიდან ეზოში გაველ.

მშვიდი, წყნარი ღამე იყო. მოკრიალებული, ნათელი, მუქ-ლურჯოვანი ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო. ბავშვობისას ბევრი ამისთანა ღამეები გამიტარებია მთებში.

X

ღამე იყო, ვარსკვლავიანი ღამე...

„მო მოდი,—ჩურჩულებდა ტყე,—მო, აგერ ვარ ტყე მოჯადოვებულ, ტევრი მუხანათი... წყარო მაქვს, ცივი წყარო, წყარო საამო, რომელის ნაპირები მირთულ-მოკაზმულია ზამბახით და წითელ ყვავილა შროშანით“...

„მო, მოდი, დეე ნაკადმა ნაზად გიმღეროს ნანა და ცვარებმა, ვით ვარსკვლავებმა, დაგიკოცნონ თვალები, როცა წყალში ჩაჰყობ თავს და გულს შიგ ამოავლებ, წყალში, რომლის ახლო კეკლუცობს ზამბახი და წითელ ყვავილა შროშანი“...

— მშვენიერო, მშვენიერო! მწყურხარ, მსურხარ, გეძიებ! —დაუწყე მუდარა ტყეს, დუმილს, სიბნელეს, ვარსკვლავებს, რომელნიც ცაზე მოჭედილიყვნენ.

XI

მეორე დღეს გვიან ავდექი, თავი დამმძიმებოდა. პირველი იყო, რომ მე არ ვაღვიძებდი მუშებს. მოხუცი სიმონა, ჩემი უფროსი თანაშემწე და კლდეების აფეთქების კარგა მცოდნე, მომიახლოვდა შეშინებული, გადმომხედა და ქუდ-მოხდით მკითხა:

— ბატონო ინჯილერო, ავად ხომ არა ხართ?

— არა, ისე, ცოტა დამეძინა.

ძილი კი მოუსვენარი გქონდათ, ყურს გიგდებდით კარავთან ახლოს. წინად ოთხ საათზე დგებოდით, ეხლა კი რვაა.

— დამეძინა, დამეძინა, გვიან დავწექი. მუშაობენ?

— მუშაობენ – იყო პასუხი,—იცით, ბატონო, ინჯილერო, აქვე, მარცხნით, ცოტა დაბლობში სახლები მოსჩანს.

ამის გაგონებაზე შევხტი, მაგრამ თავს ძალა დავატანე, რომ სიმონას ბღელვარება არ შეემჩნია.

— მერე ვინა სცხოვრობს იქ?

მეფის მეტყე, მიპასუხა მან.

— მარტოა?

— არა, პაწია მოსახლეობაა. მოსამსახურეა, ცხენები, ძროხები. როგორც ჩვეულებრივ.

— მეტყე სახლშია?

— არა, ქალაქში წავიდა, შინ მარტო იმისი ცოლია.

— მერე, შენ საიდან იცი ეს ყველაფერი? — შევეკითხე მოხუცებულს.

ესე, ორ ვერსზე იქნება აქედან. ჩვენი მუშები იქ იყვნენ, აი ტყეს რომა სჭრიან.

სიმონას სიგარა მივეცი და ის იყო უნდა წავსულიყავი, რომ შემაჩერა:

— კარგი იქნებოდა, ბატონო, ეს ორიოდე დღე, ჩვენ რომ აქ ვიმუშავებთ, თქვენ კარავში კი არა, რიგიან სახლში სადმე გეცხოვრათ. ღმერთმა დაგიფაროთ და კარავში შეიძლება გაცივდეთ და ავად გახდეთ.

— კი, მაგრამ ჩვენ ხომ აქ დიდხანს არ დავრჩებით — ვუპასუხე მე. — აგერ მდინარე, უნდა გადავცდეთ და იქ დავბინავდეთ, როგორც წესი და რიგია.

— მაგრამ ორიოდე დღე... დაიწყო ისევ სიმონამ.

ყური აღარ მიგდია, გავშორდი. ჰო, მივხვდი, ის მეფის მეტყეს ქალი უნდა ყოფილიყო უეკველად... მუშაობას თავლს ვადევნებდი, მაგრამ ვერაფერსა ვხედავდი; და მუშებიც ვერას მამჩნევდენ, როგორც მიჩვეულნი იყვნენ ისე თავისთვის მუშაობდნენ.

XII

ველარ მოვითმინე. მოვიმიზეზე, წერილების დაწერვა მინდა მეთქი და კარვისკენ გავიქეცი. ნამდვილად კი მინდოდა პატარა ღონე მომეკრიბა, სიმამაცე, რომ იქ, მეფის მეტყესთან წავსულიყავი. ტანისამოსი გადავიცვი, ხელი ვსტაცე სარკეს და თითქმის მზად ვიყავი. უცებ ვწვდი ჩემს ტანისამოსს და იმის მაგივრად, რომ გამესწორებინა, გავიძერ სწრაფად და

ძირს დავანარცხე. ისევ მივყავ ხელი ნელ-ნელა ჩაცმას, თან და თან, პირს ვკუმავდი, ტუჩებს ვიკვნეტდი. ყელსაბამს რომ ვიკეთებდი, ისე წავიჭირე ყელში, თითქოს თავი უნდა დამეხრჩო. ჩავიცვი, მოვიკაზმე. ჩავიდე ჯიბეში რევოლვერი და გავწიე მეტყის სახლისკენ კი არა, არა... მეორე მხარეს, რომ შორს მომეხვია და ისევ იქ მივსულიყავი. მაგრამ აღარ ვუხვევდი, სულ წინ მივდიოდი. ტყემ შთამნთქა, შთამნთქა ისე, როგორც ღამის წყვდიადმა, ზღვის უფსკრულმა, როგორც უძირო რამემ.

წინ მივდიოდი, წინ. ტევრი, ხავსი, ჩადუნა, მაყვალი მრჩებოდა უკან. აღარ მესმოდა არც ცულის, არც ურის ხმა. ერთხელ გავიგონე მხოლოდ გრიალი — ნაღმმა კლდე ააფეთქა. კარგია კიდევ, იმ მდინარეზე დროებით ხიდს გავაკეთებთ და მარჯვენა ნაპირას გვირაბის გაყვანას შეუდგებით.

ისევ წინ მივდიოდი. ახალი, მუქი, ლამაზი ტანისამოსი მეცვა, ჟირაფის შალვარი, კრიალა ჩექმები და ახალ მოდის ყელსაბამი მარგალიტის ქინძისთავით. ნეტა რისთვის იყო საჭირო ასე მოვრთულობა ტყეში წამოსასვლელად, ტყეში, სადაც დღემდე მხედავდნენ მხოლოდ ციყვები, კვერნები, კატუნები, მაჩვები და მთის ჩხართვები? ცხენი გამოვაბრუნე და ქვევით დავეშვი. ტყიანი გზა იყო, მწვანედ მოლაჟღაჟე, რბილი. ცხენი გამოვაჩქარე, პატარა აღმართს მივადექ ისევ, ეს აღმართიც და იმას იქით კი, რამდენიმე ას ნაბიჯზე, მოსახლეობა.

მეტყესთან მიველ.

XIII

გული ამიტოკდა. შევკრთი. რა უნდა მეთქვა? რისათვის მოველ? მარტოკა მომეწყინა მეთქი? მერე ამათ რა ენაღვლებათ? ვუთხრა — თქვენს სახლში ორიოდე დღის გატარება მინდა მეთქი? მაგრამ კუდი რომ ამომაძუებიონ? მოდი ვეტყვი — მუშაობას გავაჩაღებთ აქ მალე, კაკუნით, გრიალით, ხმაურობით შეგაწუხებთ და რადგან აქ ის ქალია მეთქი.....

აღარაფერზე ვფიქრობდი, მივდიოდი წინ. ცხენს მოსწყენოდა წელან ტყე-ღრეში ხეტიალი და ეხლა მშვენიერ

გზაზე ელვასავით მიმაქანებდა. გალავანში სანადირო ძაღლებმა ასტეხეს ყეფა, მაგრამ ვიღაც გაუჯავრდა და მალე ჩააჩუმა. მივედი. გამოვიდა მოჯამაგირე.

— ვანა ბრძანდებით? --შემეკითხა მოწიწებით.

— მეფის ინჟინერი.

მოჯამაგირემ ქუდი მომიხადა.

— რას მიბრძანებთ?

— არის ვინმე სახლში?

— ქალბატონი ბრძანდება,—იყო პასუხი.

— ქალბატონი? – იმათი ქალი? მინდოდა ესეც მეკითხნა, მაგრამ გავჩუმდი, გული მეტკინა, რომ შინ მარტო ქალბატონი იყო.

გალავანში შეველ, მივეცი მსახურს სადარბაზო ბარათი და ვუთხარი ქალბატინისთვის გადაეცა. რამდენიმე წუთის შემდეგ მსახური ისევ გამოვიდა და მითხრა ქალბატონი ბაღში ბრძანდება და იქა გთხოვთო.

ნაწყენი, სასოწარკვეთილი, მივე ცხენი მოჯამაგირეს და გავყე უკან მოსამსახურეს, რომელიც ჩემთვის მოვიდა. სისხლი ყელში მაწვებოდა, არ ვიცოდი რა მექნა—ეჰ, ვეტყვი იმ დედა-კაცს—სროლას დაიწყებენ მეთქი აქ,—კისერიც უტეხია, რაც უნდა ჰქნას!..—გადავწყვიტე გულში. ერთ წუთს დავრჩები, ვეტყვი და მოვქუსლავ. ქალზე კი, არაფერსა ვკითხავ, არც კი ვახსენებ, რა ჩემი საქმეა.

XIV

დერეფანში გავიარეთ და ბაღში გავედით. და დახე, აქაც ისე—როგორც რომანტიულ ზღაპარში—პატარა გარეული თხა, მაძებარი ძაღლი, გვერდზე ტოტზე მიმინო და წიგნით ხელში სკამზე კი ის, აი—ის „ნამდვილად რომ არ არსებობს, მხოლოდ მოჩვენებაა!!!“.

— ჩემი ქმრის თანამსახური ყოფილხართ, რადგან ორიეე მეფეს ემსახურებით,—მითხრა მან ადგომით და ხელი გამომიწოდა. ამიტომაც გიღებთ კარებს, თუმცა ჩემი ქმარი შინ არ

არის. მობრძანდით, დაბრძანდით. თქვენ რკინის გზა გამოგ-ყავთ აქეთ, ჰო, ხომ ასეა?

დავსხედით და ლაპარაკი გავაბით, მაგრამ რაზედ, არ ვიცი ღმერთმანი.

ის რომ ლაპარაკობდა, მეგონა თაფლი გადმოსდის პირიდან მეთქი. მუქ-ლაჟვარდ თვალებში ვატყობდი, რომ ისიც მათვალიერებდა და გონება სულ სხვაგან ჰქონდა იმისგან, რასაც ბაგე მეტყველებდა. თვალები ჩემს სახეზე გადარბ-გადმორბოდნენ, თვალები თავისებურად ლაპარაკობდნენ, თვალებით მეკითხებოდა, მეკითხებოდა ფარულ, საიდუმლო რამეს, რომელსაც ენითაც ვერ გამოსთქვამ, მეკითხებოდა ჩაციებით, მიბრძანებდა მეთქვა, გადამეშალა გული. ვწითლდებოდი, ვბრაზდებოდი და ამასთანავე გამოუთქმელ სიამოვნებას ვგრძნობდი. გიპასუხებ, გიპასუხებ ყველაფერს — ვეუბნებოდი თვალებით — გიპასუხებ, რადგან მიყვარხარ, მიყვარხარ!.. მისი თვალები კი, რაკი პასუხი მიიღეს, განაგრძობდნენ საამო ჰიმნს:

„მე ტყე ვარ მოჯადოვებული, ტევრი, სადაც კაცს ჯერ არ გაუჭაჭანია, ტევრი ხელუხლებელი, საამო ფიქვნარი“...

„მო, მოდი, ჩაწექ ჩემს მკერდში, ჩამეკარ, ამომეველე, ვით ცივ წყაროში, საამო წყაროში ბაღის შუაგულას“...

მო, მოდი, დეე ცვარმა, ვით ვარსკვლავებმა, დაგიკოცნოს თვალები, ცვარმა წყლისამ, რომლის ახლოს კეკლუცობს ზამბახი და წითელ ყვავილა შროშანა„...

XV

სახლში შევედით ყავაზე. ოთახების კედლებზე ბლომად უკიდა თოფები, საყვირები, სანადირო თავები, ტყავები დათვებისა, ფრთებ გაშლილი არწივები.

კედელზე მოხუცის დიდი სურათი ეკიდა.

— ეგ ჩემი ქმარია, — მითხრა იმან და ხელი ამ სურათზე მიმიშვირა.

— თქვენი ქმარი? — წამოვიყვირე უცებ ჩემდაუნებურად.

— დიახ, ბატონო ინჟინერო, — და თან ჩაიცინა.

გამოსალმებისას ხელი მაგრა მომიჭირა და მითხრა:

— იმედი მაქვს, რომ ხშირად დაგეხედავთ ხოლმე. ჩემი

ქმარი დიდი ხნით წავიდა ქალაქში და საშინლად მოწყენილი ვარ. გელით ხვალ სადილად.

— გმადლობთ, მაგრამ სასადილოდ ვერ მოვიცლი, საქმე მაქვს.

მაშ, ვახშმად.

— ეგ უკეთესია, — ვუპასუხე და ხელზე ვაკოცე. ახ, მზად ვიყავი სულ მეკოცნა, მეკოცნა, მაგრამ დრო იყო წასვლისა. შევჯექ ცხენზე და შეუდექ აღმართს. ის ბაღში იდგა და თვალს მადევნებდა. ქუდის მოხდა ვერც კი მოვასწარი, რომ ის უკვე ხელსახოცს მიქნევდა.

ჩემდა უნებურად ჰაერში ვაკოცე ჩემს ხელს და იგი კოცნა გავაფრინე იმისკენ.

ის უცებ გატრიალდა.

„თავს მოვიკლამ მეთქი“, — შევყვირე, შემოვუტიე ცხენს და გიჟივით გავქუსლე შინისკენ.

XVI

მეორე დღეს დილის ოთხი საათი იყო, ურო მეჭირა ხელში და გამალებული ვმუშაობდი, როგორც უბრალო მუშა. მოვიმიზეზე, ცუდად ვგრძნობ თავს და მინდა ძარღვებში გავიშალო მეთქი.

მზე გადიწვერა, მე კი ისევა ვცემდი უროს. საღამოჟამს ვუთხარი მუშებს, თუ ვინმესა გსურთ, ზედმეტი ხელფასით ამ ღამესაც ვიმუშავოთ სინათლის შუქზე, რადგან მეშინიან წვიმები არ დაიწყოს და სამუშაო არ წაგვილეკოს. — გამოჩნდა რამდენიმე მსურველი. ვიმუშავეთ მთელი ღამე და გარიჟრაჟზე ქანცგამილეული, მოწყვეტილი, მკვდარივით დავეცი ჩემს კარავში საწოლზე.

რომ გამომეღვიძა, მსახურმა მითხრა — ვიღაცა კაცი გელის წერილითაო. თავში რაღაც ჩამკრა, მივხვდი, ალბად მწერს — იმათსა ფეხი აღარ მივდგა მეთქი.

— მოიტა წერილი და კაცს უთხარი წავიდეს, — ვუთხარი მსახურს.

— კი მაგრამ, რომ არ მიდის?! ამბობს, პასუხი უნდა წავუღოვო.

— მოიტა წერილი.

„რატომ არ შემოიარეთ გუშინ? — ეწერა წერილში — გთხოვთ, ძალიან გთხოვთ მაცნობოთ, როდის მოხვალთ. ჩემის აზრით თქვენ კრემი გიყვართ და კრემიც მოვამზადებინე. რაკი აღარ მოხვედით, იმას თხა, მიმინო და ცუგა შეექცნენ. მიმინოს ისე მოეწონა, რომ კინაღამ შიგ ჩარჩა ნისკარტიც, ბრჭყალებიც. კრემი ჩინებული გამოდგა. თუ ღმერთი გრწამთ შემოიარეთ და თქვენ სხვას შეექცევით. ნახვამდის!“

მირტა X...

მე წავაწერე ქაღალდზე „მეშინიან“ მეთქი, გადავუგდე მსახურს ფული და კარვიდან გამოვუძახე, მე კი წერილს ჩავეკონე. ვკოცნიდი, ვკოცნიდი, ვკოცნიდი ყოველს სიტყვას, ყოველს სტრიქონს, ყოველს ხაზს. მერმე ისევ ურო ს ვეცი.

შუადღისხანს მეორე წერილი მივიღე. „იმიტომ მოუგონიათ შეწყალება, რომ ცოდვებიც იყვეს. გელი საღამოს“, ეწერა წერილში. მე თვითონ გავამზადე ნაღმი, სიმონა კი ტყუილად სადღაც გავგზავნე. თვითონ ავაფეთქე. საზარელმა გრიალმა შეარხია ჰაერი, შეინძრა მთელი ტყე, მუშები პირქვე დაემხნენ.

ეს იყო ჩემი ზეიმი, დღესასწაული, „ნაღმი á le crème de café“ ვაშა! ვაშა!!.

XVII

დავეხეტებოდით ტყე-ტყე, თითქოს მიწაზე არა ვცხოვრობდით. ოცნების სამეფომ გაგვიღო კარი. ის, რაც ესიზმრება ახალგაზრდა კაცს, რაზეც ოცნებობს, ის, რაც მრავალს, მრავალზე მრავალს სწყურიან, რისკენაც ილტვის მრავალი და ვერას დროს ვერ ეწევიან, მე ხელთა მქონდა.

გითხარით, ტყეში ვეხეტებოდით მეთქი; გვეგონა იქ ვიყავით, სადღაც, საოცნებო სამეფოში. იქ წყარო იყო, წყარო ანკარა, რომლის ნაპირებზე კეკლუცობდა ზამბახი და წითელ ყვავილა შროშანა. კეკლუცობდნენ, ჰყვავოდნენ, ჩასცქეროდნენ წყაროს გულში.

მირტა თვითონა რგავდა ხოლმე მათ გაზაფხულობით. ეს ჩვენი საყვარელი ადგილი იყო. აქ ვნახულობდით ერთმანეთს.

ერთხელ მარტოკა დავრჩი. მირტა წავიდა, რომ ევახშმებინა მოსამსახურეები. პირქვე ვიყავი მიწაზე წაწოლილი, წყალში ჩავცქეროდი ყვავილებისა და ხეების კენწეროების ანარეკლს. მასზე, მირტაზე, ვფიქრობდი, რომ მშვენიერი იყო. უცებ უკანიდან ვიღამაც თვალებზე ხელები დამაფარა.

— გამოიცან, ვინ არის?— შემეკითხა ვიღაცა გამოცვლილი ხმით.

— დედაკაცია, დედაკაცი!— ვუპასუხე და ერთი წუთის შემდეგ მირტას ბუნებრივი ხმა ჰაერში აწკრიალდა.

— მე დედაკაცი არა ვარ,— გამაწყვეტინა მან.

უცებ გადავტრიალდი ზურგზე და თვალებში ჩავაცქერდი. მირტა ვარდივით ღუოდა.

— მე დედაკაცი არა ვარ,-- გაიმეორა მან.

მე არაფერი მიკითხავს, თავისთავად დაიწყო აღსარება.

— ღარიბი ვიყავი, ხელმოკლე; განაგრძო მან; ამ ოთხი წლის წინად ამას მიმათხოვეს. მე თვრამეტის წლისა ვიყავი, ის— სამოცდა-ათისა.

აღსარებამ წამაქეზა და ვკითხე:

— მერე, კარგადა სცხოვრობთ?

მირტა ცოტა ხანს დაფიქრდა.

— ის კარგად მექცევა, ძალიან კარგად, სრული უზრუნველყოფილი ვარ.

ამ სიტყვებზე ისე მეგონა, ზამბახმა და შროშანამ თავი ძირს დაჰხარეს მეთქი.

— მაგრამ,— განაგრძო მირტამ,— მე მას ცოლად კი არა, შვილად ვეკუთვნი. ასეც არის, ჩვენ შვილები არა გვყავს.

მომეჩვენა, თითქოს ზამბახმა და შროშანამ თავი უფრო ჩაჰკიდეს.

— შვილები არა გყავთ?— ისე შეეკითხე, თითქოს არ გამეგონოს.

— ძალიან, ძალიან მწყინს, რომ შვილი არ გვიჩნდება,— ამოიოხრა მირტამ.

ხელში ხელი ვტაცე და დავეკონე, დავეკონე ვნებით,

თავ-დავიწყებით. ახლა კი უფლება მქონდა მისი მისაკუთრებისა, სრული უფლება. მირტა სდუმდა, არ მიძალიანდებოდა. მისი ხელი ხელთ მეპყრა, ზედ ბაგე დაკონებული.

— ჩემი ხარ, ჩემი! — ვჩურჩულებდი.

მირტა არას მიპასუხებდა.

ძაღლი და თხა პირველად თითქოს გაკვირვებული შემოგვცქეროდნენ, მაგრამ მერმე მეორემ პირველს რქები ამოუსვა, ძაღლმა დაიწკმუტუნა, კუდი ამოიძუა და ეცა აქეთ-იქით, ქვეშ მოიდო ბუჩქი, ხრამი, მდინარე, მაგრამ თხა არ სცილდებოდა და უკან მისდევდა.

მირტამ გაიცინა.

— მირტა! — მივუბრუნდი და თვალებში შევხედე.

— ლამაზი სურათი არ არის, ჰა? - მითხრა ჩემ წინ მუხლზე მდგარმა მირტამ.

— მირტა! - გავუმეორე.

მან შემომხედა. ბევრი რამ ამოვიკითხე მის თვალებში.

— დიახ, სათნოება არსებობს, რომ ცოდვა პატიებულ იქმნას! — მიპასუხა მან.

XVIII

მისი ხმა სხვანაირად მესმოდა. ჯადოსნური იყო, არაჩვეულებრივი, არსად გამეგონა, არასდროს. ეს პირველი იყო. სამუშაოს ვათავებდით მდინარის მარცხენა ნაპირზე. ერთხელ საღამოთი სიმონა ჩემთან მოვიდა მოსალაპარაკებლად სახელდახელო ხიდის გაკეთების შესახებ, რომელიც შეიძლებოდა ერთ დღეში გაჩარხულიყო.

— როგორ! მაშ, ხვალ დილას ამ არე-მარეს უნდა გამოვეთხოვო?!.

ათასი რამე მოვიგონე, რომ კიდევ იქ დავრჩენილიყავით. დავათვალიერე გზა, ათასი რამ დავიწუნე. სიმონა კი გაკვირვებული შემომცქეროდა და თავს აქნევდა. ბოლოს შუბლი შეიკრა და მკაცრად წარმოსთქვა:

— ან წინ უნდა წავიდეთ, ან სამუშაო სხვას უნდა დავუთმოთ! — და ქვეშ-ქვეშ გამომხედა.

სისხლი თავში ამივარდა, შემრცხვა.

სიმონა კარგად იყო მიმხვდარი, თუ რად ვიკაზმებოდი ხოლმე და სად დავდიოდი საღამ-საღამოობით.

აქამდე არაფერს მეუბნებოდა, რადგანაც ვერ მიბედავდა, მით უმეტეს მუშაობა რიგზე მიდიოდა;ეხლა კი გადამიწყვიტა: ან უნდა წინ წავიდეთ, ან სამუშაო სხვას დაუთმოთო.

დარცხვენილი ვიდექი მის წინ. ის კი ჩემს წინ მდევივით აყუდებულიყო. მრისხანე იყო, როგორც მაღლობიდან მოსხლეტილი კლდე. ძალზე შეთეთრებული თმა მხრებზე ეყარა, შეკრეჭილი ულვაშები კი ტუჩებს ძლივს უფარავდა.

კარგად ვხედავდი ხუმრობა აღარ შეიძლებოდა.

— რას იზამდი ჩემს ალაგას? - ვკითხე მე სიმონას.

მეგონა ჩემს ცოდვას გამახსენებდა, სხვის საკუთრებას მომაგონებდა. ქალაქში წასულ ქმარს, მეგონა მომაგონებდა მეშვიდე მცნებას, მაკრამ მან მხოლოდ ეს მითხრა:

„ან წინ წავიდოდი, ან სამუშაოს თავს დავანებებდი“-ო.

— თავს დაანებებდი და წინ წახვიდოდი?

— თუ გადაწყვეტილი შექნებოდა წინ წასვლა, წავიდოდი უეჭველად,—მომიგო სიმონამ.

— რომ იძულებული ჰყოფილიყავი არ წასულიყავი წინ?

— სადაც ნებაა, იქ არ არის იძულება.

— რომ ხანდისხან ნება არ გყოფნის?

— არ არის ისეთი ნება, რომ არ გყოფნიდეს. არ გყოფნის ნება მაშინ, როცა ის სულ არ გაბადია.

— მაშ, ხვალ ვიბარგებით აქედან და გადავდივართ მდინარეზე! —გარდავწყვიტე.

სიმონამ სიამოვნების ნიშნად თვის ხმელი, დაკოჟრებული ხელი გამომიწოდა, მაგრად ჩამომართვა და ჩიბუხის წევით ნელა მომშორდა.

XIX

— ხვალ ვიბარგებით აქედან და გადავდივართ მდინარეზე... მაშ...

თვალებზე ხელი მივიფარე და მაგიდაზე უმწეოდ დავდე თავი.

— მაშ უნდა მოვშორდე მირტას, მოვშორდე ყველაფერს, მოვშორდე ამ მომხიბვლელ, გრძნეულ ბაღს, გრძნეულ წყაროს ტყეში, რომლის ნაპირებზე კეკლუცობს ზამბახი და შროშანა და რომელთაც მირტა გაზაფხულობით რგავდა?!.

ის ჩემი არ იყო, მაგრამ მე მას ვეკუთვნოდი მთლად: სულით, გულით; მას შევწირე ყველაფერი, შევწირე თავი, დავიღუპე სულით ხორცამდე.

ფეხით წავედი ამ საღამოს მასთან.

— რა დაგმართვია?—მკითხა მან კარებშივე.

— მოვედი, გამოგეთხოვო. ხვალ აქედან უნდა ავიბარგოთ და გადვინაცვლოთ მდინარის იქით.

— რად?

— აქ მუშაობა დავასრულეთ.

მირტამ გაკვირვებით შემომხედა.

— როგორ? უნდა წახვიდეთ?

— კი, იძულებული ვარ.

— სადაც ნებაა, იქ იძულებას ალაგი არა აქვს.

— ეგ სიტყვები ეხლახან ჩემი მუშისაგან გავიგონე,— ვუთხარი მირტას და დაღვრემილი შევხედე.

-- გაიგონე, ჰო, ნახე!

— გავიგონე, მაგრამ იმან იმიტომ მითხრა, რომ ხიდის გაკეთებას ვაკვიანებდი.

— მერე, უნდა გააკეთოთ ხიდი?

— უნდა გავაკეთოთ.

— და მერე იქით უნდა გადახვიდეთ?

— უნდა გადავიდეთ.

თვალები აენთო, ელვასავით გაიკრიალა.

— მერე, რომ...—აღრ დაათავა, ლოყები სისხლივით დაუკვერდა.

— მირტა,—ვუთხარი მიმქრალი ხმით და ხელზე ხელი წავავლე,—ხომ იცი, უნდა წავიდე, უეჭველად უნდა წავიდე, უნდა დავანებო აქაურობას თავი. იქ მილიონი ხალხი მელის, ელის საზრდოს და ნათელს, და „მე“ უნდა მივუტანო მათ ყველა ეს..

— ღმერთო, — წამოიყვირა მირტამ შუბლის შეკვრით და მხრები შეიშმუშვნა, — განა ერთი საათი, საათი ბედნიერებისა და სიტკბოებისა უფრო ძვირფასი არ არის, ვიდრე შენი რაღაცა იდეალი, რომლისკენაც მიისწრაფვი? შენ არა, სხვები გააკეთებენ.

— მე მინდა, რომ თვითონ მე გავაკეთო!

მირტამ თვალით გამზომა.

— შენ იტყვი, ჩემო მირტა, სიყვარული მალაპარაკებსო, მე კი გეტყვი, რომ გალაპარაკებს თავმოყვარეობა, სიამაყე.

მირტამ ისეთი გამომეტყველება მიიღო, ისე აუმეტყველდა თვალები და ტუჩები, რომ ველარაფერი ვუთხარი, ველარაფერი ვუთხარი, რადგან არაფერია იმ კაცის მდგომარეობაზე სასაცილო, რომელიც ირწმუნება იმაზე კეთილშობილი ვარ, ვიდრე თქვენა ჰფიქრობთო.

— დარჩი, გენაცვალე, დარჩი აქ... გთხოვ...

პირველად დაიხარა ჩემსკენ, პირველად გაიწკრიალა მისმა ხმამ, ვით ჩანგის ჯადოსანმა სიმმა. მირტა უფრო დაიხარა, უკვე ვგრძნობდი მის ბაგეთა სიცხოველეს. შემდეგ ზანტად გასწორდა, ხელი გამოიწოდა და მითხრა:

— მაშ, უკანასკნელად?

— ხვალ, მოვალ გამოსათხოვებლად.

— რა დროს?

— დილით, გარიჟრაჟზე.

XX

განთიადი იყო მშვიდი, წყნარი, მომხიბლავი, ისე, ვით ბალში საღამოჟამს წყარო, მოკაზმული ზამბახით და შროშანათი.

საშინლად მწყუროდა მირტას ნახვა. მთელი ღამე არ მიძინია. ვგრძნობდი, რომ მიყვარდა, მიყვარდა გაგიჟებით, მწყუროდა ისე, ვით პატიმარს ჰაერი, ვით მგზავრს წყალი, ვით მათხოვარს ლუკმა პური. ნუ იტყვით, რომ ოცდა რვა წლისა ვიყავი, ნუ იტყვით, რომ ზაფხულის ბრალი იყო, რომ რამდენიმე თვე თვალი არ დამეკრა ქალისთვის, არა, მე მირტა მიყვარდა, მიყვარდა ისე, როგორც უყვართ, როცა უყ-

ვართ. მაგრამ ერთ-ერთს უნდა გზა დაგვეცალა: ან მე ჩემი სიყვარულის ყვავილიანად, ან ის, მირტა, უნდა მომშორებოდა თავისი გრძნეულობით, რომლითაც ასე შემიბორკა ხელფეხი.

თუ ისე უბედურად მოეწყო გარემოება, რომ ქალი გადაეღობა წინ და ხელს გიშლის მიზნის მიღწევაში, დამარცხდები, დაიღუპები და სიკვდილის ქსელში გახვეული თავდაყირა შთაინთქები უფსკრულში. ასე მოსდის მრავალ კაცს, მრავალზე მრავალს...

თუ ისე უბედურად მოეწყო გარემოება, რომ ქალი აგეკვიატა და იმის მაგივრად, რომ ხელი შეგიწყოს წინ სვლაში, ვით ზურგის ქარი, რომელიც ხომალდს წინ მიერეკება,—თუ ქალმა, იმის მაგივრად, რომ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად იყვეს, გზა აგირია, თუ ქალმა, იმის მაგივრად, რომ იქცეს შენთვის მაცოცხლებელ წყაროდ, გაგაბეჭეა, ვით მათრობელა სასმელმა -- დამარცხდები, დაიღუპები. მრავალი, მრავალზე მრავალი მამაკაცი, რომელთაც წინ, სულ წინ უნდა ევლოთ, მარცხდება, იღუპება, მარცხდება მაშინ, როდესაც თვით უნდა დაემარცხებინა და შეემუსრა დედაკაცი. თუ ძალა არ შეგწევს, რომ მოშორდე იმ ქალს, ვიდრე ის ცოცხალია, და გრძნობ რომ მისი სიკვდილი შენ ამ ძალას მოგანიჭებს—თამამად მოსპე იგი.

რა ფასი აქვს ამგვარ საქციელს, ამას თვით გარემოება მოწმობს.

თუ მირტა წინ არ გადამეღობა —კეთილი, ნეტარება მას! თუ წინ გადამეღობა—ვაი იმას! მაშ, ვაი იმას! თავს ვერ შევწირავ ვერც მას, ვერც მის სიყვარულს, თუ ისე მოეწყო გარემოება, რომ მირტა წინ გადამეღობა, ვით ბოროტი სული, მე მათ ვერ დავემზგავსები, ვერა, სასოწარკვეთით რომ ჩაიცქირებიან უფსკრულში, სადაც ინთქმევა მათი ნამუშევარი, ვერ დავემზგავსები, თუ ქალი, რომელიც მე მიყვარს, ხელს არ მომცემს და ჩემთან ერთად არ წამოვა წინ.

ბედის სათამაშო ბურთად ვერ გადვიქცევი, ან ჯარად, რომელიც ტრიალებს, ვიდრე ატრიალებენ.

საზარლობის ჩადენაც რომ მომიხდეს, ჩავიდენ, წინ კი წავალ, სულ წინ!

XXI

განთიადი იყო მშვიდი, წყნარი. ის-ის იყო მზეს ყური ამოეყო. მოულოდნელად ჩემს წინ მირტა აიმართა. ტიტველი იყო, პერანგის ამარა, გახვეულ რბილ, მსუბუქ წამოსასხამში. სხეულის ყოველი ნაწილი, ყოველი ნაკვთი გამოსჩანდა ნათლად, ცოცხლად, ვით ქანდაკება, სველ საბურველში გამოხვეული.

მირტამ გვერდით გამიარა და მხოლოდ ორი სიტყვა მითხრა:

--- მაშ, წახვალ?

— წავალ.

— საღამოს გელი ნიშის გვერდით, ხრამთან,—მითხრა და ისე წავიდა, რომ აღარც კი მოუხედნია.

მშვენიერი იყო მირტა, ვით ქანდაკება, რომლის თვითეული მოძრაობა გონებიდან შეჰშლის კაცს.

XXII

პაპანაქება დღე დადგა. სიცხისაგან სუნთქვა იკვროდა. ხვითქი გადასდიოდათ მუშებს, რომელნიც სახელდახელოდ აკეთებდნენ მდინარეზე ხიდს. სისხლი თავში ამივარდა, თვალები და ტუჩები მეწვოდა.

ახ, ნეტა რა იქნება საღამოზე?—ვფიქრობდი ჩემთვის.

რაც იქმნება, იქმნება, მაინც წავალ წინ.

ხიდი რას დამიშლის. გადავინაცვლებთ აქედან, მაგრამ ათასი ვერსის მანძილიდანაც ხომ შეიძლება დაბრუნება, ეხლა კი არ დავრჩები. რომ დავრჩე, ეს იმას ნიშნავს დავმორჩილდი ქალს, იმ ქალს, რომელსაც არაფერი ესმის, არაფერსა ჰხედავს თვის გარეშე, ეს იმას ნიშნავს დავმორჩილდი და უარვყავი ჩემი თავი.

მირტა დამნაშავე არ არის, არა, მისთვის არაფერი არ უსწავლებიათ, არაუერი განუმარტავთ; ის არაფერზე ფიქრობს, არაფერსა გრძნობს, იგი ლამაზია მხოლოდ, ლამაზი, ლამაზი, ლამაზი, მზეთუნახავი...

მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მაინც გავუსხლტები ხელიდან, გავუსხლტები, წავალ აქედან! მოვკლავ, მოვკლავ და მაინც წავალ! დეე, ღმერთმა განმსაჯოს!

ჩემის აზრით, მე უფრო ძვირფასი ვარ, საპირო, ვიდრე ათი მირტა. მირტა ჰყვავის, ვით ცისფერი ასისთავა ტყეში, მიყრუებულ ალაგას, სადაც უდგება მხოლოდ წვიმა და ქარი, მირტა ჰგავს ლერწამს, რომელიც კეკლუცად აღმოცენებულა ტევრში, კორდზე, ხელის გულის ტოლა ალაგას. მაგრამ ნება არა აქვს წინ გადამეღობოს.

და თუ ვიგრძნობ, რომ ის მხიბლავს, მაჯადოვებს, თუ დავატყე, რომ ვიღუპები, მოვკლავ, უეჭველად მოვკლავ, ვით მავნე არსებას!..

XXIII

დადგა საღამო. ბუნებას ნირი არ შეუშლია. სიცხის ბური ისევ ჩამოწოლილი იყო. სუნთქვა უძნელდებოდა ადამიანს. დედამიწა ყაშა-ყაშა დახეთქილიყო, ხეებს, ყვავილებს ძირს დაეხარათ ფოთლები. მდინარეც კი ზანტად, ნელა მიიზლაზნებოდა.

მირტას დანიშნულ ალაგისაკენ გავწიე.

ეს იყო კლდის ნაპრალი, მდინარის პირად, მაღალი; იმ ალაგას ოდესღაც ბებერ ნაძვის კუნძზე პატარა, კოპწია ნიში აემართათ, მაგრამ ეხლა ერთი ხატიც აღარ ესვენა შიგ. აქ დავიარებოდით მე და მირტა სასეირნოდ. ქვაზე ჩამოვჯე. ჩემს წინ უფსკრული იყო თვალჩაუწვდენელი, ძირს კი მიჰქუხდა მთის მშფოთვარე მდინარე. თავი ხელზე დავიყრდნე და თვალები დავხუჭე.

რა კარგი იქმნებოდა, რა კარგი, რა კარგი!—ვფიქრობდი გონებაში,—ხომ ისე ბედნიერი ვიქმნებოდით... მოვიდოდით ხოლმე აქ, ამ ქვაზე ჩამოვსხდებოდით და სამარადისო სიყვარულზე ვიოცნებებდით... ასე გვეყვარებოდა ერთმანეთი, სამარის კარამდე...

რა მატანს ძალას, რომ არ წავიდე? მირტა ხომ ქმარს თავს არ დაანებებს, თან არ წამომყვება? რომ გამომყოლოდა, ერჩია ჩემთან ცხოვრება ტყეში, ღრეში, ეს ხომ ის იქმნებო-

და, რომ თავისი თავი თვითონ ჩაეგდო სატანჯველში?.. არა, აღსრულდა...

ახ, რა კარგი კი იქმნებოდა, რა კარგი, რა კარგი...

XXIV

მხარზე ვიღაც შემეხო. თვალები გამოვაქყიტე მირტა იყო.

— მაშ წახვალ?—მკითხა მან.

— ხიდი უკვე მზად არის. ხვალ წავალ.

— და აღარ დაბრუნდები?

— არა.

— რატომ?

— მეშინიან.

— ჩემი?

— მეშინიან უფრო ჩემი თავისა.

— გგონია, თან არ წამოგყვები, ხომ ასეა?

— კი, შენ არ მოისურვებ ჩემთან წამოსვლას.

— მაშ, დარჩი აქ, დარჩი ჩემთან!

ხმა მიუმქრალდა, ჩურჩული დაიწყო, მუხლზე დაეცა ჩემს წინ და თავი ახლოს მოიტანა, თითქო ბაგე ბაგეს ელაპარაკებოდა.

— დავრჩე, მერე იქ?—ხელი წინ გავიშვირე.

— იქ?—შემეკითხა მირტა და უკან გაიწია,—იქ? იქ? მერე შენ რა? განა ჩემ თავს ის ხალხი გირჩევნია, რომელიც თავის დღეში არ გინახავს? განა გგონია, რომ იქ უფრო ბედნიერი იქმნები, ვიდრე აქ, ჩემთან? რად მიდიხარ, რა გინდა იქ? ნუ გეშინიან, არ დაიღუპებიან. შენ არ წახვალ, სხვები წავლენ, სხვა ათასი. განა მარტო შენ იცი გზის გაყვანა? მხოლოდ შენ მინდა მიყვარდე! გესმის? მხოლოდ შენ მინდა მიყვარდე, მხოლოდ შენ, შენ! ვერ წახვალ აქედან. აქ უნდა დარჩე, აქ, და დარჩები კიდეც! აქ, ახლოს სადმე დასახლდები,—განაგრძობდა ის და ხმას ისევ უდაბლებდა,—ცხენით მოვალ ხოლმე შენთან. გინახავს შენ ჩემი შავი, ნიშა რაში? როგორც ისარი, მოფრინდება ხოლმე. ყოველ დღე ვიელი შენთან, ყოველ დღე, თუ შენი ნებაც იქმნება, ქმარს

არ მოვატყუებ, არა, მე მას ყველაფერს ვუამბობ, ის ისეთი ჭკვიანია, კეთილი!

— მაშ, უთხარ, რომ ის არ გიყვარს, რომ მე გიყვარ-ვარ, რომ სიცოცხლე გინდა და წავიდეთ ერთად იქ!

— იქ? არა, არა, მეშინიან,—განაგრძო მირტამ,— არაფ-რის გულისთვის არ წავალ აქედან, არაფრის გულისთვის. ვინ იცის რა მელის იქ? ვინ იცის რა დამემართება? აქ კი, შეხ-დე: ტყე ყრუ, უზარმაზარი, ას-წლოვანი ფიჭვნარი, სურნე-ლებით, ყვავილებით, ირმებით, გარეულ თხებით სავსე! შე-ხედე, მშვენიერება არ არის? არა გრძნობ ფისის და ტყის ას-კიდის სუნს? ერთი უყურე გვიმრას, როგორ გამოუშვერია შენსკენ თვისი დაგრეხილი ფოთლები! ყური დაუგდე, რას გეჩურჩულება ფიჭვნარი, ჩემი დიდი, ბებერი ფიჭვნარი—დარ-ჩი, დარჩიო, იმიტომ რომ შენ მიყვარხარ და მე კი უყვარ-ვარ, მას. ყური დაუგდე, რას ჩამომჩურჩულებს—მიყვირხარო! ვუყვარვარ იმიტომ, რომ ლამაზი ვარ, ნორჩი ვარ. მან იცის, რომ მე დედოფალი ვარ მისი, ტყის შვილი, ულრანი ტევრის ასული. მას ვუყვარვარ და არც უნდა ჩემი გაუბედურება! შენ ხომ დარჩები აქ, ჰა, ხომ დარჩები? ხომ არ დამტოვებ მარტოკა? ხომ არ დასტოვებ ტყეს და მე?—ხელი ხელს გა-დააჭდო და ჩემს წინ მუხლზე დაეცა. თვალები დავხუჭე და ოდნავ მოვიშორე. ამ დროს ცაზე გაიელვა და შორს გაისმა გუგუნი ქუხილისა.

XXV

გეგონებოდათ ელვამ გაუარა შიგ გულშიო, მირტა ისე წამოხტა ზეზე.

— მეხით დავწვავ შენს ხიდს!—დაიყვირა მან, - მინდო-და გრიგალი ამოვარდნილიყო, ჰა ესეც! მე ტყის ჯადოქარი ვარ და გრიგალს მოვუწოდებდი რაც შემეძლო! მე ტყის ქა-ლი ვარ, ველური, კერპთ თაყვანისმცემელი და ბუნების ძა-ლებს მოვუწოდებდი! მეხით გადავბუგავ შენს ხიდს! ნიაღვარს მივცემ, ნიაღვარს, რომ მთლად შთაინთქას შენი სამუშაო! შენს რკინის ლიანდაგებს, როგორც ნაფოტებს, ტალღები გაიტაცებს! უყურე, უყურე!

ელვის სისწრაფით გამოექანა აქეთ-იქიდან შავი ღრუბ-

ლები. ქუხილმა მოუხშირა, ელავდა. ორი წუთი არ გასულა, რომ გრიგალი იქაურობასა ჰგლეჯდა. ბებერ ფიქვს ქვეშ ვიყავით შეფარებული. კოკისპირული წვიმა მოდიოდა. გრგვინვა მოსდევდა გრგვინვას. საშინელება იყო. უფსკრულის ნაპირას ვიდექი, მირტას გვერდით, რომელსაც კისერი წაეგრძელებინა, ბაგე ნახევრად გაეღო და თითქოს რაღაც ჰსურდა, რაღასაც ელოდდა.

უცებ შორს ცეცხლის ალი ავარდა.

— ჰა -- ჰა ჰა! შენი ხიდი! — გადიხარხარა მირტამ.

ყოველის მხრიდან ნიაღვარი მოსქდა. ხევებიდან წყალი აქეთ-იქით გადავიდა. ნაკადები ხეებ შორის ფაფარ-აშვებული, აღრენილი მოშხუოდა და თან მოჰქონდა მეხით მილეწილ-მოლეწილი და გრიგალით ძირიანად დაგლეჯილი ხეები. თითქმის ჩვენს წინ ჩაატარა ვეება ფიქვები და ჩააგორა უზარმაზარი კლდეები.

უცებ წკარუნი მოისმა წყალში.

— ოჰო, ლიანდაგები! - წამოიყვირა მირტამ.

ეჭვი აღარ იყო, სადაც კი მისწვდებოდა გრიგალი. ჩვენი ნამუშევარი უნდა მოსპობილიყო, ნიაღვარს უნდა მიენგრმოენკრია გზა, გადაერეცხა, მოეტაცნა.

სიბრაზისაგან აღარ ვიცოდი რა მექნა.

XXVI

ელავდა, სჭექდა, გრგვინავდა. გრიალი გაუდიოდა გრიგალს, წვიმას, ნიაღვარს. ხიდი ელვის ცეცხლში იყო გახვეული. მის შუქზე კი ჩემს წინ მირტა იდგა და თვალებში შემომყურებდა. ბაგე გაეღო, ცხვირის ნესტოები უთრთოდა, თვალები უელავდა, როცა ელვა ცაზე გაიკლაკნებოდა ხოლმე.

— ჰხედავ? ვერ წახვალ! — დაიწყო მან, — შენ აქ უნდა დარჩე, აქ! მე შევულოცე გრიგალს, წყალს, ქუხილს! ჰხედავ, როგორ მიგქანება ქვემოდ შენი ხიდი, მირიხინობს ლიანდაგები, მიაქვს ყველაფერი! შენ უნდა დარჩე, დარჩე! უნდა დარჩე, რადგან მე ასე მსურს!

სიბრაზისაგან ყელში სისხლი მომაწვა.

— წაიღო, მაგრამ ახალ გზას გამოვიყვან, ახალ ხიდს გა-

ვდებ! — დავუღრიალე მას, — ტყვილად ჰფიქრობ! შენ და შენი საზარელი ტყე, აქ დამბაბათ! თუ ორივენი ერთ საშინელ მდევად გადაქცეულხართ და წინ მეღობებით, მე მოვსპობ ამ მდევს და წავალ წინ!

მირტას თითქოს არ ესმოდა ჩემი სიტყვები. მან მტაცა ხელში ხელი, მომიპირა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ვნებით დაიწყო.

— არა, შენ თავს არ დამანებებ, დაიფიცე, რომ არ დამანებებ თავს! მე მსურს ეს, მე მინდა, დაიფიცე! შენ ჩემი ხარ, ჩემი! შენი თავი მე მაჩუქა ტყემ, გრიგალმა, ქარიშხალმა და წვიმამ. შენ ჩემი ხარ! რა გენაღვლება ქვეყნის, ხალხის, თუ კი მე გიყვარვარ! მე შენი ვარ, შენი, შემომხედე!

მხარზე ხელი მომხვია, ძალაზე მიმიზიდა, პირველად მოვეხვიე მირტას. ერთს წუთს ყველაფერი ამერია გონებაში, ხახა გამიშრა, სუნთქვა შემეკრა. ვგრძნობდი, ვიღუპებოდი.

მირტა კი ისევ მიზიდავდა თავისკენ, მეკვროდა, მეკვროდა.

— ჩემი ხარ, ჩემი! — ჩამჩურჩულებდა — დაიფიცე, რომ აქედან არ წახვალ!

— მირტა, — დავუყვირე მას, — ნუ მეღობები გზაზე! გრიგალმა გამინადგურა ნამუშევარი, ხელმეორედ შევუდგები მუშაობას, მხოლოდ შენ გამიშვი! თუ არ გესმის ჩემი გულის ნადები, ჩამომეცალე გზიდან! ჩემი სამუშაო ჩემი სიცოცხლის საკითხია. როცა დასრულდება ის, დასრულდება ჩემი სიცოცხლეც... გამიშვი, გამიშვი!..

— არასდროს! — მიპასუხა მირტამ, — მე ვიცი, ვგრძნობ, რომ შენ ჩემი ხარ! შენი თავი მაჩუქა გრიგალმა, ტყემ, ქარმა და წვიმამ! შენ აქ დარჩები!

მას მკერდი ჩემს მკერდზე ედო, ბაგე ბაგეზე, სხეული სხეულს იყო გადაჭდობილი. ვგრძნობდი, ის უნდა მოსპობილიყო, რომ მე სიცოცხლე შემძლებოდა! გრიგალი, ცეცხლი, ლიანდაგების წკარუნი, ყველაფერი ამერია გონებაში.

— გამიშვი! — დავუყვირე მირტას და მინდოდა მოშეშორებინა.

— არასდროს! — მიპასუხა გამარჯვებული ხმით.

ძალა მელეოდა, ნელ-ნელა ვსუსტდებოდი.

XXVII

ოღ ერთხელ შევეხე მის ბაგეს, თუ ერთს წუთს მაინც დამისაკუთრა—დაღუპული ვარ სამუდამოდ. ვერ გავუძლებ, ვერ გავუძლებ, ვერ გავუძლებ!..

ის მიმორჩილებდა, ვიღუპებოდი, ვღუპავდი ჩემს სიცოცხლეს. გრძნობდა ის, რომ იმარჯვებდა, რომ მის წინ ვირთხმოდი, ვით მოკრილი ხე, უარვყოფდი ყველაფერს, დავუფიცავდი, რომ მას არასდროს, არასდროს არ დავანებებდი თავს!..

ის დღესასწაულობდა!..

უკეპ გადმიბრუნდა გონება, ნათელმა შემომინათა გულში. გაშოფხიზლდი, ელვის სისწრაფით თვალწინ წარმომიდგა ის ჰეშმარიტება, რომ ჩემი სიცოცხლისათვის უეკველად მირტა უნდა მოსპობილიყო. სწრაფად გავეშვი, სრულის შეგნებით ხელი ვკარ გულში და უფსკრულში გადავჩეხე.

XXVIII

იქ, ქვევით, მდინარეში, რომელიც ალქაფებით მიაქანებდა მორებს, კლდეებს, ჩემი ხიდის კოჭებს, რკინებს, უეკველია მირტას თეთრი სხეულიც მისცურავს.

ხეების ტოტები უკაწრავენ სახეს, მკერდს, გვერდებს, ლამაზ ფეხებს. ქვები უჭეჭავენ ძვლებს; საშინელი ტოტები, რომელნიც ალქაჯებივით გადადიან მდინარეში, უშხეფენ თვალებს, ლამაზ თვალებს. პირი ევსება წყლით, იხრჩობა, იგუდება... მისი თმა, გრძელი აბრეშუმის გაშლილი თმა აქეთ-იქით ედება ხეებს, გარს ეხვევა ნორჩ, მოგლეჯილ ფიჩვებს ღმერთო!..

მაგრამ იქნება ისევ ცოცხალია, ჰა?

ღმერთო! ღმერთო! ღმერთო!

გრიგალო, მდინარევ, შენ, საზარელო ტყევ, მოჰკალით ის, მოჰკალით!

ღმერთო! მოჰკალით! სდუობს, სჯობს მოკვდეს!..

XXIX

მეორე დღეს მუშაობა ისევ განვაახლეთ. მეხით დამწვარი ხიდი წყალში ჩაიქცა. ნიაღვარს დიდ მანძილზე გაეფუჭებინა გზა და ლიანდაგები მოეტაცნა. ისევ ახლად უნდა გაგვეკეთებინა.

დავიმორჩილე ტყე, გრიგალი, ბუნების ძალნი და ჩემი თავიც. ახლა სადაც მინდა, იქ წავალ. ზეიმი მაქვს, ზეიმი. ტყუილად მაშინებდა საზარელი ტყე. შიგ შევიჭერ, ვძლიე, შევბღალე მისი თილისმები და ვაიძულე, ვეცანი ბატონად. იგი ჩემს წინააღმდეგ დაირაზმა გრიგალით, მეხით, ნიაღვრით, მაგრამ დამარცხდა ბრძოლაში.

ასი ხელი სცემდა ცულს და ეს ასი ცული ჩემი ნებით მუშაობდა.

ჩემს წინააღმდეგ შეუერთდა ტყე ჩემს გულს, სისხლს, აზრებს. წინ ამეტუზა ქალი, თვალთა ნათელით, ბაგეთა ნექტარით, ხმის ჯადოსნობით, მღელვარე მკერდით გადამელობა გზაზე, მაგრამ მე ის უფსკრულში გადავუძახე.

მივდივარ, სადაც მინდა, მივდივარ ზეიმით.

მძლავრი ვარ, გამარჯვებული, გამარჯვების ემბაზში მონათლული.

გზა გამყავს ისევ, გავიყვან კიდეც.

როცა მას დავასრულებ, დავიწყებ მეორეს, მესამეს...

წინ, წინ, სულ წინ!..

სანგანიძე.